

1251
2004



კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული



КАВКАЗСКО-БЛИЖНЕВОСТОЧНЫЙ
СБОРНИК

XI



10



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ი. ა. დუდიშვილი

აკადემია სახელმწიფო
ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი
ი. ა. დუდიშვილი

GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
I. JAVAKHISHVILI INSTITUT OF HISTORY AND
ETHNOLOGY



ი. ა. დუდიშვილი
მ. გ. გ. გ.

თბილისი
2004



КАВКАЗСКО-БЛИЖНЕВОСТОЧНЫЙ
СБОРНИК

Посвящается М. П. Инадзе

в связи с 75-летием со дня
рождения

XI

CAUCASIAN AND NEAR-EASTERN
STUDIES

Dedicated to Mary Inadze
on her 75-th birthday



Тбилиси

Tbilisi

2004

სამართლის მიერ მიღებულ დოკუმენტების დაცვის სამსახური
მიერ გამოყენებულ დოკუმენტების დაცვის სამსახური
მიერ გამოყენებულ დოკუმენტების დაცვის სამსახური

კავკასიურ-ახლოაღმოსავლური ტერიტორიული მუზეუმის დაცვის სამსახური კრებული

XI

ეძღვნება ქალბატონ მერი ინაძეს
დაბადების 75 წლისთავის
აღსანიშნავად

ქადაგი შემომავალი

27.IV.2004

ქ. თბილი

თბილისი
2004

УДК 947.922+947.9
з146

ნინამდებარე კრებულში გამოქვეყნებული სტატიების ნაწილი ეხება ძველაღმოსავლურ პრობლემატიკას (შუმერის, ძველი ეგვიპტის; ხათის და სხვა ქვეყნის ისტორიას, რელიგიას, კულტურას), ნაწილი კი – ანტიკური ხანის კოლხეთისა და სხვადასხვა რეგიონის ისტორიის, რელიგიის, კულტურის პრობლემებს.

კრებული ეძღვნება ძველი კოლხეთის ისტორიის ცნობილ მკვლევარს – ქ-ნ მერი ინაძეს დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად.

Часть опубликованных в данном сборнике статей касается древневосточной проблематике (вопросов истории, религии и культуры Шумера, древнего Египта, Хатти и других стран), часть же – проблемам истории, религии, культуры Колхиды и других регионов античного периода.

Сборник посвящается известному исследователю истории древней Колхиды – Мэри Платоновне Инадзе в честь 75-летия со дня рождения.

რედაქტორი: აკად. გრიგოლ გიორგაძე

რეცენზენტები: პროფ. ზურაბ კიკნაძე
ვაატა რამიშვილი

კრებული გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე“.

მთ. რედაქტორი: თამაზ ჭყონია

რედაქტორი: ლია კოტრივაძე

კორექტორი: ლუიზა ჯიქია

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: მარიამ ბუტიკაშვილი, ანა რუაძე

**წვერი სეატორის „პირველი ქალბატონი“
 (გვრი ინაკა – 75)**

1954 წელს, როდესაც აკად. გ. მელიქიშვილის თაოსნობით იც. ჯავახიშვილის სახელობის ისტორის ინსტიტუტში დაარსდა ძველი ისტორიის განყოფილება, მის შემადგენლობაში სულ 3 თანამშრომელი იყო: გ. მელიქიშვილი – განყოფილების გამგე, მერი ინაძე და დავით (დურსუნ) ხახუტაიშვილი – ორივე უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი. ამრიგად, ქალბატონი მერი, სანდომიანი გარევნობით და ნიჭიერებით გამორჩეული და საზოგადოებაში ღრმად პატივცემული ადამიანი, გახლდათ განყოფილების პირველი ქალბატონი. ასე წარმოგვიდგება იგი დღესაც, თითქმის მთელი 50 წლის მანძილზე, თუმცა განყოფილებას შემდგომ სხვა ლამაზი ქალბატონებიც შეემატენენ. მომავალ, 2004 წელს, ძველი ისტორიის განყოფილების (ამჟამად – სექტორის) თანამშრომლები აღნიშნავენ ამ სამეცნიერო უჯრედის არსებობის 50 წლისთავს, რასაკვირველია, ჩვენს „პირველ ქალბატონთან“ ერთად.

ამ დროიდან განყოფილებაში თანდათან თავი მოიყარა მეტად ნიჭიერმა ახალგაზრდობამ – ე. მენაბდემ, ლ. ჯანაშიამ, ნ. ხაზარაძემ, ნ. ლომოურმა, არჩ. ბარამიძემ, მ. ხიდაშელმა, რ. რცხილაძემ და სხვებმა, რომლებიც წლების მანძილზე თავდადებით შრომობდნენ და მოღვაწეობდნენ ისე, რომ მათ არაერთი მეცნიერული პრობლემა შეისწავლეს და ქართული ისტორიული მეცნიერება უმნიშვნელოვანესი ნაშრომებით გაამდიდრეს. ერთ-ერთი პირველი თანამშრომელთაგანი არის ამ სტრიქონების ავტორიც.

განყოფილების „პირველმა ქალბატონმა“ მ. ინაძემ ახალგაზრდობის საუკეთესო წლები გულმოდგინე შრომაში განვლო: წარმატებით დაამთავრა რა თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლა, 1944 წელს სწავლას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც იგი



ისმენდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა – ნ. ბერძენიშვილის, შ. მესხიას და სხვათა ლექციებს. ს. ყაუხჩიშვილი ასწავლიდა ძველ ბერძნულ ენას და წყაროებზე მუშაობის მეთოდებს. მ. ინაძე ამ დროიდან დაინტერესდა დასავლეთ საქართველოს, სახელდობრ, ძველი კოლხეთის ისტორიით. ამ პრობლემაზე მუშაობა მან განაგრძო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, როდესაც 1949 წლიდან გაიარა ასპირანტურის კურსი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის პიზანტიოლოგიის განყოფილებაში აკად. ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით და მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფლავიოს არიანე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ”, რომელიც მ. ინაძემ წარმატებით დაიცვა კიდეც 1953 წელს.

ქ-ნ მერის საკანდიდატო დისერტაციაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახ. ნ. I-II სს-ში შექმნილი სამთავროების ეთნოპოლიტიკური ისტორიისა და რომთან მათი დამოკიდებულების საკითხების განხილვასთან ერთად სრულიად ახლებურად იქნა გააზრებული ფარსმან II-ის მეფობის დროინდელი იბერია-რომის ურთიერთობა.

მ. ინაძის პირველი გამოქვეყნებული ნაშრომები გამოჩდა 1955 წელს. მათში განხილული იყო იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიის საკითხები, განსაკუთრებით ჰენიოხების ეთნიკური ვინაობის საკითხი.

1958 წლიდან ქ-ნი მერი იწყებს გამოქვეყნებას ნაშრომების მთელი ციკლისა, მიძღვნილს ანტიკური ხანის კოლხეთის შავი ზღვისპირა ქალაქების თვითმმართველობის (1958 წ.), მათი განვითარების ხასიათისა (1959 წ.), იქ მცხოვრებ ტომთა ისტორიის, კერძოდ, მახელონების (1959 წ.), მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის (1960 წ.), კოლხების სამეფოს სკეპტიურიათა რაობის (1961 წ.), კოლხეთის ქალაქების (დიოსკურიის, სებასტოპოლისის, პიტიუნტის) (1962-1963 წწ.), სავაჭ-

რო ურთიერთობათა ისტორიის (1963 წ.) საკითხებისადმი.

მ. ინაძის მიერ 1958-1968 წლებში ჩატარებული მრავალური წლის ნაყოფიერი მუშაობის შედეგების შეჯამებას წარმოადგენს მნიშვნელოვანი მონოგრაფია - „Причерноморские города древней Колхиды” (1968 წ.), რომელმაც მკვლევართა მაღალი შეფასება დაიმსახურა და იმავე წელს წარდგენილ იქნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

განსაკუთრებით მოიწონეს აღნიშნული ნაშრომი ოფიციალურმა ოპონენტებმა, რომელთაგან ერთ-ერთის – ბ-ნ შოთა მესხიას რეცენზია სტატიის სახით დაიბეჭდა კიდეც.

შ. მესხიას შეფასებით, მ. ინაძის ნაშრომში საფუძვლიანადაა შესწავლილი ძველი კოლხეთის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების უმთავრესი პრობლემები – ქალაქების წარმოშობის საკითხი, საქალაქო მეურნეობა, გარე სამყაროსთან ურთიერთობა, ზღვისპირა ქალაქების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება, განვითარების ძირითადი პერიოდები, საქალაქო ორგანიზაციის ფორმები და სხვა კარდინალური საკითხი.

შ. მესხია განსაკუთრებით აქცევდა ყურადღებას ბერძნულ ახალშენთა ბუნებას, მის ხასიათს, იგი დისერტაცის უწონებდა მოსაზრებას ადგილობრივი მოსახლეობისა და ბერძნული ელემენტის ხანგრძლივი თანაარსებობისა და ელინისტურ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტების განვითარების შესახებ. ამას არ შეეძლო თავისი დაღი არ დაესვა ქალაქების ცხოვრებისათვის, კერძოდ, არ მიეცა თავისებური სახე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, საქალაქო ორგანიზაციის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

მ. ინაძის წარმატებები ძველი კოლხეთის ქალაქების შესწავლაში, როგორც ამას აღნიშნავდა შ. მესხია, განპირობებულია წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ზედმინევნითი ცოდნით, დიდმნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი

სამუშაოს ჩატარებით, არქეოლოგიურ ექსპედიციებში პირა-
დი მონაწილეობით. მ. ინაძის მონოგრაფია წარმოადგენს, გვიცე-
ვნიდა ბ-ნი შოთა მესხია, ქართული ისტორიოგრაფიის უდა-
ვოდ მნიშვნელოვან შენაძენს, რომელსაც დიდი წვლილი შე-
აქვს არა მარტო საკუთრივ კოლხეთის, არამედ საერთოდ შა-
ვიზლვისპირეთის ქალაქებისა და ქვეყნების ისტორიის შეს-
წავლის საქმეში.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მ. ინაძემ
კვლევა-ძიება განაგრძო ანტიკური ხანის ისტორიის პრობლე-
მებზე. იგი იკვლევს კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბების სა-
კითხს ძველი ბერძენი ავტორების მიხედვით (წერილი გამოქ-
ვეყნდა რუსულად, 1973 წ.), აქვეყნებს სტატიებს, რომელებიც
ეხება ათენისა და აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთის ურთიერ-
თობათა შესწავლას ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში (1975 წ.),
მცირე აზიის სატაძრო ქალაქების წარმოქმნა-განვითარებას
(1976 წ.), ამიერკავკასიის ქვეყნებში ელინიზმის გავლენას
(1976 წ., 1977 წ.). მ. ინაძემ დაამუშავა აღმოსავლეთ შავი-
ზლვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის სპეციფიკის სა-
კითხი (რუსულ ენაზე, 1979 წ.), შეისწავლა ანტიკური ხანის
კოლხეთსა და თრაკიაში სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითა-
რების ისტორიული პარალელები (1980 წ.) და სხვა. ამ პრობ-
ლემური საკითხების კვლევა-ძიების შედეგი გახდათ ქ-ნ მე-
რის ცნობილი მონოგრაფია - „აღმოსავლეთ შავიზლვისპირე-
თის ბერძნული კოლონიზაცია“ (1982 წ.), რომელშიც შეჯამე-
ბულია ამ საკითხზე ავტორის მრავალწლიანი შრომა.

მ. ინაძემ ამიერკავკასიის ქვეყნებში ელინიზმის გავლე-
ნისა და ელინისტური კულტურის გავრცელების საკითხებზე
მუშაობისას წერილობით წყაროებთან ერთად გამოიყენა ამ
ქვეყნების ტერიტორიაზე მოპოვებული ახალი არქეოლოგიუ-
რი მასალა და ნუმიზმატიკური მონაცემები. 80-იანი წლების
დასაწყისიდან მ. ინაძის კვლევის ცენტრში ექცევა ძველი კო-
ლხეთის საზოგადოების სოციალური ბუნების რთული პრობ-

ლემა, რომლის შესწავლას მან მიუძღვნა რამდენიმე სტატია (ქართულ და რუსულ ენებზე).

ამის შემდეგ მ. ინაძე შეუდგა ახალი მონოგრაფიის მომზადებას. იგი ზედიზედ აქვეყნებს სტატიებს ჰერაკლეს „ფასისელთა პოლიტიის“ განმარტებისათვის (1983 წ.), იხილავს პირველ ცნობებს ქალაქ კვტიაის შესახებ (1984 წ.), კოლხიდაში ბერძნული კოლონიზაციის ფალკეულ საკითხებს (1985 წ., ფრანგულად), იკვლევს ძველი კოლხეთის სატაძრო ცენტრებს (1986 წ.), ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის პრობლემებს (1987 წ.), სატაძრო ცენტრების როლს ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში (1988 წ., რუსულად), ეგრისსა და ქართლის ურთიერთობათა საკითხებს (1989 წ.).

მ. ინაძე დიდ ყურადღებას აქცევს ძველ კოლხეთში კულტისა და კულტმსახურების საკითხს (1990 წ.), განიხილავს ლეგენდისა და ისტორიულ სინამდვილეს სტრაბონთან (1992 წ.), სპეციალურ ნარკვევებს უძღვნის აფხაზეთის ძველი მოსახლეობის პრობლემას (1992 წ.), ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხებს (1992 წ.), იკვლევს ტერმინებს „კოლხი“ და „კოლხები“ ანტიკურ მნერლობაში (1993 წ.), ტერმინ „ჭანებს“ (1993 წ.) და ა. შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამების შედეგია ქ-ნ მერის მიერ გამოქვეყნებული ახალი მონოგრაფია „ძველი კოლხეთის საზოგადოება“ (1994 წ.), რომელშიც ძირითადად ვანისა და საირხის ნაქალაქარებისა და მათი სანახების ტერიტორიაზე უკანასკნელი 30-40 წლის მანძილზე გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების ახალი თვალთახედვით გააზრების შედეგია მოცემული. დადგინდა ძველ კოლხეთში ადრეული ხანიდან სატაძრო ცენტრების არსებობა, მათი როლი საზოგადოების პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში, ასევე კოლხეთის სახელმწიფოს მმართველობის თეოკრატიული ხასიათი. მონოგრაფიის მაღალ მეცნიერულ ღირებულებაზე მეტყველებს

ის ფაქტი, რომ 1997 წელს სწორედ ამ მონოგრაფიის ავტორის
მიერთის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის პრემია. განყოფილებას
შეემატა აკად. ს. ჯანაშიას პრემიის კიდევ ერთი ლაურეატი
(ნ. ხაზარაძის შემდეგ).

ამ მონოგრაფიასთან დაკავშირებით პრესაში აღინიშნა,
რომ „მაღალ დონეზე ჩატარებული კვლევა-ძეგლის წყალობით
მერი ინახებ შეძლო წარმოედგინა ძველი კოლხეთის საზოგა-
დოების სოციალურ-პოლიტიკური თუ სულიერი ცხოვრების
ცოცხალი და შთამბეჭდავი სურათი...“ (თ. ებანოიძე, ძველი
კოლხეთის ახალი სიცოცხლე, გაზ. „საქართველოს რესპუბ-
ლიკა“, 1997 წ.).

ამ წარმატებათა შემდეგ ქ-ნი მერი კვლავ აგრძელებს
ძველი კოლხეთის ისტორიის სხვადასხვა პრობლემათა შეს-
წავლას, რაც, ალბათ, იმის მაჩვენებელია, რომ მზადდება კი-
დევ ერთი საინტერესო მონოგრაფია კოლხეთის ისტორიას-
თან დაკავშირებით. უკვე გამოქვეყნდა მთელი რიგი ნაშრომე-
ბისა, რომლებიც მკვლევართა დიდ ინტერესს იმსახურებენ:
„არისტარხეს მონეტის მნიშვნელობისათვის“ (1998 წ.), „კოლ-
ხთა წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი დასავლეთ საქარ-
თველოში“ (1999 წ.), „ეოლიური სამყარო და კოლხეთი. ადრე-
ული კონტაქტები (ძვ. წ. VIII-VI სს.)“ (1999 წ.), „კოლხეთ-ირა-
ნის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (ძვ. წ. VI სა-
უკუნის მეორე ნახევარი)“ (1999 წ.), „არგონავტთა თქმულება
სტრაბონის გეოგრაფიაში“ (1999 წ.), „ძველი კოლხეთის სა-
ხელმწიფოებრიობის წარმონაქმნის პრობლემისათვის“ (2000),
„აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიების“ ზოგიერთი ცნო-
ბის დათარიღებისათვის“ (2001 წ.), „ნავიგაცია და ვაჭრობა
შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე (ძვ. წ. VIII-
VI სს.)“ (2001), „ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქების გენეზისის
საკითხისათვის“ (2001) და სხვა.

ძველი კოლხეთის ისტორიის პრობლემის გარდა, მ. ინა-
ძე იკვლევს საქართველოს ძველი საზოგადოების სოციალური

ბუნების საკითხს (2002 წ.), ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური კური ისტორიის საკითხებს (რუსულად, 1999 წ.) და სხვა.

მ. ინაძის მაღალი პროფესიულობა და პრინციპულობა კარგად ჩანს მის მიერ გამოქვეყნებული რეცენზიებიდან, რომელთა შორის აღსანიშნავია: რეცენზიები წიგნებზე „Прокопий из Кесарии. Война с готами“ (1953 წ.), „Древний Восток. Города и торговля (III-I тыс. до н. э.), Ереван, 1973 (соавтор, 1975 წ.), Ю. Воронов, Колхида на рубеже средневековья. 1982 (2000), С. Шамба, Политическое, социально-экономическое и культурное положение древней и средневековой Абхазии... (VI в. до н.э.–XIII в. н.э.), Автореферат докторской диссертации, Ереван, 1998 (1999 წ.), გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991 წ.

აქვე უნდა აღინიშნოს რეცენზიები საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აღსანიშნავია, აგრეთვე მ. ინაძის ისტორიოგრაფიული ხასიათის სტატიები: „საქართველოში ძველი ისტორიის, ფილოლოგიისა და არქეოლოგიის შესწავლის ძირითადი შედეგები“ (თანაავტორი, რუსულად, 1977 წ.), „საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე“ (1981 წ.) და სხვა. მეცნიერების ახალ მიღწევათა გათვალისწინებით მ. ინაძეს დაწერილი აქვს არაერთი სტატია, გამოქვეყნებული ქართულ ენციკლოპედიაში. ქ-ნ მერის ხელნაწერი ნაშრომები ელის გამოქვეყნებას.

მ. ინაძის გამოკვლევები ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე ყურადღებას იქცევს მრავალმხრივობითა და სიღრმით. მათი ავტორი ფართო დიაპაზონის მეცნიერია, რომელიც მუდამ ახლის ძიებაშია. ქ-ნ მერის მეცნიერული მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება თავდადებით, ყოველგვარი ამბიციების გარეშე, უხმაუროდ იცხოვრო და დიდი საქმეები აკეთო.

«ПЕРВАЯ ДАМА» НАШЕГО СЕКТОРА

(Мэри Инадзе – 75)

В 1954 году, когда в Институте истории имени И.Джавахишвили во главе с акад.Г.Меликишвили был основан Отдел древней истории Грузии, в его составе было всего 3 сотрудника: Г.Меликишвили – заведующий отделом, Мэри Инадзе и Давид (Дурсун) Хахутайшвили – оба младших научных сотрудника. Таким образом г-жа Мэри, отличающаяся приятной внешностью и своей добротой, пользующаяся всеобщим уважением, являлась в отделе «Первой дамой». Таковой представляется она до сегодняшнего дня, в продолжении почти 50 лет, хотя в отделе впоследствии появились и другие прекрасные «дамы».

В будущем 2004 году сотрудники Отдела (ныне сектора) древней истории отмечают 50-летие основания этого научного подразделения, разумеется, вместе с нашей «Первой дамой».

Со временем в отделе собралась весьма способная и достойная молодежь – Э.Менабде, Л.Джанашиа, Н.Хазарадзе, Н.Ломоури, А.Барамидзе, М.Хидашели, Р.Рцхиладзе и другие, которые в течение многих лет трудились не покладая рук и исследовали целый ряд научных проблем, обогатив грузинскую историческую науку цennыми трудами. Одним из первых сотрудников являются и я – автор этих строк.

До того же, как стать «Первой дамой» в отделе, М.Инадзе все прекрасные годы молодости провела в кропотливом труде: после окончания с отличием тбилисской 6-й женской средней школы, с 1944 г. продолжила учебу на историческом факультете Тбилисского государственного университета, где она слушала лекции выдающихся грузинских ученых – Н.Бердзенишвили, Ш.Месхия и др. С.Каухчишвили обучал ее древнегреческому языку и методам работы над источниками. С этого времени

М.Инадзе проявила интерес к древней истории Западной Грузии – Колхиды. Над этой проблемой она продолжила работу и по окончании университета, с 1949 г., когда проходила курс аспирантуры в отделе византинологии Института истории им.И.Джавахишвили, под руководством акад.С.Каухчишвили. Она подготовила кандидатскую диссертацию на тему: «Флавий Арриан и его сведения о Грузии», которую с успехом защитила в 1953 г.

В кандидатской диссертации М.Инадзе наряду с детальным рассмотрением вопросов этно-политической истории существующих в I-II вв. н.э. на территории Западной Грузии политических образований (княжеств) и их отношений с Римом, совершенно по-новому освещено взаимоотношение Иберии и Рима в царствование Фарсмана II.

Первые печатные труды М.Инадзе появились в 1955 г. В них были освещены вопросы взаимоотношений Иберии и Рима в первой половине II в. н.э., истории племен, проживавших на восточном побережье Черного моря, в частности, гениохов.

С 1958 г. М.Инадзе публикует целый цикл трудов, посвященных вопросам самоуправления причерноморских городов античной эпохи (1958 г.), характера их развития (1959 г.), истории проживавших там племен, в частности, махелонов (1959 г.), этнического состава населения северо-западной части Колхиды (1960 г.), сущности скептухий Колхидского царства (1961 г.), истории колхидских городов (Диоскурии, Себастополиса, Питиунта) (1962-1963 гг.), торговых отношений с внешним миром (1963 г.).

Многолетняя плодотворная работа М.Инадзе, проведенная в 1958-1968 годах, подытожена в монографии – «Причерноморские города древней Колхиды» (1968 г.), заслужившей высокую оценку специалистов и в том же году представленной к защите на соискание ученой степени доктора исторических наук. По оп-

ределению одного из официальных оппонентов, представивших весьма положительные отзывы на труд М.Инадзе, члена-корреспондента АН Грузии Ш.Месхиа, в монографии основательно изучены важнейшие проблемы истории городов и городской жизни древней Колхиды – основание городов, городское хозяйство, взаимоотношения с внешним миром, политическая и социально-экономическая жизнь прибрежных городов, основные периоды их развития, формы городской организации и другие кардинальные вопросы.

Ш.Месхиа особо останавливается на природе греческих поселений, их характере; он соглашается с положением диссертанта о длительном сосуществовании местного населения и греческого элемента и установлении тесного контакта с эллинистическим миром. Все это не могло не отразиться на городской жизни, в частности, не придать своеобразный облик этническому составу населения, городской организации, социально-экономическому развитию.

Успех М.Инадзе в изучении городов древней Колхиды, как отмечает Ш.Месхиа, обусловлен доскональным знанием источников и научной литературы, проведенной значительной источниковедческой работой, личным участием в археологических экспедициях. Монография М.Инадзе, как заключает Ш.Месхиа, безусловно представляет важное приобретение грузинской историографии, является весомым вкладом в изучение не только собственно Колхиды, но и вообще истории городов и стран всего Причерноморья.

После защиты докторской диссертации М.Инадзе продолжила исследование проблем истории Колхиды античной эпохи. Она изучает вопрос о времени формирования Колхидского царства по сведениям древнегреческих авторов (статья опубликована на русском языке, 1973 г.), публикует работы, касающиеся взаи-

моотношений Афин и Восточного Причерноморья в V в. до н.э. (1975 г.), эллинистического влияния в Закавказье (1976 г., 1977 г.), возникновения и развития храмовых центров в Малой Азии (1976 г.). М.Инадзе разработала вопрос о некоторых специфических чертах греческой колонизации Восточного Причерноморья (на русском языке, 1979 г.), изучила исторические параллели возникновения и развития государства в Колхиде и Фракии античной эпохи (1980 г.) и пр. Результатом исследования этих проблемных вопросов явилась известная монография М.Инадзе «Греческая колонизация Восточного Причерноморья» (1982 г.), в которой подытожена многолетняя работа автора в данной области.

М.Инадзе, работая над вопросами эллинистического влияния и распространения эллинистической культуры в странах Закавказья, наряду с письменными источниками использовала обнаруженные на территории этих стран новые археологические материалы и нумизматические данные.

С начала 80-х годов в центре внимания М.Инадзе становится сложная проблема социальной природы общества древней Колхиды, изучению которой она посвятила несколько статей (на грузинском и русском языках). Впоследствии М.Инадзе приступила к написанию новой монографии. Она подряд публикует статьи, в которых рассмотрены «Полития фасианов» Гераклида (1983 г.), первые сведения о городе Квитаия (1984 г.), специфические стороны греческой колонизации в Колхиде (на французском языке, 1986 г.), храмовые центры древней Колхиды (1986 г.), социально-политические проблемы истории древней Колхиды (1987 г.), роль храмовых центров в социально-политической жизни древнеколхидского общества (на русском языке, 1988 г.), взаимоотношения Эгриси и Картли (1989 г.).

М.Инадзе большое внимание уделяет вопросам культа и служения культу в древней Колхиде (1990 г.), рассматривает ле-

гендерные пласти и историческую действительность у Страбона (1992 г.), специальный очерк посвящает проблеме состава древнего населения Абхазии (1992 г.), вопросу этно-политической истории Абхазии (1992 г.), исследует термин «колхи», упоминаемый в античной литературе (1993 г.), термин «чаны» (1993 г.) и т.п.

Результатом всего вышеотмеченного является изданная М.Инадзе новая монография «Древнеколхидское общество» (1994 г.), в которой даны результаты нового осмысления археологических материалов, обнаруженных за последние 30-40 лет главным образом на территории городищ Вани и Саирхе и их окрестностей. Установлено существование с раннего периода в древней Колхиде храмовых центров, показаны их роль в политической и духовной жизни общества, а также теократический характер правления. О большой научной ценности монографии свидетельствует факт присуждения автору в 1997 г. премии имени академика С.Джанашиа.

В связи с этой монографией в прессе было отмечено, что «Благодаря проведенной на высоком уровне исследовательской работе Мэри Инадзе смогла воспроизвести живую и впечатляющую картину социально-политической и духовной жизни древнеколхидского общества» (М.Эбаноидзе, Новая жизнь древней Колхида, газ.«Сакартвелос республика», 1997 г.).

После подобного успеха М.Инадзе продолжает изучение ряда проблем истории древней Колхида, что, по всей вероятности является показателем подготовки еще одной интересной монографии в данной области.

Уже опубликованы несколько заслуживающих интерес трудов: «О значении монеты Аристарха» (1998 г.), «Предгосударственное образование в Западной Грузии» (1999 г.), «Эолийский мир и Колхида. Ранние контакты (VIII-VI вв.до н.э.)» (1999 г.), «Из истории колхидско-персидских взаимоотношений (вторая



половина VI в. до н.э.)» (1999 г.), «Сказание об аргонавтах в Географии Страбона» (1999 г.), «К проблеме образования Древней Колхида-^{столицей} хидского царства» (2000 г.), «К датировке некоторых сведений «Аргонавтики» Аполлония Родосского» (2001 г.), «Навигация и торговля на южном и восточном побережье Черного моря (VIII-VI вв. до н.э.)» (2001 г.), «К вопросу о генезисе городов северной Колхиды» (2001 г.) и др.

Помимо проблем истории древней Колхиды, М.Инадзе исследует вопросы социальной природы древних обществ Грузии (2002 г.).

Высокий профессионализм и принципиальность М.Инадзе проявились в ее рецензиях, из которых следует отметить следующие: «Прокопий из Кесарии. Война с готами» – перевод Кондратьева (1953 г.), «Древний Восток. Города и торговля (III-I тыс. до н.э.), Ереван, 1973 г. (1975 г., соавтор), Ю.Воронов «Колхиза на рубеже средневековья», 1982 г. (2000 г.), С.Шамба, «Политическое, социально-экономическое и культурное положение древней и средневековой Абхазии (VI в.до н.э. – XIII в.н.э.)», автореферат докторской диссертации, Ереван, 1998 г. (1999 г.), Г.Лордкипанидзе «Бичвинское городище», Тб., 1991 г.

Здесь же нужно упомянуть рецензии М.Инадзе на кандидатские и докторские диссертации, перечислить которые даже трудно.

Особо нужно отметить историографические статьи М.Инадзе: «Основные итоги изучения древней истории, филологии и археологии в Грузии» (соавтор, на русском языке, 1977 г.), «Изучение древней истории Грузии за 60 лет Советской власти» (1981 г.) и др.

С учетом новых научных достижений, М.Инадзе написаны ряд статей, опубликованных в Грузинской энциклопедии. Не один ее рукописный труд ждет своего опубликования.

Исследования М.Инадзе на грузинском, русском, французском и английском языках обращают на себя внимание ^{своей}
^{широкой}
^{глубокой}
многогранностью и глубиной. Их автор является ученым с широким диапазоном, всегда пребывающим в поисках нового. Научная деятельность М.Инадзе – прекрасный пример того, как можно преданно, безо всяких амбиций, без шума жить и делать важные дела.

М.Инадзе участник ряда археологических экспедиций (Вани, Бичвинта, Цихисдзириси...), международных симпозиумов, была членом двух советов по присуждению ученых степеней в области истории (Институт истории и этнологии, Университет).

От имени сотрудников сектора древней истории, и всех коллег по Институту сердечно поздравляем нашего главного научного сотрудника Мэри Инадзе с круглой юбилейной датой и желаем ей здоровья, бодрости, личного счастья и создания еще многих научных "жемчужин". Да будет она еще многие лета «Первой дамой» нашего сектора!

Г. Г. Гиоргадзе

მერიინაძის ნაბეჭდი სამეცნიერო შრომები

1. იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში, ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, 1955 წ., 1, 1 თაბ.;
2. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე/ტომ-თა ისტორიისათვის (პენიონები), მასალები საქართვე-ლოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1955 წ., ნაკვ. 32. 1 თაბ.;
3. ანტიკური ხანის კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების თვით-მმართველობის საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“, 1958 წ., გ. XXII, №2. 0,5 თაბ.;
4. ანტიკური ხანის ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქების განვითარების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, 1959, გ. XXIII. 0,5 თაბ.;
5. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ტომთა ისტორი-სათვის (მახელონები), ისტორიის ინსტიტუტის „შრომე-ბი“, 1959, გ. IV, ნაკვ. II. 1 თაბ.;
6. ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის სა-კითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ. „მოამბე“, 1960, გ. 2. 1 თაბ.;
7. კოლხეთის სამეფოს სკეპტურიათა საკითხისათვის, სა-ქართველოს სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, 1961, გ. XXVI, №6. 0,5 თაბ.;
8. ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია). ის-ტორიის ინსტიტუტის „შრომები“, 1962 წ., გ. II, ნაკვ. 2. 2 თაბ.;
9. სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთ-ში, „გაგასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, 1962, გ. II, 2 თაბ.;

10. რეცენზია წიგნზე: «Прокопий из Кесарии, Война с Готами», М., 1952, „მიმომხილველი“, 1953 წ., III. 0,5 თაბ.;
11. ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურიასებასტოპლისი, პიტიუნი), საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მუზ. განყ. „მოამბე“, 1963, გ. IV. 2 თაბ.;
12. Народы Грузинской ССР - оსტორიული ნარკვევი წიგნში ”Народы Кавказа”, 1962. 0,5 თაბ.;
13. К истории Грузии античного периода (Флавий Ариан и его сведения о Грузии), ავტორეფერატი, 1953. 1 თაბ.;
14. Причерноморские города древней Колхиды (მონოგრაფია), Тбилиси, 1968. 17 თაბ.;
15. О времени образования Колхидского царства по данным древнегреческих авторов, Вопросы древней истории, 1973. 1 თაბ.;
16. ათენი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარი), „მაცნე“, ისტ. არქ. ეთნ. და ხელ. სერია, 1975, №1. 1,5 თაბ.;
17. რეცენზია წიგნზე: ”Древний Восток. Города и торговля (III-I тыс. до н.э.)”, Ереван, 1973, Вестник древней истории, 1975, №4. 1 თაბ., თანაავტორები: გრ. გიორგაძე და ზ. ქიქაძე;
18. ელინიზმის გავლენის საკითხისათვის ამიერკავკასიის ქვეყნებში, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიდან, თბ., 1976, 1 თაბ.;
19. მცირე აზიის სატაძრო ქალაქების წარმოქმნა-განვითარების საკითხისათვის სტრაბონის ცნობების მიხედვით, იგ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1976. 0,75 თაბ.;
20. ბერძნული კოლონიზაციის საკითხები უახლეს საბჭოურ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში, კავკასიურ-აღმო-

- სავლეური კრებული, 1977, V. 2 თაბ.;
21. Основные итоги изучения древней истории, филологии и археологии в Грузии за последние десять лет (1967-1977 гг.), «Вестник древней истории», 1977, №4. 2 თაბ., გრ. გომიგაძეს თანავაკრობით;
22. К вопросу о влиянии эллинизма в странах Закавказья, Сборник докладов XIV международной конференции ант. соц. стран (Эйрене I), 1977. 1 თაბ.;
23. ჰეროდოტეს კროი ცხობის განმარტებისათვის, ბოზანჩის მიმღების ეტიუდები, 1978. 0,5 თაბ.;
24. О некоторой специфике греческой колонизации Восточного Причерноморья, Проблемы греч. кол. сев. вос. Причерноморья (Мат. симпозиума в Цхалтубо), 1979. 1 თაბ.;
25. ანტიკური ხანის კოლხეთსა და თრაკიაში ხახვდმწყვიფოს წარმოქმნა-განვითარების ისტორიული პარალელური, კავკასიურ-ახლოადმოსავლეური კრებული, 1980, VI. 1 თაბ.;
26. ხაჯართველოს ძველი ისტორიის შესწავლა ხაბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1981, №3. 1,5 თაბ.;
27. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნების კოლონიზაცია (მონოგრაფია), თბ., 1982. 14 თაბ.;
28. ჰერაკლიდეს „ფასისელთა პოლიტიის“ განმარტებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1983 წ., №1. 1 თაბ.;
29. პირველი ცხობები ქალაქ ბატაიას შესახებ, კავკასიურ-ახლოადმოსავლეური კრებული, 1984 წ., VII. 0,5 თაბ.;
30. La colonisation grecque du littoral de la Colchide. “Revue Kartvelologique” (“Bedi Kartlisa”), 42, Paris, 1984. 0,5 თაბ.;
31. ხატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, „მაცნე“. ისტორიის სერია, №4, თბ., 1986 წ. 1,5 თაბ.;



32. ძველი კოდექტის საზოგადოების სოც. პოლიტ. ინტერესების რიცხვის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“ ისტორიის სერია, №3, თბ., 1987 წ.;
33. Основные итоги изучения древней истории и археологии в Грузии за последние десять лет (1978-1987 гг.), «Вестник древней истории», 1987 г., №4. 2 თაბ. 6. ხაზარაძის თანაავტორობით;
34. Роль храмовых центров в социально-политической жизни древнеколхидского общества. კრებულში: "Вопросы истории народов Кавказа" (ზ. ანაბაძისადმი მიმღვნილი კრებული), თბ., 1988 წ. 2,5 თაბ.;
35. გარისის და ქართლის ურთიერთობისათვის. ქურნ. „მნათობი“, 1989 წ., №8. 1 თაბ.;
36. გულტი და გულტმხახურება ძველ კოდექტში, ქურნ. „მნათობი“, 1990, №1. 0,7 თაბ.;
37. აფხაზეთის ძველი მოსახლეობა, ქურნ. „მნათობი“, თბ., 1992, №2. 1,5 თაბ.;
38. სტრატეგიის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის, ქართული წყაროთმცვლენება, XIII, თბ., 1993. 0,7 თაბ.;
39. ლეგენდა და ისტორიული სინამდვილე სტრატეგიან (ფრიქსონთლისი-იდეება). ქურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1992 წ., თბ., 3-4. 1,5 თაბ.;
40. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის ხაკონები, „მაცნე“, ...ისტორიის სერია, თბ., 1992, №1, 1 თაბ.; 1992, №2. 1,5 თაბ.;
41. ტერმინები „კოდეხი“ და „კოდექტი“ ანტიკურ მწერლობაში (რეზიუმე რესეულ და ინგლისურ ენებზე), კრებულში: „ხაქართველობა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ., 1993. 0,7 თაბ.;
42. მნიშვნელოვანი ნაშრომი ბიჭვინთის ხაქალაქის შე-

- სახელი (რეცენზია გ. ლორთქიფანიძის წიგნზე: „ბრძოლა-
გის ნაქალაქარი“, თბ., 1991 წ.), ჟურნ. „ლიტერატურული მუდმივია-
ნება“, 1993 წ., 3-6. 0,5 თაბ.;
43. ტერმინი „ჭანები“, იმავე კრებულში, 0,7 თაბ.;
44. ძველი კოლხეთის საზოგადოება (მონოგრაფია), თბ.,
1994, 13 თაბ.;
45. „კუტაისის მიწა“, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე,
1955, №4. 1 თაბ.;
46. კასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ.-ის I-VI
საუკუნეეთა საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთო-
ბებში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული, 3, თბ.,
1996. 1,5 თაბ.;
47. არისტარქეს მონეტის მნიშვნელობისათვის. კავკასიურ-
ახლოაღმოსავლური კრებული, IX, თბ., 1998. 1 თაბ.;
48. კოლხთა წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი დასავ-
ლეთ საქართველოში. მესამე საერთაშორისო ქართვე-
ლოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1999. 1 თაბ.
49. კოლური სამყარო და კოლხეთი. ადრეული კონტაქტე-
ბი (ძვ. წ. VIII-VI სს.), ფილოლოგიურ-ისტორიული ძიე-
ბანი, ლოგოსი, თბ., 1999, 1 თაბ.
50. კოლხეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის ისტო-
რიდან (ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარი), ქართული
დიპლომატია, 6, თბ., 1999. 0,7 თაბ.;
51. Les correspondances colchidiennes des divinités Jde-Cybèle et
les premiers contacts culturels et économiques entre la Colchide et
L'Asie Mineure. Actes du VIII^e Symposium de Vani, Paris, 1999.
1 თაბ.
52. არგონავტთა ოქმულება სტრაბონის გეოგრაფიაში,
ჟურნ. „მნათობი“, მეცნიერება, თბ., 1999 წ., №1-2, 1 თაბ.;
53. Вопросы этнополитической истории древней Абхазии, კრებულ-
ში: "Разыскания по истории Абхазии/Грузия", Тб., 1999. 2 თაბ.;

54. ՀԵՎԵԲՆԻԱ և. Շամես Թօնեալ օւթորուս թյց. եարօնեան մուսաձուցած վարժուցածությունը նախորդու սամցոյշան մուսեյնեանց: "Политическое, социально-экономическое и культурное положение древней и средневековой Абхазии по данным археологии и нумизматики" (VI в. до н. э.-XIII в. н. э.), Ереван, 1998 թ., յրեծություն: „այեանցու մռամբյ“, №2-3, 1999. 0,7 տաճ.;
55. Ժյալո յուղեատու սաելմթյուղեարությունուն վարժոյմնու չրոծալյամուսատցու շյուրն. „մբատոնն“, տճ., 2000 թ., №7-8. 1 տաճ.;
56. Ազոլունուս րուգուսելուս „արցոնացթոյուս“ թոցոյրու շնորհու քառարուցյանուսատցու, յարտյուլո վյարութմցունցուն տճ., 2000, IX, յժմանց այած. ու. յայեինշցուն. 0,7 տաճ.;
57. Շենո՛վենց օ. յուրոնցուս մռնոցրայունց: "Колхида на рубеже средневековья, 1982", սանեթորուս մոյեան, տճ., 2000, III. 1,5 տաճ.;
58. Անալո ևոթյա մոյենոլուցուն (ՀԵՎԵԲՆԻԱ լո. ջորժյանուն վոցնից: „Ե-եանցու թյելիցու DO-E-RO ժյալո սամյարու ևուցուալյուրո օւթորուս յոնթյելիցուն“, տճ., 1989 թ.), շյուրն. „մբատոնն“, 2000 թ., №3-4. 0,5 տաճ.;
59. Խազոցաւու և աշէրուն մազո թյունու սամերյու և ալմուսացլյատ սանաձուրունց (ժա. թ. VIII-VI և և), ... օւթ. յուլուցունցուն մոյեան, տճ., 2001. 1 տաճ.;
60. Բրդուուց յուղեատու յալայենու ցյենցուսուս սայունուսատցու, մասալյեն սայարուցյուրու յոնցրայուսուսատցու, տճ., 2001, XXIV. 1 տաճ.;
61. յուղեատու ալվյուրուն ձլունուն ալունուն շյուրուսուս „ձյնենուս օւթորուամուն“ (վյարութմցունցուն նարկացո), „կազյանուն-ակելուալմռսացլյուրո յրեծություն“, X, տճ., 2001, 1,5 տաճ.;

62. On the Genesis of Towns in Northern Colchis, Abstracts, Bilkent University, Ankara, Turkey – 2-9 September, 2001.

63. რეცენზია გ. ყორანაშვილის „საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი“, თბ. 2000 წლის 9 და 12 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული სამეცნიერო დისკუსიის მასალები: „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“, თბ., 2001. 0,7 თაბ.;
64. კიდევ ერთხელ კოლხეთის ეთნო-ტერიტორიული ერთეულების რაობის საკითხისათვის, კრებული: „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი“, თბ., 2002. 1,5 თაბ.;
65. საქართველოს ძველი საზოგადოებების სოციალური ბუნების საკითხი აკად. ს. ჯანაშიას ნაშრომებში. კრებული: „ოჩხარი“, თბ., 2002. 1 თაბ.;
66. არქაულ ხანაში კოლხეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი, „ანალები“, თბ., 2002, №1. 1 თაბ.;
67. კოლხურ-მიცრევაზიული ადრეული კონტაქტები (ფასისელი ქალღმერთი იდე-რეა-კიბელე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, შრომების კრებული, I, თბ., 2002 წ. 1 თაბ.

ბილიუნი სისხლით მოკლები

ძვ. III-II საუკუნეებით მოქმედ მიქენი სისხლით ფიცი განვითარდებოდა კინებული მდგრადული კულტური, რომ ეს კულტურა სისხლით დაკრიტიკით დაიხსნუდა. მთავარ მნიშვნელობა კულტურული ურთის უკიდურეს და აღიარებულ დროების უმაღლეს კუბიკულ ჩანართებით, ეს

ძველი ახლო აღმოსავლეთი

Древний Ближний Восток

Ancient Near East

სამეცნიერო ტერминით მდგრადი, ამ სიცავების სახელი მართი მართა დაწყისისათვის მისი ხელმისაწვდომობის დროიდან არ არის მიუძინეთ. ის მართი ხელმისაწვდომობის დროიდან დაწყისის დროიდან მდგრადი სიცავების განვითარების უკიდურეს განვითარების მდგრადი სიცავეა. მაგრამ კულტურული დაწყისის მდგრადი სიცავების განვითარების უკიდურეს განვითარების მდგრადი სიცავეს უმაღლეს კუბიკულ განვითარების უკიდურეს განვითარების მდგრადი სიცავე არ არის მდგრადი სიცავების განვითარების უკიდურეს განვითარების მდგრადი სიცავეს.

ვ. შახარმეირი. *Griechische Frühgeschichte*. Wien, 1981, 1648.

Кюн. *The Near East c. 3000-330 BC. I. Lydia*. New York, 1995.

J.T. Hooker. *The finds of Pylos and the Linear B Evidence*. *SMEN* 23, 1992, 2092.

პილოსი აღსასრულის მოლოდინში

ძვ.წ. XIII-XII საუკუნეთა მიჯნაბე მიკენურ სასახლეთა დიდი ნაწილი რაღაც ერთიან კაფასტროფას ემსხვერპლა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს კაფასტროფა ადამიანთა ქმედებას უკავშირდება, მაგრამ დამნაშავის ვინაობა მკვლევართათვის უცნობია. ბერძნული ისტორიული ტრადიცია ატრიდების უკანასკნელი წარმომადგენლის, ტისამენოსის ძლევას დაბრუნებულ ჰერაკლიდებს, ე.ი. დორიულებს მიაწერს. თანამედროვე მეცნიერება სასახლეების დანგრევასა და დორიულების მოსვლას შორის 150-200 წლიან მონაკვეთს აღადგენს. ერთხანს პოპულარული გახდა ე.წ. “ზღვის ხალხების” ვერსია.¹ მაგრამ, შესაძლოა, რომ “ზღვის ხალხების” როლი რამტეს III-ის მიერაა გამოიძებული საკუთარი გამარჯვების განსაღილებლად და მათ არ მიუძღვით ძირითადი ბრალი ხეთებისა და აქაველების სახელმწიფოთა მოსპობაში.² ნერევის საფუძველი შეიძლება შინააშლილობა და ეკონომიკური კრიზისიც გამხდარიყო.³

სრულიად ბუნებრივია მეცნიერთა სურვილი, ამ საკითხების გასარკვევად თვით მიკენური ტექსტების მასალა მოიხმონ. ჩვენამდე მოღწეული დაახლ. 5000 ტექსტი გამოუმწვარ თიხის ფირფიცებებე იწერებოდა და შემორჩა მხოლოდ იმ ხანძრების წყალობით, რომ-ლებმაც სასახლეები გადაწვეს. ფირფიცები მომდინარეობენ სასახლეთა არქივებიდან (კნოსოსი და ხანია კრეტაზე, მიკენი, ტირინი, პილოსი და თებე კონტინენტზე საბერძნეთში) და დრო, რომელსაც ისინი მოიცავენ, განისაზღვრება ერთი წლით. შესაბამისად, ტექ-

¹ იხ. ბაგ., F. Schachermeyr. *Griechische Frühgeschichte*. Wien, 1984, 164ff.

² A. Kuhrt. *The Near East c. 3000-330 BC. I.* London, New York, 1995, 386ff.

³ იხ. J.T. Hooker. The End of Pylos and the Linear B Evidence. *SMEA* 23, 1982, 209ff.

სტები სასახლის საბოლოო (ან ერთ-ერთი) დანგრევის წელი განკუთვნებიან და წარმოადგენენ რამდენიმე თვის ანგარიშებს სა-
მეურნეო წლის დასაწყისიდან ხანძრამდე

არქივების დათარიღება სადაცოა. თანამედროვე გამოკვლე-
ვების საფუძვლზე შეიძლება ითქვას, რომ აქამდე ცნობილი ტექსტე-
ბი ორასზე მეტი წლის განმავლობაშია შედგენილი:⁴ ყველაზე ძველი
უნდა იყოს კნოსოსიდან მომდინარე ტექსტები, რომლებიც ე.წ. № 124
ხელს ეკუთვნის (დაახლ. ძვ.წ. 1420-1400). დაახლ. ძვ.წ. 1375-1350
წლებით თარიღდება კნოსოსის დანარჩენი ტექსტები და ხუთი ტექ-
სტი პილოსიდან (ხელი № 91). ხანიას, მიკენისა და თებეს ტექსტების
დიდი ნაწილი დაახლ. ძვ.წ. 1280 წელს უნდა იყოს შედგენილი, ხოლო
ფინალური კატასტროფის თანამედროვედ (დაახლ. ძვ.წ. 1200 წ.). შე-
იძლება ჩაითვალოს რამდენიმე ტექსტი მიკენიდან და ტირინისიდან,
წარწერიანი ვაზების დიდი ნაწილი და პილოსის არქივის ტექსტების
აბსოლუტური უმრავლესობა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ
პილოსის არქივი ყველაზე უკეთ არის შემონახული და ძირითად
საყრდენს წარმოადგენს მიკენური საზოგადოების ზოგადი სურათის
აღსაღენად, მაშინ ცხადი ხდება, რომ ფინალური კატასტროფის
ნაკვალევის ძებნას მხოლოდ პილოსის არქივში აქვს აზრი.

ტექსტების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ მათში ვერ
ვხვდებით პირდაპირ პასუხებს ჩვენს კითხვებზე.

შემორჩენილი ტექსტების თემატიკა სასახლის საქმიანობის სხვა-
დასხვა სფეროს მოიცავს. ტექსტების შედგენის მიზანი მათ გამზიფრამ-
დეს გასაგები იყო. მოკლე, რამდენიმე სტრიქონიანი ტექსტები, იდეოგ-
რამებითა და რიცხვითი ნიშნებით თითქმის ყოველი სტრიქონის ბო-
ლოს მხოლოდ სამეურნეო ანგარიშები თუ იქნებოდა. სწორედ ხსენებუ-
ლი იდეოგრამების საფუძველზე ე.ბენეტმა მოახდინა მათი დაჯგუფება
ე.წ. კლასებად. თითოეული კლასის შიგნით დამატებითი კრიფტიუმე-
ბის (მაგ., ფირფიტის ფორმა და ზომა, მეორე იდეოგრამის ხმარება და

⁴ Der Neue Pauly 7, 1999, 245.



სხვ.) გათვალისწინებით გამოიყო სერიები. ეს წმინდა მექანიკური დამოუკიცებელი ყოფა საკმაოდ ზუსტად დაემთხვება შინაარსობრივსაც, რის გამოც ეს კლასიფიკაცია უმნიშვნელო ცვლილებებით დღემდე გამოიყენება. ამ-გვარი კლასიფიკაცია საკმაოდ შოსახერხებელია. ერთი კლასის თუ სერიის კომპლექსური შესწავლა აითლებს ტექსტების შინაარსში გარკვევას. ამავე მიზნით, უკანასკნელ ხანებში ტექსტებს აჯგუფებენ ასევე მწერლის ხელისა და აღმოჩენის ადგილის მიხედვით. ძალგე მნიშვნელოვანია ღოკუმენტაციის წარმოების ზოგად თავისებურებებში გარკვევაც. ამა თუ იმ სიცყვის გამოყოფა მისი შედარებით დიდი გომის ნიშნებით ჩაწერის ან იდეოგრამით დუბლირების მეშვეობით, სიტყვების თანამიმდევრობა ფრაზაში, როგორც წესი, ტექსტის შედ-გნის მიზანდასახულებაზე მიუთითებენ.

B-ხაზოვან ტექსტებზე მუშაობისას შემდეგი სირთულეებია გა-სათვალისწინებელი: დამწერლობის სისტემა, რომელიც არაინდოვ-რობული ე.წ. მინოსური ენისათვის შექმნილი A-ხაზოვანიდან მომ-დინარეობს, ცუდად ესადაგება ბერძნულ ენას, რის გამოც, ზოგიერ-თი სიცყვისა თუ კონტექსტის გაგება ჭირს; ტექსტები დგებოდა არა მკითხველთა ფართო წრისათვის, არამედ სასახლის ადმინისტრაციის შინაური ხმარებისათვის. ამდენად, მწერალი ცდილობდა ზუსტად და ლაკონურად გადმოეცა ინფორმაცია, რის გამოც მისთვის გასაგები ბევ-რი ნიუანსი ტექსტებში ასახვას ვერ ჰქოვდება; ტექსტებში მოცემულია საზოგადოების “ფოტოგრაფიული სურათი”, რომელიც თითქმის არა-ფერს გვეუძნება საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებზე და მა-თი კვლევა უფრო მეტად ლოგიკური სპეკულაციების სფეროში რჩება.

როგორ უნდა ასახულიყო მოახლოებული კატასტროფა ამ ტიპის ტექსტებში? ამ კითხვაზე საპასუხოდ, პირველ რიგში, უნდა დავადგი-ნოთ, რა სახის გასაჭირის ნაკვალევს ვეძებთ.

თუ პილოსის სასახლის დანგრევას ძლიერ გარეშე მტერს მი-ვაწერ, განსაკუთრებულ ყერადღებას იმსახურებენ სამხედრო სამ-ზადისის ამსახველი ტექსტები, ასევე სამეურნეო (ან საკულტო-სამეურ-

ნეო) ხასიათის ის დოკუმენტები, რომლებიც ერთგვარად ცალკე დგანან ამ ტიპის საბუთების აშკარად რეფინული ყოველდღიურობის აღმნუს-ხველი უმეტესობისგან.⁵

ამის საპირისპიროდ, თუ პილოსის სამეფოს დაღუპვა ეკონომიკური კრიზისისა და სხვა შინაური ორობლემბის შედეგად მივიჩნიეთ, უნდა ჩავუკვირდეთ სწორედ რიცხვებში გამოხატულ ყოველდღიურობას.

განვიხილოთ დასტური საკითხისათვის საყურადღებო ცალკეული ტექსტები და ტექსტთა ჯგუფები.

1. პილოსის არქივიდან მომდინარე ტექსტების უმეტესობა აშკარად ყოველდღიურობას აღვიწერს: თავისუფალი თუ არათავისუფალი სამუშაო ძალის ორგანიზაცია (Aa, Ab, Ac, Ad, An), საქონლის ჯოები (Cn), მიწისმფლობელობა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები (E), რეგულარული გადასახადები თუ შესაწირები (Ma, Na, Fr), წარმოება (იარაღის, მეტალურგიული, საფეიქრო – S, In, La) და სხვ. ამ ტექსტებიდან საგანგებო ვითარებაზე მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს ბრინჯაოს მცირე რაოდენობა სამჭედლოებში, მიწის ნაკვეთების უმეტესობის მცირე ზომა და მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული ვალდებულებების ხშირი შეუსრულებლობა.⁶

1.1. ფართობის საზომი მიკენური ერთული დღისათვის არ არის ზუსტად დადგენილი და ერთი მედიმნი დასათესი მარცვლის შესაბამისი ნაკვეთის ზომა ნახევარ და ორ ჰექტარს შორის შეიძლება მერყეობდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაკვეთების დიდი ნაწილის ფართობი ერთი ოჯახის გამოხავები მეურნეობისათვის ძალგება მცირე იყო. ეს ნაკვეთები ეძლეოდათ, ძირითადად, დაბალი რანგის მოხელეებს – დეთის მსახურებს/მონებს (te-o-jo do-e-ro/ra), რო-

⁵ L. Baumbach. An Examination of the Evidence for a State Emergency at Pylos c. 1200 BC from the Linear B Tablets. *Res Mycenaie*. Göttingen, 1983, 28ff.

⁶ მიკენური მიწისმფლობელობის სისტემასთან დაკავშირებით დაწერილებით იხ. ლ. გორდებიანი, *do-e-ro*, თბ., 1999, 41 შმდ.

გორც კაცებს, ასევე ქალებს და არ გვაქვს არავითარი მინიშნება მათ ოჯახებზე. ჩემი აზრით, ისინი სასახლის/გაძრის მუდმივ პერსონალს წარმოადგენდნენ და მიწას ხელფასად, შესაძლოა, ხეფასის დანამატის სახით იდებდნენ. ერთი ადამიანისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროდ კი ეს ნაკვეთები არც ისე პატარად გამოიყერება.

1.2. გარკვეული ტიპის ნაკვეთის ფლობასთან დაკავშირებულია ვალდებულება wo-ze-e/te-re-ja-e, რაც როგორც მფლობელს, ასევე მოსარგებლე-მოიჯარადეს ეკისრებოდა. ვალდებულებათა აღმნიშვნელი ტერმინების გუსტი მნიშვნელობა უცნობია. მათ ეფიმოლოგიაზე დაყრდნობით ისინი გოგადად შეიძლებოდა გვეთარგმნა როგორც “მუშაობა, სამსახური”. ტექსტებში აღნიშნულია ვალდებულებათა შესრულება-შეუსრულებლობა. ვალდებულების სრული ფორმებია ასე უნდა გამოიყერებოდეს: o-pe-ro du-wo-u-pi wo-ze-e/te-re-ja-e – “ვალდებულია ორჯერ ან ორგვარად იმუშაოს/იმსახუროს”. ჩემი აზრით, ორმაგი ვალდებულება მფლობელისათვის თრგვარ სამსახურს ნიშნავდა, კერძოდ, ნატურალურ გადასახადსა და შრომით ბეგარას. ეს ვალდებულებები ეკისრებოდათ საზოგადოებრივი მიწის მოზრდილი (დაახლ. 1 ჰა) ნაკვეთების პატრონებს. ტექსტების ანალიზის საფუძველზე მექმნება შთაბეჭდილება, რომ ვალდებულებისაგან განთავისუფლება ხდებოდა:

- ა. მფლობელის სფატუსის გამო (ko-to-no-o-ko),
- ბ. ნაკვეთის სფატუსის გამო (e-to-ni-jo),
- გ. მფლობელის მიერ განსაკუთრებული დავალების შესრულების გამო.

შესაძლოა, აღნიშნვა o-u-wo-ze ასევე საგანგებო განთავისუფლებას ნიშნავდა. შესადარებლად შეიძლება გამოღვეს PY Ma, Na სერიების გადასახადთა სიების o-u-di-do-si, რაც e-re-u-te-rosთან ერთად განთავისუფლების ფორმად შეიძლება ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასახლის გადაწვის მომენტისათვის მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული ვალდებულებების

რეალური შესრულების ანგარიში ჯერ ვერ შედგებოდა. არ ჩანს არც სანქციები “შესრულებლობის” გამო, ხოლო ტექსტში Ep 317 “ურჩი გადამხდელი” ქურუმი ქალის (მდრ. Ep 704.7.8) ნაკვეთი მოხსენიებულია იმ ნაკვეთებთან ერთად, რომელთა პატრონებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო თავისუფალნი იყვნენ ვალდებულებათა შესრულებისაგან.

ვალდებულებათა “შესრულებლობის” ან მათგან განთავისუფლების ფორმათა ასეთი მრავალფეროვნება უნდა მიეთითებდეს არა იმდენად ეკონომიკურ პრობლემებზე, რამდენადაც ერთგვარი გარდაქმნის, რეფორმის მიმღინარეობაზე. რაღაც ერთიანი წესი ჯერ არ ჩამოყალიბებულა და “განთავისუფლების” ყოველი კონკრეტული შემთხვევა ცალკეულ გამონაკლისად აღიქმებოდა სასახლის მხრიდან, თუმცა ასეთი გამონაკლისების ჯამი საბოლოოდ მთელი ka-ma ტიპის მიწის თითქმის ნახევარს აღწევს (28 ერთეული 58-დან).

1.3. მეტალურგიული წარმოების ამსახველი In სერია ძირითადად მჭედელთა სიებს შეიცავს. ტექსტებში ერთი დასახლებული პუნქტის მჭედლები ერთად არიან ჩამოთვლილი. მათ შორის განიჩევა ორი ჯგუფი, რომელთაგანაც ერთი ხასიათდება როგორც ta-ra-si-ja e-ko-te (ταλανσίαν ἔχοντες), ხოლო მეორე – a-ta-ra-si-jo (άταλάνσιος). ta-ra-si-ja e-ko-te ჯგუფის თითოეული წევრის გახსენივ აღინიშნება ბრინჯაოს გარკვეული რაოდენობა. ჯგუფს მოსდევს ჯამური რაოდენობა ბრინჯაოსი, ზოგჯერ ბასილევსის სახელიც. შემდეგ ჩამოთვლილი არიან a-ta-ra-si-jo ka-ke-we. საგარაულოა, რომ ამ ჯგუფში ერთიანდებიან ასევე do-e-ro. ორი აშკარად მჭედელთა ჯგუფშია ჩართული, დანარჩენი თითქოს გამოყოფილი არიან, მაგრამ არც მათ და არც მჭედლებს ბრინჯაოს რაოდენობა არა აქვთ მიწერილი.

ტექსტების სწორი გაგება დიდად არის დამოკიდებული ტერმინის ta-ra-si-ja გუსტი მნიშვნელობის დადგენაზე. სრულიად აშკარაა,



რომ ეს ცერმინი მჭიდრო კავშირშია ბრინჯაოსთან, მაგრამ ამ კავშირში მირის ხასიათი დაუდგენელია. მკვლევრები სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციებს გვთავაზობენ.⁷

სავარაუდოა, რომ სასახლე იმპორტის და გადასახადების სახით იძენდა ნედლეულს, რომელსაც სამეფოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მჭედლებს ადგილზევე დასამუშავებლად უნაწილებდა. ასეთ შემთხვევაში სასახლე დაინტერესებული იყო არა მარტო ნედლეულისა და მისი მიმღების აღრიცხვით, არამედ მჭედლთა სრული სიითაც. ჩემი აზრით, მჭედლთა სრული სიის და, მათ შორის, ta-ra-si-ja-ს მქონეთა ზუსტი აღრიცხვა სასახლეს საშუალებას აძლევდა სწორად დაეგვევა ლითონის წარმოებაც და გადასახადებიც. ta-ra-si-ja-ს გარეშე დარჩენილი მჭედლები ასრულებდნენ რიგითი მეთემის შესაბამის ვალდებულებებს – ამუშავებდნენ მიწას, იხდიდნენ სელისა თუ სხვა სახის ნატურალურ გადასახადებს, და მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში ta-ra-si-ja-ს მისაღებად. მჭედლები, რომელთაც დაეკისრათ სასახლის შეკვეთის შესრულება, გარკვეული დროის მანძილზე თავისუფლდებოდნენ სხვა ვალდებულებათა შესრულებისაგან.

ზემოთ მოყვანილი ცექსტებიდან არ ჩანს, თუ რა პროცესუალ უნდა დამზადებულიყო მჭედლებზე განაწილებული ბრინჯაოსაგან. შესაძლოა, ნაწილობრივ, ამ საკითხს ცექსტი Jn 829 პუნქტის შექს: სახელმწიფოს ფუნქციონერებს მოაქვთ ბრინჯაო ისრისა და შებისპირების დასამზადებლად. ერთი მჭედლისათვის მიცემული მინიმალური რაოდენობა, რომელიც ტექსტებში დასტურდება – 1,5 კგ, სულაც არ არის ცოტა, თუ მისგან 1,5-2 გ წონის ისრისპირები იყო დასამზადებელი. თუ, ერთი მხრივ, თითქმის მთელი სახელმწიფო შეკვეთა ტამრიდან გაფანილი ბრინჯაოს იარადად გადაღნობას გულისხმობდა, ხოლო, მეორე მხრივ, ცექსტში Ja 749 აღრიცხული 1046 კგ ბრინჯაო მთელ სამეფოში არსებულ ბრინჯაოს მარაგად

⁷ უფრო დეტალურად, აფრეთვე ბიბლიოგრაფიისათვის იხ. იქვე, 94 შმდ.

ჩავთვალეთ, ეს ტექსტები, შესაძლოა, სავაჭრო გზების მომლის, პოლიტიკური არასტატულობის და მცრის შემოსევის მოლოდინის საბუთო თად გამოდგეს.⁸ თუმცა ჩემს მიერ რეკონსტრუირებულ ვალდებულებათა სისტემის ფარგლებში მჭედელთა დასაქმების სურათი არ გოვებს ექსტრემალურ სიცუაციაში მაღებისა და რესურსების სრული მობილიბაციის შთაბეჭდილებას.

2. მცრის შემოსევის მოლოდინი ან თავდაცვის ორგანიზაცია, პირველ ყოვლისა, ჯარისა და ფლოტის შეგროვებაში უნდა გამოვლენილიყო.

2.1. ცალკეული ოლქებიდან პლევრონში ოთხიდან რვამდე მენიჩის გაგზავნას (An 1) ან სამსახურში გამოუცხადებელი თითო-თოროლა მენიჩის აღნუსხვას (An 724) ქუდზე კაცის გაყვანასთან არაფერი ძქვს საერთო.

სერიოზული საზღვაო ძალა – ხუთასზე მეტი მენიჩე – აღრცხულია მხოლოდ ერთ ტექსტში (An 610). მათგან 40 კაცი პილოს მეფე ეხელაონს ახლავს, 20 – სარდალ ვედანევსს, დანარჩენები კი ცალკეული სოფლებიდან გამოღიან და დახასიათებული არიან სოციალური, პოლიტიკული თუ თანამდებობრივი ნიშნით. შესაძლოა, ეს ტექსტი უფრო მორიგი ყაჩაღური ლამქრობისათვის სამზადისს ასახავდეს, ვიდრე თავდაცვით ღონისძიებებს. ერთი დასახლებული პუნქტიდან მრავალი ბრძოლისუნარიანი კაცის ერთდროული გაყვანა სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია: ხომალდის (ან ხომალდთა პაგარა ჯგუფის) ეკიპაჟის ნათესავ-მეზობლებით დაკომპლექტება მიზანშეწონილიც უნდა ყოფილიყო და, თითქოს, ირიბად სხვა ტექსტიდან (Ad 684) დასტურდება. ხუთი ჭაბუკისა და ორი ბიჭისაგან შემდგარი ჯგუფის მშობლებად ამ ტექსტში მოიხსენიებიან მენიჩეები a-pu-ne-we-დან და პილოსში მყოფი მრთველი ქალები tina-to-დან (აღბათ, სამხედრო ნადავლის სახით ჩამოყვანილები აღნიშნული მენიჩეების მიერ).

⁸ Baumbach, op. cit., 30f.



2.2. ე.წ. o-ka ტექსტებმა (An 657, 654, 519, 656, 661) ბევრი მექინიკის ყურადღება მიიპყრო. მიუხედავად ამისა, ამ ტექსტებთან დაკავშირებით უამრავი უპასუხო კითხვაა დაგროვილი – დაწყებული ცალკეული სიტყვების გაგებილან მთლიანი დოკუმენტის მიზან-დასახულების ამოცნობამდე. თითქმის უდავო, რომ ტექსტები სანა-პირო ზოლის დაცვის სისტემას ასახავენ. სანაპირო დასახლებულ ჟუნქტებში განლაგებული იყო რაზმები, რომლებიც მეთაურის სახე-ლით მოიხსენიებიან. მეთაურს მოსდევს რამდენიმე საკუთარი სახელი (ოფიცერი ან მზვერავი) და ამა თუ იმ, ჩვენთვის, ძირითადად, გაუგებარი ტერმინით დახასიათებული ჯგუფი კაცებისა – ათიდან ასათამდე. ბევრ შემთხვევაში რაზმებს მიმაგრებული პყავდათ ეტ-ლოსნები. მებრძოლთა საერთო რაოდენობა დაახლ. 800 კაცს შეად-გენდა. სანაპიროს გასწვრივ ისინი არათანაბრალ იყვნენ განა-წილებული, სავარაუდოა, სათვალთვალო პოზიციისა და თავდას-ხმის ალბათობის გათვალისწინებით. თითოეულ რაზმს უნდა შეს-ძლებოდა მეკობრეთა 30-50 კაციანი ხომალდის უკნებელყოფა ან ძი-რითადი ძალების დროული გაფრთხილება მასშტაბური თავდასხმის შემთხვევაში. დამოუკიდებლად იმისაგან, მთელი რაზმი მოძრაობდა ნაპირის გასწვრივ, თუ ის სოფელში იყო დაბანაკებული და დაზვერ-ვაბე 4-5 კაცს აგზავნიდნენ, დაცვის ეს სისტემა ძველი სამყაროსათ-ვის ჩვეული არასტაბილური მშვიდობის შესაფერისად მიმაჩნია. ჩრდილოეთ საზღვრებებზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმუ-ლი სამეფო ვერ იყოლიებდა რეზერვში სანაპიროს გასწვრივ გაფან-ტულ 800 კაცს.

2.3. ექსტრემალური სიტუაციის საბუთად მოპყავთ ასევე ტექ-სტები, რომლებმიც ოქროტეა საუბარი.⁹ საქმაოდ დაგიანებული ფირ-ფიფა Io 438 შეიცავს სხვადასხვა მოხელეთა სიას, სადაც თითო-ეულს ოქროს გარეკვეული რაოდენობა შეესაბამება. ტექსტის უნიკა-ლურობისა და ფრაგმენტულობის გამო ძნელია იმის განსაზღვრა,

⁹ Baumbach, op. cit., 32ff.

საქმე სტანდარტულ გადასახადთან გვაქვს, თუ ექსტრემალურ სი-
ცუკიაში გროვდება ოქრო საკუთარ ღვთაებათა თუ მტრის მოსახურა
ყიდად.

Ac 303: “პილოსი: ქურუმი ქალის მხევალნი წმინდა ოქრო-
სათვის, 14 ქალი.” სავარაუდოა, რომ ამ ქალებს ეკისრებოდათ
გარევეული პასუხისმგებლობა ფაძრის ოქროზე. კადასტრის მიხედ-
ვით, ქურუმი ქალის, ერითას და მისი პერსონალის მიწა სფაგია-
ნიაში იყო. შესაძლოა, საფრთხის მოლოდინში ფაძრის საგანძური
პილოსის სიმაგრეში გახიბნეს.

ტექსტი Tn 316 აგრეთვე უნიკალურია და აღწერს რიგუალს,
რომლის შინაარსიც ჩვენთვის მთლად გასაგები არ არის. სხვადა-
სხვა ღმერთებს ოქროს ნივთებთან ერთად სწირავენ თითო ქალს ან
კაცს, რაც შეიძლება განვიხილოთ სასოწარკვეთილი მესენიელების
უკანასკნელ ცდად. თუმცა, მნელია იმის თქმა, რომ ამგვარი მსვლე-
ლობა და შესაწირი მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების დროს ეწყო-
ბოდა. გაურკვეველია, ვინ იყვნენ შეწირული პირები ღმერთებისად-
მი მათ შეწირვამდე და რა ბედი ეწევათ მათ შემდგომ, რას ნიშნავს
“შეწირვა”. გვიანდელი პარალელების გათვალისწინებით, მონის
ღმერთისათვის შეწირვა მისი განთავისუფლების ერთ-ერთ ფორმად
შეიძლება წარმოვიდგინოთ, მაგრამ აქ არც პრიმიტიული, სისხლია-
ნი მსხვერპლშეწირვაა გამოსარიცხა და არც ერთგვარი რიგუალი,
რომლის ძალითაც ეს პირები გარკვეულ სტატუსს იძენდნენ, კულტის
მსახურები, ქურუმები ხდებოდნენ.¹⁰

გემოთქმულიდან გამომდინარე, პილოსის არქოვის ტექსტებში,
სურვილისამებრ, შეიძლება დავინახოთ როგორც ნებისმიერი სახის
კატასტროფის მოახლოება, ასევე სრულიად ნორმალური, უღრუბლო
ცხოვრების სურათი. ტექსტებში კატასტროფის ერთადერთი უტყუარი
საბუთი არის მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამ ტექსტებმა ჩვენამდე მოაღწია.

¹⁰ ორი უკანასკნელი ტექსტის ბიბლიოგრაფიისათვის იხ. გორდეგბიანი, *do-e-ro*, 80, 86 გვ.

Pylos Awaiting for the End

Some Linear B texts (or groups of the texts) from Pylos could be regarded as reflecting a state of emergency, be it a foreign invasion or economical crisis, but in any case there are different possibilities of their interpretation. The only doubtless evidence for a state of emergency in the pylian texts is the existence of these texts. The clay tablets were preserved by the fire which destroyed the palace.

ზოგიერთი მოსაზრება მეფე მუვათალი II-ის საბეჭდავების შესახებ

ხეთურ გლიპტიკას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. მესოპოტამიური წარმომობის ცილინდრული საბეჭდავების გარდა, ხეთები იყენებდნენ კონუსეურ საბეჭდავესაც, რომელიც ნეოლითის ხანიდან არის ანაფოლიაში დაღასტურებული. ხეთების ისტორიის მანძილზე გლიპტიკა საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა. თავდაპირველად მარტივი გეომეტრიული ორნამენტი დროთა განმავლობაში იცვლება მცენარეული და ცხოველური მოტივებით. პირველ მეფეთა საბეჭდავების იკონოგრაფია შედარებით დარიბია: ცენტრალურ ნაწილში აღბეჭდილი ერთი-ორი სიმბოლო შემოსაზღვრულია კონცენტრული წრეებით, სადაც მოცემულია საბეჭდავის მფლობელის სახელის შემცველი ლურსმჟელი წარწერა. არნუვანდა I-ის ხანიდან (ძვ. წ. XIV საუკუნის დასაწყისი) მოყოლებული ჩნდება ახალი ტიპის ანაბეჭდი: საუკუნის დასაწყისი) მოყოლებული ჩნდება ახალი ტიპის ანაბეჭდი:¹

კვლავ კონცენტრული წრეებით შემოფარგლულ ზედაპირზე ამიერიდან ხეთური იეროგლიფური ნიშნებით გადმოიცემა საბეჭდავის მფლობელის სახელი. მას ორივე მხრიდან სიმეგრიულად განლაგებული “დიდი მეფის” (L 18) იეროგლიფები შემოსაზღვრავენ, ხოლო ზემოდან მზის ფრთისანი დისკო (L 190) დაჰყურებს. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ეს ევოლუცია ხეთებთან დინასტიურ ცვლილებას უკავშირდება.²

ჩვენამდე მოღწეულია მუვათალი II-ის (ძვ. წ. 1295-1272 წწ.) შვიდი საბეჭდავის ანაბეჭდი.² ორი მათგანი (SBo I 42 და SBo II 1)

¹ იხ. მაგ., K. Bittel, Les Hittites, Paris, 1976, 171.

² H. G. Güterbock, Siegel aus Boghazkōi (შემდგომი დამოწმებისას: SBo) I, 1940, 38-42; II, 1942, 1; H. G. Güterbock, Boghazkōi V. Funde aus den Grabungen 1970 und 1971, Abhandlungen des Deutschen Orient Gesellschaft 18 (შემდგომი დამოწმებისას: Bog V), Berlin, 1975, fig. 1. Th. Be-

სამეცნიერო გამუნიკაციების სახლი

არაფრით გამოირჩევა იმპერიის ხანის სხვა საბეჭდავებისგან, დაწყებულია არჩენი ხეთი საბეჭდავის ანაბეჭდი კი მკვეთრად განსხვავებულია სხვებისგან. ამ თავისებურებათა გამო ისინი უაღრესად საინტერესოა არა მარტო ხეთური კლიპტიკის, იუროგლიფური დამწერლობის, სამეფო ტიტულატურისა, თუ სხვა საკითხების საკვლევად, არამედ, ვფიქრობ, ხეთური რელიგიის ისტორიისთვისაც. წინამდებარე სფაფია მუვათალის სწორედ ამ ხეთ საბეჭდავს ეძღვნება. მათი აღწერისას შევეცდები, პირველ რიგში, გამოვევეთ თავისებურებები. პარალელურად შევეხები აგრეთვე სადავო საკითხებს, აღნიშნული საბეჭდავების ამა თუ იმ ნაწილის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით.



SBo I 38



SBo I 39

თავიდანვე თვალშისაცემია ცენტრალური გამოსახულებაც და წარწერათა განლაგებაც.

შუაში, როგორც ვხედავთ, ორი ფიგურადა გამოსახული. მომცრო ზომის ფიგურა მეფის გამოსახულებას წარმოადგენს. მას მარჯვნა ხელში სამეფო ინსიგნია – მოხრილბოლოიანი კვერთხი (LITUUS = ხეთ. *gīš kalmuš-*) კუჭირავს. აღსანიშნავია, რომ მეფე ქურუმის ფანსაცმელშია გამოწყობილი. მობრდილი ფიგურა ღვთაებას გამოსახავს. ზომის გარდა, ამაზე მიგვანიშნებს რქებით შემკული ქუდიც. ღვთაებას მეფისთვის მხარჩე მარჯვნა ხელი მემოუხვევია

ran, Die hethitische Glyptik von Boghazköy, Berlin, 1967, N 250 (= SBo I 38), NN 251-253 (= SBo I 39-41).

და იმავე ხელით მისი მარცხენა ხელი უჭირავს. ორივეს ერთად გურბი (ხეთ. ^{G̃I}*hatalla-*) უპყრია ხელთ, ღვთაების მარცხენა ხელს ერთად წარწერა ეყრდნობა. ეს გამოსახულება მრავალმხრივ არის საინტერესო. იმის გარდა, რომ იგი ცვლის მუვათალიმდელ საბეჭდავთა ცენტრალური ნაწილის სახეს, იკონოგრაფიული თვალსაზრისითაც სიახლეს წარმოადგენს და მუვათალიმდე არ გვხვდება.³ აქ იგი, შესაძლოა, წარმოადგენდეს პიქტოგრამას – *NARAM DINGIR-LIM* “ღვთაების საყვარელი”.⁴ მაგრამ რომელი ღვთაება იგულისხმება? თუ მეფის გამოსახულების იდენტიფიკაცია ეჭვს არ იწვევს და მასში საბეჭდავის მფლობელი – მუვათალი უნდა დავინახოთ, ღვთაების ვინაობა სადაცოა (უფრო დაწვრილებით ამ საკითხს ქვემოთ მივუბრუნდები).

წრიულ ლურსმულ წარწერაში (SBo I 38, II [1]) ვკითხულობთ:

[^INIR.GÁL LU]GAL.GAL (...) [*NA-R4-AM*] ^DUTU ^DIM ^{hi}-el-li-pi ^DŠar-ru-ma (Ù) ^DKAL (...) ^IMur-ši-DINGIR^{LIM} LUGAL.GAL UR.SAG

“მუვათალი, დიდი მეფე (...), საყვარელი მზის ღვთაებისა, ხსნის ამინდის ღვთაებისა, მარუმასი (და) მუარველი ღვთაებისა, (დე) მურსილისა, დიდი მეფისა, გმირისა.”

ეს წარწერა ყურადღებას იპყრობს ღვთაებათა საკმაოდ გრძელი ხით. ასეთი რამ მუვათალიმდელ საბეჭდავი ბეჭედი არ გვხვდება.⁵ საინტერესოა ღვთაებათა თვით ჩამონათვალიც და მისი მიმარ-

³ მუვათალის შემდგომი ხანიდან იხ. თუთხალია IV-ის საბეჭდავი (RS 17.159) და იაზილიქაიას რელიეფის გამოსახულება N 81.

⁴ H. Gonnet, Remarques sur les sceaux de Muwatalli II, Rencontre Assyriologique Internationale 34 (1987), Ankara, 1998, 259. ამ ქანისუფთან დაკავშირებით იხ. აკრეთვე, H. Gonnet, Tabarna, Favori des dieux? Hethitica VIII, 177-185; H. Gonnet, La titulature royale hittite au IIe millénaire avant J.-C., Hethitica III, 23-24, NN 195, 196, 208.

⁵ მდრ.: RS 17.227; SBo I [8, 9, 11]; RS 14.202; RS 17.235+335+379+381. აღსანიშნავია ისიც, რომ მუვათალიმდე ამ ეპითეტს ჰექსელე-

თებაც ცენტრალურ გამოსახულებასთან თუ იეროგლიფურ წარწერა
რებთან.

საბეჭდავებზე მოცემულია იეროგლიფურ ნიშანთა სამი ჯგუ-
ფი, რომლებიც ასეა განლაგებული:

ა) ღვთაებისა და მეფის ბურგს უკან;

ბ) ღვთაების მარცხენა ხელს ზემოთ;

გ) ღვთაების მარცხენა ხელს ქვემოთ.

ამ წარწერათა განხილვის გაითლების მიზნით, მათ, პირობით,
იმავე თანმიმდევრობით დაგნომრავ – I, II, III. ახლა კი ცალ-ცალკე
განვიხილავ თითოეულ ჯგუფს:

I წარწერა გაღმოცემს მუვათალის სახელს, რომელსაც წინ
უძლვის “დიდი მეფის” აღმნიშვნელი იეროგლიფი – MAGNUS+REX
M+u(wa)-tá-li. ეს წარწერა უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ
მეფის სახელს არ აბის ფრთოსანი დისკო (MAESTAS – L 190) –
იმპერიის ხანის სამეფო ტიტულატურის აუცილებელი შემადგენელი
ნაწილი. ლურსმულ ტექსტებში მას შეესაბამება ^DUTU-ŠI, რაც ნიშ-
ნავს: “მე – მშე / ჩემი უდიდებულესობა” (სიტყვასიტყვით: “ჩემი
მშე”).

II წარწერა ასე იკითხება: MAGNUS TONITRUS⁶ CAELUM
“დიდი ამინდი ცისა”. არც ამ წარწერის წაკითხვაა სადაცო, მაგრამ
აღსახინშავია, რომ აქ ვერ ვხედავთ ღვთაების დეტერმინაციებს
(DEUS – L 360), რაც ასევე უჩვეულოა.

ბრივ, მხოლოდ ერთი ღვთაების სახელი მოსდევს. შდრ.: ”სათუსილი (I) ...
საყვარელი მზის ღვთაებისა/არინას მზის ქალღმერთისა” (KBo 10.1 Ro
13; KBo 10.2 I 27); ”სუფილულიუმა (I) ... საყვარელი ამინდის ღვთაებისა/
ამინდის ღვთაება – “მუვათალისა” (KUB 16. 32 Ro (?) 1-2); ”მურსილი
(II) ... საყვარელი ამინდის ღვთაება – “მუვათალისა”/თეშებისა (KBo I 28
Ro 1 [-3]; KUB III 14, 1; KUB III 119 (+) 1).

⁶ L 199 = ლურსმული ტექსტების ^DU/^DIM, რომელსაც, პირობით, “ამინდის
ღვთაებას” ვუწოდებთ.

წარწერა, უდავოა, აქ აღხეჭდილ დვთაებას უნდა გაღმის დეკადეს. საფიქრელია, რომ ეს უნდა იყოს ამინდის დვთაება ფიხასასი — ხერიფული თეშების იპოსტასი, მუვათალის მფარველი დვთაება. მის “საყვარლად” მოიხსენიებს თავს მუვათალი აღაქსანდუსთან დადებულ ხელშეკრულებაში⁷, ხოლო ღოცვისას საგალობელს აღუვლენს.⁸ დვთაების დეფერმინაცივის უქონლობის გარდა, აქ ყურადღებას იმსახურებს ეპითეგები “ცისა” და “დიდი”. ჩვეულებრივ, ასე მიმართავდნენ ხეთების ჰანთეონის უბენაეს დვთაებას, არინას მზის ქალღმერთის მეუღლეს. აქედან გამომდინარე, ე. ლაროშიც სწორედ მას ამოიცნობს ამ საბეჭდავზე აღხეჭდილ დვთაებაში⁹. მე ვერ ვხედავ პრინციპულად წინააღმდეგობას იმაში, რომ ფიხასასი — ამინდის დვთაების ერთ-ერთი იპოსტასი “ცის დიდი ამინდის” ეპითეგით იყოს მოცემული. ამასთან, “ცის მეფის” ეპითეგით გვხვდება ის ღოცვაში ჩართულ საგალობელში (KUB 6.45 III 51), ხოლო იმავე ტექსტის დასაწყისში (I 11) ნახსენები “ცის ამინდის დვთაებაც”, ჩემი აგრით, მას უნდა გულისხმობდეს.

III წარწერის წაკითხვა და ონტერპრეტაცია მეცნიერთა დავის საგანს წარმოადგენს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თუ I და II წარწერა ხუთივე საბეჭდავს მსგავსი აქვს, III წარწერით ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. წარწერის სამი ვარიანტი არსებობს. ამიტომ საბეჭდავებს ამის მიხედვით დავაჯგუფებ:

⁷ KUB 21.1 + I 1, IV 29: *NARAM DU pihaššašši-*; იქვე, IV 2, 41: *ŠA SAG.DU DU TU-ŠI* “ჩემი მშის” თავისა/პიროვნებისა”.

⁸ KUB 6. 45 III 25- IV 2.

⁹ E. Laroche, Documents hiéroglyphiques hittites provenant du palais d’Ugarit, Ugaritica III. Mission de Ras Shamra, VIII. Paris, 1956, 116. ი.გინგერის თქმით, თუმცა ღოცვიკურია, რომ აღნიშნულ საბეჭდავებზე ამინდის დვთაება ფიხასასი დავინახოთ, წინააღმდეგობას გვიქმნის წარწერა “დიდი ამინდის დვთაება ცისა” (ab. I. Singer, Muwatalli’s Prayer to the Assembly of Gods through the Storm-God of Lightning (CTH 381), American Schools of Oriental Research, 1996, 186).

1) SBo I 38. ამ საბეჭდავზე საღავოა წარწერის წაკითხვის მიართულება და, შესაბამისად, ინტერპრეტაციაც. თუ ქვედა ორ კიდურა ნიშანს (L 18) მეფის ტიტულატურად (“დიდი მეფე”) მივიჩნევთ (სხვაგვარად, სამი ერთნაირი ნიშანი ახსნას მოითხოვს), შეაში მოქვეული ნიშნების – L 18 , L 199 – წაკითხვის ორი შესაძლებლობა მეიძღვება დავუშვათ:

ა) გემოდან ქვემოთ წაკითხვისას (TONITRUS MAGNUS+REX), მთელი წარწერის ასეთ თარგმანს მივიღებთ: “მე – მზე” ამინდი – დიდი მეფე”. როგორ უნდა გავიგოთ? II წარწერიდან გამომდინარეც და ამინდის ლვთაებისადმი მუვათალის ცნობილი სიმპათიის გათვალისწინებითაც,¹⁰ ლოგიკური იქნება ასე თუ გავიგებთ: “მე – მზე, ამინდის (ლვთაების) დიდი მეფე”. თუმცა შეა ორი იეროგლიფის ამგვარი სინგაქსური კავშირი ეწინააღმდეგება ხეთური იეროგლიფურისთვის დამახასიათებელ კონსტრუქციას (rectum + regens).¹¹

ბ) ქვემოდან გემოთ წაკითხვის შედეგად (MAGNUS+REX TONITRUS),¹² გენეტივის კონსტრუქციის აღდგენის შემთხვევაში, მივიღებთ: “დიდი მეფე ამინდის (ლვთაებისა)”. “დიდი მეფე – ამინდი” ხურიტულად ასე ქლერს: šarri (= MAGNUS+REX) Tešub (= TONITRUS). მთლიანად კი იგი უნდა გავიგოთ როგორც სახელი შარითებული. აქვე ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა, რა მიმართებაშია ეს სახელი საბეჭდავის მფლობელთან? ხომ არ არის ეს მუვათალის უფლისწელობის ხანის სახელი?¹³ ასეთი მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძველს იძლევა თუთხალია IV-ის საბეჭდავზე დადასტურებული

¹⁰ ამის დასადასტურებლად მისი ლოცვებიც კმარა (იხ. CTH 381, 382).

¹¹ შდრ. E. Laroche, Documents hiéroglyphiques 117.

¹² R. Werner, Kleine Einführung ins Hieroglyphen-Luwische, Freiburg-Göttingen, 1991, 44.

¹³ H. G. Güterbock, Hittite Hieroglyphic Seal Impressions from Korucutepe, JNES XXXII, 1973, 140-141; H. Novicki, Der Hurritische Name des Muwatalli, Hethitica 5, 1983, 111-118; E. Laroche, Documents hiéroglyphiques, 117-119.

ორი სახელი, რომელთაგან ერთი – ხიშმი-შარუმა თუთხალის მეფე ფობამდელი სახელია, ხოლო მეორე – დინასფიური. მაგრამ შუვათა-ლის საბეჭდავზე გაუგებრობას ქმნის მზის ფრთხოსანი დისკო (MAIESTAS), რომელიც თუთხალია IV-ის საბეჭდავისგან განსხვავებით, ამის უფლისწულობის ხანის სახელს. მით უმეტეს გაოცებას იწვევს ის, რომ სახელი “შევათალი” მის გარეშეა მოცემული.

არსებობს მოცემული საბეჭდავის III წარწერის წაკითხვის კიდევ ერთი ვერსია.¹⁴ იგი ასეთ თანმიმდევრობას გვთავაზობს – TO-NITRUS MAIESTAS MAGNUS+REX. თარგმანი, შესაბამისად ასე ედერს: “(ღვთაება) ამინდი “ჩემი – მზისა”, დიდი მეფისა”. ასეთი თანმიმდევრობით წაკითხვის მიზანია, მოხსნას გემოთ განხილული წინააღმდეგობები, თუმცა აქ თავს იჩენს ახალი სირთულეები: ამგვარი სინტაქსური კავშირი უნიკალურია და, შესაბამისად, სადაცოც; ძალგე საეჭვოა ღვთაების დეტერმინაციის ლოგიკური აღდგენა სამეფო კარტუშის გამო; გაუგებარი ხდება L 18 ნიშნის სამჯერ აღეჭდვა.

2) SBo I 39-40, Bog V 1. წარწერას თავზე ამის მზის ფრთხოსანი დისკო, ხოლო “დიდი მეფის” აღმნიშვნელ იეროგლიფებს შორის სამი ნიშანია მოქცეული. მათგან თრი (L 318, 334) იკითხება როგორც Tešub-ba, ხოლო მესამე ნიშნის ამოცნობა სირთულეს ქმნის. იმის მიხედვით, თუ როგორ წავიკითხავთ მას, მივიღებთ წარწერის თარგმანის შემდეგ ვართანტებს: Ari-Tešub^{ba} (L 66 = ხეთურ-ლუვა-რი pi(ya), ხურიტული ari);¹⁵ SUPER-Tešub^{ba} ან Šarri-Tešub^{ba} (L 70 – SUPER = ლუვ. šarri, ხეთ. šer);¹⁶ L 66 ნიშანი განვრცობილად რომ წაგვეკითხა – pi(has), რაც ძალგე სათუოა, შესაბამისად მივიღებით: “ფიხასასი-თეშები”,¹⁷ ხოლო თუ L 70-ს მივანიჭებთ უპირატე-

¹⁴ H. Gonnet, Remarques sur les sceaux, 265-266.

¹⁵ H. G. Güterbock, Hittite Hieroglyphic Seal Impressions, 140-141.

¹⁶ H. Nowicki, Der Hurritische Name, 111ff.

¹⁷ H. Gonnet, Remarques sur les sceaux , 266.

სობას, აქ შეიძლება სავარაუდოდ წავიკითხოთ იგივე სახელი – შა-
რითეშები, რომელიც SBo I 38-ის III წარწერაში ამოვიკითხებთ.
ოღონდ ამ შემთხვევაში ის ლუვიურად არის გახმოვანებული და ასე
ითარგმნება: „მაღალი/ცის თეშები”. ამასთან დაკავშირებით კი იგი-
ვე შეკითხვები ჩნდება, იგივეა პრობლემებაც, სახელდობრ, სამეფო
კარტუმთან, ფრთოსან დისკოსთან დაკავშირებით.

3) SBo I 41. აქ აღბეჭდილი III წარწერა მსგავსია ზემოთ გან-
ხილული მეორე ჯგუფის შესაბამისი წარწერისა, მაგრამ აკლია
ფრთოსანი დისკო. აღსანიშნავია, რომ ეს საბეჭდავი ხარვეზებით
არის შემორჩენილი – I და II წარწერათა ნაწილი დაზიანებულია.
მაგრამ ფრთოსანი დისკოს უქონლობა აქ სხვა მიზეზებითაც შეიძ-
ლება აისხნას და დაუკავშირდეს ამ საბეჭდავთა შედარებითი დათა-
რილების საკითხს.

ამრიგად, განხილულ საბეჭდავებთან დაკავშირებით ბევრი
შეკითხვა ჩნდება. ყურადღებას იმსახურებენ იმოვაციებიც (პირველ
რიგში, იკონოგრაფია) და ის უცნაურობებიც, რომლებზეც გზადაგზა
მქონდა საუბარი. ჩემი აზრით, ისინი მთლიანობაშია გასააზრებელი
და მათი ახსნა მუვათალის რელიგიური მოღვაწეობის კონტექსტშია
საძებნელი. ვფიქრობ, აღნიშნული საბეჭდავების თავისებურებები
ერთმანეთთან გარკვეულ ლოგიკურ კავშირს ამჟღავნებენ და ეხმი-
ანებიან სხვა მასალის (უპირველეს ყოვლისა, მუვათალის ლოცვის
ტექსტის CTH 381) ანალიზის საფუძვლზე ჩემს მიერ გამოთქმულ
მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მუვათალის გარკვეული
რეფორმატორული ნაბიჯები უნდა გადაედგა რელიგიური სისტემის
არსებითად შეცვლის მიმართულებით.¹⁸ ცვლილებები უნდა შეხებო-
და როგორც უტენაეს დვთაებათა პოზიციას პანთეონში, ასევე მეფის
დამოკიდებულებას დვთაებისადმი. მუვათალის სრულიად ახალ
რანგში აჰყავს თავისი მფარველი დვთაება (ამინდის დვთაება ფიხა-
სასი/თეშები), რომელსაც გამოსახავს საბეჭდავის ცენტრალურ ნა-

¹⁸ ი. ფაფიშვილი, ხეთური რელიგია, თბილისი, 2001, 151 და შმდ.

წილში და მოიხსენიებს ხეთური პანთეონის უზენაესი ღვთაების ემბო-
თეტებით – “დიდი”, “ცისა”. ახალ რანგში აჰყავს მას თავისი ურთი-
ერთობაც ღვთაებასთან. ამ თვალსაზრისით, დამახასიათებელია
ცენტრალური სცენაც, ორაბროვნებაც, რომელსაც ღვთაების დეტერ-
მინაფივის უქონლობა იწვევს II წარწერაში და III წარწერაც. სულ
ერთია, ამ უკანასკნელს როგორ გავიგებთ – “დიდი მეფე ამინდისა”,
“დიდი მეფე – ამინდი”/ (ხურიგ.) შარითეშები (SBo I 38), თუ “მაღა-
ლი თეშები”/ “თეშები ცისა” / (ლუგ.) შარითეშები. ყველაზე მრავ-
ლისმთქმელი კი, ამ თვალსაზრისით, არის ის, რომ III წარწერაში
მოთავსებულ სახელს ფრთხოსანი დისკო აჩის. იქნებ, მუვათაბლიც,
ეხნაფონის მსგავსად, სახელის შეცვლას აპირებს მის მიერ ჩაფიქ-
რებული რადიკალური ცვლილებების ფონზე? შესაძლოა, მისი რე-
ფორმატორული მოღვაწეობის ეფაპებს ასახავდეს განსხვავებები III
წარწერაში, ერთი მხრივ, SBo I 38 და, მეორე მხრივ, SBo I 39-40,
Bog V საბეჭდავებს მორის და ფრთხოსანი დისკოს უქონლობა SBo I
41-გ. ნიშანდობლივია ის სიფრთხილეც, რომელსაც მუვათაბლი იჩ-
ნებ თავისი მფარველი ღვთაების კულტის შემოღებასთან დაკავში-
რებით. ლოცვის ტექსტთან (CTH 381) მსგავსება ამ თვალსაზრისი-
თაც საგულისხმოა. იმის მიუხედავად, რომ ფიხასასის სახელს ვერ
კხედავთ შესავალ სტრიქონებში ჩამოთვლილ წამყვან ღვთაებებს
მორის, ტექსტში მას უაღრესად შთამბეჭდავი საგალობელი ეძღვნე-
ბა. ამის მსგავსად, საბეჭდავთა ლურსმულ წარწერაში მეფე არ ახ-
სენებს თავის მფარველ ღვთაებას, თუმცა ცენტრალურ ნაწილში გა-
მოსახავს თავის გვერდით.

საბეჭდი ზოგჯერ მოიცავს სასახლეების მასალები შემორჩენი-
ლი მასალების სისტემას. სისტემის განვითარება მეტებრივ ყოველი 69
უადრ გაიღებს მარჯვიდან. ინფარმიციონურ სისტემების უადრ
-ის დამატება მიზანია ინფორმაციურ მოწყვეტილების მიერთ მცდელ
-ის მცდელი, მაგრამ მას უნდა მიზანი არ იყო მცდელი მცდელის მიერთ

Considérations sur les sceaux du roi Muwatalli II

L'analyse des particularités et des innovations des empreintes de cinq sceaux de Muwatalli II (SBo I 38-41, Bog V 1) m'incite à les interpréter dans l'ensemble et dans le contexte de l'activité religieuse de Muwatalli II. Je crois que les singularités qui marquent ces sceaux ont un certain lien logique et peuvent confirmer mon opinion concernant l'activité reformatrice de Muwatalli, comparable à celle d'Akhé-naton. Les changements devraient toucher à l'essentiel la base du système religieux, la position des dieux suprêmes dans le panthéon officiel, l'attitude du roi envers les dieux. À cet égard, l'iconographie et les particularités des légendes hiéroglyphiques, ainsi que celles de la légende cunéiforme – à ce qu'il me semble – sont très suggestives.

კავკასიისა და ანატოლიის ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი

კავკასია და ანატოლია, ერთი და იმავე ცირკუმპონტური ზონის, ანუ შავი ზღვის ირგვლივ მდებარე ტერიტორიების აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები, წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის დამაკავშირებელ რეგიონებს, მათ შორის გადებულ “ზიდებს”. ეს გარემოება განსაზღვრავდა ორთავე რეგიონის განვითარების სხვათაგან განმასხვავებელი ნიშან-თვისებების საერთო ხასიათს. მათი ისტორიული, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური განვითარება ხასიათდება საშუალებო ადგილით ახლოაღმოსავლურ და ევროპულ ევოლუციურ მოდელებს შორის. ანატოლიასა და კავკასიაში მოიპოვება საბუთები ე.წ. “სიმბიოზური კულტურების” არსებობისათვის, რომლებიც ეფუძნებოდნენ არა მხოლოდ ახლოაღმოსავლურ, არამედ ევროპულ ტრადიციებსაც. მაგ., კავკასიის ყორღანული კულტურები, ან ანატოლიური “სამეფო აკლდამების” კულტურა.

კავკასიასა და ანატოლიას ზევრი აქვთ საერთო ტოპოგრაფიული და კლიმატური განსხვავებულობის რეგიონალური თავისებურებებისა და ლითონის მაღნეულის საბადოების მხრივ. ორთავე ამ რეგიონის შემადგენელი ნაწილების ერთმანეთის მიმართებით განცალკევებული მდებარეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სრულიად განსხვავებული ხასიათის მოსახლეობის თანაარსებობისათვის.

კავკასია, ანატოლიის მსგავსად, ხასიათდებოდა კლასთა წარმოქმნის “ანატოლიური მოდელით” - განვითარების ნელი ტემპით და მიწათმოქმედების დაბალი წარმადობით; ეკონომიკური დიფერენციაცია და ხელოსნობის განვითარება ორივე მხარეში სტიმულირებული იყო მეზობელი სირია-მესოპოტამიური ცივილიზაციების მიერ. ამავე დროს, მთელმა რიგმა თავისებურებებმა გამოიწვიეს კლასობრივი საზოგადოების აღმოცენება და სახელმწიფოებრიობის

ჩამოყალიბება ანატოლიაში ბევრად უფრო ადრე, ვიდრე კავკასიაში ჰქონდება
ძვ. წ. გვიან მესამე - ადრე მეორე ათასწლეულში.¹

საზოგადოებრივ განვითარებაში მომხდარი მსგავსი ხარის-
ხობრივი ნახტომი ითხოვდა მრავალი ცვლილების ურთიერთზემოქ-
მედებასა და შეთანაწყობას. თუმცა ცენტრალურ ანატოლიაში ცხოვ-
რების მეომრული წესი, ძირითადი საშუალება იყო ურთიერთმებ-
როლი ტომების მიერ საზოგადოებრივი მოწყობის სახელმწიფოებ-
რივი დონის მისაღწევად². სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმუ-
ლია, რომ ცენტრალური ანატოლიის წინა-ხეთური ხანის თემები
შედგებოდნენ განსხვავებული წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფე-
ბისაგან, რომელთა თანაარსებობას “სიმბიოზური” ხასიათი ჰქონდა.³

ზემოაღნიშნული საომარი გარემო საბოლოო ჯამში შედეგი
იყო ადრეული ბრინჯაოს ხანის ანატოლიაში ახალი მოსახლეობის
განსხვავებული ნაკადების შემოჭრისა, განსაკუთრებით მის ცენტრა-
ლურ ხაწილში. მოსახლეობის ამ ნაკადების წარმომავლობა ანდა მა-
თი შემდგომი ბედ-იღბალი, ჩემი აზრით, დაკავშირებული იყო კავ-
კასიასთან ან მის უმუალოდ მომიჯნავე მხარეებთან.

ადრეული ბრინჯაოს ხანის პირველი ფაზა

ჩრდილოეთ და ცენტრალური (ანუ შიდა) ანატოლიური
კულტურების ადრეული ბრინჯაოს ხანის პირველი ფაზა (ე. წ. გვია-
ნი ხალკოლითი) ნაწილობრივ ბალკანეთიდან შემოჭრილი იმიგრან-
ტების მემკვიდრეობას წარმოადგენს. მიწათმოქმედთა ამ მიგრაციის

1 მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოებებში წარმოდგენილია სახელმწიფო-
თა წარმოქმნის განსხვავებული მოდელები. ბევრად უფრო გვიან ხანაში,
ძვ. წ. გვიან მეოთხე - ადრე მესამე საუკუნეებში, იბერიის (აღმოსავლურ-
ქართული) სახელმწიფოს წარმოქმნა ცენტრალურ ამიერკავკასიაში, ჩემი
აზრით, ძირითადად დაკავშირებული იყო თანადროული ელინისტური
საზოგადოების საჭიროებასთან დაეცვა დიდი კავკასიონის მთაგრეხილში
გამავალი “კავკასიის კარიბჭე” და მასთან ერთად მთელი იმდროინდელი
ახლოაღმოსავლურ-აღმოსავლეთხმელთაშუაზღვისპირეთული კულტურ-
ული სამყრო გადამთიელი მომთაბარე ტომების მოძალებისაგან.

² Stocker 1987, 372.

³ Orlin 1970, 233; Gorny 1995, 66.

გამომწვევი მიზეზი გაურკვეველია, მაგრამ უფრო სავარაუდო ჩანს ეს მოვლენა გამოეწვია ჩრდილოშავიზღვისპირეთელი მესაქონძლეების დასავლეთისაკენ გადაადგილებას. მიჩნეულია, რომ ამ დროისათვის ანატოლიაში უნდა შემოეღწიათ არა მარტო გადაადგილებულ ბალკანურ-დუნაური წარმომავლობის მქონე მიწათმოქმედებს, არამედ ყორღანული კულტურის მატარებელ ზოგიერთ ჯგუფსაც⁴.

ბალკანელ მიწათმოქმედთა ძველი კულტურის გაუჩინარების შემდეგ მისი ნაშთები, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, შემორჩა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში და ეგეოსის ზღვის აუზში კრეტასა და კიკლადებზე და ყველგან ნათლად ამჟღავნებდნენ თავის არაინდოევროპულ ხასიათს⁵. უფრო ადრე კარპატების, დუნაისპირეთისა და ბალკანეთის ეს მიწათმოქმედი თემები ასევე განიცდიდნენ მოსახლეობის ახალი ნაკადების შემოჭრას,

⁴ Yakar 1981, 94-103. მ. გიმბუტასის აზრით, ჩერნავოდა/ბადენ/კოცოფენისა და “სფეროსებრი ფორმის ამფორების” კულტურები ჩამოყალიბდნენ არაინდოევროპული და ინდოევროპული სოციალური სტრუქტურებისა და სიმბოლური სისტემების შერწყმის შედეგად (Gimbutas 1988, 455).

⁵ Gimbutas 1982, 1-60; Gamkrelidze/Ivanov 1985c, 181. გარდა ნეოლითის მომდევნო ხანის საბერძნეთში არაინდოევროპული სუბსტრატის არსებობის სასარგებლობ მეტყველი რიგი მონაცემებისა, რაც სათანადოდ არის ასახული ადგილობრივ ტოპო-, ანთროპო- და ეთნონიმებში, ფლორის (ხეზის) სახელწოდებებში მომხდარი ცვლილებები მნიშვნელოვანი გარემოებაა საბერძნეთის შედარებით გვიანი ინდოევროპეიზაციის სამტკიცებლად (Mallory 1989, 66-69, 161, 180). ვინაიდან ბერძნულ ენაში დადასტურებულ და არა-ინდოევროპულად მიჩნეულ ნასესხობათა კორპუსი საკმაოდ შთამბეჭდავია - იგი ასახავს ლექსიკონის მრავალ მხარეს და წარმოადგენს ერთიან ლექსიკურ ფენას (Furnée 1972, 399) - ვარაუდობენ, რომ ნასესხობათა მსგავსი მოდელის ყველაზე უფრო ლოგიკური ასანა იქნებოდა ბერძნული ენის გავრცელების წარმოდგენა მეტად მცირე, თუმცა შესაძლოა პოლიტიკურად დომინირებული, აგუფის მიერ ბერვად უფრო მრავალრიცხოვან და აქ ადრევე დაფუძნებულ მოსახლეობაზე (Ehret 1988, 573). აღსანიშნავია, რომ ჰომეროსის დროს კრეტა ჯერ კიდევ იყო “ოთხმოცდაათი ენის ქვეყანა” (Od. 19,172-177), ხოლო კლასიკური ხანის მწერლები საბერძნეთის მრავალ მხარეს პელაზგების მიერ დასახლებულად მიჩნევდნენ (Il., 840-843, X,429; Herod., I,57, II,51, IV,145, V,26, VI,137, VII, 94f.; Strabo, V,II,4, XIII,III,3).



ძირითადად დასავლეთის მხრიდან, რომელიც ინდოევროპელებული განსხვავებული წარმომავლობის ტომებით - ლიგურებით, პიკტებით, გასკებით, აქვიტანელებით, ეტრუსკებით, იბერებით, ტარტესელებით, ასევე რეტულ, აღმოსავლეთიტალურ, მესაპურ და სიცელის ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობით⁶. ძნელია არ დავეთანხმოთ იმ სპეციალისტებს, რომლებიც იბერიის ნახევარკუნძულის, ხმელთაშუაზღვის კუნძულების, სამხრეთ საფრანგეთის, დასავლეთ ევროპის ატლანტიკური ნაპირების, აპენინის ნახევარკუნძულისა და ბრიტანეთის დიდი ნაწილის წინაისტორიული ხანის ფაქტიურად მთელ მოსახლეობას არაინდოვროპულად მიიჩნევენ⁷.

მეტად ძნელი დასაჯერებელია, რომ ადრეული ინდოევროპელი მიწათმოქმედების ანატოლიიდან ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით თანდანობითმა შეღწევამ დასაბამი მისცა ევროპაში საკვებწარმოებითი ეკონომიკის აღმოცენებასა და მის “ნეოლიტიზაციას”⁸. ამასთანავე სავსებით ნათელია, რომ ეგვიპტურ-მცირეაზიული ზეგავლენა ასრულებდა უმნიშვნელოვანეს როლს ცენტრალური და დასავლეთხმელთაშუაზღვისპირეთული ნაყოფიერების კულტისა და მატრიარქალური საზოგადოების მქონე ძველი ლითონების ხანის

6 D'Iakonov 1985, 109.

7 Zvelebil/Zvelebil 1988, 576.

8 შდრ. Renfrew 1987 *passim*. მ. გიმბუტასის აზრით, ევროპის ლინგვისტური სუბსტრატი არის არა მეზოლიტური ეკონომიკისა და ტექნოლოგიის ამსახველი, არამედ ნეოლიტურის - მარცვლეულისა და პარკოსანი მცენარეების სახელწოდებების უმეტესი ნაწილი ინდოევროპელების მიერ შეთვისებული იყო ადგილობრივი, მველი ევროპული, სუბსტრატიდან (Gimbutas 1988, 454). როგორც ეს დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ იყო შენიშვნული ლ. ბერნაბო ბრეას მიერ, ხმელთაშუაზღვისპირეთში, რომელიც ძალზე დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება მიჩნეულ იქნას ყველაზე ნაკლებ ინდოევროპულად ევროპის სხვა ნაწილებთან შედარებით, ადრეული ნეოლიტის კულტურები - მალზე ახლომდგომნი ერთმანეთთან მათთვის დამახასიათებელი ჭდეულორნამერნტიანი კერამიკით - გავრცელებულნი ჩანან ზღვის მეშვეობით, სავარაუდოდ, სამხრეთანატოლიურ-ჩრდილოსირიული რეგიონიდან (Bernabò Brea 1957, 39-41).

ცივილიზაციების ჩამოყალიბებაში⁹. ყოველივე ამის გამო, მე უფრო იქით ვიხრები, რომ მცირე აზიიდან ევროპაში შეტანილი საწყისი მოწამოქმედების ჩვევების გავრცელება და ვუკავშირო არა ინდოევროპულთა დემიურ დიფუზიას,¹⁰ არამედ მცირე აზიის წინაინდოევროპული მოსახლეობისას.

დღესაც კი ევროპის მთელ გაყოლებაზე წინაინდოევროპული სამყაროს მემკვიდრეობა შეინიშნება Rh ნეგატიური სისხლის ჯგუფის გავრცელების მეშვეობით, ჯგუფისა, რომელიც მხოლოდ ევროპული წარმომავლობის მოსახლეობისათვის არის დამახასიათებელი. Rh ნეგატიური გენის ყველაზე მაღალი პროცენტული შემადგენლობა, 55%, და Rh ნეგატიური ინდივიდუალებისა, 25-30%, გვხვდება ბასკებს შორის. რამდენადმე ნაკლებია ჩრდილო-დასავლეთი ევროპაში (16%-ია Rh ნეგატიური ინდივიდუალებისა ინგლისში) და კიდრვუფრო ნაკლებია, 12-15% - ცენტრალურ ევროპაში, 9-12% - ჩრდილო-ეთ-ცენტრალურ- და ჩრდილოაღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთში¹¹. მისი სიხშირე უმნიშვნელოა მსოფლიოს ყველა სხვა ნაწილში¹². კავკასიაში, ძირითადად დასავლეთ ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში, ანუ დასავლეთ საქართველოში, Rh ნეგატიური ფენოტიპის სიხშირე ზოგჯერ 20% აღემატება¹³. აშკარა ხდება, რომ ევროპაში შედარებით გვიანდელი იმიგრან-

9 ანგარიში უნდა გაეწიოს შეხედულებას, რომლის თანახმადაც ევროპაში მიწათმოქმედების გავრცელების ადრეული თარიღის გამო შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ამ მოვლენასთან დაკავშირებული ენობრივი ჯგუფი (ანუ მიწათმოქმედების შემომტანი) ისტორიული ხანისათვის სადმე შემორჩენილიყო რამდენადმე შესაცნობადი სახით. ენობრივი მსგავსება ასეთი ჯგუფის შემორჩენილ წევრებს შორის რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელ ძალზე სპეციფიურ ურთიერშესაბამისობებისაგან (Sherratt/Sherratt 1988, 586).

10 Sokal/Oden/Wilson 1991, 143-145.

11 Ammerman/Cavalli-Sforza 1984, 87, 92, 156n.4; Cavalli-Sforza 1991, 73.

12 Ammerman/Cavalli-Sforza 1984, 86f.

13 Inasaridze et al 1990, Table 1. ზ. ინასარიძის მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში Rh ნეგატიური ინდივიდუალების სიხშირე აღწევს 25-30% (პირადი ინფორმაცია). Rh სისტემასთან დაკავშირებით, დ გენის სიხშირე ქართულ მოსახლეობაში უფრო მაღალია, ვიდრე კავკასი-

ტები, სავარაუდოდ ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკენი, უპირატესად Rh პოზიტიურის მატარებლები უნდა ყოფილიყვნენ.

ABO სისხლის ჯგუფების მონაცემთა განხილვის დროსაც, ისევ პირენეები ("კელტურ" დასავლეთ ევროპასთან და ხმელთაშუაზღვის კუნძულებთან ერთად) და დასავლეთ ამიერკავკასია ავლენენ *O* ჯგუფის მაღალ სიხშირეს¹⁴. გენების სიხშირის საშუალო მაჩვენებლები ნათელყოფენ ორივე ამ რეგიონის უნიკალურ გენეტიკურ ადგილს ევროპის, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა მოსახლეობასთან მიმართებაში¹⁵. ვინაიდან იმ სახის მონაცემები, როგორიცაა Rh ფაქტორი და ABO სისტემა მიგვანიშნებენ ისტორიული ხასიათის მოვლენების მნიშვნელოვან როლზე მათ გეოგრაფიულ გავრცელებაში¹⁶, შესაძლებლობა გვეძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი სურათი უნდა ასახავდეს წინაინდოევროპული მოსახლეობის გენეტიკურ შემორჩენას აღნიშნულ მხარეებში, რასაც აგრეთვე ეხმიანება ლინგვისტური მონაცემები. თუმცა ჯერ კიდევ არ არის შესაძლებელი უფრო სპეციფიურად იყოს გარკვეული

ის სხვა ეთნიკურ ჯგუფებში და აგრეთვე აღემატება ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის მოსახლეობის უმეტეს ნაწილთან შედარებით, მაგ., ზუგდიდის რაიონში იგი 48%-ზე მეტია (Nasidze et al. 1990, 612, Table 2; Inasaridze et al. 1990, 718, Table 2).

14 Mourant 1954, 10, 44-53, 57f.; Mourant/Kopec/Domaniewska-Sobczak 1976, 63-65, 70-74, 144, 176, Table 1.1. მთლიანობაში, ABO სისტემასთან დაკავშირებით, *O* გენის ყველაზე მაღალი სიხშირე კავკასიაში - 69% (დასავლეთ საქართველოში - 72-78%, ფენოტიპების სიხშირით - 54-62%) და *B* გენის ყველაზე დაბალი სიხშირე - 8% (დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში - 2-4%) საქართველოში (*A* გენის სიხშირე აქ არის - 22.6%) შეინიშნება (Nasidze et al. 1990, 611f., Table 1; Inasaridze et al. 1990, 715-718, Tables 1 and 17).

15 შდრ. Ammerman/Scavalli-Sforza 1984, 86f.; Inasaridze et al. 1990, 722.

16 Ammerman/Cavalli-Sforza 1984, 136. შევვიძლია გავიხსენოთ, რომ მრავალი წლის წინათ, ანთროპოლოგიური მონაცემების საფუძველზე მიიჩნევდნენ, რომ ლინგვისტური ოჯახი, რომელიც გადაშენდა ევროპაში, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი კავკასიაში, ძველ კავკასიურ ენებზე, ქართულზე და სხვებზე მოლაპარაკეთა შორის (Ungand 1936, 15).



თუ რომელ ენობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან ეს მონაცემები¹⁷ ნაინდოევროპული სამყარო სინამდვილეში სულაც არ იყო ჰომოგენური. იგი შედგებოდა ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული ელემენტებისაგან, ზოგჯერ ერთმანეთისაგან კიდევ უფრო დაშორებულებისაგან, ვიდრე იყო რომელიმე მათგანი “ინდოევროპულისაგან”. ამავე დროს, ზოგიერთი უეჭველი ლექსიკური პარალელი და მნიშვნელოვანი სიახლოვე ზმნის უღლებაში სამხრეთკავკასიურსა (ქართველურ) და ბასკურ ენებს შორის¹⁸, ზემომოცემულ გენეტიკური ანალიზების მონაცემებთან შეთანაპირებით, მიუნიშნებს გარკვეულ წინაისტორიული ხანის ურთიერთმიმართებაზე სამხრეთკავკასიელებსა და ბასკებს შორის, მიუხედავად კავკასიასა და პირენეებს შორის არსებული მნიშვნელოვანი გეოგრაფიული დაშორებისა. მიუხედავად გენეტიკურ რეკონსტრუქციებში ABO სისტემის მიზანშეწონილების შესახებ გამოთქმული სკეპტიციზმისა, შენიშნული იყო, რომ არსებობს ზოგადი თანხვედრა ფიზიკურ სახეობათა სეროლოგიურ მახასიათებლების გავრცელებასა და ენობრივ მონაცემებს შორის, ისევე როგორც ერთი მხრივ ზემოჩამოთვლილებსა და მეორე მხრივ ადრეული ისტორიისა და არქეოლოგიის მწირ მონაცემთა მიერ წარმოდგენილ რეკონსტრუქციებს შორის¹⁹. დიდია ცდუნება დავუკავშიროთ O გენი ევროპის (კავკასიის ჩათვლით) წინაინდოევროპულ მოსახლეობას²⁰, A გენი - ინდოევროპელთა გავრცელებას, ხო-

17 როგორც ეს ხაზგასმული იყო ქ. რენფრიუს მიერ, ლინგვისტური მონაცემები პირდაპირ ვერ მიესადაგებიან გენეტიკურ მონაცემებს და ვერც პირუკუ, ისევე როგორც ისინი ვერ მიესადეგებიან უშუალოდ არქეოლოგიურ ნაშთებს (Renfrew 1993, 44).

18 Allières 1986; Cavalli-Sforza 1988, 129, 132f.

19 შდრ. Mourant/Kopec/Domaniewska-Sobczak 1976, 91. ლ. კავალი-სფორცას სიტყვებით, ალბათ საოცარი უნდა იყოს, რომ ასე ბევრი რამ შემორჩა ენებსა და გენებს შორის მოსალოდნელი კორელაციიდან, მიუხედავად გენებისა და ენების ცვალებადობით გამოწვეული სურათის დამახინჯებისა (Cavalli-Sforza 1991, 78).

20 O სისხლის ჯავუფის მაღალი სიხშირე, ისევე როგორც Rh ნეგატიურისა, დამახასიათებელი ნიშანი ჩანს ევროპის რელიეფური მოსახლეობისა, რომელიც აყრილი იყო თავისი საცხოვრისიდან აღმოსავლეთიდან შემოჭრი-

ლო B გენი - ურალურ-ალთაური მოდგმის ტომების დასავლეთის მიმართულებით გადაადგილებას²¹.

ცნობილია, რომ დროის მონაკვეთი ძვ.წ. გვიანი მეზუთე ათას-წლეულიდან ძვ.წ. მესამე ათასწლეულამდე - თავდაპირველად აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო შემდეგ ევროპის სხვა მხარეებში - ხასიათდება მატერიალური კულტურის ფართო და საყოველთაო შეცვლის მოდელის არსებობით, რაც მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის ენასა და ეთნიკურ კუთვნილებაში მომხდარ ძირეულ ძვრას შეიძლება მიეწეროს²². ამ ცვლილებათა მამოძრავებელი ძალის საწყისი არეალი განისაზღვრება ხოლმე ჩრდილოშავიზღვისპირეთის სტეპებით, ანუ რეგიონით, რომელიც დღესაც კი გამოირჩევა გენების მაღალი B და A სიხშირებით და დაბალი O სიხშირით²³. ფართოდ გავრცელებული შეხედულებით, არეალი მდინარე დნეპრს, ურალს, ჩრდილოეთშავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთკასპიისზღვისპირეთს შორის, ე.წ. “ყორდანული კულტურების” სამშობლო, შესაძლოა იყო ამასთანავე ინ-

ლი ახალმოსულთა მიერ (იხ. Mourant/Kopec/Domaniewska-Sobczak 1976, 63-65, 74).

21 მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამიერკავკასია იმეორებს ევროპისათვის დამახასიათებელ სურათს: მის დასავლეთ ნაწილში, «წინაინდოევროპელი» ქართველებისათვის, ყველაზე უფრო დასამახასიათებელია O გენი; სამხრეთით, ინდოევროპელი სომხებისათვის - A გენი (შდრ. Mourant/Kopec/Domaniewska-Sobczak 1976, 75); აღმოსავლეთ ნაწილში, აზერბაიჯანელებისათვის, რომლებიც განკუთვნებიან ალთაურ ოჯახს, თუმცა B გენი არ არის დომინანტური, მაგრამ მაინც ბევრად უფრო ხშირია ვიდრე ამიერკავკასიის სხვა ხალხებში (იხ. Nersisyan/Delanyan/Danelyan/Baudunts 1994, Tables 1, 2).

22 Ehret 1988, 573. მ. გიმბუტასი შენიშნავს, რომ მიწათმოქმედების საწყისი ეტაპიდან ქრისტიანულ ხანამდე ევროპა შედგებოდა ორი მეტად განსხვავიზული ფენისაგან, ძველევროპულისაგან და ინდოევროპულისაგან, ხოლო ის რაც იგულისხმება დღეს ტერმინში “დასავლური ცივილიზაცია” წარმოდგება ამ ორი ფენის, სუბსტრატულისა და სუპერსტრატულის, შერწყმით - მიღებულს ამ ორი იდეოლოგიის, ორი რელიგიისა და ორი სოციალური სისტემის შეჯახების შედეგად (Gimbutas 1988, 454).

23 Mourant 1954, 54; Mourant/Kopec/Domaniewska-Sobczak 1976, 69.

დოევროპული ენების მატარებელი თემების ადრეული და აქტიური ცენტრი, ხოლო მათი ტალღობრივი გავრცელება ამ რეგიონიდან წარმოადგენდა არა ერთგვაროვან და მუდმივ პროცესს, არამედ წყვეტილს, მრავალეტაპობრივს და განმეორებითს²⁴. იმიგრირებული მეომარი მესაქონლები ალბათ ძალდატანებით ბატონდებოდნენ მათ წინამორბედ, ნეოლითური ევროპის მშვიდობიან მიწათმოქმედ მოსახლეობაზე²⁵. მსგავსი შეხედულება, სპეციალისტების განმარტე-

24 Gimbutas 1982; Zvelebil/Zvelebil 1988, 580f. ჯ. მელორი და დ. ენთონი ტრანსპორტის გამოყონებას კატალიზატორის მნიშვნელობას ანიჭებენ ყველაზე ფუნდამენტურ საზოგადოებრივ ცვლილებებში, მათ შორის ჩრდილოშავიზღვისპირეთის სტეპებიდან ინდოევროპელთა საწყის მიგრაციაში. დ. ენთონის აზრით, პროტო-ინდოევროპული ერთობა შემოსაზღვრული იყო დასავლეთიდან მდ. დნეპრით და აღმოსავლეთიდან მდინარეებით ვოლგით ან ურალით (Antony 1991, 216). ჯ. მელორის მიხედვით, პროტო-ინდოევროპელები საზოგადოდ განლაგებული იყვნენ ტერიტორიებზე გადაჭიმულზე ცენტრალური ან ჩრდილოეთ ევროპიდან პონტურ-კასპიურ სტეპებს მიღმა მდებარე მხარეებამდე, შესაძლოა თვით სამხრეთ ციმბირამდეც კი. მისი შეხედულებით, ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულში პონტურ-კასპიურ სტეპებს გააჩნდათ ყველა ის ნიშან-თვისება, რომელიც კი სავარაუდოდ არის რეკონსტრუირებული ინდოევროპული საზოგადოებისათვის ლინგვისტური მონაცემების მიხედვით და რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო აღმოსავლეთის სტეპებში, შესაძლოა ვოლგა-ურალის რეგიონში. ამავე დროს, ჯ. მელორი გამორიცხავს ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის არსებობას დასავლეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთის ევროპულ ნაწილში, ბალკანეთსა თუ ახლო აღმოსავლეთში (Mallory 1989, 147, 177, 183). დ. ენთონი ინდოევროპელთა ფართო განვითარებას ათარიღებს არაუდრეს ძვ.წ. 3300 წ. და არაუგვიანეს 2200 წ. (Antony 1991, 214f.). ჯ. მელორი კი დაახლოებით ძვ.წ. 4500 წ. სავარაუდოდ განსაზღვრავს ინდოევროპულ ენებში დაცულ, ამ ენათა ერთობის ღონიდან მეტვიდრეობით მიღებულ, სიტყვათა მარაგის მიხედვით რეკონსტრუირებული კულტურის ყველაზე ადრეულ შესაძლო თარიღს, ხოლო - ძვ.წ. 2500 წ., ან რამდენადმე უფრო ადრეული ხანით პროტო-ინდოევროპულის ფინალურ თარიღს (Mallory 1989, 127, 145, 158).

25 რ. ქროსლანდი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მიგრანტებს ყოველთვის არ გააჩნდათ ომების საწარმოებელი რევოლუციურად ახლებური ტექნიკა, მაგ. საზრძოლო ეტლები, თუმცა, როგორც ჩანს, წარმატებას ზოგჯერ აღწევდნენ უფრო ეფექტური სოციალური და სამხედრო ორგანიზაციით; კერძოდ, ისტორიული ხანებიდან კარგად არის ცნობილი,

ბით, შესაძლოა ჯერ ისევ ჰიპოთეტური იყოს, თუმცა სინამდვილეს გადასცემისას თან, ყველა სხვა მოსაზრებასთან შედარებით, უფრო ახლო მდგომია და დაფუძნებულია მთელი რიგი საიმედო მონაცემების ინტერპრეტაციაზე²⁶.

ცირკუმპონტური ზონის საპირისპირო, აღმოსავლეთ და სამხრეთ, რეგიონებში, გარკვეული თანმიმდევრული კავშირები შეინიშნება ადრეული ბრინჯაოს ხანის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ანატოლიურ კულტურებსა და კავკასიისა და საქართველოს უფრო გვიანდელ კულტურებს შორის. მხედველობაში მაქვს სამხრეთ კავკასიის ყორღანული კულტურები და ადრეული ლითონების ხანის თითქმის ყველა დასავლურქართული კულტურა. ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთი ადრეული, შავიზღვისპირეთის წინა-პროტო-კოლხური, ანუ ე.წ. „ისპანის ტიპის“ კულტურა ხასიათდება ჩრდილოეთ- და ცენტრალურანატოლიურ მასალებთან - კერძოდ, ბუიუქ გიულიუჯე-ჯის, ალაჯა ჰოიუქ IV-ის, სინოპის დემირჩი ჰოიუქის, იქიზთეფეს, კუმთეფე Ia-ს, ტროა I-ის კერამიკასთან - ზოგიერთი საერთო ნიშან-თვისებით²⁷.

იმავდროულად, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჩრდილოებოისურ-ჩრდილოდასავლეთანატოლიურ კულტურებთან მრავალგვარი და მრავალრიცხოვანი კავშირები აქვთ კუნძულ კრეტის უგვიანესი ნეოლითისა და ადრემინისური ხანის I პერიოდის კომპლექსებს; განსაკუთრებით ტროა I-ის, თერმის და მათ უშუალოდ წინამორბედ კულტურების მასალებში ეძებნება მრავალრიცხოვანი პარალელები ადრემინისური ხანის I პერიოდის ბევრ კერამიკულ თავისებურებას - შესაძლო ნიშანი ჩრდილოური წარმომავ-

რომ ეკოლოგიურად მარგინალურ არეალებში (მაგ., მთებსა და უდაბნოებში) მცხოვრები მოსახლეობა რეგულარულად აქსებდა თავის ქონებას ბევრად უფრო მდიდარი ბინადარი მოსახლეობის ხარჯზე, მათი დარბევებისა თუ მათ მიწებზე გადასახლების შედეგად (Crossland 1992, 251).

²⁶ Meid 1989, 303.

²⁷ ჯ. იაქარის აზრით, ტროის ზეგავლენა აღწევს აღმოსავლეთ ანატოლიამდე (Yakar 1979, 54; შდრ. Merpert 1987, 128).

ლობის მოსახლეობის სამხრეთ ეგეოსისზღვისპირეთში ინფილტრაციისა²⁸.

მეცნიერთა შორის ერთსულოვნება სუფევს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ინდოევროპელთა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შეღწევის შედეგად, წინაინდოევროპული მოსახლეობა ნაწილობრივ ასიმილირებული, ხოლო ნაწილობრივ სამხრეთისაკენ, ეგეოსის-ზღვისპირეთისაკენ და კიდევ უფრო შორს, კუნძულებისაკენ იყო განდევნილი; კიკლადური კულტურის ჩამოყალიბებაც სწორედ წინაინდოევროპელი ტომების მიგრაციას უკავშირდება. კრეტის ცივილიზაცია, რომელიც ძვ.წ. მესამე ათასწლეულში კუნძულზე ახალ-მოსულთა გამოჩენის შედეგად აღმოცენდა, განიხილება ხოლმე როგორც წინაინდოევროპული (იგივე ძველი ევროპული) კულტურის ყველაზე ახალგაზრდა და ამავე დროს ყველაზე სიცოცხლისუნარიანი შთამომავალი²⁹.

ვინაიდან, არავითარი არქეოლოგიური მონაცემები არ მოიპოვება კრეტაზე მოსახლეობის მომდევნო იმიგრაციის თაობაზე მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში მიკენელთა გამოჩენის ხანამდე, რომლებიც B-ხაზოვან დამწერლობას იყენებდნენ დაახლოებით ძვ.წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებში, უფრო ადრეული A-ხაზოვანი უნდა ყოფილიყო არქეოლოგიის გადასახედიდან ის არაინდოევროპული და არასემიტური ენა, რომელიც ჯერ კიდევ ტროა I ხანაში გამოიყენებოდა და ამავე დროს წარმოადგენდა ძვ.წ. მესამე ათასწლეულის კრეტული ენის განვითარებულ და სამწერლობო სახეობას³⁰.

არქეოლოგიურ კავშირებს დასავლურანატოლიურ-ჩრდილოეგეოსურ არეალსა და კრეტას შორის, ერთი მხრივ, და ჩრდილოეთ ანატოლიასა და დასავლეთ ამიერკავკასიას შორის, მეორე მხრივ, შესაძლოა მოეპოვებოდეს ლინგვისტური საფუძველი, ვინაიდან,

28 Warren 1973, 41,43.

29 Gimbutas 1974, 236-239; Haarmann 1989, 252f. მ. გიმბუტასის შენიშვნით, ძველი ევროპული ტრადიციები არსებობას განაგრძობდნენ მხოლოდ არაინდოევროპულ სამხრეთ ევროპაში და თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწიეს ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და კრეტაზე (Gimbutas 1988, 454).

30 Warren 1973, 43, 45.

როგორც ზოგიერთი ენათმეცნიერი ვარაუდობს, წინაპერმნული ენა, გავრცელებული აგრეთვე კრეტაზე A-ხაზოვანი და მწერლობის არსებობის ხანაში, გარკვეულ საერთო ნიშან-თვისებებს ავლენს ქართველურ ენებთან³¹. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ -s(s)-, -pth-/ -nd-ს ფიქსიანი ტოპონიმები, ფართოდ გავრცელებული ჩრდილოეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და უპირატესად წინაინდოვროპული სუბსტრატული ენების კუთვნილებად მიჩნეული, დამახასიათებელია ქართველურისათვისაც³². თუ ჩვენ აგრეთვე მხედველობაში მივიღებთ, შემჩნეულ ლინგვისტურ პარალელებსაც ქართველურ-ბასკურ და ქართველურ-ეტრუსკულ ენებს³³ შორის და შევეცდებით წინადამწერლობითი ხანის გარემოს რეკონსტრუქციისას მხოლოდ ლინგვისტურ მონაცემებზე არ ვიყოთ დამოკიდებულები, უნდა მოვახერხოთ ამ მონაცემების არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ინტერპრეტაცია.

თუ ერთი მხრივ, მაცდურად გამოიყურება პერსპექტივა ამ პრობლემის დაკავშირებისა ადრეული მიწათმოქმედების მიერ ეპროპის “ნეოლითიზაციის” ზემოდასახელებულ პროცესთან, მეორე მხრივ, მოიპოვება არქეოლოგიური მონაცემები ანატოლიასა და საბერძნეთში ბალკანეთის მთიანეთის ჩრდილოეთით მდებარე მხარეებიდან “გვიან ნეოლითური” მოსახლეობის ინფილტრაციის თაობაზე³⁴. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტროა I წრის ანატოლიიური კულტურები დაკავშირებულნი ჩანან ცენტრალური ევროპის ბადენის კულტურასთან; თუმცა, ვინაიდან, ტროა I-ის ჯგუფი თანადროულია ბადენის პორიზონტების გვიანი სტადიების³⁵, უფრო დასაშვე-

31 მნიშვნელოვანი საზიარო კომპონენტი არსებობს ქართველურ და წინაბერძნულ ენათა ლექსიკონებს შორის; მისი მთლიანი რიცხვი მოიცავს სამას სავარაუდო იზომორფულ ელემენტს - სიტყვასა და ფორმანტს (Furruée 1982; გორდეზიანი 1985). უკანასკნელი მონაცემებით უარყოფილია ვარაუდი წინაპერმნული, “პელაზგური”, ენის ინდოევროპულობის შესახებ (შდრ. Beekes 1995, 32).

32 გორდეზიანი 1970, 225-228.

33 გორდეზიანი 1985 *passim*.

34 Evans 1973, 19; შდრ. Yakar 1981, 96.

35 Howell 1973, 91.

ბია, რომ ადგილი ჰქონიდა ბადენის კულტურის მატარებლების ინფილტრაციას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და ანატოლიაში და არა პირუკუ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ³⁶. თუმცა არავითარი საფუძველი არ მოიპოვება ამ ცვლილების ასახსნელად უცხო მოსახლეობის მიერ ადგილობრივი ჯგუფების მთლიანი შეცვლით. ახალმოსულთა ძირითადი ნაწილი მშვიდობიან მიწათმოქმედთაგან შედგებოდა და კულტურული მემკვიდრეობითობის ძირფესვიანი რღვევის სამტკიცებელი არანაირი მინიშნება არ მოიპოვება³⁷.

წარმოდგენა ამიერკავკასიის მოსახლეობის კავშირების შესახებ ხმელთაშუაზღვისპირეთულ სამყაროსთან გვხვდება უკვე კლასიკური ხანის ავტორებთან³⁸. კავკასიის იბერები დასავლეთ ევროპის იბერიის ნახევარკუნძულიდან კავკასიაში გადმოსახლებულებად მიაჩნდათ მეგასთენეს, აბიდენოს, ევსევის (Praep. ev., IX, 41, 1), იოსებ ფლავიუს (Ant. Jud., I, 124, 125), დიონისიოს პერიეგეთს (695-699) და აპიანეს (Mithr., 101). “მოქცევად ქართლისაა” -ს ცნობით, ქართველთა წინაპრები ქართლში თავისი პირველსაცხოვრისიდან, “არიან-ქართლიდან” არიან გადმოსულნი. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიტყვა “არიან” შესაძლოა წარმოადგენდეს “პირენეების” შერყვნილ ფორმას³⁹. ამავე დროს, ჰეროდოტეს (II, 102-105), სტრაბონის (I, II, 21) და ვალერიუს ფლავიუსის (V, 418-421) ინფორმაცია კოლხების ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ მიჩნეულია ანარეკლად შარდანის (ეგვიპტური წერილობითი წყაროების

36 შდრ. Merpert 1987, 128; Mallory 1989, 29. ამავე დროს, აღმოსავლეთ ბულგარეთის ეზეროს კულტურა (კარანოვო VII), ავტოქტონი, ანატოლიელი და შესაძლოა უმნიშვნელო რაოდენობით სტეპური მოსახლეობის ნარევი, განიხილება როგორც ანატოლიური ცივილიზაციის უკიდურესი ჩრდილოდასავლური ფორპოსტი, მიმართული სტეპური მოსახლეობის შემოსევის საწინააღმდეგოდ (Sochacki 1988, 189-191).

37 Sherratt 1973, 100.

38 ქავთარაძე 1985a, 16-40, 146-153; Kavtaradze 1996, 205-208.

39 მელიქიშვილი 1965, 16. საყურადღებოა, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ესპანეთის კელტ-იბერთა ტომის სახელწოდება ქართულად ჩვეულებრივ ითარგმნებოდა ხოლმე “კელტ-ქართველებად”.

მიხედვით, “ზღვის ხალხების” შემადგენელი ნაწილი), ანუ სარდინია ელების, იმიგრაციისა გვიანი ბრინჯაოს ხანის კავკასიაში⁴⁰.

მე ძალიან შორს ვარ იმის შესაძლებლობისაგან, რომ დავუშვა რომელიმე ხანაში ნებისმიერი სახის მიგრაცია უშუალოდ იბერიის ნახევარკუნძულიდან, სარდინიიდან თუ ეგვიპტიდან კავკასიაში, მაგრამ განსაკუთრებული სიახლოვე დასავლეთი და ცენტრალური ამიერკავკასიის მოსახლეობისა ხმელთაშუაზღვისპირეთულ სამყაროსთან ეჭვს გარეშეა. ეს კულტურული, იდეოლოგიური, მენტალური და ანთროპოლოგიური სიახლოვე იმდენად მჭიდრო იყო წინაისტორიულ, კლასიკურ და შუა საუკუნეების ხანაში, რომ შესაძლებელი ჩანს დასავლეთი და ცენტრალური ამიერკავკასია, მათ მომიჯნავე ჩრდილოეთ ანატოლიასთან ერთად, ხმელთაშუაზღვისპირეთული სამყაროს ნაწილად მივიჩნიოთ⁴¹.

მეორე მხრივ, საოცარი იზომორფიზმი ინდოევროპულ და ქართველურ ენებს შორის, ლინგვისტთა აზრით, შესაძლებელია აიხსნას ახლო კონტაქტებით პროტო-ინდოევროპულსა და პროტო-ქართველურს შორის, რომლებიც, ამასთანავე, არ არის გამორიცხული, რომ საერთო Sprachbund-ის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ⁴². ზოგიერთი მკვლევარი აგრეთვე ვარაუდობს, რომ ინდოევროპულ და ქართველურ ენებს შორის მსგავსება უნდა მეტყველებდეს მათ საერთო წარმომავლობაზე. ი. დიაკონოვი უფრო იქით იხრება, რომ დაუშვას წინა-პროტო-ინდოევროპულ-ქართველური ერთობის არსებობა ჩათალ ჰოიუქის ხანის ცენტრალურ მცირე აზია-

40 გორდეზიანი 1975, 35-43. საინტერესოა, რომ ძალზე მაღალი *M* სიხშირით (ძალზე მაღალი სიხშირის *O* გენთან შერწყმით) დიდი მსგავსება შეინიშნება კავკასიისა და სარდინია-კორსიკის თანამედროვე მოსახლეობებს შორის (ქართველებში - 67%, სარდინიელებში - 70%, კორსიკელებში - 65%) (Mourant 1954, 68f., Mourant/Kopec/Domaniewska-Sobczak 1976, 71,74; Nasidze et al. 1990, 612, Tables 4 and 5; Inasaridze et al. 1990, 718f., Tables 5 and 17).

41 დღესაც კი ადვილი შესამჩნევია, თუმცა კი აუხსნელია, სიახლოვე კორსიკულ და აღმოსავლეთქართულ პოლიფონიურ სიმღერებს შორის, ისევე როგორც ერთმანეთს მიმსგავსებული ინტონაციები ტიროლურ და გურულ სიმღერებში.

42 Gamkrelidze 1967a, 707-717.

ში⁴³. ო. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, მიუხედავად იმ გარემონტული მოქმედისა, რომ პროტო-ინდოევროპული და პროტო-ქართველური მსგავსებას ავლენენ ლექსიკური და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თავისებურებების მხრივ, იმისათვის, რომ დავუშვათ მათთვის “წინა-პროტო-ენობრივი ერთობის” არსებობა, საჭირო გახდება ზუსტი ფონოლოგიური შესატყვისობების დადგენა და პროტო-ფორმების განცალკევებული რეკონსტრუქცია ამ ლინგვისტური სისტემებისათვის⁴⁴.

მიუხედავად ამ გარემოებისა, მაინც გასაზიარებელი ჩანს ი. დიაკონოვის “ტრადიციული” შეხედულება, რომ ინდოევროპულ-ქართველური მსგავსებების ჩამონათვალის შემადგენელ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: “მიწა”, “ლაგება”, “დება”, “რგვა”, “გლეჯა”, “გროვება”, “სმენა”, “გაგება”, “სისხლი”, “ბრგე, დიდი”, “შობა”, არ ესაჭიროებათ ჩვეულებრივ სესხება სხვა ენებიდან. მსგავსი სიტყვების ერთობლიობა შესაძლოა აღმოჩნდეს ორ განსხვავებულ ენაში თუ ადგილი აქვს ამ ენებზე მოლაპარაკეთა სოციალურ შერწყმას, ან თუ მთელი რიგი მსგავსი ფუძეები და სიტყვათა და ფუძეთა წარმოქმნის სტრუქტურული იზომორფიზმი ავლენენ კოლატერალურ გენეტიკურ ნათესაობას ორ-პროტო-ენას შორის და ამ შემთხვევაში შესაბამისად უნდა მიგვანიშნებდეს ქართველურ-პროტო-ინდოევროპული წინა-პროტო-ენის არსებობაზე⁴⁵.

ჯ. მელორის განცხადებით, თუმცა ზოგიერთი ლექსიკური პარალელი ხშირად არის ხოლმე ციტირებული, უმთავრესი გარემოება ინდოევროპულისა და ქართველურის ურთიერთმიმართებასთან და-

43 D'iaconov 1985, 154.

44 Gamkrelidze/Ivanov 1985c, 177.

45 D'iaconov 1985, 118f. ი. დიაკონოვი უფრო მეორე შესაძლებლობისაკენ იხრება და აღნიშნულ იზოგლოსებს მიიჩნევს პროტო-ინდოევროპულისა და პროტო-ქართველურის კოლატერალური ნათესაობის დამადასტურებელ მოწმობად, რომელიც საერთო პროტო-ინდოევროპულ-პროტო-ქართველურ დიალექტურ კონტინუუმამდე (D'iaconov 1990, 61). დამახასიათებელია, რომ იგივე ავტორი გამორიცხავს ნებისმიერ ზანაში ქართველურის პირდაპირ კონტაქტს სემიტურთან (D'iaconov 1985, 124).



კავშირებით მანც ტიპოლოგიურია⁴⁶, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში მართვა
ბევრად უფრო ადვილია ამ ორ ოჯახს შორის ძალზე შორეული გე-
ნეტიკური კავშირების მტკიცება, ვიდრე რაღაცნაირი ისტორიული
სახის ურთიერთობებისა პროტო-ინდოევროპული ენის არსებობის
პერიოდის განმავლობაში⁴⁷.

ფაქტობრივად, თ. გამყრელიმისა და ვ. ივანოვის მიერ წარ-
მოდგენილი, პროტო-ქართველურსა და პროტო-ინდოევროპულს
შორის არსებულ ნასესხობათა ჩამონათვალი სიტყვები პროტო-ქარ-
თველურში ცალსახად წარმოდგება პროტო-ინდოევროპულიდან და
არაფერი დასტურდება საპირისპირო მიმართულებით⁴⁸. ეს ფაქტი,
ი. დიაკონოვის დაკირვებით, ეწინააღმდეგება თ. გამყრელიმისა და
ვ. ივანოვის ვარაუდს, ამ ორი პროტო-ენის თანაარსებობის თაობაზე
ერთსადაიმავე გარემოში, რაც, რა თქმა უნდა, უნდა გულისხმობდეს
აღნიშნულ ენათა შორის ორმხრივი ზემოქმედების არსებობას და არა
მხოლოდ ცალმხრივ მიმართულისას⁴⁹.

ზოგიერთი ენათმეცნიერი, როგორც ზემოთ ითქვა, ქართვე-
ლურს მიაკუთვნებს წინააღმდოევროპულ-ხმელთაშუაზღვისპირე-
თულ ანდა, ტრადიციულად, კავკასიურ ენობრივ ოჯახებს. ხშირად
ამ ორივე ოჯახს ერთმანეთთან გენეტიკურად აკავშირებენ. თუმცა

46 ი. დიაკონოვიც ასევე შენიშნავს საოცარ მსგავსებას არსებულს ქართვე-
ლურ და ინდევროპულ სიტყვათა სტრუქტურის ტიპოლოგიაში (D'akonov 1990, 61).

47 Mallory 1989, 150f.

48 Gamkrelidze/Ivanov 1985a, 20f.

49 D'akonov 1985, 118. გ. მელიქიშვილის მიერ თითქმის ორმოცი წლის წი-
ნათ გამოთქმული მოსაზრებით, ქართველური ენები ინდოევროპულ ენა-
თა შორის ლექსიკურ დამთხვევებს ავლენენ არა იმ ენებთან, რომლებთა-
ნაც მათ ჰქონდათ ისტორიული და აგრეთვე უცხველი წინასტორიული
კავშირები, როგორიცაა, მაგალითად, ხეთური, სომხური, ბერძნული ან ინ-
დო-არიული, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, სავსებით მოულოდნელად
ბალტურ-სლავურ-გერმანულ ენებთან (მელიქიშვილი 1965, 206, 240). შე-
ნიშნულია, აგრეთვე, რომ საზოგადოდ, ყველაზე ადრეულ ქართველურ-
ინდოევროპულ ენობრივ პარალელებს შორის თვალში საცემა ინდოევ-
როპული ლინგვისტური ჯგუფის სატემური არეალისათვის დამახასიათე-
ბელი რეფლექსების ნაკლებობა (Климов 1986, 155).

ბოლო ხანებში სპეციალისტები სულ უფრო სკეპტიკულად ანიჭან განწყობილნი ქართველურსა და ჩრდილოკავკასიურ ენათა შორის გენეტიკური კავშირის არსებობის მიმართ. ამ ენებს შორის ნათესა-ობა, ლინგვისტთა აღნიშნული ჯვეფის აზრით, შეუძლებელიც კი არის და მრავალრიცხოვანი საზიარო იზოგლოსები უნდა აიხსნას ქართველურში ჩრდილოკავკასიური სუბსტრატის არსებობით⁵⁰.

როგორც ვხედავთ, უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური და ენათმეცნიერული მონაცემები ხელსაყრელ შესაძლებლობას იძლევიან ძველ ახლოადმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთულ არეალში მიმდინარე ეთნოგრანეტური მოვლენების ახლებური ინტერპრეტაციისათვის. ანატოლიისა და კავკასიის ადრეული ბრინჯაოს ხანის პირველი ფაზის განმავლობაში მიმდინარე ზემოაღნიშნული მოვლენები, რომლებიც მირითადად ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულსა და მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარს მოიცავენ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა პროტო-ენების ურთიერთმიმართების საკითხთა კვლევის თვალთახედვით.

ადრეული ბრინჯაოს ხანის მეორე ფაზა

ცენტრალური ანატოლიის ადრეული ბრინჯაოს ხანის მეორე ფაზის დამახასიათებელ თავისებურებას, ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მაიკოპის კულტურისას, წარმოადგენს “სამეფო აკლდამების” გამოჩენა - კლასთა წარმოქმნის პროცესის უცილობელი ნიშან-თვისება⁵¹. მიუხედავად ამ გარემოებისა, ცენტრალური ანატოლიის “სამეფო აკლდამებში” გამოვლენილი დამარხვის წეს-ჩვეულებათა ზოგიერთი თავისებურება და ამ თავისებურებათა თითქმის სრული

50 D'ikonomov 1985, 174 n.17. უკანასკნელ ხანებში გამოითქვა ვარაუდი, რომ ჩრდილოკავკასიური ენები ენათესავებიან კეტურ (მდ. ენისეის აყოლებით) და სინო-ტიბეტურ ენებს. ი. დიაკონოვის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ კავკასიაში ჩრდილოკავკასიური ენები ადრეულ ხანებში იყო შემოტანილი ჩრდილოეთით ანდა ჩრდილოადმოსავლეთით მდებარე მხარეებიდან (D'ikonomov 1990, 62).

51 ქავთარაძე 1979, 83-92.

განსხვავება უფრო ადრეული თუ თანადროული ანატოლიური სკრიპტები მარხებისაგან, ისევე როგორც ამ აკლდამების სამარხეული ინვენტარის გარკვეული მსგავსება ჩრდილოეთ კავკასიის, ჩრდილოშავიზლვისპირის სპეციალული სტეპებისა და ყირიმის ნახევარკუნძულის ყორდანული კულტურის ელემენტებთან, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ ჩრდილოური წარმომავლობის ტომების შეღწევა და დასახლება ცენტრალურ და ჩრდილოეთ ანატოლიაში.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მოიპოვება მასალა ადრეული ჰელადური ხანის II პერიოდის დამლევსა თუ ამავე ხანის III პერიოდში ანატოლიიდან ეგეოსის ზღვის გადალახვით ხალხის დასავლეთის მიმართულებით გადაადგილების სამტკიცებლად. ეს მოვლენა არ არის გამორიცხული, რომ გამოწვეული ყოფილიყო იმავე ხანებში ახალმოსულთა დაწოლით, რომლებიც ანატოლიაში ჩრდილოეთიდან უნდა ყოფილიყვნენ შემოჭრილი, შესაძლოა სულაც კავკასიონის გადაღმა მდებარე მხარეებიდან⁵².

ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, სოფელ პავლოგრადის მახლობლად მდებარე მაიკოპის კულტურის ადრეული სტადიის გორა-სამარხში (ყორდანში) ნაპოვნი იყო ოთხთვლიანი ურმის ნაშთები⁵³. ასეთი ტრანსპორტის გამოყენებას შესანიშნავი შესაძლებლობა უნდა მიეცა აღნიშნული და მომდევნო ხანების ჩრდილოელი მესაქონლეობის მასიური გადაადგილებებისათვის შორეული მხარეებისაკენ და ვრცელ ფართობებზე. ახალ ტერიტორიებზე შეჭრილ მომთაბარეებს, მათი ძირითადი საქმიანობის, მესაქონლეობის ხევდრითი წილის ადგილობრივ საზოგადოებებში მნიშვნელოვანი ზრდითა⁵⁴, და ახალი მმართველი კლასის ჩამოყალიბებით ხელი უნდა შეეწყოთ ადგილობრივი საზოგადოე-

52 Hood 1973, 61.

53 Николаева/Сафронов 1983, 63.

54 ალაზა პორტუქის “სამეფო აკლდამების” თანადროულ მეორე ცენტრალურ-ანატოლიურ ძეგლის, ალიშარ ჰიოუქის ფენებში შეინიშნება მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვლების სიმრავლე. ამავე ძეგლის ადრეული ბრინჯაოს ხანის ყველა სხვა პერიოდის ნაშთებში ცხვრის მოშენების წამყვანი ადგილი საქსებით ეჭვს გარეშეა (იხ. Osten van 1937, 302).

ბის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური დიფერენციაცია ცის.

კულტურული და მასთან ძირითადად დაკავშირებული ენობრივი ცელილებების ფუნქციური დანიშნულება ხშირ შემთხვევაში იყო საზოგადოებრივი სტრატიფიკაციის პროცესის დაჩქარების აუცილებლობა, რაც საერთო ფენომენს წარმოადგენდა ადრეული ლითონების ხანის ახლო აღმოსავლეთისა და მისი პერიფერიისათვის. ამ ფუნქციას ძვ.წ. მესამე-მეორე ათასწლეულებში ასრულებდნენ ძირითადად ჩრდილოეთიდან გადმოსული და ამასთანავე ინდოეროპული წარმომავლობის მქონე შედარებით მობილური მესაქონლეტომები. თუმცა მსგავსი ფუნქციის ქონა არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ინდოევროპული წარმომავლობის მქონე ტომების პრეროგატივა. არ ჩანს საფუძველი, რის გამოც უარი უნდა ეთქვათ სხვა ტომთა წარმომადგენლებს ჰქონოდათ ასეთივე ან მსგავსი დაკრძალვის წესები; ზოგიერთ შემთხვევაში გორა-სამარხები ნაპოვნია იმ რეგიონებში, სადაც უფრო გვიან ხანებში არაინდოევროპელი მოსახლეობის არსებობაა დადასტურებული⁵⁵. მსოფლიოს სხვა მორეული რეგიონების მონაცემთა გათვალისწინების გარეშე, საკმარისია გავიხსნოთ სამხრეთელი, სემიტი, მესაქონლების მიერ ახლო აღმისავლეთის სხვადასხვა მხარეებში განხორციელებული ფუნქცია ან, ბევრად უფრო გვიან, ადრეულ შუა საუკუნეებში, ჩრდილოაღმოსავლელი (ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთული თვალთახედვით), ევრაზიის სტეპებიდან შემოჭრილი და ალთაური წარმომავლობის ნომადი ტომები, რომელთათვისაც ასევე დამახასიათებელი იყო ყორდანული ტიპის დაკრძალვის წესის არსებობა. როგორც ვხედავთ, დასაშვები ჩანს ანალოგიური სოციალური ფუნქცია და მესაქონლეობისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის წეს-ჩვეულებები სრულიად განსხვავებული წარმომავლობის ტომების ნიშან-თვი-

55 ამავე დროს, მონაცემები ყორდანული დამარხვის წესთან დაკავშირებული სამარხების არსებობის შესახებ, საერთოდ არ არის წარმოდგენილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადრეული ინდოევროპელებით, ლუვიელებით დასახლებული სამხრეთ და დასავლეთ ანატოლიის ტერიტორიიდან (Mallory 1989, 30).

სეას წარმოადგენდეს.⁵⁶ მაივოპის კულტურის მატარებელთა ყორებაზე ღამული დამარხვის წესისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება შეინიშნება ახ.წ. მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებით დათარიღებულ ბელორეგნისკის ყორღანებში, რომლებიც ჩრდილოდასავლეთკავასიური, ადიღეურ-ჩერქეზულ ტომთა დანატოვარს წარმოადგენენ.⁵⁷

56 ი. დიაკონოვის აზრით, დაკრძალვის ანალოგიური წესი გავრცელებული უნდა ყოფილიყო პროტო-ქართველურ ტომებში (მდრ. D'akonov 1985, 120f.). იგი ფიქრობს, რომ ქართველური ენის თავდაპირველი მატარებლები ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან შემოვიდნენ და მათ არქეოლოგიურ გამოხატულებად ჩრდილოეთ კავკასიის მაივოპის კულტურასა და კახეთში აღმოჩენილ ყორღანებს მიიჩნევს (D'akonov 1990, 62). სხვა შეხედულების თანახმად ყორღანული დამარხვის წესი ამიერკავკასიაში ინდოევროპელებს უნდა შემოეტანათ. ო. ჯაფარაძის მიხედვით, სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ინდოევროპული ელემენტების არსებობა ქართველურ ენებში (Dzhaparidze 1993, 489). ჯ. მელორის განცხადებით, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდებარე “სამეფო აკლდამებს” შორის მსგავსება შესაძლოა გამოიწვია ორივე ამ რეგიონის ადრეული ბრინჯაოს ხანის იერარქიულად დაწინაურებული წრეების ჩაბმას პრესტიული საგნებით ურთიერთშორის გაცვლით ქსელში და მათ მოთხოვნილებას მოეწყოთ თავიანთი საბოლოო განსასვენებელი განსაკუთრებით შთამბეჭდავი ფორმით. მისი აზრით, ვინაიდან მოსალოდნელი იყო მტკვარ-არეზის კულტურა თანდათანობით გადაზრდილიყო სოციალურად უფრო მეტად დიფერენცირებულ საზოგადოებაში, რომელშიც ძალაუფლებისა და ქონების სიმბოლური გამოხატულებების არსებობას შეეწყობოდა ხელი, აյ მიმდინარე სოციალური ცვლილებები უფრო ლოკალურად აღმოცენებულად უნდა იყოს მიჩნეული, ვიდრე საიდანღაც შემოტანილად და თავს მოხვეულად (Mallory 1989, 30, 233).

57 მაგ. ფედოროვ 1975, 80f. ჯ. მელორი ფუჭად მრიჩნევს ზოგიერთ მკვლევართა შეირ გამოყენებულ იმ არგუმენტებს, რომლებიც თითქოსდა უნდა მოწმობდნენ ცენტრალურ ანატოლიაში მიკვლეულ ალაჯა ჰუიუქის “სამეფო აკლდამების” ინდოევროპულ კუთვნილებას; თუმცა, ამავე დროს, იგი თვლის, რომ მუდმივი კონტაქტები ანდა მიერაციებია მხედველობაში მისაღები ჩრდილოეთ ანატოლიის ცენტრალური ნაწილის “სამეფო აკლდამებას” (მაგალითად, ალაჯა ჰუიუქის ცამეტი სამარხის) და კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე მხარეებიდან ცნობილ გარეულად ანალოგიურ და ერთმანეთთან ახლო მყოფი სამარხეული ინვენტარის შემცველ სამარხებს შორის მსგავსების ასახსნელად (Mallory 1989, 30, 168).

მაიკოპის კულტურის მკვლევრები ამ და ზოგიერთ მომდევნო კულტურას მიაკუთვნებენ აფხაზურ-ადილეური ტომების სტრუქტურას რებს⁵⁸. ვფიქრობ, შესაძლებელი უნდა იყოს აგრეთვე ცენტრალური ანატოლიის ხათური (პროტო-ხეთური) მოსახლეობა - რომლის ენაც ავლენს განსაზღვრულ მსგავსებას სტრუქტურული და მატერიალური თავისებურებების მხრივ აფხაზურ-ადილეურ ენებთან⁵⁹ - დავაკავშიროთ ცენტრალური ანატოლიის “სამეფო აკლდამების” კულტურასთან⁶⁰, რომელიც, თავის მხრივ, ავლენს ზოგიერთი სტრუქტურული და მატერიალური ნიშან-თვისებების მსგავსებას (კალდამების მოწყობისა და სამარხეული ინვენტარის მხრივ) ჩრდილოელი მესაქონლეების დაკრძალვის წეს-ჩვეულებებთან. ამ გარემოების გათვალისწინებით, ხათების გამოჩენა ცენტრალურ ანატოლიაში სავარაუდო ხდება დაუკავშირდეს ჩრდილოეთ კავკასიიდან მათ შესაძლო მიგრაციას, რასაც ადგილი უნდა ჰქონდა გვიანმაიკოპურ ან, რაც ალბათ უფრო მოსალები ჩანს, ადრეულ “პოსტ-მაიკოპურ” ხანაში⁶¹.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია კავკასიური და ანატოლიური ქრონოლოგიური კონსტრუქციების შეთანაწყობა. აღნიშნულ რეგიონთა ზღვისპირეთის კულტურული ფენების ქრონოლოგიური ადგილის გარკვევაში განსაკუთრებული ადგილი უნდა მიენიჭოს ზღვის დონის ცვალებადობის სინქრონულობის განსაზღვრას. მაგრამ ეს უფრო მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. კავკასიისა და ანატოლიის ადრეული ლითონების ხანის ქრონოლოგიურ განზომილებათა შემუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ცირკულაციური ზონის, არქეოლოგიური პრობლემატიკისათვის, არამედ მთლიანად ძველი სამყაროსათვის. მათი მონაცემების მხედველობაში მიღების გარეშე ძალზე ძნელი იქნება რამდენადე საიმე-

58 Марковин 1960, 116, 147; Федоров 1975, 74.

59 Дунаевская 1960, 73-77; Дьяконов 1967, 173.

60 იხ. Kammenhuber 1969, 329.

61 შდრ. ქავთარაძე 1978^{passim}. ჩრდილოელ მესაქონლეთა ეს ნავარაუდევი აქტიურობა, როგორც ჩანს, არ უნდა ყოფილიყო მათი პირველი ცდა ახლო აღმოსავლეთში კავკასიის გავლით შეღწევისა (შდრ. Loon van 1978, 7-11, 57-62; Winn 1981, 113-118; Mallory 1989, 30; Мунчав 1994, 169).

დო საერთო ევროპული ქრონოლოგიური შეკალის მიღება. საქმე იმანაცვლება და მისამართი იმ შესაძლებელი იქნას, რომ სწორედ ანატოლიასა და კავკასიაში ჩანს შესაძლებელი იქნას „რღვევის ზოლის“ ორთავე ნაპირის ერთმანეთთან დაახლოება, რომელიც წარმოიქმნა ჯერ რადიონახშირზადული დათარიღების მეთოდის არქეოლოგიური ძეგლების დათარიღებისათვის გამოყენებისა და შემდეგ ამ მეთოდით მიღებული თარიღების შესწორების აუცილებლობის შედეგად და რამაც მიახლოებითი ისტორიული ქრონოლოგიების მქონე მხარეები (ეგვიპტე, მესოპოტამია და სხვ.) დააშორა უპირატესად ფიზიკური მეთოდის საშუალებით დათარიღებულ რეგიონებს⁶².

უაღრესად ხელსაყრელ გარემოებას კავკასიისა და ანატოლიის ადრეულ კულტურათა აბსოლუტური და შედარებითი ქრონოლოგიის შემუშავებისათვის წარმოადგენს ის გარემოება, რომ სირია-მესოპოტამიის ნამოსახლარებზე გამოვლენილი ანატოლიური და კავკასიური წარმომავლობის არქეოლოგიური მასალა თარიღდება ისტორიული ქრონოლოგიების მეშვეობით, ხოლო რადიონახშირზადული ტექნიკით დათარიღებულ ანატოლიურ და კავკასიურ კულტურულ ფენებში დასტურდება სირიულ-მესოპოტამური, ანუ უკვე თავისთავად ისტორიული ქრონოლოგიების საშუალებით თარიღდანსაზღვრული, მასალები. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთანატოლიურ ძეგლებზე ჩატარებული გათხრები, სადაც ძვ.წ. მეოთხე-მესამე ათასწლეულების ფენებში აღმოსავლეთ- და ცენტრალურანატოლიურ მასალების გვერდიგვერდ აღმოჩნდა მესოპოტამური და კავკასიური წარმომავლობის მასალები. შესაბამისად, ამ ფენებისათვის მესოპოტამიისა და ეგვიპტის ისტორიულ ქრონოლოგიებთან კორელაციის საშუალებით მიღებული თარიღები თავისთავად წარმოადგენენ ანარიშგასაწევ არგუმენტს ძველაღმოსავლური ცივილიზაციების ჩრდილოეთი პერიფერიის (ჩრდილოეთი კავკასიის ჩათვლით) არქეოლოგიური

62 შდრ. Renfrew 1973, 104f., figs.20f.; ქავთადვე 1983, 34f.



ები⁶⁶. რა თქმა უნდა ბევრად უფრო სანდო იქნებოდა ბიოქიმიური კვლევის შედეგები, რომლებიც ამ რეგიონებისათვის სამწუხაროდ ძალზე ნაკლულია⁶⁷.

გაურკვეველი რჩება წინახათური ხანის ცენტრალური და ჩრდილოეთ ანატოლიის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხი. ამ პრობლემასთან დაკავშირებით უპირველეს ყოვლისა მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ხეთურ ენაში შემონახული ის არაინდოევროპული ფენა, რომელიც ვერ აიხსნება ხათური ენის მეშვეობით. ვფიქრობ, მასში უნდა იყოს შემონახული იმ მოსახლეობის ენა, რომელიც ეტყობა სუბსტრატული იყო არა მხოლოდ ხეთური ენისათვის, არამედ ალბათ ხათურისათვისაც. ზემოთ მოხსენიებული დაკვირვებებისა და აგრეთვე ქართველურ და ხათურ ენებს შენიშნუ-

66 მაგ., კავკასიაში ჯერ კიდევ არსებობს ჩვილი ბავშვის თავის დამრგვალების ჩვევა, აკვანში მისი მჭიდროდ შეხვევით.

67 ქ. რენფრიუს განცხადებით, უახლოეს მომავალში ბირთვულ და მითო-ქონდრიულ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავაზე (დნმ) დაფუძნებული მოლეკულარული გენეტიკის წარმატებები და ადამიანთა განათხარი ნაშთებისაგან მიღებული შორეულ წარსულში არსებული გენეტიკური ურთიერთობების ამსახველი შედეგების გამოყენება, ხელს შეუწყობს ახალი დარგის, „ისტორიული გენეტიკის“ აღმოცენებას (Renfrew 1992, 446; Renfrew 1993, 40f., 44). ანთროპოლოგიური მონაცემების ინტერპრეტაციისას მორფოლოგიური კრიტერიუმების უკმარისობაზე ჯერ კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ამახვილებდა ყურადღებას ჯ. ლოურენს ენჯვალი, რომელიც ძველი ტროის მოსახლეობის რთული და მრავალფეროვანი რასიული კავშირების განხილვისას შენიშნავდა, რომ „განსხვავებული წარმომავლობის მოსახლეობის გენეტიკური ურთიერთკავშირის საფუძვლი-ანი ანალიზის დროს არსებულ სხვაობებზე დაკვირვება ცხადყოფს, როგორც თანამედროვე მეტრული და კვლევის სხვა გარეგნულ-დაკვირვებითი მეთოდების არაკომპეტენტურობას, ასევე იმ ნიშან-თვისებათა კომბინირებული შესწავლის აუცილებლობას, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა “სახეობათა” “აბლაბუდებში” არიან აღრეული და რომელთა ხელახალი შეთავსებადობის საკითხის გამოსარკვევად საჭირო ხდება ცალკეულ გენ-თა და ქრომოსომთა დამაკავშირებელი ჯგუფების მრავალგვაროვანი ზემოქმედების გამოკვლევა” (Lawrence Angel 1951, 30).

ლი სიახლოვის⁶⁸ გათვალისწინებით, არ უნდა იყოს გამორიცხულია ადრეული ბრინჯაოს ხანის ანატოლიის ცენტრალურ და ჩრდილოეთ რეგიონებში პროტო-ქართველურ ტომთა განსახლება.

საფიქრებელია, რომ ქართველური ერთობა უნდა ჩამოყალიბებულიყო ანატოლიაში ადრეული ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე, ადგილობრივი, ანატოლიური და დასავლეთიდან ახალშემოსული ტომების შეჯვარების შედეგად⁶⁹. შედარებით უფრო გვიან უნდა

68 Дьяконов 1967, 175f.; Кондратьев/Шеворошкин 1970, 134; Girbal 1986, 160-163; Mallory 1989, 26; Gragg 1995, 2177. ქ. გირბალი ხათურს ქართველურ ენებს კიდევაც მიაკუთვნებს, ოღონდ იგი მხოლოდ ლექსიკურ მონაცემებს ეყრდნობა.

69 ენათმეცნიერებაში კონვერგენცია, განსხვავებით დივერგენტული პროცესებისაგან, ჩვეულებრივ შეუმჩნეველი რჩება ხოლმე; ამ გზით ენათა ან ენათა ოჯახების ჩამოყალიბებას ისტორიული ენათმეცნიერება უარყოფს. თუმცა, როგორც ქ. რენფრიუ შენიშნავს, ლინგვისტური კონვერგენციის გენეტიკური ტყუპისცალი, რომელიც შეჯვარების შედეგად არის აღმოცენებული - "გენების დინება" - შესაძლებელია როგორც ხელშემწყობ, ასევე შემაფერხებელ ძალად მოგვევლინოს ცვლილებათა ჩასახვისა და ახალ სახეობათა ჩამოყალიბების დროს (Renfrew 1992, 448, 453). ნ. ტრუბეცკოის საექსპერიმენტოდ წამოყენებული წანადადების მიხედვით, არასოდეს არ-სებულა ერთიანი პროტო-ინდოევროპული წინაპრული ენა, არამედ უფრო მოსალოდნებელია, რომ გენეტიკურად ერთმანეთის არამონათესავე ენები საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში ურთიერთზემოქმედებდნენ, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბებინათ ამორფულად შეკავშირებული *Sprachbund*-ი, რომელიც შემდეგ რეკონსტრუირებულ იქნა ლინგვისტთა მიერ როგორც პროტო-ინდოევროპული ენა (Trubetzkoy 1939, 81-89; Friedrich 1975, 67). როგორც ჩანს, კონვერგენცია და დივერგენცია წარმოადგენდნენ "ერთი და იმავე მონეტის ორ მხარეს" და მათ არცთუ ისე იშვიათად ერთდროულად უნდა ჰქონოდათ ადგილი ენობრივი განვითარების მსვლელობისას.

ბოლო დროს შენიშნული იყო, რომ თუმცა ლინგვისტური რეკონსტრუქციის მიმდინარეობა, ძირითადად ფოკუსირებული პოსტულირებულ, წინაპრულ ფორმებზე, გამუდმებით აღადგენს თითქოსდა ისტორიული განვითარების პროცესის ერთადერთ გამომხატველ ე.წ. "გვაროვნული ხის" სტრუქტურას და განიხილავს დივერგენციას ენობრივი ცვლილების ერთადერთ ფორმად, კონვერგენცია, როგორც ირკვევა, უნდა ყოფილიყო თანაბრად გავრცელებული მოვლენა და პილვინიზაციისა და კრეოლიზაციის პროცესების საშუალებით აღბათ წარმოადგენდა ენათა

მომხდარიყო ქართველური ტომების პერიოდული ინფილტრაცია⁷⁰ ანატოლიიდან ამიერკავკასიის - მათი ისტორიული სამშობლოს - მიმართულებით. მხედველობაშია მისაღები, რომ გარკვეული ნაწილი ხეთურ-სომხური ლექსიკური პარალელებისა, რომლებიც მცირე გამონაკლისის გარდა არაინდოევროპული წარმომავლობისაა და როგორც ჩანს წარმოდგება მცირე აზიის ადგილობრივი მოსახლეობის ლექსიკონიდან⁷¹, დასტურდება ქართველურ ენებშიც, რომლებიც სხვა კავკასიურ ენებთან ერთად უძველესი ახლოადმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთული სამყაროს ცოცხალ რელიქტებს წარმოადგენენ.

პროტო-ქართველური ტომების პირველსაცხოვრისად ანატოლიის მიჩნევა, ერთი შეხედვით, მხარდაჭერას უნდა ღებულობდეს უკანასკნელი ხანების ენათმეცნიერული გამოკვლევების მონაცემების მიხედვით. მათ შუქზე ხათური ენა უშუალოდ ჩრდილოკავკასიური ენობრივი ოჯახის ჩრდილოდასავლურკავკასიურ (აფხაზურადიღეურ), ხოლო პროტო-ხური-ურარტული - ჩრდილოადმოსავლურკავკასიურ (ნახურ-დაღესტნურ) ჯგუფებში ექცევა⁷¹. ასეთ ვითარებაში ქართველურისათვის არა მხოლოდ დასავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში აღარ რჩება ადგილი, არამედ არც მათ სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთით მდებარე მხარეებშიც, რომლებიც, შესაბამისად, ხათურ-ჩრდილოდასავლეთკავკასიურ და მისგან აღმოსავლეთით მდებარე პროტო-ხურიტულ-ურარტულ-ჩრდილოადმოსავლეთკავკასიურ ერთობებით დასახლებულებად შეიძლებოდა წარმოგვედგინა. თუმცა, როგორც ჩანს, დასავლეთ ამიერკავკასია

ცვლილების სულ უფრო მზარდ თავისებურებას ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ინტენსიური რეგიონთაშორისი ვაჭრობის ისტორიულ პირობებში (Sherratt/Sherratt 1988, 585). სინამდვილეში, ახალმოსულთა შემოსევებისა და ზოგიერთ ტომთა სხვა ტომთაგან დამონების შედეგად განსხვავებული წარმომავლობის ტომთა შერწყმა-შეჯვარებას, კლასთა წარმოქმნის პროცესის ადრეულ სტადიაზე მყოფი საზოგადოებების სახეცვლილებისათვის აღმართ უფრო გადამწყვეტი ფაქტორი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ინტერ-რეგიონალური ვაჭრობა.

70 Greppin 1975, 89.

71 მაგ., Diakonoff/Starostin 1986, 1-15, 95-99.

და აღმოსავლეთ ანატოლია ძვ.წ. გვიან მეოთხე - ადრეულ მესამე ათ-
ასწლეულებში წარმოადგენდნენ “საკონტაქტო ზონებს” ახლო-აღმო-
სავლეთის ჩრდილოური პერიფერიის სამ მნიშვნელოვან კულტურას
შორის: ცენტრალურანატოლიურ “ბუიუქ გიულიუჯექის”, ჩრდილო-
ეთ კავკასიის დასავლეთ და ცენტრალური რეგიონისათვის დამახა-
სიათებელ მაიკოპისა (ან/და მისი მომდევნო ხანის “ჩრდილო-
კავკასიური კულტურის”) და ჩრდილოაღმოსავლეთ კავკასიაში, ცენ-
ტრალურ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, დასავლეთ
ირანში, აღმოსავლეთ ანატოლიასა და სირია-პალესტინაში გავრცე-
ლებულ მტკვარ-არეზის, რომლებიც (ეს სამი კულტურა) იქნებ გაგვა-
იგივებინა, ძალზე არამკვეთრი კონტურებით, სამხრეთ (ქართვე-
ლურ), ჩრდილოდასავლეთ და ჩრდილოაღმოსავლეთ⁷² კავკასიურ
ენების მატარებელთა წინაპრებთან.

ადრეული ბრინჯაოს ხანის მესამე ფაზა

მკვლევართა შორის ძირითადად თანხმობა იმ საკითხში, რომ
ხეთური ტომები ანატოლიაში სხვა რეგიონიდან არიან მოსული ად-
რეული ბრინჯაოს ხანის შედარებით გვიანდელ პერიოდში და ამდე-

72 არა მხოლოდ ჩრდილოაღმოსავლეთკავკასიური ენების მატარებელ ტომ-
თა მიერ დასახლებული ტერიტორიები ემთხვეოდა მტკვარ-არეზის კულ-
ტურის გავრცელების არაელს, არამედ აგრეთვე თვით ხურიტებსაც, ძვ.წ.
გვიან მესამე ათასწლეულის ზემო მესოპოტამიაში მოსახლეებს, როგორც
ირკვევა, თავისი პირველსაცხოვრისი აღმოსავლეთ ანატოლიაში, იმავე
მტკვარ-არეზის კულტურის ერთ-ერთ ადრეულ ცენტრში, ჰეონიათ (შდრ.
Burney 1958, 157-209; Burney 1989, 45, 48, 50f.; D'akonov 1990, 63; Wilhelm
1995, 1244f.). უფრო გვიან ხანებში ხურიტების მატერიალური კულტურა
ძნელი გასარჩევი ხდება მათ მეზობლად მცხოვრები სხვა ახლოიაღმოსავ-
ლელი ხალხებისაგან (Potts 1994, 21). იმ ხანად მათთვის დამახასიათებუ-
ლი კერამიკა ნაკლებად განირჩეოდა ახლო აღმოსავლეთში გავრცელებუ-
ლი სხვა თანადროული ნაწარმისაგან და მათ მსგავსად ატარებდა დროის
ნიშან-კვალს - ჭურჭლის მოხატვის ტრადიციას. ხურიტების ამიერკავკასი-
ური წარმომავლობაის ვარაუდი ჯერ კიდევ ე. შპაიზერის მიერ იყო გა-
მოთქმული (Speiser 1941).

ნად ანატოლია არ შეიძლება ყოფილიყო მათი პირველსაცხოვრისიდან⁷³ არაინდოევროპული სუბსტრატი საკმაოდ მკაფიოდ არის წარმოდგენილი “ხეთურ” (ინდოევროპულ-ანატოლიურ) ენებში⁷⁴. ადგილობრივ, ავთოქტონურ ენებს შორის თითქოს ყველაზე უფრო საფიქრებელი ჩანდა, რომ ხათური ყოფილიყო მიჩნეული სუბსტრატულ ენად “ხეთურ იმპერიულ არეალში”⁷⁵.

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ანატოლია არ წარმოადგენდა ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისს, თავისთავად გაგვიჩნდება კითხვა: როდის გამოჩნდნენ ანატოლიაში ინდოევროპულ-ანატოლიურ ენებზე მეტყველი ტომები და საიდან მივიდნენ ისინი იქ?

ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, საკმაო საბუთი მოიპოვება იმის სამტკიცებლად, რომ ხათური ენა გავრცელე-

73 მაგ. Puhvel 1994, 253. როგორც შენიშნავენ, იმდენად დიდი რაოდენობით იჩენს თავს მთელი ანატოლიის გაყოლებაზე ძნელად გასარკვევი ტოპოდა ანთროპონიმები, რომ აღარ რჩება არავითარი სხვა შესაძლებლობა გარდა არაინდოევროპული სუბსტრატის იქ არსებობის დაშვებისა (Mallory 1989, 64f.).

74 ვინაიდან ხეთური ენა არაინდოევროპული სუბსტრატის ზეგავლენის ღრმა კვალს ატარებს, ხოლო ხეთური რელიგია და ლიტერატურა ატარებს ინდოევროპული სამყაროსათვის დამახასიათებელ თავისებურებათა მხოლოდ სუსტ ნიშნებს, ნავარაუდევი იყო, რომ შესაძლოა ცენტრალურ ანატოლიაში ადგილი ჰქონდა ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის მხოლოდ თხელი ფენის არსებობას, რომელიც სუპერსტრატს წარმოადგენდა ადგილობრივი არაინდოევროპული მოსახლეობის წიაღში; ხოლო ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანწილად უნდა შეენარჩუნებინა თავისი ძველი კულტურა (Zimmer 1990, 325). აშკარად ადრეულ ხანაში ნასესხებ სიტყვათა რიცხვი და მათი შინაარსობრივი ყოვლისმომცველობა მოწმობს, რომ მცირე აზიას, წინაბერძნული ეგვიპტისპირეთისა და წინაადრეიტალიკური აპენინების ნახევარკუნძულის მსგავსად, გააჩნდა მნიშვნელოვანი, შინადარი არაინდოევროპული მოსახლეობა, ვიდრე იქ ინდოევროპული ოჯახის ანატოლიური, ფრიგიული და სომხური ენების მატარებელი ტომები შეაღწევდნენ (Ehret 1988, 573).

75 Friedrich 1975, 48. ამავე დროს, უფრო გვიან ხანებში დადასტურებული ქაშქური მოსახლეობა განიხილებოდა ხოლმე ხათების ერთ-ერთ ეთნიკურ ნარჩენად, რომელიც ჩრდილოეთისაკენ ხეთების ექსანსიის შედეგად იყო გარეკილი (შდრ. გიორგაძე 1961; Singer 1981, 123).

ბული იყო ცენტრალური ანატოლიის დიდ ნაწილზე, მდ. კიზილი ირმაკის (ხეთური - მარსანთა, კლასიკური ხანის - ჰალისი) რეგიონში შეინით და მოიცავდა ხათუსას (მოგვიანებით ხეთების დედაქალაქი) ტერიტორიას, ვიდრე იქ ხეთური (ნესიტური) ენა იქნებოდა გამოყენებული. ხეთური პანთეონის რამდენიმე წარჩინებულ ღვთაებას ხათური სახელები ერქვათ⁷⁶. ნესიტური და ფალაური (ციდევ ერთი ინდოევროპული-ანატოლიური ენა ლუვიურთან ერთად, ხეთურ-ნესიტურის გარდა) ენების გამორჩეული თავისებურებანი დამაჯერებლად შეიძლება მიენიჭოს ხათურის ზეგავლენას. ხეთები *hattili*-ს (ანუ “ხათის ენას”) უწოდებდნენ არა თავიანთ ინდოევროპულ ენას, არამედ არაინდოევროპელი ხათებისას, მიმართავდნენ რა მათ სახელწოდება “ხათიზე” დაფუძნებული ზედსართავით; თუმცა ამავე დროს სახელწოდება “ხათით” ისინი აღნიშნავდნენ თავიანთ საკუთარ მიწა-წყალს - აშკარაა, რომ ეს სახელწოდება მათ შეითვისეს მათვე წინამორბედი, ხათურ ენაზე მეტყველი მოსახლეობისაგან⁷⁷.

76 რ. გორნის შიხედვით, ცენტრალური ანატოლიის დაქვემდებარების შემდეგ, ხეთებმა, ისევე როგორც მათ ეს გააკეთეს ცხოვრების სხვა სფეროში, ხელი მოყევს წინახეთური ხანის ღვთაებების „კოთპტირებასა“ და ხელა-ხალ ფორმირებას თავისი ძალაუფლების ლეგიტიმიზაციისა და საწინააღმდეგო იდეოლოგიური მოთხოვნილებების აღმოცენებისაგან თავის არიდების მიზნით; იმისათვის, რომ კავშირში მოეყვანათ ეს ღვთაებები ხეთურ ტრადიციასთან, ხეთები ხშირად აღწევდნენ წარმატებას მათი წინახეთური კუთვნილების დამცრობაში (Gornyi 1995, 69). თუმცა მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ხათუსილი I-ის და მისი მემკვიდრეების ზეობის სახელები ხათური იყო და არა ხეთური. ხათური იყო სამეფო კაიის მთავარი ღვთაებები და მათ, ამასთანავე, როგორც წესი, ხათურ ენაზე მიმართავდნენ ხოლმე. ხათური დღესასწაულები წარმოადგენდნენ ნიმუშებს ხეთური ხანის ადრეული რელიგიური კულტებისათვის, ხოლო ხათური მითები გადმოსცემდნენ ადრეულ ხეთურ ოფიციალურ ღვთის-მეტყველებას (შდრ. Drews 1988, 66; McMahon 1995, 1984f.).

77 ხეთურსა და ფალაურზე ხათური ენის ზემოქმედების გათვალისწინების გამო, ხათების უფრო ადრეული, ხეთამდელი ხანის, განსახლების არქალად მიიჩნევენ შემდეგში ნესიტი-ხეთებისა და ფალაელების მიერ დაკავშულ მდ. კიზილ ირმაკის რკალის შეგნით და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიებს, პაფლაგონიასა და აღმოსავლეთ პონტოს მთებს (Hoekwink Ten Cate 1995, 261). მდ. კიზილ ირმაკის სამხრეთით გაბატონებულ ლუვიურ

როგორც რ. ქროსლანდი ხაზგასმით შენიშნავს, ყოველივე ამის შედეგად მიღებული “ეკონომიკური” დასკვნა იქნებოდა მხოლოდ ის, რომ ხეთური ენა ხათურზე შედარებით გვიან გამოჩნდა ცენტრალურ ანატოლიაში⁷⁸. მხედველობაშია მისაღები ზემოაღნიშნული ფაქტიც, რომ ხეთურ-სომხური ლექსიკური პარალელების უმეტესი ნაწილი არაინდოევროპული ხასიათისაა.

ყველაზე ადრეული მონაცემები ინდოევროპულ ენებზე მეტყველთა შესახებ მიკვლეულია ქანესის, იგივე ნესის (ქიულთეფე ქალაქ კაისერისთან, ძველი კესარია, იგივე მაზაკა) მცელასურული არქივების ე.წ. კაპადოკიურ ფირფიტებში ასახული ანთროპონიმებისა და ლექსების წყალობით. თვით საკუთრივ ინდოევროპული “ხეთური” ენაც ამ ქალაქის სახელის მიხედვით იყო წოდებული “ნესიტურად” ანუ *nisiili* - ნესის ენა⁷⁹. ამ მონაცემების გამო მკვლევრები ჩვეულებრივ ვარაუდობენ ხოლმე, რომ ხეთები (ნესიტები) პირველ ყოვლისა ცენტრალური ანატოლიის ზეგნის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში იყვნენ ფეხმოკიდებულნი, ვიდრე მდ. კიზილ ირმაკის გადალახვის შემდეგ უფრო გაფართოვდებოდნენ და ჩრდილოეთით ხათურისას მიაღწივდნენ, რომელიც შედარებით გვიან გახდა მათი პოლიტიკური ცენტრი, ნესის ნაცვლად. ისტორიული წყაროების მონაცემების საფუძველზე ნავარაუდევია, რომ ქანესსა და ზემო ევფრატს შორის მდებარე მხარე ძვ.წ. მესამე-მეორე ათასწლეუ-

ენაში ხათურის ზეგავლენის არქონაც ხათურის გავრცელების არეალს ისევ ზემოდასახელებული ოჯგონებით შემოფარგლავს (Gragg 1995, 2175). ი. დავკონვის აზრით, სუბსტრატს ლუვიურისათვის, ისევე როგორც მცირე აზიის დარჩენილი მხარეებისათვის და კვიპროსისათვის, ლემნოსისათვის და სხვ. უნდა ყოფილიყო ჩრდილოაღმოსავლეთ კავკასიური (D'ikakonov 1990, 63).

78 Crossland 1957; Crossland 1973, 277. ენათმეცნიერები ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მთელი რიგი სუბსტრატული სიტყვებისა, რომლებიც ადრეული ხანების მექვიდრეობას წარმოადგნენ, შემონახული იყო უფრო გვიანდელ - შუმერულ, აქადურ და ხეთურ - ლექსიკონებში (შდრ. Hallo/Simpson 1971, 17).

79 ქანეს/ნესაში არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ლაპარატობდა ნესიტურად (ხეთურად), არამედ ტიტულოვანთა დიდ ნაწილს, მმართველთა ჩათვლით, ერქვა ხეთური სახელები (Singer 1981, 126).



ლების მიჯნაზე და შესაძლოა რამდენადმე უფრო ადრეც თუ თების ადრეული საცხოვრისის⁸⁰. ძვ.წ. მეორე ათასწლეულის დასაწყისის ასურული ტექსტების ექსტრაპოლაციის საფუძველზე შესაძლებელი ჩანს იმის განცხადება, რომ ძვ.წ. მესამე ათასწლეულის მეორე ნახევარში “ხეთების” არსებობა უკვე დასტურდება ცენტრალური ანატოლიის სამხრეთ ნაწილში⁸¹.

ვინაიდან ცენტრალური ანატოლიის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული ქუსარის მმართველები ხათუსელი

80 Singer 1981, 129. შენიშნულია, რომ დაყოფა ხათურ და ხეთურ ზონების შორის შეესაბამებოდა მიახლოებით იმ გამყოფი ზოლის ორ მხარეს, რომელიც გადაჭიმული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, თითქმის მდ. ჰალისის (კიზილ ირმაკი) პარალელურად (Singer 1981, 125).

81 კაპადოკიური ფირფიტების ანატოლიური ონომასტიკონის მონაცემების გათვალისწინების შედეგად, თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ სამივე ინდოევროპულ-ანატოლიურ ენას (ნესიტურს, ლუვიურსა და ფალაურს) განვითარებისა და ჩამოყალიბების ძალზე ხანგრძლივი დრო უნდა გაეარათ მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დაშორდნენ (Gamkrelidze/Ivanov 1985a, 5). მათი აზრით, ეს ტომები უძველეს მცირე აზიაში და სახლდნენ არა შემოსევებისა და ახალი ტერიტორიების დაპყრობის გზით, რომელიც აღვიდა პირისაგან მიწისა ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს, არამედ ამ რეგიონის მოსახლეობაში თანდათანობითი ინფილტრაციის საშუალებით. ამავე დროს, იგივე მკვლევრები აღიარებენ ხეთური და ფალაური ენების ხათურთან ხანგრძლივ ურთიერთობას (Gamkrelidze/Ivanov 1985b, 51). კარგად არის ცნობილი, რომ ხეთურმა და ფალაურმა როტუალური და სოციალური ტერმინების დიდი ნაწილი ხათურისაგან ისესხეს (Kammenhuber 1969, 431-436; Gamkrelidze/Ivanov 1985b, 51). ჯ. მულორი ხაზებასმით აღნიშნავს, რომ ინდოევროპელ ანატოლიულებს უკვე ჰქონდათ გავლილი მნიშვნელოვანი ასიმილირების პროცესი არაინდოევროპელი ანატოლიულების კულტურასთან, როდესაც ისინი ისტორიის შუალედი ანატოლიულების კულტურასთან, როგორც ისინი ისტორიის შემთხვევაში ვერ ჩაითვლება შესევად და დაპყრობად, ვინაიდან პროტო-ანატოლიული მიგრანტები “ზათის ქვეყანაში” მცირე აზიის სხვა რაიონები ანატოლიული მიგრანტები “ზათის ქვეყანაში” მცირე აზიის სხვა რაიონები დან იყვნენ გადასული ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძვ.წ. მესამე დან გადასული ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძვ.წ. მესამე ათასწლეულის ფარგლებში და მათი ეს გადადგილება ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება შესევად და დაპყრობად, ვინაიდან პროტო-ანატოლიული ენის მატარებელი მოსახლეობა თვით წარმოადგენდა ხათურ საზოგადოების შემადგენელ ნაწილს (Drews 1988, 54f.).

ხათების მოწინააღმდეგები ჩანან, ისინი უშუალოდ ნესიტ-ხეთები თუ არ განკუთვნებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, მათი მოკავშირეები მაინც უნდა ყოფილიყვნენ; ისინი ძირითადად სწორედ ხეთებს ეყრდნობოდნენ და უპირატესად მათსავე ინტერესებს გამოხატავ-დნენ⁸².

აღმოსავლეთიდან ხეთების იმიგრაციის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი არგუმენტია ხეთების ძველი სამეფოს ხანის ცენტრალური ანატოლიის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული რამდენიმე ქალაქის განთავისუფლება გარკვეული სახის სამსახურისაგან და ხეთების აღმოსავლეთთან განსაკუთრებული კულტურულ-ეკონომიკური კავშირები⁸³. იგივე დასკვნის გამოტანა შეიძლება წინაძველბაზილონური ლურსმული დამწერლობისადმი ხეთებისადმი უპირატესობის მინიჭების ფაქტის გამო ძველასურულ დამწერლობასთან შედარებით. ეს უკანასკნელი გამოყენებული იყო ცენტრალური ანატოლიის ძველასურულ კოლონიებში და მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ იგი იქნებოდა ხეთების მიერ გამოყენებული, თუ კი ისინი აბორიგენულ მოსახლეობას წარმოადგენდნენ ცენტრალურ ანატოლიაში და არა ახალმოსულებს უფრო აღმოსავლეთით მდებარე მხარეებიდან, სადაც მათ შეეძლოთ შეეთვისებინათ დამწერლობის წინაძველბაზილონური სახეობა⁸⁴.

ანატოლიაში ხეთების შემოსვლის აღმოსავლური გზის სასარგებლო დამატებით არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ ლინგვისტური მონაცემები, რომლებიც მოწმობენ ინდოევროპულ-ანატოლიურ და არაინდოევროპულ-კავკასიურ ენებს შორის ხანგრძლივ ურთიერთობებზე და აგრეთვე ფალაურის, ნესიტურ-ხეთურზე უფრო

82 ძალზე დიდია კონტრასტი ქუსარის მმართველების დამოკიდებულებაში, ერთი მხრივ, ნესისადმი და მეორე მხრივ, ხათუსისადმი. მაშინ როდესაც ნესისა და მისი მოსახლეობისადმი დამოკიდებულება მშვიდობიანი იყო, ხათუსა მათთვის იყო “მიწასთან გასწორებული” და “სამარადჟამოდ დაწყვეტლილი”. გამოთქმულია მოსაზრება, რომ განსაკუთრებული კეთილგანწყობა ნესისადმი ეტყობა ასახავდა ქუსარისა და ნესის მოსახლეობებს შორის არსებულ ეთნიკურ სიახლოეს (Orlin 1970, 243შენ.73; Singer 1981, 128).

83 Sommer 1947, 1-8.

84 შდრ. ქავთარაძე 1985, 9.

არქაულად მიჩნეული ენის უფრო ჩრდილო-დასავლეთისაკენ ადგილმდებარეობა ხეთურთან შედარებით და რაც მათში თიკითქვას პირველი ინდოევროპული მოსახლეობის ტალღის დანახვის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული ინოვაციები, საზიარო ანატოლიურ და ინდო-ირანულ ენებს შორის, შესაძლებლობას გვაძლევს ვილაპარაკოთ ამ ენებს შორის კავშირებსა და კონტაქტებზე, როგორც დამოუკიდებელ ლინგვისტურ ერთეულებს შორის საერთო ინდოევროპულიდან მათი გამოყოფის შემდგომ ხანაში⁸⁵. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ინდოევროპულის კონტაქტები ფინო-უგრულ (ურალურ) და ალთაურ ენებთან ძველია და არ შემოიფარგლება ინდოევროპულის მხოლოდ ევროპული განშტოებით⁸⁶. ე. პულეიბლანკის აზრით, არ მოიპოვება არავითარი გადაულახავი წინააღმდეგობა არც ლინგვისტიკისა და არც არქეოლოგიის გადასახედიდან, რომლის გამოც გამოირიცხებოდა სინო-ტიბეტურსა და ინდოევროპულს შორის გენეტიკური კავშირი⁸⁷.

85 Gamkrelidze 1970, 140; Гамкрелидзе 1967b, 120; შდრ. Гамкрелидзе/Иванов 1972. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, ანატოლიური ჯგუფის გავრცელება შესაძლოა დაკავშირებული იყო აღმოსავლეთის მიმართულებით იმ მასიურ გადაადგილებასთან, რომელსაც ინდოეთში უნდა შეეტანა ინდოევროპული ენები და ამის გამო მართებული იქნებოდა მეტი ყურადღება დათმობოდა აღმოსავლეთ ევროპისა და სტეპების როლს (Sherratt/Sherratt 1988, 586).

86 Gimbutas 1985, 195. ფინო-უგრულ ენათა ოჯახი ყველაზე ინტენსიურ დამკიდებულებას ინდოევროპულ ჯგუფთან ავლენს, რომლისგანაც მან სიტყვების შთამბეჭდავი რაოდენობა ისესხა; ეს გარემოება საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ ამ ორი ენობრივი ოჯახის ახლო მეზობლობა გარკვეულ პერიოდში (Mallory 1989, 148, 151, 179; Gamkrelidze 1990, 13).

87 Pulleyblank 1993, 106. თავისი მოსაზრების არქეოლოგიურ საყრდენად ე. პულეიბლანკი იყენებს მ. გიმბუტასის თეორიას, დნეპრ-დონეცკის რაიონის სრედი სტოგ II კულტურის (რომელსაც მ. გიმბუტასი თავისი ნომენკლატურის ყორდანულ I და II კულტურებთან აიგივებს და დაახლ. ძვ.წ. 4500-3500 წწ. ათარიღებს) საწყისების დაკავშირების შესაძლებლობის შესახებ უფრო ადრეულ და უფრო აღმოსავლეთით მდებარე კულტურის შემოჭრასთან და რომელიც თავის მხრივ დაკავშირებული ჩანდა შუა ურალის ყველაზე ადრეულ ნეოლითთან და ცენტრალურ აზიასთან (Gimbutas 1985, 191; Pulleyblank 1993, 107).

პრეისტორიკოსების აზრით, ქანესის არქივებში დამოწმებული ინდოევროპული საკუთარი სახელები ყოველგვარ ეჭვს გარეშე განეცილებული კუთვნებიან არა პროტო-ხეთურ-ლუვიურს, არამედ მის შთამომავალს, ხეთურს⁸⁸. მიიჩნევენ, რომ ინდოევროპული ოჯახის “ანატოლიური განშტოების” ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობა სხვა ინდოევროპელ “ხალხებს” გამოეყო ძვ.წ. მესამე ათასწლეულის დასაწყისში ან კიდევ უფრო ადრე⁸⁹ და რომ თვით ამ განშტოების შემადგენელი ენები ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ ჯერ კიდევ ანატოლიის ფარგლებს გარეთ.⁹⁰ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრ. გიორგაძის დაკვირვება, რომ ვინაიდან ხათური ენის ძლიერი ზეგავლენა გამოვლენილია ნესიტურ და ფალაურ ენებში და ამავე დროს არ შეინიშნება ლუვიურში, ხათურ ენას ნესიტურთან და ფალაურთან კონტაქტი უნდა ჰქონოდა მხოლოდ და მხოლოდ ინდოევროპულ-ანატოლიური ენობრივი ერთობის დაშლის მომდევნო ხანებში, როდესაც ეს წინა-ენა უკვე დიფერენცირებული იყო. გრ. გიორგაძის აზრით, ეს გარემოება უნდა მოწმობდეს, რომ ანატოლიაში ხათების გამოჩენის ხანაში ცენტრალური ანატოლიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში უკვე სახლობდნენ ინდოევროპელი ტომები.⁹¹

ვინაიდან, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. მეორე ათასწლეულის და-საწყისისათვის ხეთები უკვე წარმოადგენდნენ მნიშვნელოვანი ქალა-

88 D'ikonom 1985, 107.

89 Steiner 1990, 204; D'ikonom 1985, 85, 115. თუ არსებობს, ერთი მხრივ, გაურკვევლობა, იყო თუ არა ხეთური ენა საერთოდ ინდოევროპული ენა, ისეთივე მნიშვნელობით როგორც სხვა ამ ოჯახის ენები, თუ მხოლოდ ენათესავებოდა ინდოევროპულ ჯგუფს, როგორც ერთ მთლიანს - ე.წ. „ინდოხეთური“ ჰიპოთეზა (Sturtevant 1962, 105f.; Drews 1988, 50f.; Jones 1995, 41f.), მეორე მხრივ, ხეთური განიხილება როგორც უეჭველად და ყოველი თვალთახედვით ინდოევროპული ენა (Melchert 1995, 2152). თუმცა ერთი რამ სავსებით ცხადია, ანატოლიური ენები ავლენენ მთელ რიგ თავისებურებებს, რომლებიც საგრძნობლად განასხვავებენ მათ სხვა ინდოევროპული ენებისაგან (Hock/Joseph 1996, 530).

90 Steiner 1990, 204. თუმცა გ. შტაინერი ფიქრობს, რომ ეს დიფერენციაცია უნდა მომხდარიყო ანატოლიისაგან დასავლეთით მდებარე რეგიონებში.

91 გიორგაძე 1999, 48.

ქური დასახლების ქანეს/ნესას მოსახლეობის სათანადო ნაწილს, ის-ინი უნდა მივიჩნიოთ ძირითადად ბინადარ და ეტყობა შშვილობიანა, ამასთანავე კომერციულ საქმიანობაში ჩაბმულ, ხალხად⁹². ძალზე ძნელია მათში, უფრო ჩრდილოეთით, “ზათურ მიწაზე” განლაგებული აღაჯა ჰიოუქის “სამეფო აკლდამებში” დაკრძალული მეომარი ხალხის მთამომავლების ამოცნობა. არც ხეთური ენის მონაცემები და არც მთლიანობაში ხეთური კულტურის ხასიათი ასევე არ იძლევა ხეთების დაკავშირების შესაძლებლობას “ყორღანული კულტურები-სათვის” დამახასიათებელ დაკრძალვის წეს-ჩვეულებებთან. ამავე დროს, ხეთური რელიგიური მსოფლმხედველობის ხათური საფუძვლები, რაც ხათების საკმაოდ განვითარებული რელიგიური წარმოდგენების არსებობაზე უნდა მიუნიშნებდეს, ერთი მხრივ, და თავისი დროისათვის განვითარებული რელიგიური შეხედულებების არსებობა, გამოხატული ადრეული ბრინჯაოს ხანის ცენტრალური ანატოლიის “სამეფო აკლდამების” დაკრძალვის წესსა და სამარხეულ ინვენტარში, მეორე მხრივ, უნდა მიუთითებდეს “სამეფო აკლდამების” კულტურის, ხათებისადმი, და არა ხეთებისადმი, მიუთვნების სასარგებლოდ⁹³.

არის მოსაზრება, რომ ერთადერთი უცილობელი მინიშნება ანატოლიაში ინდოევროპელი-ანატოლიელების არსებობისა არის მათი ენა⁹⁴, ხოლო სხვა ყველაფერი აშკარა არაინდოევროპულ ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ადრეული ბრინჯაოს ხანის ცენტრალურ ანატოლიასა და მის მომიჯნავე მხარეებში კულტურული ინოვაციის ყოველი ფაქტის გამოვლენას.

თუ ძველასურული ტექსტების მონაცემებიდან ირკვევა, რომ ქანეს/ნესას მოსახლეობის შემადგენლობაში ინდოევროპულ-ხეთუ-

92 Steiner 1990, 202f., 205. სავარაუდოა, რომ ან ხეთებმა სავსებით დაკარგები ჩრდილოელი მესაქონლებისათვის საჭირო თვისებები - დამახასიათებელი სხვა “ინდოევროპელი” ხალხებისათვის და მთლიანად შეიძინეს აბლოადმოსავლური “ცხოვრების წესი” - ან არასოდეს ჰქონიათ ეს თვისებები.

93 ქავთარაძე 1978, 10f., 17გნ.63.

94 მაგ. Puhvel 1994, 262.

რი (წესიტური) ენის მატარებლები ჭარბობდნენ, მეორე მხრივა, კალაქი იყო ძირითადი ცენტრი მოხატული კერამიკის ახალი სახეობის - ცენტრალური ანატოლიის ადრეული ბრინჯაოს ხანის მესამე ფაზის, ე.წ. "კაპადოკიური კერამიკის" - წარმოებისა⁹⁵. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამ კერამიკის წარმომავლობა საძიებელია ცენტრალური ანატოლიიდან საკამად შორს აღმოსავლეთში, კერძოდ, სამხრეთ ამიერკავკასიის უშუალოდ მომიჯნავედ მდებარე ჩრდილო-დასავლეთი ირანში და შესაძლოა თვით ცენტრალურ აზიანიც ვი⁹⁶.

არ არის გამორიცხული, რომ ცენტრალური ანატოლიის კულტურულ განვითარებაში მომხდარი ეს ცვლილება უკავშირდებოდეს აქ აღმოსავლეთიდან შემოსული და ინდოევროპულ-ანატოლიურ ენებზე მეტყველი მოსახლეობის გამოჩენას⁹⁷.

ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ნაწილსა და განსაკუთრებით ანატოლიაში მომხდარი მოვლენების გასაგებად, ძალზე მნიშვნელოვანია კავკასიაში, ამ "ხალხთა და ენათა მუზეუმში" ჯერ კიდევ შემორჩენილი მონაცემების გათვალისწინება.

95 Bittel 1950, 49; Steiner 1981, 164. ვინაიდან მონოქრომული, ე.წ. "ხეთური ნაწარმი", დამახასიათებელი უპირატესად "ინდოევროპული" ქანეს II პერიოდისათვის, იყო ამ რეგიონის ყველაზე ადრეული მორგვზე დამზადებული კერამიკა, განხხვავებული მის წინამორბედ ხელითნაძერწ, ე.წ. "კაპადოკიური ნაწარმისაგან", ეს ცვლილება უნდა აიხსნას არა მოსახლეობის ახალი ჯგუფების ქანეს/ნესაში გამოჩენით, არამედ ტექნოლოგიური სახის სიახლის დაწერვით ადგილობრივ საზოგადოებაში (ქავთარაძე 1985, 4-6; შდრ. Scott 1956, 403-405).

96 Seton Williams 1953, 60, 64; შდრ. ქავთარაძე 1985 *passim*.

97 იბ. ქავთარაძე 1985, 3-20. ა. გიოცე მიუთითებდა, რომ "კაპადოკიური კერამიკა" ცენტრალურ ანატოლიაში პირველად გამოჩნდა "ალიშარ I - ალა-ჯა III კულტურის" სამოსახლოების კატასტროფული ნგრევის უშუალოდ მომდევნო ხანაში (Goetze 1957, 44). აღნიშნული გარემოება უნდა მოწმობდეს ამ კერამიკის მაწარმოებელი მოსახლეობის ნაძალადევ შემოსვლას ცენტრალურ ანატოლიაში.

თანამედროვე მეცნიერები ძველი ახლოაღმოსავლური ენების კვლევის შედეგად თავისთავად მიდიან კითხვამდე, თუ რა ჰავშირო არსებობს ამ ძველ ენებსა და დღეს ცნობილ ენებს შორის? ბუნებრივია ისინი ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, მიუხედავად იმისა იქნებოდა იგი დასმული ტიპოლოგიური თუ გენეტიკური მნიშვნელობით, უპირველეს ყოვლისა კავკასიურ მონაცემთა საფუძველზე ცდილობენ. მათი აზრით, თუ შეხედულება ძველი ახლოაღმოსავლური და თანამედროვე კავკასიური ენების კავშირების შესახებ მისაღები გამოდგება, მაშინ მინიშნება გვექნება ისეთ წინასტორიულ სიტუაციაზე, რომლის დროსაც ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთი ნაწილი იმ მოსახლეობის მიერ იქნებოდა დანაწილებული, ვინც დღემდე სახლობს კავკასიაში⁹⁸.

ამრიგად, მთელი ცირკუმპონტური არეალის ფარგლებში მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთზემოქმედებამ და განსხვავებული წარმომავლობის, კულტურული და ეკონომიკური მონაცემებისა და საზოგადოებრივი განვითარების დონის მოსახლეობის თანაარსებობის საჭიროებამ საბოლოოდ გამოიწვა სახელმწიფოებრიობის აღმოცენება ანატოლიაში - ამ ზონის ყველაზე დაწინაურებულ ნაწილში. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ მომხდარიყო მესოპოტამური ტიპის განვითარებული საქალაქო სისტემის არსებობის პირობებში.

ბიბლიოგრაფია:

- გორდეზიანი, რ. 1970. "ილიადა" და ეგვესური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები. თბილისი.
- გორდეზიანი, რ. 1975. ჰეროდოტეს ცნობები კოლხთა წარმომავლობის შესახებ, წგნ.: არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 162. თბილისი.
- გორდეზიანი, რ. 1985. წინაბერძნული და ქართველური. თბილისი.



- ქავთარაძე. გ. 1978. ცენტრალური ანატოლიისა და ჩრდილო-დასავ-
ლეთი კავკასიის ურთიერთობის საკითხისათვის ადრებრინ-
ჯაოს ხანაში, წგნ.: არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია,
ბიზანტინისტიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრო-
მები, 183. თბილისი.
- ქავთარაძე. გ. 1979. "სამეფო აკლდამების" სოციოლოგიური ინტერ-
ვრეტაციისათვის, წგნ.: მასალები საქართველოსა და კავკასი-
ის არქეოლოგიისათვის, VII. თბილისი.
- ქავთარაძე. გ. 1985. ცენტრალურ ანატოლიაში ხეთური ტომების გა-
მოჩენის საკითხისათვის, წგნ.: საქართველოს არქეოლოგიის
საკითხები, III. თბილისი.
- ქავთარაძე. გ. 1985a. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლე-
ბის საკითხისათვის. თბილისი.
- მელიქიშვილი, გ. 1965. საქართველოს, კავკასიისა და მახრანელი
ადმისავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის.
თბილისი.
- Дебец, Г. Ф. 1948. Палеоантропология СССР. Труды института им.
Н. Н. Миклухо-Маклая, новая серия, т. IV. Москва.
- Дьяконов, И. М. 1967. Языки древней Передней Азии. Москва.
- Дунаевская, И. М. 1960. О структурном сходстве хаттского языка с
языками северо-западного Кавказа, в кн.: Исследования по исто-
рии культуры народов Востока. Москва-Ленинград.
- Федоров, Я. А. 1975. Место "майкопцев" в этнической истории За-
падного Кавказа, - Вестник Московского Университета, исто-
рия, № 5.
- Гамкрелидзе, Т. В. 1967b. Анатолийские языки, В кн.: Ориони. Тби-
лиси.
- Гамкрелидзе, Т. В./ Иванов, В. В. 1972. Проблема определения перво-
начальной территории обитания и путей миграции носителей
диалектов общеиндоевропейского языка, в кн.: Конференция по
сравнительно-исторической грамматике индоевропейских язы-
ков. Москва.
- Гиоргадзе, Г. Г. 1961. К вопросу о локализации и языковой структуре
кашских этнических и географических названий, в кн.: Перед-
неазиатский сборник, вопросы хеттологии и хурритологии.
Москва.

- Гиоргадзе, Г. Г. 1999. Неиндоевропейские этнические группы (Хаты, Каски) в древней Anatolia по хеттским клинописным текстам. В кн.: *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Ред. Г. Жоржолиани/Эд. Хоштария-Броссе. Тбилиси.
- Кавтарадзе, Г. Л. 1983. *К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии*. Тбилиси.
- Климов, Г. А. 1986. Об ареалной конфигурации протоиндоевропейского в свете данных картвельских языков, - *Вестник древней истории* 3.
- Кондратьев, А. М./Шеворошкин, В. В. 1970. *Когда молчат письмена*. Москва.
- Марковин, В. И. 1960. *Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н. э.)*. Москва.
- Мунчайев, Р. М. 1994. Майкопская культура, в кн.: *Ранняя и средняя бронза Кавказа. Археология*. Кушнарева, К. Х./Марковин, В. И. (ред.). Москва.
- Николаева, Н. .А./Сафонов, В. А. 1983. Проблемы появления колесного транспорта в Европе. Древнейшие повозки Восточной Европы. Выделение Днепро-Кубанской культуры древнейших кочевников Восточной Европы, в кн.: *Кочевники Азово-Каспийского Междуречья*. Орджоникидзе.
- Allières, J. 1986. *Les Basques*. Paris.
- Ammerman, A. J./Cavalli-Sforza, L. L. 1984. *The Neolithic Transition and the Genetics of Populations in Europe*. Princeton.
- Anthony, D. W. 1991. The Archaeology of Indo-European Origins, - *Journal of Indo-European Studies* 19.
- Beekes, R. S. P. 1995. *Comparative Indo-European Linguistics*. Amsterdam, Philadelphia.
- Bernabò Brea, L. 1957. *Sicily Before the Greeks*. London.
- Bittel, K. 1950. *Grundzüge der Vor- und Frühgeschichte Kleinasiens*. Tübingen.
- Burney, C. A. 1958. Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze Ages, - *Anatolian Studies* VIII.
- Burney, C. A. 1989. Hurrians and Proto-Indo-Europeans: the Ethnic Context of the Early Trans-Caucasian Culture, in: *Anatolia and the*



- Near East. Studies in Honor of Tahsin Özgür. Edited by K. Emre, B. Hrouda, M. Mellink, N. Özgür. Ankara.
- Cavalli-Sforza, L. L. 1988. The Basque Population and Ancient Migrations in Europe, - *Munibe (Antropología y Arqueología)*, Suplemento No. 6. San Sebastian.
- Cavalli-Sforza, L. L. 1991. Genes, Peoples and Languages, - *Scientific American*, vol. 265, no. 5.
- Crossland, R. A. 1957. Indo-European Origins: The Linguistic Evidence, *Past and Present* 12.
- Crossland, R. A. 1973. Discussions, in: *Bronze Age Migrations in Aegean. Archaeological and Linguistic Problems in Greek Prehistory*. Proceedings of the First International Colloquium on Aegean Prehistory, Sheffield.
- Edited by R. A. Crossland and A. Birchall. London.
- Crossland, R. A. 1992. When Specialists Collide: Archaeology and Indo-European Linguistics, - *Antiquity* 66.
- Diakonoff, I. M./Starostin, S. A. 1986. *Hurro-Urartian as an Eastern Caucasian Language*. München.
- D'iaikov, I. M. 1985. On the Original Home of the Speakers of Indo-European, - *Journal of Indo-European Studies* 13.
- D'iaikov (Diakonoff), I. M. 1990. Language Contacts in the Caucasus and the Near East, in: *When Worlds Collide: the Indo-Europeans and the Pre-Indo-Europeans*. *Linguistica Extranea Studia* 19. Edited by T. L. Markey, J. A. C. Greppin. Ann Arbor.
- Dzhaparidze, O. 1993. Über die ethnokulturelle Situation in Georgien gegen Ende des 3. Jahrtausends v. Chr., in: *Between the Rivers and Over the Mountains. Archaeologica Anatolica et Mesopotamica. Alba Palmieri Dedicata*. Edited by M. Frangipane, H. Hauptmann, M. Liverani, P. Matthiae, M. Mellink. Roma.
- Drews, R. 1988. *The Coming of the Greeks. Indo-European Conquests in the Aegean and the Near East*. Princeton.
- Ehret, Ch. 1988. Language Change and the Material Correlates of Language and Ethnic Shift, - *Antiquity* 62.
- Evans, J. D. 1973. The archaeological evidence and its interpretation: some suggested approaches to the problems of the Aegean Bronze Age, in: *Bronze Age Migrations in Aegean. Archaeological and Lin-*

- guistic Problems in Greek Prehistory. Proceedings of the First International Colloquium on Aegean Prehistory, Sheffield. Edited by R. A. Crossland and A. Birchall. London.
- Friedrich, P. 1975. Proto-Indo-European Syntax: the Order of Meaningful Elements, - *Journal of Indo-European Studies* Monograph 1.
- Furnée, E. J. 1972. *Die wichtigsten konsonantischen Erscheinungen des Vorgriechischen*. The Hague, Paris.
- Furnée, E. J. 1982. *Beiträge zur georgischen Etymologie I: georgisch-vorgräische, georgisch-vorromanische und georgisch-vorindogermanische Materialien*. Leuven.
- Gamkrelidze, Th. V. 1967a. Kartvelian and Indo-European: Typological Comparison of Reconstructed Linguistic Systems, in: *To Honor Roman Jakobson. Essays on the Occasion of his 70th Birthday*, 11 October 1966. The Hague, Paris.
- Gamkrelidze, Th. V. 1970. "Anatolian languages" and the problem of Indo-European Migration to Asia Minor, in: *Studies in General and Oriental Linguistics*. Presented to Shiro Hattori on the Occasion of his 60th Birthday. Edited by R. Jakobson, Sh. Kawamoto. Tokyo.
- Gamkrelidze, Th. V. 1990. On the Problem of an Asiatic Original Homeland of the Proto-Indo-Europeans. Ex Oriente Lux, in: *When Worlds Collide: the Indo-Europeans and the Pre-Indo-Europeans*. *Linguistica Extranea Studia* 19. Edited by T. L. Markey, J. A. C. Greppin. Ann Arbor.
- Gamkrelidze, Th. V./Ivanov, V. V. 1985a. The Ancient Near East and the Indo-European Question: Temporal and Territorial Characteristics of Proto-Indo-European Based on Linguistic and Historico-Cultural Data, - *Journal of Indo-European Studies* 13.
- Gamkrelidze, Th. V./Ivanov, V. V. 1985b. The Migration of Tribes Speaking the Indo-European Dialects from their Original Homeland in the Near East to their Historical Habitation in Eurasia, - *Journal of Indo-European Studies* 13.
- Gamkrelidze, Th. V./Ivanov, V. V. 1985c. The Problem of the Original Homeland of the Speakers of Indo-European Languages, - *Journal of Indo-European Studies* 13.
- Gimbutas, M. 1974. *The Gods and Goddesses of Old Europe 7000 to 3500 B.C. Myths, Legends and Cult Images*. London.



- Gimbutas, M. 1982. Old Europe in the Fifth Millennium B. C.: the European Situation on the Arrival of the Indo-Europeans, in: *The Indo-Europeans in the Fourth and Third Millennia*. Ed. by E. C. Polomé. Ann Arbor.
- Gimbutas, M. 1985. Primary and Secondary Homeland of the Indo-Europeans, - *Journal of Indo-European Studies* 13.
- Gimbutas, M. 1988. Archaeology and Language by Colin Renfrew (Book Review), - *Current Anthropology* 29.
- Girbal, Ch. 1986. *Beiträge zur Grammatik des Hattischen*. Europäische Hochschulschriften, Reihe XXI, Bd. 50. Frankfurt/Main, Bern, New York.
- Goetze, A. 1957. *Kleinasiens* (zweite, neubearbeitete Auflage). München.
- Gorny, R. L. 1995. Hittite Imperialism and Anti-Imperial Resistance as Viewed from Alishar Höyük, - *Bulletin of the American Schools of Oriental Research* 299/300.
- Gragg, G. B. 1995. Less-Understood Languages of Ancient Western Asia, in: *Civilizations of the Ancient Near East*. J. M. Sasson, editor in chief, J. Baines, G. Beckman, K. S. Rubinson, associate editors, IV. New York.
- Greppin, J. A. G. 1975. Hitt.-z(a), Arm.z-, and the Theory of Armeno-Hittite Loan Words, - *Journal of Indo-European Studies* 3.
- Haarmann, H. 1989. Writing from Old Europe to Ancient Crete - a Case of Cultural Continuity, - *Journal of Indo-European Studies* 17.
- Hallo, W. W./Simpson, W. K. 1971. *The Ancient Near East. A History*. New York.
- Hock, H. H./Joseph, B. D. 1996. Language History, Language Change, and Language Relationship, in: *Trends in Linguistics*, Studies and Monographs 93. Berlin, New York.
- Hood, M. S. F. 1973. Northern Penetration of Greece at the End of the Early Helladic Period and Contemporary Balkan Chronology, in: *Bronze Age Migrations in Aegean. Archaeological and Linguistic Problems in Greek Prehistory*. Proceedings of the First International Colloquium on Aegean Prehistory, Sheffield. Edited by R. A. Crossland and A. Birchall. London.
- Houwink Ten Cate, P. H. L. 1995. Ethnic Diversity and Population Movement in Anatolia, in: *Civilizations of the Ancient Near East*. J. M.

- Sasson, editor in chief, J. Baines, G. Beckman, K. S. Rubinson, associate editors, I. New York.
- Howell, R. J. 1973. The Origins of the Middle Helladic Culture, in: *Bronze Age Migrations in Aegean. Archaeological and Linguistic Problems in Greek Prehistory*. Proceedings of the First International Colloquium on Aegean Prehistory, Sheffield. Edited by R. A. Crossland and A. Birchall. London.
- Inasaridze, Z. P./Nasidze, I. S./Shengeliya, L. A./Shneider, Yu. V./Zhukova, O. V./Petriashchev, V. M./Tikhomirova, E. V./Rychkov, Yu. G. 1990. Genetics of Caucasian Ethnic groups: Distribution of Some Immunological and Biochemical Markers in Western Georgia, - *Soviet Genetics*, vol. 26, no. 6.
- Jones, A. J. 1992. Language and Archaeology: Evaluating Competing Explanations of the Origins of the Indo-European Languages, - *Journal of Indo-European Studies* 20.
- Kammenhuber, A. 1969. Das Hattische, in: *Handbuch der Orientalistik* II,2. *Altkleinasiatische Sprachen*. Leiden, Köln.
- Kavtaradze, G. L. 1996. Probleme der historischen Geographie Anatoliens und Transkaukasiens im ersten Jahrtausend v. Chr., in: *Orbis Terrarum* 2, Internationale Zeitschrift für Historische Geographie der Alten Welt. Stuttgart.
- Lawrence Angel, J. 1951. *Troy, the Human Remains*. Supplementary Monograph 1. Princeton.
- Loon, M. van. (Ed.) 1978. *Korucutepe*, vol. 2. Amsterdam, New York, Oxford.
- Mallory, J. P. 1989. *In Search of the Indo-Europeans. Language, Archaeology and Myth*. London.
- McMahon, Gr. 1995. Theology, Priests, and Worship in Hittite Anatolia, in: *Civilizations of the Ancient Near East*. J. M. Sasson, editor in chief, J. Baines, G. Beckman, K. S. Rubinson, associate editors, IV. New York, 1995.
- Meid, W. 1989. The Indo-Europeanization of Old European Concepts, - *Journal of Indo-European Studies* 17.
- Melchert, H. C. 1995. Indo-European Languages of Anatolia, in: *Civilizations of the Ancient Near East*. J. M. Sasson, editor in chief, J. Baines, G. Beckman, K. S. Rubinson, associate editors, IV. New York.

- Mellaart, J. 1966. *The Chalcolithic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia*. Beirut.
- Merpert, N. Ya. 1987. Ethnocultural Change in the Balkans on the Border between the Eneolithic and the Early Bronze Age, in: *Proto-Indo-European: the Archaeology of a Linguistic Problem*. Studies in Honor of Marija Gimbutas. Edited by S. N. Scomal, C. Palomé. Washington.
- Mourant, A. E. 1954. *The Distribution of the Human Blood Groups*. Oxford.
- Mourant, A. E./Kopeč, A. C./Domaniewska-Sobczak, K. 1976. *The Distribution of the Human Blood Groups and Other Polymorphisms*. London.
- Nasidze, I. S./Inasaridze, Z. P./Shengeliya, L. A./Schneider, Yu. V./Zhukov, O. V./ Petrishchev, V. N./Tikhomirova, E. V./ Rychkov, Yu. G. 1990. Human Population Genetics of the Caucasus: Distribution of Some Immunological and Biochemical Markers in Eastern Georgia, - *Soviet Genetics*, vol. 26, no. 5.
- Nersisyan, V. M./Delanyan, R. Z./Danelyan, I. B./Badunts, N. Ya. 1994. Peculiarities of the Distribution of Phenotypes and Genes of ABO and RH Systems in the Nagornyi Karabakh Population, - *Russian Journal of Genetics*, vol. 30, no. 2.
- Orlin, L. L. 1970. *Assyrian Colonies in Cappadocia*. The Hague.
- Osten, H. H. van. 1937. *The Alishar Hüyük. Seasons of 1930-1932*, Part III. Oriental Institute Publications XXX. Chicago.
- Potts, T. 1994. *Mesopotamia and the East. An Archaeological and Historical Study of Foreign Relations ca.3400-2000 B.C.* Oxford.
- Puhvel, J. 1994. Anatolian: Autochthon or Interloper? - *Journal of Indo-European Studies* 22.
- Pulleyblank, E. C. 1993. The Typology of Indo-European, - *Journal of Indo-European Studies* 21.
- Renfrew, C. 1973. *Before Civilization. The Radiocarbon and Prehistoric Europe*. London.
- Renfrew, C. 1987. *Archaeology and Language: The Puzzle of Indo-European Origins*. London.
- Renfrew, C. 1992. Archaeology, Genetics and Linguistic Diversity, - *Man* 27 (new series).

- Renfrew, C. 1993. *The Roots of Ethnicity. Archaeology, Genetics and the Origins of Europe*. Roma.
- Scott, L. 1956. Pottery. *A History of Technology*, I. Oxford.
- Senyürek, M. 1956. A Short Review of the Anthropology of the Ancient Inhabitants of Anatolia from the Chalcolithic Age to the Hittite Empire. In: S.Lloyd. *Early Anatolia*. Harmondsworth.
- Seton Williams, M. V. 1953. A Painted Pottery of the Second Millennium from Southern Turkey and Northern Syria, - *Iraq* 15.
- Sherratt, A. 1973. Discussion, in: *Bronze Age Migrations in Aegean. Archaeological and Linguistic Problems in Greek Prehistory*. Proceedings of the First International Colloquium on Aegean Prehistory, Sheffield. Edited by R. A. Crossland and A. Birchall. London.
- Sherratt, A./Sherratt, S. 1988. The Archaeology of Indo-European: An Alternative View, - *Antiquity* 62.
- Singer, I. 1981. Hittites and Hattians in Anatolia at the Beginning of the Second Millennium B.C. - *Journal of Indo-European Studies* 9.
- Sochacki, Z. 1988. The Ezero Culture and the Invasions of the Steppe Peoples, - *Journal of Indo-European Studies* 16.
- Sokal, R. R./Oden, N. L./Wilson, Ch. 1991. Genetic Evidence for the Spread of Agriculture in Europe by Demic Diffusion, - *Science*, vol. 351.
- Sommer, F. 1947. *Hethither und Hethithisch*. Stuttgart.
- Speiser, E. A. 1941. Introduction to Hurrian, - *Bulletin of the American Schools of Oriental Research* 20.
- Steiner, G. 1981. The Role of the Hittites in Ancient Anatolia, - *Journal of Indo-European Studies* 9.
- Steiner, G. 1990. The Immigration of the First Indo-Europeans Reconsidered, - *Journal of Indo-European Studies* 18.
- Stocker, T. 1987. Conquest, Tribute and the Rise of the State, in: *Studies in the Neolithic and Urban Revolutions*, the V. Gordon Childe Colloquium, Mexico, 1986, Edited by L. Manzanilla. Oxford (BAR Internat. series 349).
- Sturtevant, E. H. The Indo-Hittite Hypotheses, - *Language* 38.
- Trubetskoy, N. 1939. Gedanken über das Indogermanenproblem, - *Acta Linguistica I*.
- Ungand, A. 1936. *Subartu. Beiträge zur Kulturgeschichte und Völkerkunde Vorderasiens*. Berlin, Leipzig.



- Warren, P. M. 1973. Crete, 3000 - 1400 B.C.: Immigration and the Archaeological Evidence, in: *Bronze Age Migrations in Aegean. Archaeological and Linguistic Problems in Greek Prehistory*. Proceedings of the First International Colloquium on Aegean Prehistory. Sheffield. Edited by R. A. Crossland and A. Birchall. London.
- Wilhelm, G. 1995. The Kingdom of Mitanni in Second Millennium Upper Mesopotamia, in: *Civilizations of the Ancient Near East*. J. M. Sasson, editor in chief, J. Baines, G. Beckman, K. S. Robinson, associate editors, III. New York.
- Winn, Sh. W. W. 1981. Burial Evidence and the Kurgan Culture in Eastern Anatolia c.3000 B.C.: An Interpretation, - *Journal of Indo-European Studies* 9.
- Yakar, J. 1979. Troy and Anatolian Early Bronze Chronology. *Anatolian Studies* XXIX.
- Yakar, J. 1981. The Indo-Europeans and their Impact on Anatolian Cultural Development, - *Journal of Indo-European Studies* 9.
- Zimmer, St. 1990. The Investigation of Proto-Indo-European History: Methods, Problems, Limitations, in: *When Worlds Collide: the Indo-Europeans and the Pre-Indo-Europeans*. Linguistica Extranea Studia 19. Edited by T. L. Markey, J. A. C. Greppin. Ann Arbor.
- Zvelebil, M./Zvelebil, K. V. 1988. Agricultural Transition and Indo-European Dispersals, - *Antiquity* 62.

Some Problems of the Interrelation of Caucasian and Anatolian Early Bronze Age Cultures

The Caucasus and Anatolia, the eastern and southern parts of the common Circumpontic zone, i.e. territories around the Black Sea, were and are important as "bridges" connecting the Near East and Europe. This has determinated the common nature of the distinguishing features of the development of both above regions. Their historical, cultural, social and economical development is characterized by their intermediate position in Near Eastern and European evolutional models. In Anatolia and the Caucasus we have confirmations of the existence of "symbiotic cultures" which are based not only on the the Near Eastern, but also on European traditions.

At the same time, a number of distinctive features have caused the emergence of a class society and the formation of statehood in Anatolia much earlier than in the Caucasus - i.e. in the late third-early second millennia BC. This qualitative leap required many variables to combine and interact, but in Central Anatolia warlike conditions were the major means of achieving a state level of social organization for competing chiefdoms. Those warlike conditions had been ultimately the consequence of the infiltration of several streams of the new population into Anatolia in the Early Bronze Age, particularly into its central part. Their origin or subsequent development was connected with the Caucasus or with the regions adjacent to it.

The pre-Hittite communities in Central Anatolia was composed of a variety of ethnic groups which existed together in a "symbiotic" relationship.

მუშახელის შრომის ანაზღაურების ერთი თავისებურების შესახებ ურის III დინასტიის დროინდელი შუმერის

სახელმწიფო მეურნეობაში

შუმერულენოვანი სამეურნეო ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს ურის მესამე დინასტიის დროინდელი (ძვ. წ. 2132-2024 წწ.) შუმერის სახელმწიფო მეურნეობის მუშა პერსონალზე შრომის საზღაურის გაცემის შესახებ, გვამცნობენ, რომ მუშახელზე ანაზღაურების სახით რეგულარულად (še-ba-itu-da „თვიურ საზღაურად“) გაიცემოდა ძირითადად ქერის მარცვალი (še). თუ სახელმწიფო მეურნეობის ამა თუ იმ ფილიალის საწყობში სხვადასხვა მიზეზის გამო (ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება, რაიმე ექსტრაორდინალური შემთხვევა და მისთ.) არ აღმოჩნდებოდა საკმაო რაოდენობის მარცვალი, რაც საჭირო იყო მოცემულ მომენტში მუშახელზე გასაცემად, მაშინ მარცვლის მაგივრად იძლეოდნენ სხვა პროდუქტებს მუშისათვის სარგო მარცვლიდან სათანადო ეკვივალენტური ოდენობის მარცვლის გამოქვითვის იმხანად შემუშავებული წესის მიხედვით (26, გვ. 137 და შემდეგი). ჩასანაცვლებელ პროდუქტთა სიაში შეჰქონდათ მცენარეული ზეთი, ცხოველთა ქონი, ლუდი, რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი და სხვა. ეს პროდუქტები მუშებს ინდივიდუალურად გამოენერებოდათ გარკვეული წონითი თუ მოცულობითი ოდენობის მითითებით. ამ საერთო წესისაგან განსხვავებით სრულიად ცალკე დგას მუშებზე, შეიძლება ამთავითვე ითქვას – მხოლოდ მუშა ქალებსა და მოზარდებზე – ხორცის (uzu) გაცემის შემთხვევები.

ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია ორ ათეულზე მეტი დოკუმენტი, რომელთა ცნობები მოგვითხრობენ მუშა ქალე-



ბისა და მოზარდებისათვის განკუთვნილი ხორცის (*tēsp* ტესპ) ხორცე პირუტყვის) გაცემის თავისებურების შესახებ. როცა ვამბობთ „გაცემას“ და არა „განაწილებას“ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მეურნეობის ამა თუ იმ ფილიალის საწყობიდან /ფარეხიდან ხორცი/ სახორცე პირუტყვი მხოლოდ გამოიწერება, გაცემა აღნიშნული კატეგორიის მუშახელისათვის ისე, რომ საბუთებში არც ერთხელ არაა მითითებული ამ პროდუქტის ინდივიდუალური განაწილების შესახებ. ეს ერთობ ნიშან-დობლივი და საყურადღებო ფაქტია. უნდა ვიფიქროთ, რომ მუშებზე (ყველა დადასტურებულ შემთხვევაში მხოლოდ მუშაქალებსა და მოზარდებზე) ხორცს ინდივიდუალური წესით არ ანაწილებდნენ.

ხორცის გაცემის შესახებ ცნობების შემცველი საბუთების უმეტესობა მომდინარეობს ლაგაშიდან (6, 2595; 7, 5417; 9, 146; 17, 82; 21, 5; 23, FM 52; 24, 55; 56; 58; 59; 60; 61), დანარჩენი განკუთვნება უმას (24, 57), ურისა (12, 88; 89; 13, 8) და ფუზრიშდაგანის (2, 50; 8, 3 = MLC12; 10, 2; 19, 15 = 14, C 3; 22, 89; 104) არქივებს. ქრონოლოგიურად ეს დოკუმენტები ნანილდება შულგის მეფობის 31-ე წლიდან (10, 2) იბისუენის მეფობის პირველ წლამდე (12, 88). ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ მუშებისათვის ხორცის გაცემას სახელმწიფო მეურნეობის ადმინისტრაცია თითქმის ყოველ-თვის და ყველა სამეურნეო ცენტრში აწარმოებდა. მუშებისათვის განკუთვნილი ხორცი გამოიყოფოდა როგორც დაკლული პირუტყვის (*ad_x-udu* „დაფეშხოებული ცხვარი“ და *ad_x-sila₄* „დაფეშხოებული კრავი“, იხ. 24, 55: 1; 58: 1-2 და სხვა. *sah-i-izi-tur-giš-gi* „დაკოდილი შემწვარი გოჭი“, იხ. 2, 50: 1), ასევე ცოცხალი სახით. რამდენიმე შემთხვევაში გამოიწერება ცოცხალი ცხვრები (21, 5: 1; 23, FM 52: 1) და ხარები. მაგალითად, ფუზრიშდაგანიდან მომდინარე ერთ დოკუმენტში რამდენადმე მოულოდნელი ცნობაა დაცული – 3 *gu₄* *mu*



geme₂-eš-a-še₃ „3 ხარი (გამოიწერება)... მუშა ქალებისათვის“ სახლის და კულტურული მუზეუმის მიერ გამოიწერება (22, 89: 1-2).

დოკუმენტების უმეტესი რაოდენობა გვამცნობს, რომ სახორცე პირუტყვი გამოიწერება ფეიქარი ქალებისათვის. საბუთები ამ გარემოებას გადმოსცემენ ამგვარი ფრაზით: „71 დაფეშხოებული (ცხვარი ფეიქარი (geme₂-uš-bar) ქალებისათვის“ (24, 55: 1-2; შეად. 13, 8:1-2; 24, 56: 1-2 და სხვა). მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული იმისა, როცა სახორცე პირუტყვი განკუთვნილია მინათმოქმედებაში, მეცხოველეობასა და გადამამუშავებელ წარმოებაში დასაქმებული მუშა ქალებისა და მოზარდებისათვის (22, 104: 45; 23, FM 52: 1). თვალში საცემია ის გარემოება, რომ აღნიშნული კატეგორიის მუშახელისათვის ერთობ დიდი რაოდენობის პირუტყვი გამოიწერება – ერთ შემთხვევაში 186 დაკლული ცხვარი განკუთვნილია წისქვილში, უეჭველია, ხელით ფქვაზე მიმაგრებული ქალებისათვის (8, 3 = MLC 42:1-8), ხოლო 198 ცხვარი ეძლევათ ხარების ფერმაში მომუშავე „მტვირთავ“ ქალებს (8, 3 = MLC 42: 9-16; შეად. 19, 15 = 14, C 3). სხვა დროს 232 სული ცხვარი და თხა ფუზრიშდაგანის ფარეხიდან გაიცემა ნაგაბთუს დასახლების (14, გვ. 23, შენიშვნა b; 20, გვ. 227, № 199-ის შენიშვნა 1) ფილიალში მომუშავე ქალებისა და მოზარდებისათვის (19, 15:8). ამოდენა პირუტყვის ხორცის მომხმარებელთა რიცხვი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო.

ერთობ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამ ქალებისა და მოზარდების გვერდით მომუშავე მამაკაცებისათვის ხორცი არც ერთხელ არ გამოიყოფა. შემთხვევითია ეს თუ კანონზომიერი მოვლენა? შეიძლება ნაადრევიც იყოს საკითხის ამგვარად დასმა, რამდენადაც ურის მესამე დინასტიის დროინდელი სახელმწიფო მეურნეობის საარქივო მასალა ჯერ კიდევ არაა მთლიანად გამოქვეყნებული. ამდენად დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ ხორცი მუშა მამაკაცებზე საერთოდ არ გა-



იცემოდა. მაგრამ ამ საბუთების მიხედვით, რაც დღეს ხელთა გვაქვს, აშკარად ჩანს, რომ სახორცე პირუტყვის მხოლოდ მუშა ქალებისა და მოზარდებისათვის გამოწერა თითქოს ერთა-დერთი და დამკვიდრებული წესი ჩანს. შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ ხორცის მიღება მხოლოდ მუშა ქალებისა და მოზარდების უპირატესი უფლება იყო. საერთოდ მოზარდებისა და მათი დედებისათვის ხორცის მიცემა სახელმწიფოს მიერ მუშახელის რიცხვის შენარჩუნებისა და აღნარმოებაზე ზრუნვის გამოხატულებად გამოიყურება. ცნობილია, რომ მეძუძურ მუშა ქალებს, რომელთაც ჩვილი ბავშვები ჰყავდათ, სახელმწიფო მეურნეობის ადმინისტრაცია დამატებით გამოუყოფდა და 10 სილა მარცვალს. დოკუმეტებში მითითებულია, რომ ამ რაოდენობის მარცვალი ჩვილებს (*սպա-ga*) გამოწერებოდათ (4, გვ. 233), ფაქტიურად კი ჩვილთა დედებს ეძლეოდათ, შეიძლება იმიტომაც, რომ ჩვილბავშვიანი დედები გარკვეული პერიოდის მანძილზე მეურნეობაში შეზღუდული რეზიმით მუშაობდნენ. ამის მსგავსი ლონისძიება უნდა ყოფილიყო მუშა ქალებსა და მოზარდებზე ხორცის გაცემაც.

ხორცის გაცემასთან დაკავშირებით გარკვევით შეინიშნება ერთი გარემოებაც: ფეიქარ ქალებზე ხორცის გამოწერის არა ერთ შემთხვევაში დოკუმენტები მიუთითებენ, რომ ეს ხორცი (*resp. სახორცე პირუტყვი*) *geme₂-uš-bar-e ba-ku₂* (=itakal, იხ. 11, 102: 79) „ფეიქარმა ქალებმა შეჭამეს” (24, 58:6) ან ასე: „ფეიქარი ქალების მიერ იქნა შეჭმული” (6, 2595: 3; 24, 56: 2; 59: 2). ზოგჯერ ამისთვის განკუთვნილი ხორცის მიმართ ნათექვამია: *ni₃-ku₂-a geme₂-uš-bar* „საჭმელი ფეიქარი ქალებისათვის” (12, 88: 4; 89:2). ხომ არ უნდა ნიშნავდეს ეს იმას, რომ „საფეიქრო სახლის” ადმინისტრაცია, ითვალისწინებდა რა თავისი მუშა პერსონალის, ძირითადად ქალების მთელი დღის მანძილზე საკმაოდ ძნელ პიგიენურ პირობებში უწყვეტად დასაჭმებას, დღეში ერთხელ მაინც მუშებისათვის ამზადებდა ხორციან საჭმელს საერთო სასადილოში ერთად პურობის გასა-



მართად? ამგვარი დაშვებისათვის სხვა რაიმე საფუძველი მოვალეობა არ გამოისახობა, რომ ფეიქარ ქალებზე ხორცის გაცემის შესახებ ცნობების შემცველ დოკუმენტებში ზოგჯერ „ჭამის“ აღმნიშვნელი ტერმინია (კა_2) ნახმარი, ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. მარტო ამ ფაქტზე დაყრდნობით განვითარებული ჩვენი დაშვება სავარაუდოა თუნდაც იმიტომ, რომ რამდენიმე საბუთში ამ ტერმინს ცვლის სხვა შინაარსის ტერმინები: ფეიქარმა ქალებმა სახორცე პირუტყვი ჲ ba-ab-ti „მიიღეს“ (21, 5:3; შედ. 9, 146: 3-4), ხორცი არის ფეიქარი ქალების pi₃-ba „საჩუქარი“ (12, 1229:2; 13, 8:2), დიდი რაოდენობით პირუტყვი ჲ su-gid₂-da e₂-u-ş-bar „დაიკლა (სიტყვ: „დაკლულია“) საფეიქრო სახლისთვის“ (17, 82, უკ. 20), „დაკლულია ფეიქარი ქალებისთვის“ (10, 2:3-4; შეად. 2, 50) ან „მიეცა ფეიქარ ქალებს“ (24, 6:3) და ა. შ. მაგრამ ამგვარი ტერმინების ხმარება, ვფიქრობთ, არ იძლევა საფუძველს ჩვენისეული დაშვების სრული გამორიცხვისათვის. ყოველ შემთხვევაში ის გარემოება, რომ არსად, არცერთ დოკუმენტში არ გვხვდება ცნობა მუშა ქალებზე (ფეიქრებზე თუ მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებულებზე) ხორცის ინდივიდუალური განაწილების შესახებ ისე, როგორც, ვთქვათ, მარცვლის, ზეთის, ფინიკის და ა. შ. მიმართაა დადასტურებული და ის, რომ დაკლული თუ ცოცხალი პირუტყვი საწყობიდან და ფარებიდან ყოველთვის გამოიწერება მხოლოდ მთელი კოლექტივისათვის არა თვიურად, რეგულარულად, არამედ ერთჯერად, გვაფიქრებინებს შემდეგს: ეს პროდუქტი არ იყო გამიზნული მუშებზე ინდივიდუალური განაწილებისათვის შრომის გასამრჯელოს პირდაპირი დანიშნულებით. იგი მუშების (მხოლოდ მუშა ქალებისა და მოზარდების მიერ), ალბათ, მუშაობის პროცესშივე (შესვენებისას) მოიხმარებოდა მათთვის გამართული საერთო სადილის სახით, ვთქვათ, ისე, როგორც მსხვერპლშენირვის რიტუალების ჩატარებისას დაკლულ ცხოველთა ხორცისაგან (25, 206, უკ. 2; 1112:3-4; 1358, უკ. 1)



შემზადებული საჭმელი მსხვერპლშეწირვის ცერემონიალზე
დამსწრე საზოგადოების მიერ მოიხმარებოდა ერთად პურო-
ბის ვითარებაში.

ჩვენ გადაჭრით ვერ ვიტყვით (დოკუმენტურად ვერ და-
ვასაბუთებთ) იმას, რომ ასევე ერთად, მუშაობის პროცესშივე
(შესვენებისას) მისაღები საჭმლის სახით მოიხმარებოდა თუ
არა ის ხორციც, რომელიც გამოიწერებოდა მიწათმოქმედება-
ში, მეცხოველეობასა და სხვა დარგებში დასაქმებული მუშა
ქალებისა და მოზარდებისათვის. მათთვის გაცემული სახორ-
ცე პირუტყვის შესახებ სათანადო დოკუმენტებში არა ნათქ-
ვამი, რომ ეს ხორცი მუშების „საჭმელად“ გაიცა, როგორც ეს
ფეიქრების შემთხვევაში რამდენჯერმეა დაფიქსირებული. შე-
საბამისი ცნობების შემცველ საბუთებში უბრალოდ ნათქვა-
მია, რომ დაკლული ან ცოცხალი პირუტყვი (ცხვრები, ლორე-
ბი, ხარები) „განკუთვნილია მუშა ქალებისა და მოზარდები-
სათვის“ (8,3 = MLC 42: 8, 16; 22, 52: 1; 23, FM 52: 1; შეად. 22,
89: 2). სამაგიეროდ არსად არაა ნათქვამი ისიც, რომ ეს ხორცი
მუშა ქალებსა და მოზარდებზე ნაწილდებოდეს ინდივიდუა-
ლურად. მაშ სად მიდის იგი? ალბათ, ამ შემთხვევაშიაც ეს
ხორცი ნაწილდება მუშა ქალთა საერთო სასადილოებზე, შე-
იძლება იგზავნება იმ „მუშა ქალთა სახლებში“ (e_2 -geme e_2), რო-
მელთა არსებობაც სახელმწიფო მეურნეობის სხვადასხვა ფი-
ლიალებში დოკუმენტურადაა დადასტურებული. ნიფურიდან
მომდინარე ერთი საბუთის ცნობით მეურნეობაში არსებული
ამგვარი სახლისათვის (სასადილოსთვის?) გაიცემა 620 სილა
(დაახლ. 612 ლ.) ფქვილი, უნდა ვიფიქროთ, იქ გამართული პუ-
რობების უზრუნველსაყოფად (15, 859: 1-4). ამგვარი „მუშა
ქალთა სახლის“ არსებობა დადასტურებულია ლაგაშშიაც;
რომელთანაც მიმართებით შესაბამის საბუთში მხოლოდ მუშა
ქალები და მოზარდები მოიხსენიებიან (16, 359: 1-4, 11,
ვრცლად ამგვარი „სახლების“ შესახებ იხ. 1, გვ. 126; 3, გვ. 81;
4, გვ. 242; 5, გვ. 4; 18, გვ. 284; 27: გვ. 119).

ახლა ვნახოთ ის, თუ როდის, რა ვითარებაში გამოიწეული იყო. რებოდა ხორცი მუშა ქალებისათვის. ურიდან მომდინარე ორ დოკუმენტში ნათქვამია, რომ საკლავი გაიცა „ახალი წლისათვის“ (12, 88: 6; 89: 3). ეს გარემოება სრულიადაც არაა საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ ხორცი საერთოდ გაიცემოდა ზემის აღსანიშნავად. არა ერთი სხვა დოკუმენტი მიგვითოთებს იმ გარემოებაზე, რომ ხორცი გამოიწერებოდა წლის თითქმის ყველა თვეში, მაგრამ არარეგულარულად. მაგალითად, შულგის მეფობის 46-ე წელს ხორცის გამოწერა მოხდა სხვადასხვა თვეებში ხუთჯერ, აქედან მარტო ლაგაშში – სამჯერ (19, 15; 24, 56; 57; 58; 59). შუსუენის მეფობის მე-9 წელს გაიცა სამჯერ – II, IX და XIII თვეებში, აქედან ლაგაშში – ორჯერ (7, 5417; 12, 89; 8, 3 = FM 52), ხოლო იბისუენის მეფობის პირველ წელს გამოიწერა სამჯერ (12, 88; 1229; 13, 8). აღნიშნული გარემოებანი საბოლოოდ გამორიცხავს იმის დაშვების შესაძლებლობას, რომ თითქოს მუშებზე ხორცის გაცემას მხოლოდ საზემო-სადღესასწაულო დღეების აღსანიშნავად მიმართავდნენ.

დასკვნები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: სახელმწიფო მეურნეობის სხვადასხვა ფილიალის ადმინისტრაცია ხორცს (resp. სახორცე პირუტყვს დაკლულს თუ ცოცხლად) გასცემდა მხოლოდ მუშა ქალებისა და მოზარდებისათვის. მუშა მამაკაცებისათვის ხორცის გამოწერის არცერთი შემთხვევა არაა დადასტურებული.

ხორცი გამოიწერებოდა დროდადრო, როცა მეურნეობის ადმინისტრაციას, აღბათ, ამის შესაძლებლობა გააჩნდა. ხორცის რეგულარულად გაცემას ადგილი არ ჰქონია.

მუშა ქალებსა და მოზარდებზე გამოწერილ ხორცს ინდივიდუალურად არ ანაწილებენ. ამდენად იგი არ შეიძლება პირდაპირი გაეგებით შრომის ანაზღაურებად მივიჩნიოთ. ხორცის გამოწერის შემთხვევები მუშებზე შრომის საზღაურის გაცემის მხოლოდ ერთ თავისებურ ფორმას წარმოადგენს.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ხორცის მუშა ქალები და მოზარდები მოიხმარდნენ მუშაობის პროცესშივე (შესვენებისას) გამართული საერთო პურობისათვის მომზადებული საჭმლის სახით.

ლიტერატურა:

1. Falkenstein A., Die Inschriften Gudeas von Lagaš, I. Einleitung, Roma 1966.
2. Fish T., Catalogue of Sumerian Tablets in the John Rylands Library, Manchester 1932.
3. Gelb I.J., Terms for Slaves in Ancient Mesopotamia, წიგნში Societies and Languages of Ancient Near East, Warminster 1982, 83. 81-98.
4. Gelb I.J., The Ancient Mesopotamian Ration System, "Journal of Near Eastern Studies", 24 (1965), ვგ. 230-243
5. Gelb I.J., The Arua Institution, "Revue d'assyriologie et d'archéologie Orientale", 66 (1972), ვგ. 1-32
6. Genouillac H. de, Textes de l'époque d'Agade et de l'époque d'Ur, Paris 1910.
7. Genouillac H. de, Textes de l'époque d' Ur. Deuxième partie, Paris 1912.
8. Goetze A., The Chronology of Šulgi Again, "Iraq", 22 (1960), ვგ. 151-156.
9. Hussey M.J., Sumerian Tablets in the Harvard Semitic Museum, II. From the Time of the Dynasty of Ur, Cambridge 1915.
10. Keiser C.E., Neo-Sumerian Account Texts from Drehem, New Haven 1971.
11. Landsberger B., Hallock R., Jacobsen Th., Falkenstein A., Emaral-Vocabulary (series dimir-dingir-ilum). Old Babylonian Gra-



- matical Texts. Neobabylonian Grammatical Texts. Nachträge zu MSL III, Roma 1956.
12. Legrain L., Business Documents of the Third Dynasty of Ur, London 1937.
13. Loding D., Economic Texts from the Third Dynasty, Philadelphia 1976.
14. Oppenheim A.L., Catalogue of Cuneiform Tablets of the Wilberforce Eames Babylonian Collection in the New York Public Library. Tablets of the Time of the Third Dynasty of Ur, New Haven 1948.
15. Owen D. J., Neo-Sumerian Archival Texts Primarily from Nippur in the University Museum, the Oriental Institute and the Iraq Museum, Eisenbrauns 1982.
16. Pettinato G., Testi economici di Lagaš del Museo di Istanbul. I, Roma 1977.
17. Reisner G., Tempelurkunden aus Telloh, Berlin, 1901.
18. Salonen A., Agricultura Mesopotamica, Helsinki 1968.
19. Sauren H., Les tablettes cunéiformes de l'époque d'Ur des collections de la New York Public Library, Louvean-la-Neuve 1978.
20. Sauren H., Wirtschaftsurkunden aus der Zeit der III. Dynastie von Ur im Besitz des Musée d'art et d'histoire in Genf, Napoli 1969.
21. Scheil V., Assimilation de trois nouveaux signes archaiques, "Zeitschrift für assyriologie und verwandte Gebiete", 12 (1897), 83. 258-264.
22. Schneider N., Die Drehem – und Djoha-Texte im Kloster Montserrat (Barcelona), Roma 1932.
23. Szlechter E., Tablettes Juridiques et administratives de la III^e dynastie d'Ur et de la I^re dynastie de Babylone, II, Paris 1963.
24. Waetzoldt H., Untersuchungen zur neusumerischen Textilindustrie, I, Roma 1972.



25. Yıldız F., Gomi T., Die Puzriš-Dagan-Texte der Istanbuler archäologischen Museen, II, Stuttgart 1988.
26. Шарашенидзе Дж. М., О некоторых особенностях системы вознаграждения труда в государственном хозяйстве Шумера эпохи III династии Ура, грузинский археологический журнал № 10, 2001, 137-154.
27. Тюменев А. И., Государственное хозяйство древнего Шумера, М.-Л., 1956.

Djemal Sharashenidze

About One Peculiarities of Labour Compensation in the State Economy of Sumer at the Time of the Third Dynasty of Ur

A group of economy documents of the third dynasty of Ur gives information about meat (recp. cattle) delivery. The researches of given data let us conclude: administration of different branches of the state economy delivered meat (recp. cattle dead or alive) only to labour women and teenagers. Not a case of giving meat to men is proved.

Meat was ordered time after time, when, probably, the economy administration had possibilities. Regular delivery of meat did not take place.

Meat ordered for labour women and teenagers was not given individually. So it can not be considered as ordinary labour compensation, the cases of meat ordering to labours is just one peculiar form labour compensation.

There exist bases to consider, that labour women and teenagers used meat when working (at the break) at joint dinners as a cooked meal.

**ნარღვნის შესახებ მითოსის ერთი ქართული ვერსია
ძველაღმოსავლური მითოლოგიის მონაცემთა
კონტექსტში**

ნარღვნის შესახებ მითოსს, რომელიც კოსმოგონიურ უძველეს შეხედულებებს ორგანულად უკავშირდება, პირველად შუმერულ ე. ნ. „მეფეთა სიებში“ (ძვ. ნ. III ათასწლეული) ვხვდებით¹.

სადღეისოდ არსებული მონაცემებით, აღნიშნული მითოსი სხვადასხვა კონტინენტზე სხვადასხვა დროს განსახლებული არაერთი ხალხის კულტურულ ტრადიციაში მოწმდება. ნარღვნის შესახებ მითოსის ვარიანტები შემოგვინახა „გილგამეშის ეპოსში“ (XI დავთა), ძველმა აღთქმამ (დაბადება, 6,7,8), ბაბილონელმა ბეროსმა (ძვ. ნ. III ს.), მითებმა დევკალიონზე (ძველი საბერძნეთი: ჰელანიკე, არისტოტელე, აპოლოდორე, პლუტარქოსი), მანუზე და თევზზე (ძველი ინდოეთი), პოუპოუ ნან-ჩაუნგზე და მის დაზე - ჩანგ-ხკოზე (აღმოსავლეთიაზია), ბაყაყსა და გოლიათზე (ავსტრალია), ძმებზე – თამენ დონარეზე და არიკონტესზე (მექსიკა), თუმბაინოზე (აღმოსავლეთ აფრიკა) და ა. შ. და ა. შ.²

1 ფრეзер ჯ. ფольклор в Ветхом Завете, Москва, 1986, с. 63 და შმდ; Эпос о Гилгамеше («О все видавшем»), перевод с аккадского И. М. Дьяконова, Москва-Ленинград, 1961, с. 91 და შმდ.

2 გილგამეშის ეპოსი, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზ. კიკნაძემ, თბილისი, 1963; მისივე, შუმდინარული მითოლოგია, თბილისი, 1979, გვ. 274 და შმდ; შამანაძე ნ., ქართული ხალხური ლეგენდები, 1973, გვ. 94 და შმდ; ფრэзер Дж., დასახ. ნამრ., გვ. 63-159; Топоров В. И., Гильгамеш, Мифологический словарь, Москва, 1990, с. 154-155; Афанасьев В. К., Зиусудра, Мифологический словарь, Москва, 1990, с. 220.



25. Yıldız F., Gomi T., Die Puzriš-Dagan-Texte der Istanbuler archäologischen Museen, II, Stuttgart 1988.
26. Шарашенидзе Дж. М., О некоторых особенностях системы вознаграждения труда в государственном хозяйстве Шумера эпохи III династии Ура, ვაკებისურ-ახლოაღმოსავლური კრებული, X, თბილისი 2001, 137-154.
27. Тюменев А. И., Государственное хозяйство древнего Шумера, М.-Л., 1956.

Djemal Sharashenidze

About One Peculiarities of Labour Compensation in the State Economy of Sumer at the Time of the Third Dynasty of Ur

A group of economy documents of the third dynasty of Ur gives information about meat (recp. cattle) delivery. The researches of given data let us conclude: administration of different branches of the state economy delivered meat (recp. cattle dead or alive) only to labour women and teenagers. Not a case of giving meat to men is proved.

Meat was ordered time after time, when, probably, the economy administration had possibilities. Regular delivery of meat did not take place.

Meat ordered for labour women and teenagers was not given individually. So it can not be considered as ordinary labour compensation, the cases of meat ordering to labours is just one peculiar form labour compensation.

There exist bases to consider, that labour women and teenagers used meat when working (at the break) at joint dinners as a cooked meal.



**ნანა ხაზარაძე
ნარლვნის შესახებ მითოსის ერთი ქართული ვერსია
ძველაღმოსავლური მითოლოგიის მონაცემთა
კონტექსტში**

ნარლვნის შესახებ მითოსს, რომელიც კოსმოგონიურ უძველეს შეხედულებებს ორგანულად უკავშირდება, პირველად შუმერულ ე. ნ. „მეფეთა სიებში” (ძვ. ნ. III ათასწლეული) ვხვდებით¹.

სადღეისოდ არსებული მონაცემებით, აღნიშნული მითოსი სხვადასხვა კონტინენტზე სხვადასხვა დროს განსახლებული არაერთი ხალხის კულტურულ ტრადიციაში მოწმდება. ნარლვნის შესახებ მითოსის ვარიანტები შემოგვინახა „გილგამეშის ეპოსში” (XI დაფა), ძველმა აღთქმამ (დაბადება, 6,7,8), ბაბილონულმა ბეროსში (ძვ. ნ. III ს.), მითებმა დევკალიონზე (ძველი საბერძნეთი: ჰელანიკე, არისტოტელე, აპოლოდორე, პლუტარქოსი), მანუზე და თევზზე (ძველი ინდოეთი), პოუპოუ ნან-ჩაუნგზე და მის დაზე – ჩანგ-ხკოზე (აღმოსავლეთი აზია), ბაყაყსა და გოლიათზე (ავსტრალია), ძმებზე – თამენ დონარეზე და არიკონტესზე (მექსიკა), თუმბაინოტზე (აღმოსავლეთ აფრიკა) და ა. შ. და ა. შ.²

¹ Фрэзер Дж. Фольклор в Ветхом Завете, Москва, 1986, с. 63 და შმდ; Эпос о Гилгамеше («О все видавшем»), перевод с аккадского И. М. Дьяконова, Москва-Ленинград, 1961, с. 91 და შმდ.

² გილგამეშის ეპოსი, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზ. კიკნაძემ, თბილისი, 1963; მისივე, შუმდინარული მითოლოგია, თბილისი, 1979, გვ. 274 და შმდ; შამანაძე ნ., ქართული ხალხური ლეგენდები, 1973, გვ. 94 და შმდ; Фрэзер Дж., დასახ. ნაშრ., გვ. 63-159; Топоров В. И., Гильгамеш, Мифологический словарь, Москва, 1990, с. 154-155; Афанасьев В. К., Зиусудра, Мифологический словарь, Москва, 1990, с. 220.



წარლვნის მითოსის ამსახველი მოთხრობები (განლექტურა და თუ პროზაული) საქართველოს სხვადასხვა მხარეებშიცა გავრცელებული.

ვ. ბარდაველიძის საველე-ეთნოგრაფიული დღიური - „ივრის ფშავლებში“ სოფელ ზემო არტანში ჩაწერილ წარლვნის მითოსის ამსახველ, ერთ-ერთ ადგილობრივ ვერსიას გვაცნობს.

იგი შემდეგი შინაარსისაა:

„ერთხელ თურმე ერწოში გველეშაპი მისულა, მას თან წყალი მიუტანია და მთელი ერწო წყლით დაუფარავს. ხალხი დაღუპულა, წყალში დამხრჩვალა. მხოლოდ ერთი კაცი გადარჩენილა. ამ კაცს სახელად ნოე რქმევია. წყალი რომ მოდიოდა, ნოე თურმე კიდობანში ჩაჯდა. კიდობანი წყლის ზედაპირზე მოექცა და ცურვა დაიწყო. ადიდდა წყალი, მთები და ფარა, მაგრამ ერთი მთა ძალიან მაღალია და მის წვერს ვერ მიაღწია. ერთი შინდისფერი მოზვერი ჰყავდა და, როცა ნოე კიდობნით წყალზე დაცურავდა, ეს მოზვერი უკან მისდევდა. გადმოვიდა ნოე კიდობნიდან მშრალ მიწაზე და მოზვერიც მასთან მივიდა. ამასობაში დაღამდა კიდეც და ნოეს დაეძინა. დილით რომ გამოეღვიძა, ხედავს საწყალი მოზვერი დასის ხლიანებული გდია: იმ ღამეს თურმე წასულა და გველეშაპი შებრძოლებია. ეს რომ ნოემ გაიგო, რქებს რკინა გადააკრა - გველეშაპი ვეღარას დააკლებსო. მეორე ღამეს მოზვერი ისევ წასულა, გველეშაპი შებმია, უჯობნია, რკინის რქებით დაუფარავს და გაუქცევია. ცოცხალ-მკვდარი გველეშაპი ჭალა-ჭალა სტილით თან მისდევდა. ასე თანდათან ერწოს მიდიოდა და წყალიც თან მისდევდა. ასე თანდათან ერწოს სტილი „მცირე წარლვნის“ მოთხოვების ციკლს განეკუთ ლი. მაშინ ნოე გარში ჩასულა და ერწოც დასახლებულა³.

ეჭვს არ იწვევს, რომ ტიპოლოგიურად მოყვანილი ტექსტი ე. წ. „მცირე წარლვნის“ მოთხოვების ციკლს განეკუთ ლი.

³ ბარდაველიძე ვ., ივრის ფშავლებში, თბილისი, 2003, გვ. 36.

ვნება. ჩვენთვის საინტერესო მითოსში არა მთელი სამყაროს
მომცველ წარლვნაზე და აქედან გამომდინარე, კაცობრიობის
დაღუპვაზეა საუბარი („და მთელი კაცობრიობა თიხად ქცეუ-
ლიყო“⁴ (XI, 133); „და მოკუდა ყოველი ჭორცი მოკუდავი ქუ-
ყანასა ზედა და ყოველი კაცი, და ყოველი, რაოდენსა აქუნდა
სული სიცოცხლისაა, და ყოველი, რაოდენი იყო ჭმელსა ზედა,
მოკუდა. და აღვოცა ყოველი აღმდგომი, რომელი იყო პირსა
ყოვლისა ქუყანისასა, დაშთა მხოლოდ ნოე და მისთანანი,
რომელნი იყუნეს კიდობანსა შინა“)⁵, არამედ ერთ ლოკალურ
მოვლენაზე, რომელსაც მხოლოდ ერწოს მცხოვრებნი უმ-
სხვერპლია („ერთხელ თურმე ერწოში გველეშაპი მისულა. მას
თან წყალი მიუტანია და მთელი ერწო წყლით დაუფარავს.
ხალხი დაღუპულა, წყალში დამხრჩალა“)⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ფშაური, ჩვენთვის საინტერე-
სო, მითოსი „მწყობრ მოთხრობას“ წარმოადგენს⁷, წარლვნის
ამსახველ შუამდინარულ (შუმერულ, აქადურ, ბეროსისეულ),
ძველებრაულ, ძველბერძნულ, ქართულ და ა. შ. მითოსებთან
მისი შედარება გვიჩვენებს, რომ სემანტიკური თვალსაზრი-
სით იგი საკმაოდ არასრულყოფილია.

ფშაურ მოთხრობაში არაფერია ნათქვამი წარლვნის
აუცილებლობის მოტივაციაზე. „ათრახასისის ეპოსში“ კი
წარლვნის აუცილებლობა ასეა ახსნილი:

„ექვსასი და ექვსასი წელი არც იყო გასული,
და განივრცო ქვეყანა, გამრავლდა ხალხი.
ქვეყანამ ხარის ხმაზე იწყო ბუბუნი,

⁴ გილგამეშის ეპოსი, გვ. 76; Эпос о Гильгамеше («О все видавшем»), с. 76.

⁵ დაბადება, 7₂₁₋₂₃. იხ. მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად
მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი,
1981, გვ. 58-59.

⁶ ბარდაველიძე ვ., ივრის ფშავლებში, გვ. 36.
⁷ იქვე.

ქორთული მათმა ღრიალმა შეაწუხა ღმერთები.

კინ ენლილს მოესმა ხმაური მათი

და ასე მიმართა დიდ ღმერთებს:

„მძიმე შეიქმნა კაცთა მოდგმის ხმაური,

მათმა ღრიალმა ძილი წამართვა”⁸.

„გილგამეშის ეპოსში” წარლვნის აუცილებლობის შესახებ არავითარ მითითებას არ ვხვდებით. ღმერთების გადაწყვეტილებას კაცობრიობისათვის წარლვნის მოვლინების შესახებ გილგამეში ღმერთების საკრებულოს წინაშე მარადიული სიცოცხლის საძიებლად მისული უთანაფიშთისაგან გებულობს:

„ეუბნება უთანაფიშთი მას, გილგამეშს:

„განგიცხადებ, გილგამეშ, იდუმალ სიტყვას,

და ღმერთების გადაწყვეტილებას გეტყვი,

არის შურიფაქი, ქალაქი, რომელიც შენ იცი, ევფრატის წაპირზე (რომ დგას).

ძველია ეს ქალაქი, ღმერთები არიან მასში.

დიდმა ღმერთებმა წარლვნის მოხდენა განიზრახეს”

(XI, 8-14)⁹.

„ძველ აღთქმაში” „გილგამეშის ეპოსიდან” განსხვავებით, წარლვნის აუცილებლობა ხაზგასმითაა აღნიშნული: „ხოლო იხილა რა უფალმან ღმერთმან, ვითარმედ განამრავლნეს უსჯულოებანი კაცთანი ქუეყანასა ზედა. და ყოველი ვინ გონებს გულსა შინა თვისსა მოსწრაფებით ბოროტთა ყოველთა დღეთა. და შეიგონა ღმერთმან, რამეთუ შექმნა კაცი ქუეყანასა ზედა, და განიგონა. და თქუა ღმერთმან: აღვწოცო კაცი, რომელი შევქმნე პირისაგან ქუეყანისა კაცთაგან მიპირუტყუთამდე და ქუენარმავალთაგან მფრინველთამდე ცისათა, რა-

⁸ კიუნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, გვ. 275-276.

⁹ Эпос о Гильгамеше («О все видавшем»), с. 72; гилягамешис ეპოსი, გვ. 73.



მეთუ შევინანე, რამეთუ შვქმენ იგინი... ხოლო ქუეყანა განიხელებოდა
რწნა წინაშე ღმრთისა და აღივსო ქუეყანა უსამართლოებითა.
და იხილა უფალმან ღმერთმან ქუეყანა და იყო განხრწნილ,
რამეთუ განხრწნა ყოველმან ჭორციელმან გზაზ თვისი ქუეყანა-
სა ზედა. და თქუა უფალმან ღმერთმან ნოეს მიმართ: უამი
ყოვლისა კაცისა მოინია წინაშე ჩემსა, რამეთუ აღივსო ყოვე-
ლი ქუეყანა უსამართლოებითა მათგან. და აპა, მე განვხრწნი
მათ და ქუეყანასა” (დაბადება, 65-7, 11-13)¹⁰.

განსახილველ ფშაურ მითოსში არც ღმერთის თუ ღმერ-
თების საიდუმლო სერობაზე მიღებული გადაწყვეტილების
საიდუმლოს გაცემაზე და არც წარღვნის მთავარი გმირისათ-
ვის კაცობრიობის მომავალი უბედურების შეტყობინების შე-
სახებაა რაიმე ნათქვამი. შუამდინარულ მითოლოგიაში წარ-
ღვნის გმირებამდე ამგვარი ინფორმაცია სხვადასხვა გზით
აღწევს: ათრახასისს მომავალ წარღვნასთან დაკავშირებით
ნანას სიზმარს ენჯი ლერწმის ქოხის კედლების საშუალებით
გაანდობს:

„კედელო მისმინე, ქოხო, დაიმარხე ჩემი ნათქვამი.
ქოხო, დაიმარხე ჩემი ნათქვამი.
სახლი დაანგრიე, ააგე ხომალდი,
ქონებას დაეხსენ, თავი გადირჩინე”¹¹.

დაახლოებით ასეთივე სიტუაცია მოწმდება „გილგამე-
შის ეპოსშიც”. გილგამეშს ღმერთების გადაწყვეტილების შე-
სახებ ზემოთ უკვე მოხსენიებული უთანაფიშთი ამცნობს:

„განგიცხადებ, გილგამეშ, იდუმალ სიტყვას,
და ღმერთების გადაწყვეტილებას გეტყვი.
არის შურიფაქი, ქალაქი, რომელიც შენიცი,
ევფრატის ნაპირზე [რომ დგას].

ძველია ეს ქალაქი, ღმერთები არიან მასში.

¹⁰ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 56.

¹¹ კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, გვ. 282.

მეთუ შევინანე, რამეთუ შვქმენ იგინი... ხოლო ქუეყანა განიხრნა წინაშე ღმრთისა და აღივსო ქუეყანა უსამართლოებითა. და იხილა უფალმან ღმერთმან ქუეყანა და იყო განხრნილ, რამეთუ განხრნა ყოველმან ჭორციელმან გზაზ თვისი ქუეყანასა ზედა. და თქუა უფალმან ღმერთმან ნოეს მიმართ: უამი ყოვლისა კაცისა მოინია წინაშე ჩემსა, რამეთუ აღივსო ყოველი ქუეყანა უსამართლოებითა მათგან. და აპა, მე განვხრნი მათ და ქუეყანასა” (დაბადება, 65-7, 11-13)¹⁰.

განსახილველ ფშაურ მითოსში არც ღმერთების თუ ღმერთების საიდუმლო სერობაზე მიღებული გადაწყვეტილების საიდუმლოს გაცემაზე და არც წარღვნის მთავარი გმირისათვის კაცობრიობის მომავალი უბედურების შეტყობინების შესახებაა რაიმე ნათქვამი. შუამდინარულ მითოლოგიაში წარღვნის გმირებამდე ამგვარი ინფორმაცია სხვადასხვა გზით აღნევს: ათრახასისს მომავალ წარღვნასთან დაკავშირებით წანას სიზმარს ენჯი ლერწმის ქოხის კედლების საშუალებით გაანდობს:

„კედელო მისმინე, ქოხი და იუმცევთონთამ დოფაგიტ ქოხო, დაიმარხე ჩემი ნათქვამი. სახლი დაანგრიე, ააგე ხომალდი, ქონებას დაეხსენ, თავი გადირჩინე”¹¹.

დაახლოებით ასეთივე სიტუაცია მოწმდება „გილგამეშის ეპოსშიც”. გილგამეშს ღმერთების გადაწყვეტილების შესახებ ზემოთ უკვე მოხსენიებული უთანაფიშთი ამცნობს:

„განგიცხადებ, გილგამეშ, იდუმალ სიტყვას, და ღმერთების გადაწყვეტილებას გეტყვი, არის შურიფიაქი, ქალაქი, რომელიც შენიცი, ევფრატის ნაპირზე [რომ დგას].

ძველია ეს ქალაქი, ღმერთები არიან მასში.

¹⁰ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 56.

¹¹ კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, გვ. 282.

დიდმა ღმერთებმა წარლვნის მოხდენა განიზრახეს.
[ბჭობდნენ] ანუ მამა მათი,
გმირი ენლილი, მრჩეველი მათი,
ნინურთა მათი შიკრიკი,
ენნუგი, მათი გუგალლა
თვალსხივოსანი ეა მათთან თათბირობდა” (XI, 9-19).

აქვე, უთანაფიშთი დასძენს:

„მან (ეამ – ნ. ხ.) გაუმეორა ლერწმის ქოხს მათი სიტყვა:
ქოხო, ქოხო, კედელო, კედელო!
ქოხო შეისმინე, კედელო ყურად იღე! კაცო შურუფაქელო, უბარათუთუს ძეო!
სახლი დაანგრიე, ხომალდი ააგე,
განაგდე სიმდიდრე, სიცოცხლე ეძიე, უარყავი ქონება, იხსენი სული
თესლი ყოველი სულდგმულისა ხომალდზე აიყვანე”
(XI, 20-27)¹².

„დელ ალთქმაში” წარლვნის წინა ისტორია უფრო მარტივადაა წარმოდგენილი. უფალი ღმერთი თავად შეარჩევს მომავლის ადამიანს. ესაა „ნოე კაცი მართალი სრული იყო ნათესავსა შინა მისსა, ღმერთსა სათნო ეყო” (დაბადება, 6)¹³. მომავალი წარლვნის შესახებ ნოეს თავად ღმერთი შეატყობინებს. მასვე დაავალებს კიდობნის მშენებლობას (დაბადება, 6₁₃₋₁₄)¹⁴.

წარლვნის ამსახველი მითოსის ქართულ ვარიანტში არავითარი ინფორმაცია არ დასტურდება ამ მოვლენის ქრონოლოგიასთან დაკავშირებითაც. „გილგამეშის ეპოსის” თანახმად, წარლვნა დაწყებიდან მეშვიდე დღეს შეწყდა:

¹² Эпос о Гильгамеше («О все видавшем»), с. 72-73; გილგამეშის ეპოსი, გვ. 73.

¹³ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 56.

¹⁴ იქვე, გვ. 56-57.

„ექვს დღეს და შვიდ ღამეს ბრძოლის დროის სას
მიმოდიოდა ქარი, წარლვნის ქარიშხალი აქცევდა
თმობროს თ თავისუფერ თმეთს.

მეშვიდე დღის დადგომისას,
შეწყვიტა წარლვნის ქარიშხალმა ომი,
ლაშქარივით, რომ ანარმოებდა.
ზღვა დაწყნარდა, ავმა ქარმა იკლო, წარლვნა შეწყდა”
(XI, 127-130)¹⁵.

შემდეგი შვიდი დღის მანძილზე ხომალდის მოძრაობას
რის მთა აკავებდა:

„ნიცირის ქვეყანას მიადგა ხომალდი,
და ნიცირის მთამ შეაკავა ხომალდი, არ დაანება
მოძრაობა,
ერთ დღეს, მეორე დღეს ნიცირმა დააკავა ხომალდი,
არ დაანება მოძრაობა.

მესამე დღეს, მეორხე დღეს ნიცირმა დააკავა
ხომალდი,
არ დაანება მოძრაობა.

მეხუთე დღეს, მეექვსე დღეს ნიცირმა დააკავა
ხომალდი, არ დაანება მოძრაობა.
მეშვიდე დღის დადგომისას,
ამოვსვი და გავუშვი მტრედი” (XI, 140-146)¹⁶.

ხომალდში მოთავსებული ჩიტებისა და პირუტყვის სამ-
ობოზე გაშვების რიტაული „გილგამეშის ეპოსის” თანახ-
უშვიდე დღეს დაიწყო:
„მეშვიდე დღის დადგომისას,
ამოვსვი და გავუშვი მტრედი,
წავიდა მტრედი და ისევ დაბრუნდა,

о Гильгамеше («О все видавшем»), с. 76; гилягамешиს ეპოსი,
76.

о Гильгамеше («О все видавшем»), с. 76-77; гилягамешиს ეპოსი,
76-77.

არ ჩანდა სადგური, უკან მოტრიალდა,

ამოვსვი და გავუშვი მერცხალი.

წავიდა მერცხალი და მობრუნდა,

არ ჩანდა სადგური, უკან მოტრიალდა.

ამოვსვი და გავუშვი ყორანი.

წავიდა ყორანი წყლის დაშრობა დაინახა,

ჭამდა, ისვრებოდა და ჩხაოდა, აღარ მოტრიალდა.

ამოვსვი (პირუტყვი)...” (XI, 145-155)¹⁷.

„ძველ აღთქმაში” წარლვნის ქრონოლოგია გაცილებით უფრო რთულადაა წარმოდგენილი. აღნიშნულია: „რამეთუ მერმელა შვდნი დღენი მოვჰუინო მე წვიმაზ ქუეყანასა ზედა ორმოცთა დღეთა და ორმოცთა ღამეთა: და აღვჰყოცო ყოველი აღმდგომი, რომელთა შევქმენ პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა” („დაბადება”, 7₄)¹⁸. „დაბადების” იმავე თავში წარლვნის ქრონოლოგის შესახებ შემდეგ ინფორმაციასაც ვხვდებით: „და დაწმა უფალმან ღმერთმან გარეგნით მისსა კიდობანი, და იქმნა რღუნა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე ქუეყანასა ზედა, და განმრავლდა წყალი და აღიღო კიდობანი და აღმაღლდა ზედა ქუეყანისა” (დაბადება”, 7₁₄)¹⁹. „დაბადების” აღნიშნულ თავს შემდეგი სიტყვები აგვირგვინებს: „და ამაღლდა წყალი ქუეყანასა ზედა ასერგასის (150 – 6. ხ.) დღე” („დაბადება”, 7₂₄)²⁰. „დაბადების” მერვე თავში წარლვნის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით კვლავ რამდენიმე ცნობას ვხვდებით. წათქვამია, რომ „და შემცირდებოდა წყალი შემდგომად ასერგასისათა დღეთასა და დადგა კიდობანი თუესა მეშვეობა ორმოცდაშვდისა მის თთვსსა მთათა ზედა არარატისასა ხოლო წყალი მავალი შემცირდებოდა ვიდრე მეათედ თოუემდე და მეთერ-

¹⁷ Эпос о Гильгамеше («О все видавшем»), с. 76-77; гილგამეშის ეპოსი, გვ. 77.

¹⁸ შცხეთური ხელნაწერი, გვ. 57.

¹⁹ იქვე, გვ. 58.

²⁰ იქვე, გვ. 59.

თმეტესა თთუესა, პირველსა თთვსასა, გამოჩნდეს თავნი მთავრობის
თანი. ხოლო იყო, შემდგომად ორმეოცთა დღეთასა განაღო
კარი კიდობნისა, რომელ ქმნა” („დაბადება”, 8₃₋₆)²¹. „ძველი აღ-
თქმის” თანახმად, ნოეს მიერ კიდობნიდან ჩიტების გაშვება ყო-
ველ შვიდ დღეში ერთხელ მეორდებოდა („დაბადება”, 8₆₋₁₂)²².
ძველი აღთქმისეული წარლვნის ქრონოლოგიისათვის, ჩვენი
აზრით, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ წარლვნის დაწყე-
ბისას „ნოე იყო ექუსასთა წელთა”, ხოლო დამთავრებისას
„...იყო ექუსასსა და ერთსა წელსა ცხორებისა ნოესსა” („დაბა-
დება”, 7₁₁, 8₁₃₋₁₄)²³.

როგორც ვხედავთ, შუამდინარული ტრადიციიდან გან-
სხვავებით, „ძველ აღთქმაში” წარლვნის ქრონოლოგიასთან
დაკავშირებით „შვდ”, „შვდ” – კომპონენტიან სიტყვებთან ერ-
თად, („შვდ დღე”, „შვდნი დღენი”, „შვდთა დღეთასა”, „თთუ-
ესსა მეშვდესა”, „ოცდაშვდსა თთვსასა”, „ოცდაშეშვიდესა
თთვსასა”), დღის, თვის და წლის აღმნიშვნელი შემდეგი რიცხ-
ვებიც მოწმდება: „პირველსა თთვსასა” „პირველსა თთუესასა”,
„მეათედ თთუემდე”, „მეთერთმეტესა თთუესასა”, „ორმეოცთა
დღეთასა”, „ორმეოცე დღეთა და ორმეოცე ღამეთა”, „ასერგა-
სის დღე”, „ასერგასის დღეთასა”, „ექუსასთა წელთა”, „ექუ-
სასსა და ერთსა წელსა”...

ჩვენთვის საინტერესო ქართულ მითოსში წარლვნის
გმირის – ნოეს პირვენების შესახებ თითქმის არაფერია ნათ-
ქვამი („... ხალხი დაღუპულა, წყალში დამხრჩვალა. მხოლოდ
ერთი კაცი გადარჩენილა. ამ კაცს სახელად ნოე რქმევია. წყა-
ლი რომ მოდიოდა, ნოე თურმე კიდობანში ჩაჯდა...”), გარდა
იმისა, რომ იგი კიდობნის ერთადერთი მგზავრი იყო, მას გვე-
ლებაპთან შებრძოლებული დასისხლიანებული შინდისფერი

²¹ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 59.

²² იქვე.

²³ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 58-59.

მოზვერის რქები რკინით გაუმაგრებია („... იმ ლამეს თურმე წასულა (მოზვერი) და გველეშაპს შებრძოლებია. ეს რომ ხორებ გაიგო, რქებს რკინა გადააკრა – გველეშაპი ვეღარას დააკლებსო“...) და წყალდიდობის შეწყვეტის შემდეგ ბარში ჩასულა („...ცოცხალ-მკვდარი გველეშაპი ჭალა-ჭალა მიდიოდა და წყალიც თან მისდევდა. ასე თანდათან ერწოს არე-მარე წყლი-საგან დაცლილა, მხოლოდ იორს შერჩენია წყალი. მაშინ ნოე ბარში ჩასულა და ერწოც დასახლებულა“).

წარლვნის შესახებ მითოსის ქართული ჩვენთვის საინტერესო ვერსიის მთავარი მოქმედი პირის – ნოესაგან განსხვავებით, როგორც შუამდინარული ასევე ძველებრაული წარლვნის გმირები ზიუსუდრა (ბეროსისეული ქსისუსტროსი), უთანაფიშთი და ნოე განსაკუთრებული თვისებებით არიან დაჯილდოებული: საკუთარი სახელი ზიუსუდრა „მარადიული სიცოცხლისაკენ მავალს“, „შემნახველს სულდგმულთა და კაცთა თესლისა“ ნიშნავს, უთანაფიშთ – „სიცოცხლის მპოვნელს“²⁴, ხოლო ნოე – „კაცი მართალი სრული“, „ნათესავთა შინა მისსა, ღმრთისა სათნო“ -ა, რომელმაც „პოვა მადლი წინაშე უფლისა ღმრთისა“ (დაბადება, ხვ. 9).

ქართულ, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო, მითოსში არც ნოეს თანამგზავრებზე, არც კიდობნის ზომებზე, და არც მის კონსტრუქციაზეა რაიმე ინფორმაცია დაცული. ამ თვალსაზრისითაც როგორც შუამდინარული, ასევე ძველებრაული ტექსტები პირველხარისხოვან მონაცემებს შეიცავენ.

„გილგამეშის ეპოსის“ თანახმად, უთანაფიშთის ღმერთებმა უბრძანეს, სახლი დაენგრია, ხომალდი (ძველი – აღთქმისეული კიდობანი) აეგო, „განეგდო სიმდიდრე“, „ეძია სიცოცხლე“, „უარეყო ქონება“, „ეხსნა სული“ და ხომალდზე „თესლი ყოველი სულდგმულისა აეყვანა“ (XI, 25-27)²⁵. უთანა-

²⁴ Афанасьев В. К., დასახ. ნაშრ., გვ. 200.

²⁵ Эпос о Гильгамеше («О все видавшем»), с.73; გილგამეშის ეპოსი, გვ. 73.

ფიშთიმ აღასრულა ღმერთების ნება, რასაც მისი შემდეგი სიტყვები სავსებით ადასტურებენ:

„ავზიდე, მასზე (ხომალდზე – ნ. ხ.), [რაც კი გამაჩნდა].

ავზიდე მასზე, რაც გამაჩნდა ვერცხლი,

ავზიდე მასზე, რაც გა[მაჩნდა] ოქრო,

[ავზიდე] მასზე, რაც გამაჩნდა თესლი ყოველი

სულდგმულისა,

ავსვი ხომალდზე ოჯახი ჩემი და გვარეულობა,

ჯოგი გარეული და ჯოგი ველური, ხელოსნები

კულანი ყველანი ავსვი” (XI, 80-85)²⁶.

რაც შეეხება ხომალდის ზომებს, მის კონსტრუქციას, სამშენებლო მასალას და მშენებლობის პროცესს, „გილგამე-შის ეპოსში” იგი საკმაოდ შთამბეჭდავადაა აღწერილი. ღმერ-თების ბრძანებით, მომავალი ხომალდის სიგანე და სიგრძე თანაბარი, ხოლო გადახურვა აფსუს მსგავსი უნდა ყოფილიყო (XI, 30-31). ხომალდის მშენებლობასთან დაკავშირებით თავად უთანაფიშთი გვამცნობს:

„სახლებს [ანგრევდნენ], [ანგრევდენ] ღობეებს.

ფისს ზიდავდნენ ჰატარები,

ხე-ტყე ძლიერებს მოაქვთ,

მეხუთე დღეზე ავაგე ხომალდის ჩონჩხი,

ათ გარზე ამაღლდნენ სვეტები.

ათ გარს გაუსწორდა თხემის კიდეები.

ავუგე ფასადი, და დავხაზე ნახაზი.

ექვსი სართული განვალაგე,

შვიდად დავყავი გარეთა მხარე

და ცხრა ნანილად მისი შიგნითა მხარე დავყავი.

მის ფსკერზე ჩავსვი წყალსაკეტები,

მოვძებნე ანძები, მარაგად დავყარე.

²⁶ Эпос о Гильгамеше («О все видавшем»), с. 74; გილგამეშის ეპოსი, გვ. 75.

ქურაში ჩავასხი სამი ბარი კუპრი,
ჩავუმატე სამი ბარი ასფალტი,
სამი ბარი ზეთი მტვირთავებმა მოზიდეს,
გარდა ერთი ბარისა, გაზეთვამ რომ შთანთქა,
და ორი ბარისა, მეზღვაურმა რომ გადაინახა...”

(XI, 53-69)²⁷

ნოემ კიდობანი ღმერთის შემდეგ მითითებათა შესაბამისად ააგო. „...ძელთაგან ოთხკედელთა, ბუდებად ჰქმნა კიდობანი და მოჰკირო იგი შინათ და გარეთ კირითა. და ესრეთ ჰქმნა კიდობანი, სამასი წყრთა-სიგრძე კიდობნისა და ერგასისი წყრთა-სივრცე. და ოცდაათი წყრთა-სიმაღლე მისი. შეკრებილ-ჰყო კიდობანი და წყრთეული შეასრულო იგი ზედა კერძო, ხოლო კარი კიდობნისა ჰქმნე იგურიდივ ქვენად საყოფალად, ორ სართულებად და სამ სართულებად ჰყო იგი (დაბადება, 6, 14-16)²⁸. ბიბლიური ნოე ღმერთისავე მითითებით კიდობანში ცოლის, შვილების და რძლების თანხლებით შევიდა (დაბადება, 6, 18)²⁹. იქვე ვკითხულობთ: „და ყოველთაგან ქვენარმავალთა და ყოველთაგან საცხოვართა და ყოველთაგან მეფეცთა და ყოვლისაგან ჭორცისა, ორ-ორ ყოველთაგან შეიზვანო კიდობნათ, რათა ჰიზრდიდე თავისა შენისა თანა, მამალი და დედალი იყვნენ. ყოველთაგან ფრთოსანთა მფრინველთა ცისათა ნათესაობისაებრ და ყოველთაგან ქუენარმავალთა, რომელი ვლენან ქუეყანასა ზედა ნათესაობისაებრ მათისა, ორ-ორი ყოველთაგან შევიდეს შენ თანა ზრდად შენ თანა-მამალი და დედალი” (დაბადება, 6, 19-20)³⁰. „დაბადების” მეშვიდე თავში ნოეს კიდობნის შიგთავსის აღწერილობა ახალი დეტალებითაა შევსებული: „ხოლო ყოველთაგან საცხოვართა წმი-

²⁷ Эпос о Гильгамеше («О все видавшем»), с. 73-74; გილგამეშის ეპოზე გვ. 74.

²⁸ ძცხეთური ხელნაწერი, გვ. 57.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე.



დათა შეიყუარე შენ თანა შვიდ-შვიდი მამალი და დედალი, ხომ საცხოვართაგან არაწმიდათა ორ-ორი მამალი და დედალი, და მფრინველთაგან ცისათა წმიდათაგან შვიდ-შვიდი მამალი და დედალი და მფრინველთაგან არაწმიდათ ორ-ორი მამალი და დედალი დამარხვად თესლი ყოველსა ქუეყანასა ზედა" (დაბადება, 7_2.3)³¹.

წარლვნის შესახებ ჩვენთვის საინტერესო ქართულ მითოსში ამავე თემისადმი მიძღვნილი სხვა ქართული მითოსებისგან განსხვავებით, არაფერია ნათქვამი იმ „მაღალი მთის“ სახელნოდებაზე, სადაც ნოეს კიდობანი შეჩერდა (წარლვნის შესახებ ქართულ მითოსებში მას ხან „პრუტსაბძელას“, ხანაც „მყინვარწვერის“ სახელით მოიხსენიებენ)³². „გილგამეშის ეპოსში“ ამ მთას ხსნის აღმნიშვნელი „ნაცარუ“ – ზმნიდან მომდინარე „ნაცირის მთა“ ეწოდება. ზ. კიკნაძის ვარაუდით, ეს სახელნოდება, შესაძლოა, სიმბოლური მნიშვნელობის იყოს. მკვლევრის თანახმად, „იგი ეხმაურება ხომალდის სახელნოდებას, რომელიც ათრხასისის ეპოსშია დადასტურებული: ელიფუ ნიცირთი - „ხსნის ხომალდი“³³. „ძველ აღთქმაში“ წარლვნის მითოსის ბეროსისეულ ვერსიაში ამ მთას „ურარტუ“ - „ურაშთუ“-დან მომდინარე „არარატი“ ეწოდება³⁴.

ჩვენთვის საინტერესო ქართულ მითოსში არც წარლვნის ბოლო ეტაპზე ამ მოვლენის მთავარი გმირის მიერ წყლის დონის შემოწმების მიზნით კიდობნიდან გაშვებულ ფრინველებზეა რაიმე აღნიშნული. უთანაფიშთი, „გილგამეშის ეპოსის“ ერთ-ერთი გმირი, ხომალდის გაჩერების დღეს კიდობნიდან ჯერ მტრედს ააფრენს, შემდეგ მერცხალსა და ყორანს, ხოლო, როდესაც ეს უკანასკნელი აღარ დაბრუნდება, რადგან „წყლის დაშორება დაინახა“, პირუტყვს ამოიყვანს და შსხვერ-

³¹ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 57.

³² კიკნაძე ზ, შუამდინარული მითოლოგია, გვ. 286.

³³ იქვე.

³⁴ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 59.

პლშენირვასაც აღასრულებს. ნოეც დაახლოებით ასე იქცევდა, მაგრამ წყლის დონის შესამოწმებლად იგი ჯერ ყორანს ააფრენს, შემდეგ ორგზის მტრედს და როდესაც მტრედი ზეთის-ხილის რტოთი დაბრუნდება, მიხვდება, რომ “მოაკლდა წყალი პირისაგან ქუეყნისა” (87-13)³⁵.

ჩვენთვის საინტერესო მითოსში ასევე არაფერია ნათ-ქვამი გადარჩენისათვის მადლობის ნიშნად ღმერთისათვის მსხვერპლშენირვისა, საკურთხევლის აგებისა ან ღმერთის რანგამდე წარლვნის გმირის აღზევების შესახებ. ამ დროს უთანაფიშთი გვამცნობს:

“... და შევწირე მსხვერპლი ოთხივ ქარისკენ.

ვაკმიე საკმეველი მთის ზიკურათზე.

შვიდი და შვიდი ჭურჭელი დავდგი,

მათ ფსკერზე დავყარე ლერნამი, კედარი და მურტი.

ღმერთებმა იყნოსეს სურნელება,

ღმერთებმა იყნოსეს ტკბილსურნელება,

ღმერთები მწერებივით შემოესიენ მსხვერპლის

უფალს”³⁶.

გილგამეშის ეპოსის თანახმადვე უთანაფიშთი და მისი ცოლი ღმერთების რანგამდე ამაღლდნენ:

“აღრე უთანაფიშთი ადამიანი იყო.

ამიერიდან უთანაფიშთი და მისი ცოლი,

დაე, მსგავსნი იყვნენ ჩვენი, ღმერთებისა.

იცხოვროს უთანაფიშთიმ შორეთში მდინარეთა

დასაბამთან”³⁷.

“ძველი აღქმის” მოწმობითაც, წარლვნას გადარჩენილმა ნოემ ღმერთისათვის საკურთხეველი აღაშენა “და მოიღო ყო-

³⁵ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 59.

³⁶ Эпос о Гильгамеше («О все видавшем»), с. 77; გილგამეშის ეპოსი, გვ. 77.

³⁷ Эпос о Гильгамеше («О все видавшем»), с. 78; გილგამეშის ეპოსი, გვ. 78.

ველთაგან საცხოვართა წმიდათა და ყოველთაგან მფრინველთა
თა წმიდათა და შენირნა იგინი ყოვლად ნაყოფებად საკურ-
თხეველსა ზედა³⁸ (დაბადება, 8₂₀), უფალმა ღმერთმა “იყნო-
სა” “სული სულნელებისად” მიუტევა ჩადენილი ცოდვა, ნოესა
და მის შთამომავლობას აღორძინებისაკენ მოუწოდა, ხოლო
ნოემ “იწყო” “საქმედ ქუეყანასა და დასხა ვენაჯ” (დაბადება,
8₂₁; 9₁₋₂₀)³⁹.

ნარმოდგენილი ფშაური მითოსი, ისევე როგორც ამ თე-
მისადმი მიძღვნილი სხვა მოთხოვნები, ძველის მსხვრევის შე-
დევად ახალი სამყაროს (ჩვენს შემთხვევაში – ერნოს) შესაქ-
მის იდეის მატარებელია (“ცოცხალ-მკვდარი გველეშაპი ჭა-
ლა-ჭალა მიდიოდა და წყალიც თან მისდევდა. ასე თანდათან
წყლისაგან დაიცალა. მხოლოდ იორს შერჩენია წყალი. მაშინ
ნოე ბარში ჩასულა და ერნოც დასახლებულა”). მაგრამ სხვა
მითოსებისაგან განსხვავებით, განსახილველ ვერსიაში არა-
ფერია აღნიშნული ძველ, ნარღვნამდელ ფასეულობათა გა-
დარჩენის შესახებ.

“ძველი აღთქმის” ტექსტთან (დაბადება, 6,7,8) ჩვენთვის
საინტერესო მითოსის შედარება გვიჩვენებს, რომ მათი ურ-
თიერთმსგავსება, ძირითადად, ორი მომენტით განისაზღვრე-
ბა: “ძველ აღთქმაშიც” და ფშაურ მითოსშიც წარღვნის გმირი
ნოეა, ხოლო წარღვნის დროს მის თავშესაფარს “კიდობანი”
ეწოდება და არა “ხომალდი”, როგორც ეს შუამდინარულ
კულტურულ ტრადიციაშია დადასტურებული.

რაც შეეხება წარღვნასთან გველეშაპის დაკავშირებას
(“ერთხელ თურმე ერნოში გველეშაპი მისულა. მას თან წყალი
მიუტანია და მთელი ერნო წყლით დაუფარავს”), მითოსის ეს
მოტივი ტიპოლოგიურ სიახლოვეს იმ შუამდინარულ წარმოდ-
გენებთან ავლენს, რომლებშიც წარღვნა მაინცდამაინც

³⁸ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 60.
³⁹ იქვე, გვ. 60-61.

წყალს, ზღვის ურჩხულს, გველეშაპს, ზღვის ლომს (შუმერულ
ქურს, აქადურ ლაბუს) უკავშირდება: “ზღვაში იშვა გველემა-
ნი... ზურგი მისი სამოცი ბერუს სიგრძისაა, თავი მისი ოცდაა-
თი ბერუს სიმაღლისაა, ჭამს თევზებს, ზღვის ქმნილებებს,
ჭამს ფრინველს, ცის ქმნილებებს, ჭამს ოთხფეხს, ჭამს
ხალხს... ხალხი მოთქვამს, კლებულობს ხალხი, ამათ გოდებას
ყურს არავინ მიუგდებს”⁴⁰. საგულისხმო ისიცაა, რომ წარლვ-
ნის მითოსში ვეშაპის, გველეშაპის, ურჩხულის, დევის გამოჩე-
ნა მრავალგზის სწორედ ე.წ. “მცირე წარლვნის” ქართულ ვერ-
სიებში მოწმდება, სადაც წარლვნა, როგორც წესი, ქვესენელ-
თან, მიწისქვემა წყლებთან ასოცირდება და არა ზესენელთან
და კოკისპირულ წყიმასთან⁴¹.

ძველ მითოლოგიურ წარმოდგენებშია საძიებელი წარლ-
ვნის ამსახველი ჩვენთვის საინტერესო ვერსიაში კიდობნის
თანმდევი შინდისფერი მოზვერის თემაც, რომელიც კამეჩის,
ხარის, ვერძის, ლორის სახით ე.წ. “მცირე წარლვნისადმი”
მიძღვნილი ქართული მითოსების ასევე “ორგანულ წანილ
წარმოადგენს”⁴² მათგან მარტივი მითოლოგიური წერილი არ არის

იცხვირი მითოლოგიური წერილი არ არის მითოლოგიური წერილი არ არის
ერთობის მითოლოგიური წერილი არ არის მითოლოგიური წერილი არ არის
იმინგ მამაკანის მამაკანის მამაკანის და ეს
“იმართვის” მამაკანის მამაკანის მამაკანის მამაკანის მამაკანის მამაკანის
უცრის მითოლოგიური უცრის მითოლოგიური უცრის მითოლოგიური უცრის
ერთობის მითოლოგიური ერთობის მითოლოგიური ერთობის მითოლოგიური ერთობის

⁴⁰ კიკანაძე, ზ., შუამდინარული მითოლოგია, გვ. 279.

⁴¹ შამანაძე ნ., ქართული ხალხური ლეგენდები, გვ. 95 და შმდ.

⁴² იქვე.



Concerning one Georgian Version of Flood Myth in the Context of Ancient Near Eastern Mythology

The article is dedicated to the analysis of one version of flood myth attested by V. Bardavelidze in Pshavi (in the village of Artani i.e. eastern mountainous Georgia) in thirties of 20th century.

According to the Sumerian, Accadian, Babylonian, Gerbraic and Georgian data the author assumes that the Flood myth fixed by V. Bar-davelidze belongs to the minor flood myth cycle attested in various parts of Georgia.

Despite the semantic imperfection it reveals definitely close relation to the Biblical and Mesopotamian stories, which were widely spread since ancient times in the 3rd millennium B.C.

ფარაონი ხეოფსი და ახალი აღთქმა?

ქრისტიანული თეოლოგიის ჩამოყალიბება
ძირითადად აღექსანდრიაში მოხდა. აღექსანდ-
რია არ იყო მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავ-
ლეთის შეხვედრის ადგილი. აյ საბერძნეთის ფი-
ლოსოფიისათან კონტაქტმა ახალი სული მთაბე-
რა ძევლ ეგვიპტურ რელიგიას, ეგვიპტული, ძერ-
ძენი და იუდეველი აღექსანდრიაში ერთმანეთს
შეხვდნენ, როგორც თანასწორნი. სწორედ ამ
ურთიერთობის შედეგს ნარმოადგენს თეოლო-
გიური სისტემა, რომელშიც თითოეულმა მათ-
განმა თავისი წვლილი შეიტანა.

ა. პ. სეისი¹

ზღაპარი დიდი პირამიდის მფლობელის – ხეოფსისა და
სასწაულმოქმედი ბრძენის – ჯედის შესახებ შეიძლება ძველი
ეგვიპტის კიდევ ერთ საიდუმლოდ ჩაითვალოს. ზღაპარი მრა-
ვალ კითხვას ბადებს. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, თუ ეს
საერთოდ არის შესაძლებელი, მარტო ეგვიპტოლოგიის კომ-
პეტენციით ვერ შემოიფარგლება. სწორედ ამიტომ გამოვიყე-
ნე ეპიგრაფად დღეს უკვე კლასიკოსად ქცეული დიდი ინგლი-
სელი აღმოსავლეთმცოდნეს სიტყვები, რომლებიც მინდა
ნარმოვადგინო როგორც ნაშრომის შესავალი, ასევე დასკვნა.

როგორც ჯ. ვილსონი აღნიშნავს, ნარმოდგენა, რომ ქვე-
ყნის მმართველი არის ღვთაება, არ შეიძლება განვიხილოთ,
როგორც ადამიანის განვითარების რაღაც გარკვეული საფე-
ხურისათვის დამახასიათებელი თვისება, რადგან ეგვიპტის
თანადროულ შუამდინარეთსა და იუდეაში მეფე მართავდ

¹ Sayce A. H., The Religions of Ancient Egypt and Babylonia, Edinburgh, 1903, გვ. 229.

ქვეყანას ღმერთებისათვის და არა როგორც ღმერთი². ეგვიპტის ძველი ტის სახელმწიფოს ცენტრალურ დოქტრინას ფარაონის ღვთაებრიბა წარმოადგენდა. აქ ფარაონი თავად იყო ღვთაება „დედამიწაზე, მოკვდავთა შორის”³.

მაგრამ რამდენად დიდ ღვთაებად წარმოედგინათ ეგვიპტელებს თავისი ფარაონი? ან ყოველთვის ერთნაირად მაღლი იყო ფარაონის ღვთაებრივი ტახტი?

ეგვიპტეში ერთმანეთს ემთხვევა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისა და დამწერლობის ჩამოყალიბების პროცესი. ამდენად, პირველი დინასტიის წარწერებზე⁴ დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეგვიპტის პირველივე ფარაონი იყო ღვთაება par excellence. არქაული ეგვიპტის (I-II დინ.) ცნობილი მკვლევარი ვ. ემერი ალნიშნავს, რომ დამარხვის წესებიდან გამომდინარე, უკვე ამ უძველეს პერიოდში არის შესაძლებელი სამი სოციალური ფენის – არისტოკრატიის, მოხელეების და ხელოსნებისა და გლეხობის – გამოყოფა, მაგრამ ყველა ისინი ერთნაირად უბრალო მოკვდავნი იყვნენ „დიდი ღვთაების” – ფარაონის წინაშე⁵. არქაული ეგვიპტის ფარაონს სამი ღვთაებრივი სახელი ჰქონდა – ხორის, ზემო და ქვემო ეგვიპტის ხელმწიფის (nw-bit) და ორი ქალღმერთის⁶. აქედან გამომდინარე, ფარაონი ერთდროულად იყო ხორი – უდიდესი ციური ღვთაება, ქვეყნის ღვთაებრივი მმართველი და ქვეყნის ორივე ნაწილის ღვთაებრივი მფარველი⁷.

² Wilson J. A., The Culture of Ancient Egypt, The Univ. of Chicago Press, 1957, გვ. 45.

³ იქვე.

⁴ Petrie W. F., The Royal Tombs of the First Dynasty, London, 1900-1901, vols. I-II.

⁵ Emery W. B., Ancient Egypt, Baltimore, 1961, გვ. 105.

⁶ Abubakr A. J. Untersuchungen über die ägyptische Kronen, Glückstadt, 1973.

⁷ „ორი ქალღმერთი” – კობრის იუნონოგრაფიის მქონე ეჯვ და სვავის იუნონოგრაფიის მქონე ნებეტი შესაბამისად ქვემო და ზემო ეგვიპ-

პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ, ეგვიპტე საოცენო
სისწრაფით იწყებს განვითარებას და მასთან ერთად ძლიერ-
დება მისი მთავარი ღვთაება – ფარაონიც. შესამჩნევი ცვლი-
ლებები ხდება | დინ. VI ფარაონის – დენის დროს. თუ აქამდე
ბეჭდებზე ფარაონის სახელის გვერდით შესაბამისი უწყების
მთავარი მოხელის სახელიც მოიხსენიებოდა, დენის დროს ეს
ტრადიცია ქრება. ახლა ფარაონის სახელის გვერდით შეიძლე-
ბა მხოლოდ მოხელის წოდების მოხსენიება. მოხელეების პი-
რადი სახელები ბეჭდებიდან ქრება. ვ. ჰელკის აზრით, ეს მიუ-
თითებს იმაზე, რომ დისტანცია ღვთაება-ფარაონსა და ადა-
მიანს შორის სულ უფრო ღრმავდება⁸. თანდათან, პატრიარქა-
ლური ურთიერთობების გაქრობასთან ერთად, ფარაონი
იძენს „მსოფლიო ღვთაების“ (Weltgott) თვისებებს⁹. მასთან
ურთიერთობა მხოლოდ უფლისწულთა ვიწრო წრეს შეუძლია.
ასეთი განვითარების ბუნებრივ შედევრს წარმოადგენს ე. ნ.
„ხორის გაცილების“ შეცვლა „დათვლებით“ || დინ. დროს¹⁰.
„ხორის გაცილებები“, რომელთა დროსაც ფარაონი თავად
მოგზაურობდა ქვეყანაში ქვეყნის ინსპექციის მიზნით, შეუძ-
ლებელი გახდა, რადგან რიგით მოკვდავებს აღარ შეეძლოთ
ფარაონისათვის თვალის შევლებაც კი. როგორც ყოველი შე-
მოქმედი ღვთაება, ფარაონი თავისი ყოველი ქვეშევრდომის
მამა ხდება, რომლებსაც სიცოცხლე მხოლოდ ფარაონის k3-სა
და hmws.t-ის მეშვეობით¹¹ შეუძლიათ¹².

ტის მფარველი ღვთაებები იყვნენ.

⁸ Helck W., Geschichte des alten ägyptens, Leiden-Köln, 1968, გვ. 32-33.

⁹ იქვე, გვ. 38.

¹⁰ Sethe K., Schäfer H., Borchardt L., Ein Bruchstück altägyptischer Annalen,
Opuscula Bd. XI, Leipzig, 1976, გვ.13-55.

¹¹ k3 და hmws.t ფარაონის მამრობით და მდედრობით სასიცოცხლო
ძალებს წარმოადგენდნენ.

¹² Helck, Geschichte..., გვ. 44.

I დინასტიასთან ერთად თავდება არქაული – ქვეყნის ფორმირების – პერიოდი. ტახტზე ადის III დინასტია. იწყება ხანა, რომელიც ეგვიპტოლოგიაში „ეგვიპტის პრიუნვალების ხანად“ არის მონათლული. სრულიად ცენტრალიზებული ეგვიპტე უკეთესად მართვის მიზნით დაყოფილია ადმინისტრაციულ ერთეულებად – ნომებად, გადაწერილია ყოველი სოფელი, ყოველი ადამიანი და ყოველი მარცვალიც კი. ამის გარანტიად მოხელეთა უზარმაზარი არმია გვევლინება. ღვთაება-ფარაონის სასახლეში აურაცხელი სიმდიდრე მოედინება. შენდება პირველი პირამიდა. ფარაონის სამ სახელს უკვე არქაული ეგვიპტის დასასრულს ემატება მეოთხე – ოქროს ხორო, რომელიც მას დაბადებისას ეძლევა და რომელიც ადასტურებს, რომ ფარაონი თავად არის მზე¹³.

აქ ისევ უნდა დავბრუნდეთ უკან და მოკლედ გავადევთ ნოთ თვალი ეგვიპტის კიდევ ერთი დიდი ღვთაების – მზის ისტორიას.

მზის დისკოს გამოსახულება ერთ-ერთი უძველესი ნომის ემბლემაა იმ დროში, როცა ნომები ჯერ კიდევ ერთიანი ეგვიპტის ადმინისტრაციულ ერთეულებს კი არა, მომავალი ერთიანი ეგვიპტის ცალკეულ დასახლებებს წარმოადგენდა¹⁴. რ. ანთესის აზრით, მზის დისკოს შემოქმედებითი ძალით დაჯილდოება ჯერ კიდევ წინადინასტიურ ეპოქაში მოხდა¹⁵. მაგრამ თავდაპირველად, როგორც ჩანს, იგი არ იყო ისეთი მნიშვნელობის მქონე, როგორც ხორი – შევარდენი, რომელიც, როგორც ამას წინადინასტიური ფენებიდან ვგებულობთ, ყველაზე უფრო პოპულარული იყო გაღმერთებულ საგანთა შორის წინადინასტიური ეგვიპტის მთელ ტერიტორიაზე¹⁶. ჰ. კე-

¹³ Helck, Geschichte..., გვ. 46.

¹⁴ Petrie W. F., The Making of Egypt, London, 1939, გვ. 27, 118A.

¹⁵ Антес Р., Мифология в Древнем Египте, в кн. Мифология древнего мира, М., 1977, გვ. 70.

¹⁶ James E. O., The Ancient Gods, N. Y., 1960, გვ. 70; Mercer S. A. B., Ho-

ეზი თვლის, რომ საოცრად მაღლა ფრენის გამო შევარდენის
ხორი ეგვიპტელთათვის ზეცასთან იყო ასოცირებული¹⁷. უძ-
ველესი რელიგიურ-მითოლოგიური ციკლის თანახმად ხორი
ნარმოადგენდა ციურ ღვთაებას, მზისა და მთვარის თვალე-
ბით¹⁸. ამის საფუძველზე რ. ანთესი ასკვნის, რომ წინადინას-
ტიურ ეგვიპტეში ხორი მზესთან, მთვარესთან და ვარსკვლა-
ვებთან იყო გაიგივებული¹⁹. როცა მოხდა ეგვიპტის ფარაონის
ხორთან გაიგივება, მას ავტომატურად მიენერა ხორის ყველა
თვისება. ფარაონი – ხორი თავად იყო მზეც. ამაზე მეტყვე-
ლებს როგორც მზის გამოსახულება | დინ. ფარაონის - ჯეტის
სავარცხელზე²⁰, ასევე მისი „ოქროს ხორის“ სახელი. თავად
რას სამშობლოდ დღეისათვის ჰელიოპოლისია მიჩნეული²¹.
თუ ეს მართლაც ასეა, უძველეს დროში, როცა ჰელიოპოლი-
სის ენეადა იქმნებოდა, რა ჯერ კიდევ არ იყო იმდენად მნიშვ-
ნელოვანი ღვთაება, რომ ენეადის დემიურგი გამხდარიყო²².

rus, Royal God of Egypt, Grafton, Mass., 1942, გვ. 21-24; Petrie, Making,
pl. XXVII, N18; Petrie W. F., The Royal Tombs of the First Dynasty, Lon-
don, 1900, vol. II, pl. XXI, N176; Sethe K., Die ältesten geschichtlichen
Denkmäler der Agypter, ZÄS, 35, 1897, გვ. 5; Baumgartel E., The Cultures
of Prehistoric Egypt, London, 1955, გვ. 27.

¹⁷ Kees H., Der Götterglaube im alten Ägypten, Berlin, 1980, გვ. 252.

¹⁸ Anthes R., Harachte und Re in den Pyramidentexten, ZÄS, 100, 1974,
გვ. 77.

¹⁹ Anthes, Das Problem des Allgottes in urgeschichtlichen Ägypten, MDIK,
1957, 15, გვ. 1.

²⁰ Petrie F., Tombs of the Courtiers at Oxyrhynchos, London, 1925, pl. XII,
5; II, 6; Bissing Fr. W., Die älteste Darstellung der geflügelten Sonnen-
scheib, ZÄS, 64, 1929, გვ. 112.

²¹ Emery, Archaic Egypt, გვ. 119; Junker H., Die politische Lehre Von Mem-
phis, APAW., 1941, გვ. 61-63.

²² ჰელიოპოლისის ენეადის უძველესი დემიურგი იყო ხტონური
ღვთაება ატუმი, რომელიც ჰელიოპოლისში ქურუმების მიერ „შექ
მნილ“ ღვთაებად არის მიჩნეული.

ძაბულობა ფარაონსა და მზეს შორის თანდათან იზრდებოდა შესაძლოა, ამ დაძაბულობის გამოძახილს წარმოადგენს || დინ. II ფარაონის ნებრას სახელი – *nub r'* ეგვიპტურად იკითხება, როგორც „რას პატონი“. ძალიან საგულისხმოდ მეჩვენება ვ-ჰელკის აზრი, რომ ფარაონსა და მზის ღვთაებებს შორის არ-სებულმა დაპირისპირებამ ბიძგი მისცა გიგანტური პირამი-დების მშენებლობას. „მზის სულ უფრო მზარდ როლს ფარაო-ნები თავიანთი პირამიდებით დაუპირისპირდნენ; ისინი ცდი-ლობდნენ გარდაცვალების შემდგომ მათი სახე მარადიული გამხდარიყო. სწორედ ამ ლტოლვამ წარმოშვა ეს უზარმაზარი ნაგებობები და თვით მათი აგების პროცესიც კი ალბათ ღვთა-ებისადმი მსახურებას წარმოადგენდა“²³.

სწორუს (დაახლ. 2578-2553 წწ. ჩვ. წ.-მდე) გამეფებით ეგვიპტის ტახტზე IV დინასტიია ადის. დინასტიური ცვლილე-ბების შესახებ, სამწუხაროდ, არავითარი სარწმუნო ცნობები არ გავაჩინა. Urkunden გვაწვდის საქმაოდ მწირ ცნობებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპედიცია ნუბიაში, რომ-ლის შედეგად ეგვიპტემ 7000 ტყვე და 200000 თავი საქონელი მოიპოვა. 40 გემით ლიბანიდან ჩამოიტანეს პიხტის ხის მასა-ლა გემების ასაგებად. მეფობის ბოლოს მოიხსენიება ომი ლი-ბანთან, რომლის შემდგომ ეგვიპტეში 1100 ტყვე და 13100 თა-ვი საქონელი ჩამოლის. ამავე წელს ჩამოსხმულია სწორუს ოქროს ქანდაკება²⁴. სწორუს სახელი დაფიქსირებულია სი-ნაზე, რაც მიგვითითებს, რომ კვლავ დაიწყო ნედლეულის მოპოვება სინაის მაღაროებში.

აღსანიშნავია, რომ სწორუს დროს ქვეყნის გადაწერა უკვე არა ორ წელიწადში ერთხელ, არამედ ყოველწლიურად ტარდება, რაც სხვა ცვლილებებთან ერთად, ქვეყანაში დოვ-ლათისა და წესრიგის ზრდაზე მიუთითებს. ამ დროს ეგვიპტე

²³ Helck, Geschichte..., 33. 47.

²⁴ Sethe K., Urkunden des alten Reiches, Leipzig, 1932-33, Bd I, 235.

ვითარდება არა მარტო ტექნიკური მიღწევების თვალსაზრისით. საოცრად იხვეწება ხელოვნებაც. ამ დროს ხელოვნებაში მომხდარი ცვლილებები თვალსაჩინოდ მეტყველებს ეგვიპტელთა სულიერ განვითარებაში მომხდარ ძვრებზე. ქრება ველურობის ელფერი, რომელიც ჯერ კიდევ ჯოსერის დროინდელ გამოსახულებებს ახასიათებს. სნოფრუს დროს შექმნილი საოცრად დახვეწილი ქანდაკებები დღეს მსოფლიო ხელოვნების შედევრებად არის მიჩნეული²⁵.

სნოფრუს პირამიდების სამი კომპლექსი ჰქონდა. თავად ეგვიპტელები მედუმის პირამიდას სნოფრუს საკუთრებად თვლიდნენ²⁶. მისი მეორე (დაშურის) პირამიდის მშენებლობაში რაღაც შეცდომა იყო დაშვებული და იგი შუა გზაზე მიატოვეს. დღეს იგი „მოღუნული პირამიდის“ სახელით არის ცნობილი. მის ჩრდილოეთით აგებულმა პირამიდამ დააკმაყოფილა ფარაონი. წარწერების თანახმად, ამ „ნითელ პირამიდად“ ცნობილი ნაგებობის დასრულება სნოფრუს მეფობის ბოლო წელს მოხდა²⁷.

სნოფრუს მემკვიდრე – ხეოფსი ჩვენი ნაშრომის პროტაგონისტია. ტურინის პაპირუსის თანახმად მას მეფობის 23 წელი მიენერება (დაახლ. 2553-2530). ისტორიული ცნობები ხეოფსის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ არ გაგვაჩნია. არ არის ცნობილი აგრეთვე ამ ალბათ ყველაზე ცნობილი ფარაონის გამოსახულებები, გარდა მცირე ზომის სპილოს ძვლის ფიგურისა²⁸, მაგრამ ალბათ მისი მეფობის დროის ეგვიპტის ბრწყინვალებაზე ყველა წარწერაზე უფრო მისი გიგანტური პირამიდა მეტყველებს. მისი მშენებელი, დიდებული ქმ-Іннв შესაძლებელი იყო.

²⁵ მაგ., დიდებულის რახოტეპისა და მისი მეუღლის – ნოფრეტის ფერადი ქანდაკებები, Michalowsky K., Art of Ancient Egypt, N.Y., N70-71.

²⁶ Petrie W. F., Medium, London, 1892.

²⁷ Helck, Geschichte, ვ3. 53.

²⁸ Petrie W. F., Abydos, London, 1909, vol. II, pl. 13-14.

ლოა, ხეოფსის ძმისშვილი იყო²⁹. მისი მასტაბა ხეოფსის პირა-
მიდის დასავლეთით არის ნაპოვნი. არანაკლებ საგულისხმო
ხეოფსის დედის, ხეტეპხერესის სამარხში ნაპოვნი ნივთები,
რომლებიც მართლაც წარმოუდგენელი სიმდიდრითა და სა-
ოცრად დახვეწილი გემოვნებით გვანცვიფრებს.

ხეოფსის დროს კულმინაციას აღწევს აგრეთვე ფარაო-
ნის, როგორც ქვეყნის მთავარი ღვთაების მდგომარეობა. უმ-
აღლესი რანგის დიდებულებსაც კი ეკრძალებოდათ თავიანთ
სამარხებში საკუთარი ქანდაკებების მოთავსება (ამ მხრივ გა-
მონაკლის დიდი პირამიდის მშენებელი ჰო-Iwnw წარმოად-
გენს). გარდაცვლილთა კულტის ისეთი უმნიშვნელოვანები
ატრიბუტიც კი, როგორიც იყო სამსხვერპლო სიების ფილები
მიცვალებულთა გამოსახულებით, მალვით შეჰქონდათ სამარ-
ხებში³⁰, დაშვებული იყო მხოლოდ მიცვალებულის თავის გა-
მოსახულების მოთავსება სარკოფაგის კამერის შესასვლელ-
თან. ყველა ამის ფონზე შესაძლო მანეთონის ცნობები იმის
თაობაზე, რომ ხეოფსმა ყველა ღვთაების ტაძრების დახურვა
ბრძანა, მართლაც შეიცავს სიმართლის მარცვალს³¹.

თითქმის არაფერია ცნობილი ასევე ხეოფსის შვილის –
ჯედეფრასა (dd.f-R^c) და მისი მეფობის შესახებ (დაახ. 2530-
2521 წწ. ჩვ. ნ.-მდე), მაგრამ მისი სახელი რას კომპონენტით
გვამცნობს უდიდეს ძვრებზე, რომლებიც ამ დროისათვის ეგ-
ვიპტის რელიგიურ აზროვნებასა და იდეოლოგიაში მოხდა.
უკვე ელემენტი „რა“ აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ხეოფ-
სის მეფობა ღვთაება – ფარაონის უკანასკნელ ბრწყინვალე
მეფობას წარმოადგენდა. ჯედეფრა არის ასევე პირველი ფა-
რაონი, რომელმაც თავს „რას ვაჟიშვილი“ უწოდა³², ხოლო

²⁹ Junker H., Giza, Bd. I, 132.

³⁰ Helck, Geschichte, ვ3. 53.

³¹ ოქვე.

³² Kees, Götterglaube, ვ3. 250.

მისმა ძმამ და მემკვიდრე – ხეფრენმა (H^c , f-R^c) ფრაზა „რას ვა-
უშვილი“ უკვე თავისი სამეფო ტიტულატურის შემადგენელ
ნაწილად აქცია³³. „რას ვაუშვილით“, რომელიც ფარაონის
ტიტულატურის მეხუთე და ბოლო ელემენტს წარმოადგენს,
ტიტულატურა იძენს თავის დასრულებულ სახეს. ამიერიდან
ვიდრე ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებამდე, ფარაონი
ხდება „ხორი“, „რას ვაუი“.

ხეფრენის პირამიდა, მეორე დიდ პირამიდებს შორის, ხე-
ოფსის პირამიდის გვერდით მდებარეობს³⁴. შესაძლოა ხეფ-
რენს ხაზი უნდოდა გაესვა მამასთან სიახლოვისათვის, რად-
გან თვალში საცემია, რომ ტახტზე არა ჯედეფრას ვაუი, არა-
მედ ძმა ავიდა და ამდენად საქმე, როგორც ჩანს, შიდადინას-
ტიურ დაპირისპირებასთან გვაქვს. შესაძლოა, ამ შიდაოჯახუ-
რი არეულობის მიზეზი, რაღაც თვალსაზრისით, ის დიდი
ძვრებიც იყო, რომლებიც ამ დროს ეგვიპტის იდეოლოგიაში
მიმდინარეობდა, მაგრამ ამის თაობაზე დღეს შეიძლება მხო-
ლოდ მოკრძალებული ვარაუდი გამოთქვა. თუმცა, დღეისათ-
ვის არსებული მნირი ფაქტობრივი მასალაც კი გვაძლევს სა-
შუალებას მოვახდინოთ შემდეგი რეკონსტრუქცია: შიდა და-
პირისპირები ხეფრენის ოჯახში გრძელდება და საბოლოოდ
საქმე გვაქვს დინასტიურ და იდეოლოგიურ ცვლილებებთან.

Urkunden ხეფრენის მემკვიდრედ მიეკრინს ასახელებს
(Mn-kzw-R^c)³⁵, მაგრამ სამეფო სიებისა და მანეთონის³⁶ მიხედ-
ვით მათ შორის კიდევ ერთი, საქარას სიის თანახმად კი ორი
მეფე იყო³⁷. სამნუხაროდ, ამ მეფეთა სახელები დაკარგულია

³³ იქვე, გვ. 277.

³⁴ Hölscher U., Das Grabdenkmal des Königs Chephren Leipzig, 1912.

³⁵ Sethe, Urkunden I, 166.

³⁶ Menetho, The loeb classical library, Harvard Univ. Press, 1956, გვ. 47.

³⁷ ამ პერიოდის რეკონსტრუქციისათვის: Junker, Giza VII; Sethe, Ur-
kunden I; 160-166, Sethe-Schäfer – Borchardt, Annalen; Helck, Geschicht-
he, გვ. 53-60.

ყველგან, გარდა მანეთონისა, რომელიც ვინმე Bicheris-ს მოწერაში მოტკიცია სენიებს. გრაფიტი, რომელიც უფრო ვეიანდელი პერიოდითაა დათარიღებული, ხეფრენის მემკვიდრეებად ქრ.-dd.f-სა და B3.f-R^c-ს ასახელებს. შესაძლოა, ეს უკანასკნელი იგივეა, რაც მანეთონის ბიხერისი. ხორჯედეფი და ბაუფრა ცნობილი არიან, როგორც ხეოფსის ვაჟიშვილები და, შესაბამისად, ხეფრენის ძმები. მოგვიანებით მათ მოიხსენიებდნენ, როგორც უკანონო მმართველებს. ანალები, რომლებიც მაქსიმალური სიზუსტით ასახელებდნენ ტახტზე ასულ თითოეულ ფარაონს, ბაუფრას მეფობის შვიდ წელს ითვლიან. ხორჯედეფს, რომელიც არ მოიხსენიება არც მანეთონთან და არც ტურინის პაპირუსში, ეტყობა, სულ რამდენიმე თვის მეფობა ერგო წილად. ხორჯედეფის სამარხი ნაპოვნია გიზეში ხეოფსის პირამიდის აღმოსავლეთით, უფლისნულთა სასაფლაოზე. სამარხი არასოდეს გამოუყენებიათ და წარწერები სამარხის კედლებზე, როგორც ჩანს, მიზანდასახულად იყო წაშლილი³⁸. უფრო ვეიანდელ ეგვიპტეში ხორჯედეფი ცნობილი იყო, როგორც გარდასულ დროთა ბრძენი და ერთ-ერთი ცნობილი „დარიგების“ უანრის ნაწარმოების ავტორი. ჩვენთვის ხორჯედეფი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, როგორც წაშრომის ბოლოში მოთავსებული ზღაპრის მეორე პროტაგონისტი – სწორედ ის მოუყვანს მამას ბრძენს, რომელიც ხეოფსს დინასტიურ ცვლილებებს უნინასწარმეტყველებს³⁹.

³⁸ Brunner-Traut, E., Die Weisheitslehre des DjedfHor, ZAS, 76, 1940, გვ. 3-8.

³⁹ ამასთან დაკავშირებით ძალიან საგულისხმოდ მიმაჩნია კიდევ ერთი ვერსია, რომლის თანახმად დიდებული ქალი ხენტკაუსი (იხ. ქვევით), რომელიც დღეისათვის ცნობილი მასალის საფუძველზე V დინ. პირველი ორი (ან, შესაძლოა, სამი) ფარაონის დედად ითვლება, ხორჯედეფის ქალიშვილი იყო (Faulkner R. O., Vente E. F., Simpson W. K., The Literature of Ancient Egypt, New Haven – London, 1972, გვ. 16).

ტახტზე ასვლის შემდგომ მიკერინმა (Mn-k3w-R^c, დაახლ. 2488-2470 ჩ.წ. ნ.-მდე) ორივე ბიძა, რომლებიც მასსა და მამის ტახტს შორის დადგნენ, უკანონოდ გამოაცხადა⁴⁰. მისი პირა-მიდა, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სიღიდით ორ დიდ პირამიდას, გვამცნობს ღვთაება-ფარაონის, როგორც ქვეყნის მთავარი ღვთაების სწრაფი დაღმავალი სვლის შესახებ. ეს კიდევ უფრო გამოკვეთილია მიკერინის ვაჟისა და მემკვიდრის შეპსესკაფის (špss-k3.f, დაახლ. 2470-2465 წწ. ჩ.წ. ნ-მდე) დროს. ისტორიული ცნობები არც მისი მეფობის შესახებ არ გავვაჩნია, მაგრამ უაღრესად საგულისხმოა, რომ მან უარი თქვა უკვე ტრადიციად ქცეულ პირამიდის ფორმაზე და თავის სამარხს უზარმაზარი სარკოფაგის ფორმა მისცა (სიმაღლე - 18 მ., ჩრდ. - სამრ. - 100 მ., დას.-აღმ. - 73 მ.)⁴¹. რა თქმა უნდა, ასეთი რადიკალური ცვლილებები ყოველთვის შეგნებულად ხდება. პირამიდებისაგან განსხვავებულია ასევე სამარხის შიდა კონსტრუქცია. განსაკუთრებით საგულისხმოდ მიმაჩნია, რომ შევსესკაფია ანალოგიური რეკონსტრუქცია მოახდინა მამის, მიკერინის პირამიდის შიდა ნაწილში. ეს, რასაკვირველია, მეტყველებს ძალიან დიდ ძვრებზე რელიგიურ წარმოდგენებში. თუმცა დეტალების დადგენა დღეისათვის შეუძლებელია, ზოგადად შეიძლებოდა წარმოვიდგინოთ, რომ ფარაონმა-ღვთაებამ ეგვიპტის პანთეონის ტახტი სხვა ღვთაებას, კერძოდ კი რას დაუთმო.

IV დინასტიის დასასრულის შესახებ ზუსტი ცნობები არ გავვაჩნია. ტურინის პაპირუსი 2 ნელინადს მიაწერს ფარაონს, რომლის სახელი დაკარგულია, მანეთონი კი ასრულებს დინასტიის ვინმე Thamphthis-ით, რომლის ტრანსკრიფცია შეიძლება ის:

⁴⁰ მიკერინის მეფობაზე იხ. Reisner G. A., Mycerinus: The Temples of The Third Pyramid at Giza, Cambridge, Mass; 1931.

⁴¹ Jequier, G., Dunham, D., Le Mastabat Faraoun (Service des antiquités de l'Egypte: Fouilles at Saqqarah), Cairo, 1928.



ლება უღერდეს, როგორც Pth-dd.f⁴². მის შესახებ საერთოდ არ არის აფერია ცნობილი, ამიტომ დღეს თანამედროვე სამეცნ ცხრილები შეპსესეაფიდან პირდაპირ V დინ. I ფარაონზე – უსერ-კაფზე გადადიან.

V დინ. ნარმოშობაზე უამრავი ლეგენდა არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი – ე. წ. „ვესტკარის პაპირუსის ზღაპარი“ – ნაშრომის ბოლოშია მოთავსებული. ზოგიერთის აზრით V დინასტიის ფარაონები ნარმოშობით ჰელიოპოლისიდან იყვნენ, მაგრამ ამ ვერსიის ერთადერთ საყრდენს V დინ. დროს რას აღზევება ნარმოადგენს⁴³. მანეთონი V დინასტიას ელეფანტინას უკავშირებს⁴⁴. „ვესტკარის პაპირუსის ზღაპრის“ თანახმად, V დინ. სათავე სახბუში უნდა ვეძიოთ. ტოპონიმი „სახბუ“ ჯერჯერობით მხოლოდ ამ ზღაპრიდან არის ცნობილი. ჰ. გოტიეს აზრით, სახბუ, შესაძლებელია, სადღაც ლეტოპოლისის, მემფისის ან ჰელიოპოლისის სიახლოვეს მდებარეობდა⁴⁵. ა. ერმანის აზრით, ზღაპრისეული სახბუ (Shbt.w) იდენტურია ნილოსის დელტაში მდებარე პუნქტ Shbt-ისა⁴⁶. ზღაპრის თანახმად, სახბუს სიახლოვეს მდებარეობდა ე. წ. „ორი თევზის არხი“ (იხ. ქვევით). დღეისათვის ამ სახელწოდების მქონე სამი არხია ცნობილი – ლეტოპოლისში, ლიკოპოლისა და ჰერაკლეოპოლისში⁴⁷. მ. კოროსტოვცევის აზრით, სახბუ სადღაც დელტაში უნდა ყოფილიყო, რადგან ზღაპარში სახბუ და ჰელიოპოლისია მოხსენიებული, როგორც V დინასტიის

⁴² Hayes W. C., The Scepter of Egypt, Harvard Univ. press, 1960, vol. I, გვ. 66.

⁴³ Helck, Geschichte, გვ. 62.

⁴⁴ იქვევით.

⁴⁵ Gauthier H., Dictionnaire des noms géographiques contenus dans les textes hiéroglyphiques, Le Caire, 1928, vol. V, გვ. 10.

⁴⁶ Erman A., Die Märchen des Papyrus Westcar (Königl. Mus. zu Berlin, Mitteilungen aus Orientalischen Samml. Bd. V, გვ. 20).

⁴⁷ იქვევით, გვ. 56; Brugsch, H., Dictionnaire géographique de l'ancienne Egypte, Leipzig, 1879, გვ. 620-21.

ფარაონების სამშობლო. აქედან გამომდინარე, იგი გამორიც-
ხავს ჰერაკლეოპოლისსა და ლიკოპოლისს, რადგან ისინი
დელტის გარეთ მდებარეობდნენ და არჩევანს აჩერებს ლეტო-
პოლისზე. შესაბამისად, მ. კოროსტოვეცი (ზღაპრის მონაცე-
მებზე დაყრდნობით) თვლის, რომ V დინ. ფარაონების სამშობ-
ლო იყო ლოტოპოლისის (II ქვემოევვიპტური) ნომი⁴⁸, რაც, თა-
ვის მხრივ, მანეთონის მონაცემებს ემთხვევა. აღსანიშნავია
ისიც, რომ ლეტოპოლისი ჰელიოპოლისის სიახლოვეს მდება-
რეობდა.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმის თაობაზე, იყო თუ
არა V დინ. რამენაირად დაკავშირებული IV დინასტიასთან.
მ. კოროსტოვეცის აზრით, თუ დინასტიას მმართველ გვარს
დავარქევთ, IV და V დინ. ფაქტიურად ერთ დინასტიას წარ-
მოადგენდნენ, რადგან IV დინ. ფარაონის – მიკერინის ქალიშ-
ვილი ჰენტკაუსი V დინ. ორი ფარაონის – ნეფერირკარასა და
სახურას დედა და ამდენად V დინ. დამარსებელი იყო. მისივე
აზრით, V დინასტიის ტახტზე ასვლა სწორედ ამის საფუძველ-
ზე მოხდა⁴⁹. საწინააღმდეგო აზრისაა ვ. ჰელკი, რომელიც
თვლის, რომ V დინ. არ იყო დაკავშირებული ხეოფსის ოჯახ-
თან. მისი აზრით, V დინ. ფარაონებს, პირიქით, ხაზგასმით უნ-
დოდათ აღენიშნათ, რომ ისინი სხვა ოჯახს წარმოადგენდნენ,
და სწორედ ამიტომ ააგო ამ დინასტიის პირველმა ფარაონმა,
უსერკაფმა თავისი სამარხი IV დინ. ფარაონების სამარხები-
დან მოშორებით, უძველესი, ჯოსერის პირამიდის გვერდით⁵⁰.
ვ. ჰელკი თავის ვერსიას იმით ასაბუთებს, რომ, თუმცა, გიზეს

⁴⁸ Коростовцев М. А., Из истории V династии в Древнем Египте, ВДИ, 1941, №1, გვ. 37.

⁴⁹ იქვე, გვ. 43. მსგავსი აზრისაა აგრეთვე ლ. ბორჩარტი, Borchardt L. Hnt-K3w. s, die Stammutter der 5ten Dynastie, ASAE, no.38, 1937.

83. 106-114.

⁵⁰ Helck, Geschichte, გვ. 62.

ე. 6. IV პირამიდის⁵¹ მფლობელი ჰენტკაუსი ატარებდა წოდებას „ორი ღვთაების დედა”⁵² და შესაბამისად V დინასტიის პირველი ორი (და შესაძლოა სამი)⁵³ ფარაონის დედა იყო, ჯერჯერობით არ არის მოძიებული მისი წოდება, რომელიც დაადასტურებს, რომ იგი ასევე იყო მიკერინის ქალიშვილი⁵⁴. ამდენად ჰელკი V დინ. ფარაონებს „უზურპატორებს” უწოდებს.

ამდენი გაურკვევლობის მიუხედავად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დინასტიურ ცვლილებას არ მოჰყოლია დიდი ცვლილებები ეგვიპტის პოლიტიკურ ელიტაში, რადგან, როგორც ამას იმდროინდელ დიდებულთა ავტობიოგრაფიული წარწერები გვამცნობენ, IV დინ. დროს მაღალი თანამდებობების მქონე ჩინოვნიკებმა მშვიდობიანად დაასრულეს ცხოვრება V დინ. დროს⁵⁵. გაცილებით უფრო თვალშისაცემია სხვა ცვლილებები: V დინასტიიდან ფარაონის პირამიდა მკვეთრად იკლებს ზომებში, და იმავდროულად ჩნდება ახალი, იქამდე უცნობი ნაგებობები. ესაა მზის ღვთაებისადმი მიძღვნილი თავისებური ფორმის ტაძრები, რომლებსაც ოქროთი მოვარაყებული ობელისკი აგვირგვინებს. აქ განსაკუთრებით საყურადღებოდ მიმაჩნია ჯ. ვილსონის დაკვირვება: როგორც

⁵¹ სინამდვილეში ამ ნაგებობას უზარმაზარი სარკოფაგის ფორმა აქვს, S. Hassan, Excavations at Giza, Kairo, 1928, Bd. IV, გვ. 3.

⁵² Junker, H., Die Grabungen der Universität Kairo auf der Pyramidenfeld von Giza, MDIAK, 1928, Bd III, გვ. 123.

⁵³ სახურას სამგლოვიარო ტაძარში ნეფერირკარა მის ძმად არის მოხსენიებული, Helck, Geschichte, გვ. 62.

⁵⁴ ამ შემთხვევაში მას, როგორც ფარაონის ქალიშვილს, უნდა ჰქონდა წოდება „ღვთაების ქალიშვილი”.

⁵⁵ ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა პტახშეპსესის ბიოგრაფია, რადგან მას ცოლად ჰყავდა შეპსესკაფის ქალიშვილი და ამდენად IV დინასტიასთან განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა. მას ერთხაირად მაღალი მდგომარეობა ეკავა ორივე დინასტიის დროს (პტახშეპსესის ბიოგრაფია იხ. Breasted J. H., Ancient Records of Egypt, N. Y., 1962, vol. I, გვ. 115-118).

ცნობილია, ეგვიპტელთა წარმოდგენით მზე ჰორიზონტზე
დილით გამოჩენის შემდგომ თავისი სოლარული გემით მიცუუ-
რავდა ზეცაზე. ეს წარმოდგენა, რომ მზე ცის კაბადონს ყო-
ველდღე გემით გადასცურავს ხოლმე, როგორც ჩანს, უძვე-
ლეს დროში ჩამოყალიბდა, რადგან სოლარული გემები უკვე |
დინასტიის მეფეთა სამარხებში იქნა აღმოჩენილი⁵⁶. მოვციანე-
ბით ასეთ ხომალდებს პირამიდების გვერდით აგებდნენ. რად-
გან ფარაონის, სელესტიიალური და მზის კულტები ეგვიპტეში
ჯერ კიდევ წინადინასტიურ პერიოდში იყო გადაჯაჭვული
დღეს ძნელია დანამდვილებით ითქვას, თუ ვინ იყო ამ უძვე-
ლესი გემების „პატრონი”, მაგრამ V დინასტიიდან მოყოლებუ-
ლი ყველა სოლარული ნაგებობა, რა თქმა უნდა, რას „საკუთ-
რება” ხდება. ჯ. ვილსონმა ჩაატარა ძალზედ საინტერესო
დაკვირვება პირამიდებსა და მათი თანმხელები სოლარული
არქიტექტურის პროპორციებთან დაკავშირებით: ხეოფსის
დიდი პირამიდის სიმაღლე 480 ფუტია და მას უკიდურესად
მოკრძალებული ზომის მზის პარკა ახლავს. ნიუსერრას (V
დინ. მეექვსე ფარაონი) პირამიდის სიმაღლე 165 ფუტია, ხო-
ლო მის გვერდით აგებული რას ტაძარი 5 ფუტითაა მასზე მა-
ლალი. „IV დინასტიაში ფარაონი დომინირებს რაზე, V დინას-
ტიაში რა დომინირებს ფარაონზე”, – ასკვნის იგი⁵⁷.

ამგვარად, რას კულტმა, რომლის სათავეები დღეს ბუნ-
დოვანია, ბრწყინვალე და საბოლოო გამარჯვება მოიპოვა. იგი
გახდა ეგვიპტის უზენაესი ღვთაება ეგვიპტეში ქრისტიანობის
გავრცელებამდე, ხოლო ძველი უზენაესი ღვთაება, ერთ
დროს „რას პატონი” – ფარაონი „რას ვაჟიშვილის” მდგომარე-

⁵⁶ Emery, Archaic Egypt, გვ. 120; James E. O., The Ancient Gods, N. Y., 1946, გვ. 71.

⁵⁷ Wilson J. A., The Culture of Ancient Egypt, The Univ. of Chicago Press, 1957, გვ. 88.



ობას იმკვიდრებს. ამით ხდება ფარაონის „მეორე თაობის“ დღვთაებად გარდასახვა.

აქ მინდა მოკლედ აღვნიშნო შემდეგი: V დინასტიიდან იწყება ფარაონის თანდათანობით „გაადამიანება“. შემთხვევითი არაა, რომ გიგანტური პირამიდების მფლობელების შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. მათი პირამიდების კედლებზე მოთავსებული ტექსტების უზარმაზარი კრებული – პირამიდების ტექსტები გვამცნობს მხოლოდ მათ ღვთაებრივ ქმედებებსა და ზეცად აღზევების შესახებ. ძველი სამეფოს ფარაონების „დედამიწაზე ცხოვრების“ შესახებ ინფორმაციის მოპოვება მათი თანადროული ეგვიპტელების სამარხებში მოთავსებული წარწერებიდან მოძიებული მასალის შეკონინებით არის შესაძლებელი. თანდათან ფარაონი „ეშვება მიწაზე“, შუა და განსაკუთრებით კი ახალი სამეფოს ფარაონები დღეს, მათი თითქოს-და მითოსურ წინაპრებთან შედარებით, წარმოჩინდებიან როგორც საკუთარი, სავსებით ადამიანური ხასიათის მქონე ძლიერი და ენერგიული პიროვნებები. სწორედ ამიტომ, ძველი სამეფოსაგან განსხვავებით, ახალი სამეფოს ეგვიპტე „ფარაონის ბრწყინვალების ხანად“ არის ცნობილი⁵⁸.

ასეთია მოკლედ ისტორიული სინამდვილე ეგვიპტეში ახალი დიდი ღმერთის დაბადების შესახებ. „ვესტკარის პაპირუსის ზღაპარი“ ზღაპრული ენით აგვილწერს ამ ისტორიულ მოვლენებს.

დღეისათვის ზღაპრის ეგვიპტური პაპირუსის ერთა-დერთი ეგზემპლარი არსებობს, რომელიც „ბერლინის მუზეუ-

⁵⁸ ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვნად მიმართია ფარაონებისა და ღვთაებების გამოსახულებების პროპორციების შედარება. ძველი სამეფოს ფარაონები დომინირებდნენ ღვთაებების გამოსახულებებზე, მაგრამ თანდათან ისინი მცირდებიან ზომებში, დიდი რამზესი კი მუხლებზე დაჩოქილი ლოცულობს რას წინაშე, რაც აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო ხეოფსის დროს.

მის „ვესტკარის პაპირუსის“ სახელით არის ცნობილი (Papyrus Berlin 3033). პაპირუსი ჩვ. წ.-მდე XVII საუკუნით არის დათარიღებული, მაგრამ, როგორც ამას პაპირუსის ენაც ადასტურებს, იგი გაცილებით უფრო ძველი ორიგინალის ასლს წარმოადგენს⁵⁹. პაპირუსის თავი და ბოლო დაკარგულია. ტექსტში მრავლად არის ლაკუნები, რომელთა უმრავლესობა აღდგენილია მისი გამომცემლის ა. ერმანის მიერ.

მთლიანობაში ზღაპარი ერთი საერთო ჩარჩოთი გაერთიანებულ რამდენიმე ამბავს წარმოადგენს და მსოფლიო ლიტერატურაში ამგვარი კომპოზიციის უძველეს ნიმუშად გვევლინება: ფარაონ ხეოფსის შვილები ცდილობენ გაამხიარულონ მოწყენილი მამა და მას სხვადასხვა ამბებს უყვებიან. პირველი ზღაპარი და მასთან ერთად მისი მომყოლი ვაჟიშვილის სახელი დაკარგულია; მომავალი ფარაონი ხეფრენი ყვება მეორე ზღაპარს, რომელშიც მოთხრობილია III დინ. ფარაონის ნებებს დროს მომხდარი საოცრებები. ბაუფრას (იხ. ზემოთ) მიერ მოთხრობილ მესამე ზღაპარში სწორუს დროს მომხდარ საოცრებებს ვეცნობით. ჩვენს ინტერესს ბოლო ზღაპარი წარმოადგენს, სადაც ხეოფსის მეოთხე ვაჟიშვილის – ჯედეფხორის მიერ მოყვანილი ბრძენი ფარაონს უწინასწარმეტყველებს ყოველივე იმას, რის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ.

ტექსტის თარგმანი შესრულებულია ა. ერმანის გამოცემის მიხედვით (A. Erman, Die Märchen des Papyrus Westcar, Königl. Museen zu Berlin, Mitteilungen aus der orientalische Sammlungen, ნაწ. V-VI, Berlin, 1890).

⁵⁹ ზღაპრის შექმნის დროდ ჩვ. წ.-მდე XII ს. ითვლება, იხ. Faulkner R. O., Wente E. F., Simpson, The Literature of Ancient Egypt, New Haven, 1972, გვ. 15.

მეოთხე ზღაპარი

ვაკები 8.5

6.23. მაშინ ნამოდგა უფლისნული ჯედეფხორი და თქვა...⁶⁰

7.1. „მას ჰქვია ჯედი; ცხოვრობს ჯედ-სნოფრუში⁶¹!“

7.2. არის ას ათი წლის. ერთ დაჯდომაზე ხუთას პურს და ნახევარ ხარს მიირთმევს.

7.3. ლუდს სვამს ას კათხას, და ასე ყოველდღე⁶²

7.4. მას შეუძლია კვლავ მიუერთოს სხეულს მოჭრილი თავი, შეუძლია აიძულოს ლომი გაჰყვეს მას ისე,

7.5. რომ ლუდი არ ეჭიროს ხელში. მან იცის თოტის⁶³

7.6. საიდუმლო სალოცავის დარბაზების რიცხვი“. მისი უდიდებულესობა, ზემო და ქვემო ეგვიპტის ხელმწიფე, ხეოფესი, თავად ცდილობდა გაეგო

7.7. თოტის საიდუმლო სალოცავების დარბაზების რიცხვი, რადგან უნდოდა მსგავსი რამ გაეკეთებინა თავის ჰორიზონტზე⁶⁴.

⁶⁰ 6.23-26 ლაკუნა ერმანის ალდგენის თანახმად: „აქამდე შენ მოისმინე ამბები გარდასულ დროთა შესახებ, და ვერავინ გაარჩევს სიმართლეს სიცრუისაგან. მაგრამ შენს დროშიც არსებობს ჯადოერი“. იყითხა მისმა უდიდებულესობამ: „ვინ არის იგი, ხორჯედეფ, ზემო შვილო?“

⁶¹ ქალაქი ფაიუმის ჩრდილოეთით.

⁶² თოტი – მთვარის, სიბრძნისა და ღვთაებრივი სიტყვის ღვთაება. მას იბისისა და ბაბუინის იკონოგრაფია ჰქონდა, ან გამოისახებოდა როგორც იბისის თავიანი ადამიანი. თოტს მიენერებოდა დამწერლობის შექმნა და გადამწერთა მფარველობა: იგი იყო ასევე რიცხვების, კალენდრისა და წლების ღმერთი. მოწხესენიებდნენ ასევე, როგორც „რას გულს (გული ეგვიპტელთა წარმოდგენით აზროვნების სათავეს წარმოადგენდა). თოტი იყო დიდი მაგი და მავის მფარველი. ეგვიპტელთა წარმოდგენით, ჰერმოპოლისის განთქმულ ბიბლიოთეკაში ინახებოდა თავად თოტის მიერ დაწერილი წიგნი, და ამ წიგნში ჩანერილი მაგიური შელოცვებით შეიძლებოდა ზეცის, ხმელეთისა და ქვესანელის მოჯადოება. ბერძნებმა თოტი ჰერმესთან გააიგივეს (იხ. Boylan P., Thot, the Hermes of Egypt, 1922).

⁶³ „ჰორიზონტი“ – ფარაონის პირამიდა.

7.8. მისმა უდიდებულესობამ თქვა: „ჯედეფხორ, შენ
თვითონ მომიყვან მე ჯედის“.

7.9. მყისვე გამართეს გემები უფლისწულისათვის, ჯე-
დეფხორისათვის, და გასცურა მან

7.10. სამხრეთისაკენ, ჯედ-სნოფრუსაკენ,

7.11. როცა გემები მიადგნენ ნაპირს, ჯედეფხორმა გააგ-
რძელა გზა სმელეთით.

7.14. როცა მიაღწია ჯედის სახლს, ჯედეფხორი მიესალ-
მა მას. ჯედი წამოწოლილი იყო ჭილობზე

7.15. თავის სახლთან. ერთი მსახური თავს უზელდა
ნელსაცხებლებით, მეორე – ფეხებს. უფლისწულმა თქვა:

7.16. „შენ გამოიყურები ისე, თითქოს არ დამდგარა შენი
სიბერის დრო, თითქოს

7.17. არ მოახლოვებულა სიკვდილისა და დასაფლავების

7.18. ჟამი, ღრმად გძინავს

7.19. გათენებამდე... სალამი

7.20. ლირსეულს! მე მოვედი, რომ მოგიწვიო ჩემი მამის,

7.21. ხეოფსის სამეფო კარზე. შენთვის გაიშლება საუკე-
თესო სუფრები, ხელმწიფის მიერ ნაბოძები.

7.22. მშვენიერი იქნება შენი ცხოვრება, ვიდრე შეუერთ-
დები შენს წინაპრებს

7.23. სასაფლაოზე“. ჯედიმ უპასუხა: „მშვიდობა შენ, ჯე-
დეფხორ, უფლისწულო,

7.24. რომელიც უყვარს მამას. კეთილი იყოს შენთვის ხე-
ოფსი, შენი მამა, მართალი ხმით. გამოგარჩიოს მან უხუცესთა

7.25. შორის. კმაყოფილი იყოს შენი კა შენი წინსვლით...

7.26. ... ასე მიესალმებიან უფლისწულს“. გაუწოდა ჯედის

8.1. ხელი უფლისწულმა, ჯედეფხორმა, და

8.2. წამოაყენა ჭილობიდან, წაიყვანა ნაპირისაკენ.

8.3. მაშინ თქვა ჯედიმ: მოგვაროვან გემი ჩემი შვილები-
სათვის

8.4. და ჩემი წიგნებისათვის. მას მიართვეს ორი გემი, მეტი ნიჩბებითურთ,

8.5. და გაემართა ჯედი ჩრდილოეთისაკენ უფლისწულის, ჯედეფხორის გემით. როცა მათ

8.6. მიაღწიეს ხელმწიფის სასახლეს, უფლისწული ჯედეფხორი გაემართა

8.7. მისი უდიდებულესობისაკენ, ზემო და ქვემო ეგვიპტის ხელმწიფისაკენ, ხეოფსისაკენ, რომელიც არის მართალი სიტყვით. უფლისწულმა თქვა:

8.8. „ხელმწიფევ, დე, იყავ შენ ცოცხალი, უვნებელი და ჯანმრთელი⁶⁴, ჩემო მპრძანებელო, მოყიყანე ჯედი. ბრძანა

8.9. მისმა უდიდებულესობამ: „ნადი, მოიყვანე, და თავად გაემართა ფარაონის მისაღები დარბაზისაკენ;

8.10. მოუყვანეს მას ჯედი, და თქვა მისმა უდიდებულესობამ: „როგორ მოხდა,

8.11. ჯედი, რომ არ მინახიხარ ამდენ ხანს?“ უპასუხა ჯედიმ: „მოდის ის, ვისაც ეძახიან,

8.12. დამიძახეს, და მეც მოვედი“. მისმა უდიდებულესობამ თქვა:

8.13. „მართალს ამბობენ, რომ შენ შეგიძლია შეაერთო მოკვეთილი თავი და სხეული?“

8.14. ჯედიმ უპასუხა: „შემიძლია, ხელმწიფევ“.

8.15. მისმა უდიდებულესობამ თქვა: „მოიტანონ დილეგიდან თავმოკვეთილი პატიმრის სხეული და მისი თავი“.

8.16. მაშინ ჯედიმ თქვა: „ადამიანი არა, ხელმწიფევ,

8.17. არ შეიძლება ასეთი რამ ჩაიდინო ადამიანზე“.

8.18. მაშინ მოუყვანეს ბატი მოჭრილი თავით.

⁶⁴ ეს ფორმულა („n̄, wdʒ, snb) ეგვიპტურ ტექსტებში ფარაონის ყოველ სსენებაზე გამოიყენებოდა. ჩვენს ტექსტშიც იგი ასევეა ნახმარი, მაგრამ პირველად მოხსენიების შემდეგ შეგნებულად გამოვტოვე.

8.19. მან დადო ბატი დარბაზის დასავლეთ კედელთან დამისი თავი

8.20. აღმოსავლეთ კედელთან, წარმოთქვა ჯადოსნური სიტყვები, და

8.21. ბატი წამოდგა, შეჯანჯლარდა, თავი წამოწია,

8.22. და გაემართნენ ისინი ერთმანეთისაკენ, და შეერთ-დნენ,

8.23. და ბატმა დაიყიყინა.

8.24. ... მისმა უდიდებულესობამ ბრძანა მოეტანათ ხარი

8.25. და მისი მოჭრილი თავი დადეს მინაზე, და ჯედიმ წარმოთქვა რაღაც ჯადოსნური სიტყვები,

8.26. ადგა ხარი და გაჰყვა ჯედის.

9.1. ... მაშინ მისმა უდიდებულესობამ, ხეოფსმა, მართალმა სიტყვით, თქვა: „მართალია, რომ შენ იცი თოტის

9.2. საიდუმლო სალოცავის დარბაზების რიცხვი?“ ჯედიმ მიუგო:

9.3. არა, მე არ ვიცი მათი რიცხვი, ხელმწიფევ, მაგრამ მე ვიცი ადგილი

9.4. სადაც ინახება დაწერილი ამის შესახებ“. იკითხა მისმა უდიდებულესობამ: „სად არის? ჯედიმ მიუგო: „ის ინახება კაჟის ზარდახშაში

9.5. დარბაზში, რომელსაც ჩანაწერების დარბაზს ეძახიან, დარბაზი თავად კი ჰელიოპოლისშია“. მისმა უდიდებულესობამ თქვა: „მომიტანეთ“,

9.6. ჯედიმ უპასუხა: „თქვენო უდიდებულესობავ, მე არა ვარ ის, ვინც შენ ამ ზარდახშას მოგართმევს“ მაშინ მისმა უდიდებულესობამ იკითხა:

9.7. „ვინ მომიტანს მას?“ ჯედიმ მიუგო: „უფროსი იმ სამი ბავშვიდან, რომლებზეც ახლა არის ფეხმძიმედ

9.8. რაჯედეტი. მისმა უდიდებულესობამ თქვა: „კი, მაგრამ

144

9.9. ... ვინ არის რაჯედეტი? ჯედიმ მიუგო: „რას ქურუ-
მის ცოლი სახბუში.

9.10. მას ჩაესახა რასაგან, სახბუს მპრძანებლისაგან, სა-
მი ვაჟიშვილი. რამ უწინასწარმეტყველა რაჯედეტს,

9.11. რომ მისი ვაჟიშვილები დიდებას მოიპოვებენ, ეგ-
ვიპტის მპრძანებლები გახდებიან. უფროს მათგანი გახდება
[ასევე]

9.12. ჰელიოპოლისის მთავარი ქურუმი”. მისი უდიდებუ-
ლესობა ხეოფესი დაამწუხრა ამ სიტყვებმა.

9.13. ჯედიმ ჰკითხა მას: „რატომ მოიწყინე, ჩემო მპრძა-
ნებელო, ამ ბავშვების

9.14. გულისათვის მოიწყინე? მე ხომ გითხარი, რომ ჯერ
შენი შვილი გახდება მეფე, შემდეგ – მისი შვილი და მხოლოდ
შემდგომ ერთ-ერთი მათგანი. „მისმა უდიდებულესობამ
იკითხა:

9.15. „როდის დაბადებიან ბავშვები?” ჯედიმ მიუგო:
„რაჯედეტი იმშობიარებს ზამთრის პირველი თვის მეთხუთმე-
ტე დღეს”. მისმა უდიდებულესობამ თქვა:

9.16. „ორი თევზის არხში ამღვრეულია წყალი, თორემ მე
თავად წავიდოდი სახბუში

9.17. და მოვინახულებდი სახბუს მპრძანებლის, რას ტა-
ძარს”. ჯედიმ მიუგო:

9.18. „მე ავამაღლებ წყალს ორი თევზის არხში”. მისი
უდიდებულესობა დაბრუნდა თავის სასახლეში და თქვა:

9.19. „უპრძანეთ ჯედის, მოვიდეს უფლისწულის, ჯე-
დეფხორის დარბაზებში. იქ დასახლდება ის

9.20. მას მიეცემა ათასი პური, ასი კათხა ლუდი, მთელი
ხარი, ასი შეკვრა ბოსტნეული”. ყველაფერი შესრულდა, რო-
გორც ხელმწიფემ პრძანა.

9.21. დადგა დრო, როცა რაჯედეტს უნდა ემშობიარა.
მისმა უდიდებულესობამ, რამ, სახბუს მპრძანებელმა, უთხრა
ქალმერთებს.

...

9.24 ისიდას⁶⁵, მესხენტს⁶⁶, ხეკეტს⁶⁷ და ღვთაებას ხუმის⁶⁸: „შეუმსუბუქეთ მშობიარობა რაჯედეტი...“

9.25. მისი სამი შვილი ძალიან მაღალ ადგილს მოიპოვებს, ისინი ხელმწიფები იქნებიან, აგიგებენ თქვენ ტაძრებს.

...

9.27. გაემართნენ ქალღმერთები რაჯედეტისაკენ. მათ მოცეკვავეების სახე მიიღეს, ხუმის მათი ბარგი მიჰქონდა, როგორც მათ მსახურს.

10.1. მივიღნენ ისინი რაუსერის სახლში

...

10.3. უთხრა მათ რაუსერმა:

10.4. „აქ ქალი მშობიარობს“. ქალღმერთებმა უპასუხეს:

⁶⁵ ისიდა, სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, მშობიარე ქალის მფარველი იყო.

⁶⁶ მესხენტი „დასახლების ადგილს“ ნიშნავს, უფრო ვიწრო მნიშვნელობით „მშობიარობის ადგილს“ ნიშნავდა. ჩვეულებრივ ის აგურებით იყო ამოგებული, რომელთაგან ორზე ჩაცუცქული მშობიარე იდგა. ეგვიპტელთა ნარმოდგენით, ამ აგურებს მშობიარეს დაცვა და ახალშობილის ბედის განსაზღვრა შეეძლო, ხოლო თოტი მათზე ახალშობილის სიცოცხლის წლებს წერდა. მათვის ნარმოთქვამდნენ შელოცვებს და მსხვერპლს სწირავდნენ. სავსებით ბუნებრივია, რომ თანდათან მოხდა მათი ქალღმერთად პერსონიფიცირება. ითვლებოდა, რომ მესხენტი ჩვილს უკვე დედის საშოში კას ჩაუსახავდა, მშობიარეს ეხმარებოდა, და ახალშობილის ბედს განსაზღვრავდა. აბიდოსში მესხენტი ოთხ ქალღმერთ-ლთაებად გადაიქცა (ოთხი მესხენტი), რომელთა მბრძანებელი ისიდა იყო (Bonnet H., Reallexicon d.ägyptischen Geschichte, გვ. 458-9).

⁶⁷ ხეკეტი ბაყაყის იკონოგრაფიის მქონე ქალღმერთია, რომელსაც ხერ-ურში (ანტინოპოლისი) ხუმთან ერთად ეთაყვანებოდნენ. ხეკეტი „სიცოცხლის მბოძებელი“ ქალღმერთი იყო. ხეკეტი დედის საშოში ძერნავდა ადამიანებს და მათ ამ ქვეყნად მოვლენას უადვილებდა (იქვე, გვ. 284-5).

⁶⁸ ხუმი უძველესი ღვთაებაა ვერძის ან ვერძისთავიანი ადამიანის იკონოგრაფიით. ერთ-ერთი კოსმოგონიის თანახმად ხუმი – მეთუნე ადამიანებს ძერნავდა თიხიდან მეთუნის ბორბალზე.

- 10.5. „მოგვეცი საშუალება, შევიდეთ მასთან, ჩვენ გვიდიდთ ცით, როგორც დავეხმაროთ მას. რაუსერმა უთხრა: „შედით”.
- 10.6. ისინი შევიდნენ რაჯედეტთან, მოიხურეს კარები
- ...
- 10.7. დადგა ისიდა მშობიარეს წინ,
- 10.8. ნეფტიდა⁶⁹ მის უკან, ხეკეტმა დააჩქარა მშობიარობა. ისიდამ თქვა:
- 10.9. „ნუ გაჯიუტდები დედის საშოში, ჩვილო, რომელიც ხარ უსერკაფი”. დაიბადა მშვენიერი ჩვილი, ოქროს ასოთი და ლაზურიტის თავსამკაულით...
- 10.12. განბანეს ის ქალღმერთებმა, დააწვინეს აგურების ლოგინზე. შემდეგ მიუახლოვდა მას მესხენტი
- 10.13. და წარმოთქვა: „აი ხელმწიფე, რომელიც გაბატონდება მთელს ქვეყანაზე”.
- 10.14. ხნუმმა კი გაამაგრა მისი სხეული. ისევ დადგა ისიდა მშობიარეს წინ, ნეფტიდა
- 10.15. მის უკან, ხეკეტმა კიდააჩქარა მშობიარობა. და
- 10.16. ისიდამ თქვა: „ნუ დაყოვნდები დედის საშოში, ჩვილო,
- 10.17. რომელსაც გქვია სახურა”. დაიბადა მშვენიერი ჩვილი, ოქროს ასოთი, ლაზურიტის თავსამკაულით.
- 10.18. განბანეს ის ქალღმერთებმა, დააწვინეს აგურების ლოგინზე.
- 10.19. შემდეგ მიუახლოვდა მას მესხენტი
- 10.20. და წარმოთქვა:
- 10.21. „აი ხელმწიფე, რომელიც იქნება მთელი ქვეყნის ხელმწიფე”.
- 10.22. ხნუმმა კი გაამაგრა მისი სხეული. მესამეჯერ დადგა ისიდა მშობიარეს წინ, ნეფტიდა მის უკან.

⁶⁹ ნეფტიდა აქ პირველად გამოჩნდა ქალღმერთების ჩამონათვალში; როცა რა მათ რაჯედეტთან უშვებს, ის მოხსენიებული არ არის.

10.23. ხეკეტმა კი დააჩქარა მშობიარობა. ისიდამ წარმოთქმა:

10.24. „დასტოვე წყვდიადი მისი საშოსი, ჩვილო, სახელად კაკაი“⁷⁰. დაიბადა მშვენიერი ჩვილი,

10.26. ოქროს ასოთი და ლაზურიტის თავსამკაულით,

11.1. მიუახლოვდა მას მესხენტი და წარმოთქვა: „აი მეფე, რომელიც იქნება მთელი ქვეყნის ხელმწიფე“, ხნუმმა კი

11.2. გაამაგრა მისი სხეული. განბანეს იგი ქალღმერთებმა,

11.3. დააწვინეს აგურის ლოგინზე. გაანთავისუფლეს მათ რაჯედეტი,

11.4. უთხრეს რაუსერს:

11.5. გიხაროდეს, რაუსერ, გეყოლა

11.6. სამი ვაჟიშვილი. უპასუხა მან: „ქალბატონებონ,

11.7. როგორ გადაგიხადოთ მადლობა? აი, ერთი ტომარა ხორბალი, აილოს ის თქვენმა მსახურმა,

11.8. მოხარშეთ მარცვლიდან ლუდი“.

11.9. ხნუმმა წამოიკიდა ტომარა, და გაუდგნენ ისინი გზის.

11.10. მაგრამ ისიდამ თქვა: „როგორ შეიძლება,

11.11. ჩვენ ისე წამოვედით, რომ არ მოვახდინეთ არავითარი სასწაული ამ ბავშვებისათვის,

11.12. რომ მოვახსენოთ ამის შესახებ მამას, რომელმაც აქ გამოგვაგზავნა“.

11.13. მათ შექმნეს სამი გვირგვინი, ისეთი, როგორსაც მეფე იდგამს თავზე, ჩადეს გვირგინები

11.14. მარცვლიან ტომარაში, გამოიწვიეს ჭექა-ქუხილი და წვიმა და

11.15. დაბრუნდნენ რაუსერის სახლში.

⁷⁰ წევერირკარა (V დინ. მესამე ფარაონი). ხშირად თავის შემოკლებულ სახელს – კაკაი ხმარობდა. აქ სიტყვების თამაშია – ეგვ. kkw – წყვდიადი.

- 11.16. მათ თქვეს: „შეინახეთ მარცვალი აქ, ჩაკეტეთ ჩვენს დაბრუნებამდე.“
- 11.17. ჩვენ ჩრდილოეთში მივდივართ საცეკვაოდ”.
- 11.18. მათ დადეს ტომარა ოთახში. რაჯედეტი განიწმინდებოდა მშობიარობის შემდეგ თოთხმეტი დღე.
- 11.19. და ჰკითხა მოახლეს: „საკმარისია სახლში საჭმელი?”
- 11.20. მოახლემ უპასუხა: „ყველაფრით სავსეა სახლი,
- 11.21. მხოლოდ არ არის მარცვალი ლუდის მოსახარშად”.
- 11.22. რაჯედეტს გაუკვირდა: „მარცვალი არ მოუტანია?” მოახლემ მიუგო:
- 11.23. „არის ერთი ტომარა მარცვალი, რომელიც მოცეკვავებმა დაგვიტოვეს. ის ოთახშია, მაგრამ მათ დალუქეს”.
- 11.24. რაჯედეტმა თქვა: „წალი, აიღე იქიდან ცოტა მარცვალი, რაუსერი დაუმატებს ისევ მარცვალს, როცა დაბრუნდება”.
- 11.25. წავიდა მოახლე,
- 12.1. გააღო ის ოთახი და გაიგონა სიმღერის, მუსიკის და ცეკვის ხმა – ყველაფერი ის,
- 12.2. როგორც მეფეს მიეგებებიან. დაბრუნდა და რაჯედეტს მოახსენა.
- 12.3. რაჯედეტი მივიდა, შემოიარა ოთახში და ვერ იპოვა ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა ეს ხმები გამოსულიყო.
- 12.4. შემდეგ მიუგდო ყური ტომარას, და მიხვდა, რომ ხმები ტომრიდან ისმოდა. მაშინ მან შეინახა
- 12.5. ტომარა ყუთში, ყუთი ჩადო მეორე ყუთში, შეკრა თოკით, წაიღო
- 12.6. საკუჭნაოში, და ჩაკეტა კარები. დაბრუნდა რაუსერი
- 12.7. მინდვრიდან, რაჯედეტმა ყველაფერი მოუყვა,
- 12.8. რაუსერის გული სიხარულით აივსო.
- 12.9. გავიდა რამდენიმე დღე, რაჯედეტი გაბრაზდა თავის მოახლეზე და გაარტყა მას. მაშინ მოახლემ უთხრა სხვა მსახურებს:
- 12.11. „როგორ შეიძლება ასე მოიქცეს? ის ხომ სამი მეფის დედაა?“

12.12. მე წავალ და მოვახსენებ ამის შესახებ მის უფრო ძველესობას, ზემო და ქვემო ეგვიპტის ხელმწიფეს, ხეოფსს, მართალს სიტყვით".

12.13. გაემართა იგი სასახლისაკენ და გზად შეიარა თავის უფროს ძმასთან,

12.14. რომელიც კალოზე სელს კრავდა. მან ჰკითხა: „სად მიდიხარ?"

12.15. დამ ყველაფერი მოუყვა. მაშინ ძმამ უთხრა:

12.16. „რატომ მოხვედი ჩემთან? გინდა რომ შენთან ერთად მივიღო მონაწილეობა ამ დასმენაში?"

12.17. და მან სილა გაარტყა დას.

12.18. წავიდა მოახლე წყლის ასაღებად და ჩაითრია ნიანგმა. წავიდა ძმა რაჯედეტთან, რომ ეს ამბავი მოეყოლა.

12.19. როცა მივიდა, ნახა, რომ რაჯედეტი იჯდა მოწყენილი, თავი მუხლებში ჰქონდა ჩარგული,

12.20. გული დამძიმებული ჰქონდა.

12.21. ბიჭმა ჰკითხა: „ქალბატონო, რატომ ხართ ასე მოწყენილი?"

12.22. რაჯედეტმა უპასუხა: „გოგონა, რომელიც ჩემს სახლში იყო,

12.23. წავიდა და ოქვა: მე უნდა მივუტანო ამბავი მეფეს".

12.24. მაშინ ძმამ უთხრა: ქალბატონო, ის მოვიდა ჩემთან, რომ მოეყოლა ყველაფერი,

12.25. ... მე დავარტყი,

12.26. წავიდა წყალთან, და ჩაითრია ნიანგმა...
აქ პაპირუსი წყდება

Manana Khvedelidze

Pharaon Cheops and Gospel?

In The article are reconstructed the historical events, described in the Papyrus of Westcar. The Georgian translation of the tale about Cheops and magician Djedi is given at the end.

საქართველო და კავკასია

Грузия и Кавказ



ცხენის სიმბოლიკისათვის კოლხურ მითო-რიტუალურ სისტემაში

ცხენი კოლხური მითო-რიტუალური სისტემის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება. ყველაზე ხშირად იგი დაკრძალვის რიტუალში ფიგურირებს, რითაც გრძაპირობებს კოლხური დაკრძალვის თავისებურებას. ამის იღუსტრაციაა “წარჩინებული” კოლხი ქალის სამარხი, რომელშიც მისი ოანმხლები პირების გარდა, სამარხის გარეთ ცხენის ჩონჩხი აღმოჩნდა.¹ ასევე, მდინარე ყვირილას ხეობაში, საირხეში აკლდამა №5 – ში სამი მიცვალებულისთვის თან ჩაყოლებული ხუთი ცხენი (აქედან ორ მიცვალებულს ზემოლან ცხენის ძვლები ეყარა). №8 სამარხში ჩრდილოეთის კამერაში ცხენებთან ერთად აღმოჩნდა ძალლის ორი ჩონჩხიც.² ამავე ხეობაში, ს. ითხვისში აღმოჩნდილ მდიდრულად მიჩნეულ სამაროვანში მეორდება ისეთივე დაკრძალვის წესი, როგორც ვანსა და საირხეში. კერძოდ მიცვალებული დაკრძალულია რკინის ლურსმნებით შეკრული ხით ნაგებ ქვაყრილიან სამარხში და ახლავს შეწირული ცხენი³. აღნიშნული სამარხები თარიღდება ძვ.წ. VI საუკუნით⁴.

არქეოლოგური გათხრები, ასევე, მოწმობენ ცოცხალი ცხენის ჩაყოლების გარდა ცხენის ქანდაკების ჩატანებასაც. მხედველობაში გვაქვს ნაოხვამუს ცხენის ტორსი და სხვ., რომელსაც ბ. კუჭტინი

¹ ო. ლოროქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი I, გვ. 12, 13.

² ჯ. ნადირაძე, საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი, წიგნი I, გვ. 118.

³ ო. ლოროქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.

⁴ იქვე.

შეწირულების ნაირსახეობად თვლიდა.⁵ ნაოხვამუს ცხენის მო-
დელში გურადებას იქცევს ფაფრის გაღმოცემის ხერხი (შებლზე
შეჭრილი თმა და მთელი კისრის გასწვრივ ჯვარედინი ჭდებით
დაფარული ფაფარი), რაც ეთნოგრაფიულ მონაცემებს თუ გავითვა-
ლისწინებთ სულის ცხენის ჩვეულებრივ ვარცხნილობას წარმოად-
გენს, რომელსაც ფაფარი ეწნებოდა და ერთვებოდა მრავალი მძივ-
ლილით.⁶

თუ რა როლი და ფუნქციები გააჩნდა ცხენს კოლხური დაკ-
რძალვისა და გლოვის კომპლექსში, ამისი გაცოცხლება შესაძლებე-
ლი ხდება კოლხურ რეალიაში, დასავლეთ საქართველოს ყოფაში
დადასტურებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალის ანალიზის მეშ-
ვეობით.

დასავლურ-ქართულ (კოლხურ) რეალიაში არქეოლოგიური
მასალის, დაცული თქმულებების, კულტისა და რიტუალის შესწავ-
ლა საფუძველს იძლევა, რომ ძველი კოლხები (ისევე, როგორც მა-
თი მემკვიდრენი) სიკვდილს განიხილავდნენ, როგორც ერთი სამყა-
როდან მეორეში გადასვლას (სააქალდად საიქონში, ამიერიდან იმი-
ერში), რისი მანიშნებელიც მრავალფეროვანი სამარხი ინვენტარი
და მსხვერპლშეწირვებია. თუ როგორი იყო სიკვდილის სპეციფიკუ-
რი გაგება დასავლურ-ქართულ რეალიაში, ამისათვის გამოდგება
სიკვდილის აღმნიშვნელი მეგრული ტერმინი “ლურა” (“ლოლურუ”),
რომლის ეტიმოლოგია თ. სახოკიამ თავის დროზე⁷ დვრას/დაღვრას
დაუკავშირა. ამგვარი იდენტიფიკაცია საშუალებას გვაძლევს ვივარა-
უდოთ, რომ აღნიშნულ ტერმინში ადამიანის სიკვდილში გადასვლის
კრიტიკული მომენტია ასახული, რომელიც სისხლის და მისი

⁵ Куфтин, Б.А., Материалы к археологии Колхиды, 2, 1950, стр. 200-201.

⁶ სულის ცხენის შესახებ მასალა დაღიტერატურა იხ.: დ. გორგაძე, დაკ-
რძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1981.

⁷ თ. სახოკია, მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მასალები საქართვე-
ლოს ეთნოგრაფიისათვის, ტ.3, თბ., 1940.



ცირკულაციის იდეას უკავშირდება (შდრ. დაპირისპირება სიკვდილი, სისხლისგან დაცლილი და სიცოცხლე, სისხლსავსე და აქტდან გუმომდინარე ციკლურ სიმბოლიზმის. სიტყვაში დაცული ხატება, რომელიც სისხლის ღვრის აქტის ამსახველია, ალბათ უნდა გულისხმობდეს სიკვდილის ანგელოზის მიერ თავისი მსხვერპლის კვლას. აღნიშნული რწმენა ძალიან არქაულია და ადგილობრივ კონცეფციას უნდა ემყარებოდეს სიკვდილის შესახებ.⁸ ამგვარად დასავლურ-ქართულ (კოლხურ) რეალიაში სიკვდილი, როგორც მოვლენა, სისხლის ღვრის, მოკვლის იდეას უკავშირდება.

დაკრძალვის რიტუალი განსაკუთრებით მძაფრი და ოვალსაჩინოა სამეგრელოში. ადგილობრივი რწმენებით, საიქოში მოგზაურობა მძიმე და სახიფათო საქმედ ითვლებოდა. სამოგზაუროდ მიცვალებულს ცხენი და საგზალი ესაჭიროებოდა, რასაც მას საფლავში ატანდნენ კიდეც ცხენი, და, კერძოდ, გარდაცვლილის ცხენი შავად (ან წითლად და ღვურჯად) შემოსილი უკვე ტირილის დღეს ჩნდება გლოვის რიტუალში. მას დააყენებდნენ ეზოში, დაადგამდნენ უნაგირს ქალისას ან ვაცისას (ზოგი ვერსიით შებრუნებით, რაც სრულებით შეესაბამება მის სიმბოლიკას, რომელზეც უფრო ქვემოთ შევჩერდებით) იმის მიხედვით თუ ვინ იყო გარდაცვლილი.

გასვენების დღეს მიცვალებულს ეზოში დაასვენებდნენ. ჭირისუფალიც ტირილითა და მოთქმით შემოუკლიდა მიცვალებულს. ამავე დღეს მიცვალებულისთვის იცოდნენ ეზოში ნის მოთხრა, განსაკუთრებით, როდესაც ოჯახის უფროსი მამაკაცი გარდაიცვლებოდა, რომლისთვისაც ამოთხრილნენ ვაზიან ხეს, უფროს ქალზე კი თუთის ხეს⁹. ეს შემდეგნაირად ხდებოდა: ეზოში ამოარჩევდნენ შე-

⁸ 6. აბაკელია, ციკლური სიმბოლიზმი და დაკრძალვისა და გლოვის წესები დასავლურ-ქართულ ტრადიციაში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001.

⁹ ს. გაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941. ეს წესი თითქმის ბოლო დრომდე დასტურდება სამეგრელოში. მაგ., მ. ჯი-

საფერის ხეს, შემდეგ ყველა მიცვივდებოდა მას, მოთხრიდნენ ფეს-
ვებიანად, მიცვალებულს სამჯერ შემოუტარებდნენ ცხენთან ურთად
და ორივეს სასაფლაოზე გაიყოლიებდნენ. ამოთხრილ ხეს საფლავზე
დარგავდნენ. ცხენს კი წესის მიხედვით საფლავში ჩაყოლებდნენ.
ეს უკანასკნელი ცნობა XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის არ-
ქანჯელო ლამბერტის მიერ არის დამოწმებული, რომლის ხსოვნა
თითქმის ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი სამეგრელოში. მიმართე-
ბა: გარდაცვლილი—ხე—ცხენი გარკვეულ მითო-რიტუალურ კომ-
პლექსს ქმნის, რომელიც უშუალოდ საიქოს შესახებ რწმენა-წარ-
მოდგენებთანაა დაკავშირებული. კოსმიური ზატება საიქოსი, უპირ-
ველეს ყოვლისა, თვითონ ქართულ ენაშია დაცული, რომელშიც
საიქო სხვადასხვა რაკურსით განისაზღვრება: მაგ.: საიქო — ადგი-
ლი, რომელიც უპრისპირდება სააქაოს სივრცული ასპექტით: ან
იმიერი, რომელიც ამიერს უპირისპირდება და თავის თავში დროით
ასპექტსაც მოიცავს და სხვ. ეს უკანასკნელი ტერმინი იმითაცა სა-
ინტერესო, რომ მისი კოსმიური ზატება ეპუთვნის დროითს და ციკ-
ლურს და არა სივრცულ წესრიგს. შესაბამისად, ტერმინ სააქაოში
სტატიკური ანუ სივრცული სიმბოლიკა ასახული, ხოლო იმიერში
— ციკლური ანუ დროითი (ფაზა ციკლში). საიქო კოლხურ რე-
ლიაში, გარდა აღნიშნულისა, სააქაოს გადაბრუნებულ ასლის და, ას-
ევა: გარე სამყაროს წარმოადგენდა თავისი პატრონითა და ბინად-
რებით¹⁰. სააქაოსა და საიქოს შორის ზღურბლი მოისაზრებოდა
ზღურბლზე, ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების რეკონსტრუქცი-
ით¹¹, ჯიხა (ციხე) იდგა, რომლის კარგბშიც ზღურბლის მცველი
«მეკრე-მებაჟე» იდგა და საიქოში შემსვლელთ ბაჟს ართმევდა. ამ
მოსაზრებას უნდა ამყარებდეს სამეგრელოში დადასტურებული «ჯი-

ნორიას მამა ამ წესით გაასვენეს ს. სორტაში (სენაკის რაიონი) 1973

წელს, რომელიც ჩვენ ველზე 1998 წელს დავაფიქსირეთ.

¹⁰ Н. Абакелия, Миф и ритуал в Западной Грузии. Тб., 1991.

¹¹ იქვე.

ხას კარის» (ციხის კარის) გაღების რიტუალის არსებობა¹² მძიმე გვიშვილისათვის, მშობიარობის დროს. ჯიხას კარი ისევე იღებოდა ბავშვისათვის, როგორც გარდაცვლილისათვის. ადამიანს დაბადებისას (გვიხსნოთ ნერჩის ხვამის რიტუალი)¹³ და, ასევე, გარდაცვალების დროს ხომ მიწაზე ათავსებდნენ, რაც სიმბოლურად ცოცხალთა თუ გარდაცვლილ წინაპართა ოჯახში შესვლას გულისხმობდა. როგორც ეს ზოგადად ცნობილია, ამგვარი მოქმედებების დროს ნატალური დედამიწის ზღურბლის გადალახვა ხორციელდებოდა.¹⁴ სააქაოდან საიქოში და პირიქით მოძრაობის ილუსტრაციას ბავშვის დაბადების შემთხვევაში ორმოცი დღის გასვლის შემდეგ განწმენდის რიტუალი წარმოადგენდა და, ასევე, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სულის დაბრუნება საიქოში. ეს გზა ერთი და იგივე გზაა, რომელიც გარე სამყაროდან შინაში მიდის და პირიქით¹⁵. ზღურბლის გადალახვაში კი მიცვალებულს «სულის ცხენი» და ცხენშედართა მარულა ესმარებოდა¹⁶. ზღურბლგადალახული სული ხვდებოდა სამოთხეში ანუ წალკოტ ადგილას, სადაც გარდაცვლილი სულები მწყემსავლნენ შეწირული ცხოველების სულ-ორუელებს¹⁷.

შეწირული ცხენის სულს სულეთში უნდა გაეგრძელებინა სამსახური პატრონისათვის. დასავლურ-ქართულ, კოლხურ რეალიაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის შეწირვის წესი დასტურ-

¹² „ჯიხას კარის” რიტუალზე და მასთან დაკავშირებულ ლიტერატურაზე იხ.: 6. ხაზარაძე, ადამიანის დაბადებასთან დაკავშირებული ქართველთა რწმენა-წარმოდგენები და მიწისაგან ადამიანის შექმნის კონცეფცია. ქუთაისური საუბრები, VI, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999.

¹³ Н. Абакелия, დასახ. ნაშრომი, 1991.

¹⁴ Marcel Granet, Le depot de l'enfant sur le sol: Rites anciens et ordalies mythiques, the Revue Arcaeologique, 1922.

¹⁵ 6. მინდაძე, დ. დიდებულიძე, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ხევსურეთში, კრ-ში: ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა, 1997, თბ., 33-34.

¹⁶ 6. აბაკელია, დასახ. ნაშრ. 2001.

¹⁷ В.В.Бардавелиძე, დასახ. ნაშრ. 1991. მთელი მასთან და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ხევსურეთში, კრ-ში: ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა, 1997, თბ., 33-34.

დება: სამარხთან მსხვერპლშეწირვა (რომელიც არქეოლოგიურად დასტურდება), “სირბილით გახეთქვა”, ან ველზე თავისუფლად გამ-
ვება (ეს ორი უკანასკნელი წესი ეთნოგრაგიულად დასტურდება). არსებობდა ნაწილობრივი მსხვერპლშეწირვაც, მაგ., ცხენის ძეის
მოჭრა და პატრონისათვის საფლავში ჩატანება და სხვ. რომელიც
ჩანაცვლავდა მთლიან (სრულ) მსხვერპლშეწირვას. იმ შემთხვევაში
თუ მიცვალებულს ცხენს არ შესწირავდენ, მის (ე.ი. ცხენის) მი-
მართ გარკვეული წესები სრულდებოდა, მაგ.: მიცვალებულის ცხენს
წლისთავამდე არ ამუშავებდნენ, არც გაყიდოდნენ. ცხენი რომ არ
დასუსტებულიყო და არ მომკვდარიყო მას ყოველი 25 დღის შემ-
დეგ შეულოცავდნენ “გალენიში”¹⁸. “გალენიში” ღვთაება “გალენიში
ორთას” ჩამოშორებული და დამოუკიდებლად ნახმარი ეპითეტია. გა-
ლენიში ანუ იგივე გალენიში ორთა ყველაფერი “გარეს” (ე.ი. რაც
“შინას” უპირისპირდება) მის მფარველად მოიაზრებოდა. “გარე”-ში
შედიოდა: საიქიო, ტყეები თავისი ბინადრებით, უცნობი ადგილები,
გარეთ დასახლებული შვილების სამყოფელი და სხვ. შესაბამისად,
მისდამი ლოცვა აღვლინებოდა, რათა გარდაცვლილებს არ ევნოთ
ცოცხალთათვის, საქონლის დასაცავად, ახლად შობილი ბავშვის
კუთილდღეობისთვის, გარეთ დასახლებული შვილებისთვის და სხვ.
გარდაცვლილის ცხენისთვის გამოაცხობდნენ “ხოზო კვარს”, დაკ-
ლავდნენ მამალს და “გალენიში ორთას” ლოცვას ასრულებდნენ. ამ
რიტუალის შესრულებისას მამალს მიცვალებულის ცხენის წინ
კლავდინენ გალენიში ორთასათვის. აღნიშნული მსხვერპლშეწირვის
დროს ფრინველზე სრულდებოდა სრულიად უცნაური წესი – კერ-
ძოდ, ტყავის გაძრობა, რაც ძირითადად ძროხებსა და ცხენებზე იყო
მიღებული და ამ უკანასნელთა ტყავების მსგავსად, მამლის ტყავი

¹⁸ 6. აბაკელია, ცის თაყვანისცემა დასაკლევთ საქართველოში (ღვთაება “შო-
ნი ანთარი”, მაცნე (ისტორის სერია), 2, 1983; Н. Абакелия, Миф и ри-
туал в Западной Грузии, Тб., 1991.



ფრთხებით იყიდებოდა ხის კენტეროზე¹⁹. იმ შემთხვევაში ცხენი სრბოლით თუ არ მოჰკლავდნენ, დაკრძალვის დღეს იგი კვლავ ფიგურირებდა გლოვის რიტუალში. ორმოცის²⁰ გადახდის შემდეგ იწყებოდა სამზადისი მიცვალებულისთვის წლისთავის მოსაწყობად, რომელსაც სამეგრელოში “მოწანუას” უწოდებდნენ და ამ დღეს აწყობდნენ “შეყრას”. წლისთავზე იწვევდნენ ნათესავ-მოკეთებს, კლავდინ საკლავს და იმართებოდა დიდი ქელები. გარდაცვლილის ნიშნის ტანისამოსს ჩაღით ან ბამბით გატენიდნენ — “ნიშანიში ბგიბუ”²¹ და ჩაცმულ-დახურულ ნიშანს, როგორც ცოცხალ ადამიანს დასვამდნენ ტახტზე. მის გარშემო ჭირისუფლები დასხდებოდნენ და მას მოთქმით დაიტირებდნენ (კვლავ იქმნებოდა საკრალური წრე თავისი ცენტრი-ნიშნით²²). შავად შემოსილ მიცვალებულის ცხენს²² სახლის ბოძზე ან ხეზე) მიაბამდნენ და იწყებოდა “შეყრაზე” მომსვლელთა დახვედრა-მიღება. ხესთან/ბოძთან დაბმული ცხენი (რომელიც ამ შემთხვევაში კოსმოლოგიურ სიმბოლო-ნიშანს წარმოადგენდა) ახდენდა სივრცის კონსეკრაციას, ხოლო კონსეკრებულ სივრცეში ხე/ბოძი სამყაროს სივრცულ მოდელში განსაზღვრავდა ვერტიკალურ პროექციას და აერთიანებდა სხვადასხვა სამყაროებს “შეყ-

¹⁹ Б. А. Куфтин, указ. соч.; И. Кипшидзе. Грамматика Мингрельского (Иверского) языка. СПб., 1914; Н. Аакелия, указ. соч., იქვე, საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა.

²⁰ სამეგრელოში ორმოცზე იცოდნენ “ზედ დაკვლა” (“გეყვილაფა”). ადგილობრივი რწმენებით, რაც უფრო მეტ საქონელს დაკლავდნენ მიცვალებულს, მით უფრო ელჩინება მიცვალებულის სულს საიქიოში.

²¹ ცენტრის სიმბოლიზმთან დაკავშირებით იხ. ქ. ალავერდაშვილი, კარდინალური სიმბოლოები ქარველთა რიტუალურ პრაქტიკასა და რწმენა-წარმოდგენებში, თბ., 2002. ისტორიის მეცნიერებათა ქანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ავტორეფერატი.

²² გლოვის ფერებად, ასევე, გამოიყენებოდა შავ-წითელი შეხამბა, რომელიც სვანებში, მეგრელებში, აფხაზებში, მოხევეებში და სხვაგან დასტურდება. იხ. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, 89.

რაზე” კიდევ ერთი საინტერესო სიმბოლო-ნიშანი ჩნდება — კელაპ-ტარი (“კილაპტარი”), რომელიც მიცვალებულის გამზრდელუშის მო-ჰქონდათ. ეთნოგრაფიული აღწერის მიხედვით²³, აკეთებდნენ გრძე-ლი ალვის ხისგან (მუხის გარდა სხვა ხეც შეიძლებოდა). ის რაც შეიძლება გრძელი უნდა ყოფილიყო. ამ ზეს შემოახვევლნენ შავი და თეთრი ფერის (ცისა და ქვეშოთის ფერები) გასანთლულ მიტკალს, ზედ მის წვერზე დაკრავდნენ ხისაგან გამოთლილ იხვისმაგვარი ფრინველის ქანდაკებას. კელაპტარის გარშემო ანთებული სანთლები ჰქონდა გაკეთებული²⁴. კელაპტარის ეზოში დაგდამდნენ და ერთ ად-გილზე დამაგრებდნენ. ანთებული კელაპტარი ფრინველით თავზე “ნათლის ხის” ადგილობრივ ვარიანტად გვესახება. ს. მაკალათიას ცნობით²⁵, გამზრდელებსა და მიძებს აღნიშნულ დღეს შავად შემ-სილი ბუღები “სურდილი ხოჯეფი” მოჰყავდათ. ყოფილა ისეთი შემ-თხევები, როდესაც გამზრდელებსა და მის საგვარეულოს “მორ-დილის” შეყრაზე ორმოცამდე ხარი მოუყვანიათ²⁶, რომელსაც ზედ შავი ჰქონდა გადაფარებული, რქებზე ანთებული სანთლები ეპთა (აქ შემოდის კარგად ცნობილი ხის ტოტებისა და ცხოველის რქის მიმართების საკითხი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაწირი ცხოვე-ლის რქებზე ანთებული სანთლები კელაპტარზე ანთებული სანთლე-ბის იზოფუნქციური ვარიანტია), ხოლო თავ-კისერზე რამდენიმე ას-ხმა წაბლი ეყიდა. ხარებს ეზოშივე გაუშვებდნენ, რომელთაც ხალხი წაბლს შემოაცლიდა. ხარები იკვლებოდა და შეყრა დღეს ხალხს

²³ აღწერილობა მოცემულია ს. მაკალათიას დასახ. ნაშრომში, 1941.

²⁴ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., 1941.

²⁵ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., 1941.

²⁶ შეწირულ საქონელზე, რომელიც აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო საიქონში და ამ წესის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის დახასია-თებითვის იხ. ი.სურგულაძე, საკრალური და ზნეობრივი (სულეთზე არ-სებული წარმოდგენების მიხედვით), კრ-ში; მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.

უმასპინძლდებოდნენ, თუ გარდაცვლილი ქალი იყო, მას შეკრატე დროხას დაუკლავდნენ. გარდაცვლილის სახელზე საქონლის დაკ-
ვლით ხდებოდა სამზეოდან სულეთში/სამოთხეში საქონლის სულის
გადაყვანა²⁷. გარდა აღნიშნულისა, კვლის იდეის მეშვეობით სიკვდი-
ლი კვლავ გამოდიოდა პირველ პლანზე და იღვრებოდა სისხლი,
ანუ ერთი ვერსიით, “სისხლით სისხლი” განიწმინდებოდა.²⁸

ნიშანის დატირების შემდეგ, დასავლეთ საქართველოში (ისე-
ვე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში) მამაკაცის წლის-
თავზე გაიმართებოდა დოღი/მარულა, ცხენმშედართა სრბოლა, რო-
მელშიც მონაწილეობას იღებდა ყველა, ვისაც სურდა მიცვალებუ-
ლის პატივისცემა. დოღში მსაჯულად ირჩევდნენ ერთ საპატიო და
მართალ პიროვნებას, რომელიც განსაზღვრავდა სადოლე ადგილის
მანძილს, დაახლოებით ათ-თხუთმეტ კილომეტრამდე. ცხენოსნები
დანიშნულ ადგილას მივიდოდნენ და შემდეგ იქიდან გამოაჭენებდნენ
ცხენებს. მაგ., თუ მიცვალებული იყო სოფ. ჯვარიდან და მისი ჯინ-
ჯი ხატი იყო ჯვარში, შემდეგ კი გადმოსახლებული იყო ს. ხუმუშ-
ქურში, ცხენებს გამოაჭცევდნენ ჯვარიდან ხუმუშქურამდე. გამარ-
ჯვებულებს ეძლეოდათ “სასყიდელი”, საჩუქარი ფულით, საქონლით,
აძლევდნენ ტანისამოსს და სხვ. ასაჩუქრებდნენ მეექვე ცხენოს-
ნამდე²⁹. ცხენმშედართა სრბოლის მნიშვნელობას გარკვეულწილად
ნათელი შეიძლება მოეფინოს დასავლურ-ქართული და აღმოსავ-
ლურ-ქართული მასალის შეჯერების გზით.

²⁷ ი. სუგულაძე, დასახ. ნაშრომი, იხ. გვ. 292.

²⁸ საკითხთან დაავშებით იხ. В. Буркерт, Homo Necans, Жертвоприноше-
ние в древнегреческом ритуале и мифе, Жертвоприношение, Ритуал в
искусстве и культуре от древности до наших дней. М., 2000.

²⁹ თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, 1956.

აღმოსავლეთ საქართველოში³⁰ წლისთავზე (ან სხვა კურსით
დაკრძალვის დღეს) გამართულ დოღში, აღგილობრივი რწმუნების
მიხედვით, იგულისხმება გარდაცვლილის სულის მონაწილეობაც,
რაზეც დოღში ე.წ. “სულის ცხენის” მონაწილეობა მიუთითებდა
(შდრ. ცხენმხედრის შეცვლას ცხენით). მხედრები “სულის ცხენით
წინ”, რომლის სადავე გარდაცვლილის დედას ან მის დას ეჭირა,
მარცხნიდან მარჯვნივ სამჯერ შემოუვლილნენ ტალავერს და გააჭე-
ნებდნენ. მარშრუტი ნებისმიერი არ იყო. დოღში მონაწილე მხედ-
რები, თუ მამაკაცი იყო გარდაცვლილი ჯერ დედის ძმებში და თა-
ვის მოგვარებში წავიდოდნენ. თუ ქალი იყო გარდაცვლილი, ჯერ
მამის სახლში (მამის მოგვარებში), შემდეგ დედის ძმებში და შემ-
დეგ ქმარეულებში მიდიოდნენ, რაც სავსებით შეესაბამება რწმენა-
წარმოდგენებს მგებრების (ნათესავები), რომლებიც ეგებებიან საიქიო-
ში გარდაცვლილს) შესახებ საიქიოში.³¹ აქვე გავისხნოთ, რომ სამ-
გლოვიარო სუფრაზე, მიცვალებულის შესანდობარსა და ჭირის პა-
ტრონის დალოცვის შემდეგ ზევსურეთში, ფშავსა და თუშეთში
აუცილებლად შესვამდნენ მგებრების შესანდობარს. სამეცრელოში
ზემოთ ხსენებულ მარშრუტში “ჯინჯი ხატის” (ფუძის ხატის) ჩარ-
თვა და გარდაცვლილის ცხენის მონაწილეობა, ასევე, იმაზე მიგვა-
ნიშნებს, რომ მარშრუტი აქაც შეთხვევითი არ უნდა ყოფილიყო.
ჩვენი გამოკვლევის თანახმად ზემოთ მოყვანილი რიტუალი “ზღურ-
ბლის გადალახვის” რიტუალი უნდა ყოფილიყო და მაჩვენებელი იმ-
ისა, რომ გარდაცვლილ სულს არა მარტო მგებრები მიაცილებდნენ
(ანუ გარდაცვლილ ახლობელთა სულები), არამედ ცოცხლებიც. მა-
რულა წლისთავზე (ან დაკრძალვის დღეს) ფაქტობრივად, წარ-

³⁰ აღ. ოჩიაური, მიცვალებულის კულტი როშქასა და უკანახადუს თემებში,
მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1940, ტ.3.

³¹ ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრომი, 1997.

მოაღენს ახლად გარდაცვლილი სულის საიქიოში მოგზაურობის მარშრუტის ილუსტრაციას სააქაოში.

რიტუალური ფორმა ხდება წამყვანი და მნიშვნელოვანი. რიტუალი იმეორებს რწმენა-წარმოლგენებში (მითში) დაცულ მარშრუტს, ხოლო ცოცხლების მიერ გარდაცვლილთა ამგვარი “გაცილება” უზურველყოფდა ამ უანასკნელთა სულის მშვიდ დამკვიდრებას საიქიოში, წინაპართა საზოგადოებაში.³²

მარულას შემდეგ სამეგრელოში იმართებოდა მეორე სახის შეჯიბრი “ყაბახი”. ამისათვის ეზოში აირჩევდნენ ყველაზე მაღალ ხეს და მასზე მიმაგრებდნენ გრძელ ჯოხს, რომელსაც თავი ჰქონდა გაჩეხილი და ნიშნის ამოსალებად შიგ ჩადგებული იყო თეფუში ან ფიცარი, ზოგან კი ჯოხზე მიცვალებულის ქისასაც ჩამოჰკიდებდნენ. ეს ზე ფორმალურად და შინაარსობრივად ახდენს საკრალური სიკრცის ორგანიზაციას. ყაბახის სიმაღლე იყო 1-15 მეტრი. ყაბახის მანძილი თოკით იყო შემოფარგლული და მეთოფები ამ თოკის გარშემო გამწკრივდებოდნენ, ისე რომ გულ-მკერდი თოკზე უნდა ჰქონოდათ მიბჯენილი და იწყებდნენ თოფების ნიშანში სროლას. ვინც ნიშანს მოახვედრებდა, მას ეძლეოდა საჩუქარი ფულით, საქონლით ან რაიმე ნივთით. შემდეგ მეთოფენი ესროდნენ “კელაპტრის” ფრინველს და ვინც მას ჩამოაგდებდა, მას აჩუქებდნენ 15-30 მანეთს. საღამო უაშს მიცვალებულის ერთი ვინმე საყვარელი ადამიანი შეჯდებოდა შავად (უფრო ადრე, წითლად და ლურჯად) შემოსილ ცხენზე და “თარჩიას” გააკეთებდა, იწყებოდა თარეში. რამდენადაც სიტყვა თარეშს ძარცვის კონტაციაც გააჩნია მას გამოედევნებოდნენ სხვები და ცდილობდნენ ცხენისთვის შავები შემოეხიათ. შავების შემოფლებით და ზემოთ აღწერილი შეჯიბრებებით გლოვა მთავრდებოდა. მიცვალებულის ცხენს ან მის ახლობელს აჩუქებდნენ

³² 6. აბაკელია, დასახ. ნაშრ., 1997, 2001.

ან გაუშვებდნენ ველად, თავისუფლად. ეს უკანასკნელი გაღმენიშნების მსხვერპლშეწირვის ნაირსახობად ითვლებოდა.

რაც შეეხება საფლავზე დარგულ ხეს და მასთან მდგარ ან შეწირულ ცხენს იგი სამყაროს სისა და ცხენის ცნობილ ხატებას იმეორებს. საფლავში ჩაყოლებულ თუ შეწირულ ცხენს აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ ეყოლებოდა ღვთაება-ადრესატი, რამდენადაც ის აქ გარდაცვლილისთვის თანამგზავრი, ფსიქოპომპი და გადაადგილების საშუალებაა.

მაგრამ ცხენი მარტო აღნიშნულ კონტექსტში არ გვხვდება. ცხენი არა მარტო სამყაროს ხესთანაა დაკავშირებული, არამედ ჩვენი აზრით, იგი ბევრ შემთხვევაში თვითონაც სამყაროს ხეს განასახიერებს. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას გვიანანტიკური ხანის ერთ-ერთ ჭვირულ ბალთაზე³³ გამოსახული ირმისრებიანი ცხენი წარმოადგენს. ცხენი აქ გაიგივებულია ხესთან, რაზეც ხის ტოტების იდენტური მისი ირმის რქები მიგვანიშნებს. ცხენის თავზე ირმის რქების, ირმის “გვირგვინის” დადმა ორმაგ ინფორმაციას შეიცავს. ერთი მხრივ იგი განასახიერებს ხეს, რომელთანაც მსხვერპლშეწირვა უნდა შესრულდეს და ასევე თვითონ მსხვერპლსაც. შესაწირი ცხოველის რქების ოქროთი მოჭედვის წესი (რომელიც

³³ ე. ხიდაშელის აზრით, რომელმაც არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა ჭვირული ბალთების შესწავლას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბალთებზე გამოსახულ სემანტიკურ მწკრივს, რომელშიც შედინ ირემი, ფრინველი, კვალი, თევზი, რომელიც საქართველოში არსებობას ჯერ კიდევ ადრესამოწაომელობის წილში იწყებს. ამ პერიოდში ადამიანმა მოხერხა ისეთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიების გააზრება, როგორიც იყო დრო და სივრცე. შექმნა სამყაროს აგებულების ვერტიკალური მოდელი და ადამიანებით დასახლებული ქვეყანა მის ცენტრში მოათავსა. აქ გადაოდა ის ღერძი, რომელიც უზრუნველყოფდა ვერტიკალურ ხაზზე ორგანიზებულ სამყაროს ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირებას. იხ. ე. ხიდანიშებულ სამყაროს ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირებას. იხ. მ. ხიდანიშებული, ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები, ქართულში ენა და კულტურა, 3, 2002, გვ. 87.



გრავალ ძველ ზაღლები, ხოლო დასავლეთ საქართველოში წმ. გიორგის შემოდგომის დღესასწაულზეც არის თავის დროზე დადასტურებული) ან მისი კიდევ სხვაგვარად მარკირება გვირგვინის დადგმის ტოლფასი უნდა იყოს. ადამიანის თუ ცხოველის თავზე მსხვერპლშეწირვის დროს გვირგვინის დადგმა კი მრავალი რელიგიური სისტემისთვის (ძველისთვის თუ ახლისთვის) არის დამახასიათებელი. სამსხვერპლო ცხენი ხესთან ან ხე-ცხენი (როგორც ეს აღნიშნულ ბალთაზე) მარკირებას ახდენს სივრცისს და საკრალური სიმბოლიზმის ენაზე სამყაროს ცენტრსა და მის ღერძს, დროში გამდევ პრინციპს წარმოადგენს, რომელზედაც გადაადგილება არის შესაძლებელი (შდრ. მარადიული/წარმავალი). ცხენის მსხვერპლშეწირვასა და დანაწევრებას უნდა ასახავდეს მეგრულ ზღაპარში დაცული მოტივი. კერძოდ, ადამიანთა სასწაულებრივი აღმოცენება, გაჩენა დანაწევრებული ცხენის დაფლული ნაწილებისაგან.³⁴ აქ მსხვერპლშეწირვასთან გვაქვს საქმე, რომლის დროსაც ცენტრალურ მომენტს მსხვერპლის მოკვლა და დანაწევრება (ერთი ცხოვრების მრავალ ნაწილად დაყოფა და ახალ თაობაში, ახალ სიცოცხლეში ინტეგრირება, გაერთიანება) წარმოადგენს. დანაწევრებული მსხვერპლი კოსმოგონიური არქეტიპული აქტის რეაქტუალიზაციას ახდენს, სამყაროს ხელახალ შექმნას გულისხმობს³⁵. მცენარეულ დონეზე მას შეესაბამება მარცვალი, რომელიც დათესვამდე წინასწარ უნდა დაიფშვნას, დანაწევრდეს, სანამ მრავალში რეგენირილდება. უფრო მეტიც, ფსიქოლოგები³⁶ მარცვლის დაფქვას ფქვილად იმავე პროცესების ასახვად თვლიან ბუნებაში. ზოგჯერ, როგორც ცნობილია, ფქვილს ადამიანის ფორმის პურის სახეს აძლევდნენ (გავიხსენოთ ახალიწლის ანტროპომორფული რიტუალური პურები), რომელიც

³⁴ Тетюшев. Я., Из быта и верований мингрельцев. СМОМПК, Вып. 18, Тифлис, 1894, Отд. 3, с. 43.

³⁵ M. Eliade, Patterns in comparative religion, New York, 1958.

³⁶ T. Chatwynd, A dictionary of symbols, London, 1986.

უნდა შეჭმულიყო და ამგვარად, ამ გზით უნდა უნდა გარდა[ცუს-
ლი]ყო ადამიანურ უნერგიად.

არსებობს ცხენის წყალთან კავშირის შესახებ ფრაგმენტული
მინიშნებებიც კოლხურ რეალიაში. მაგ.: გურიაში (ასევე, სამეგრე-
ლოშიც – 6. ა.) არსებობდა წარმოდგენები ცხენზე, რომელიც თავ-
დაპირველად წყალში ცხოვრობდა³⁷. საინტერესოა ტოპოგრაფიული
სახელწოდებებიც, რომელშიც ცხენი ფიგურირებს.

ცხენის სხვადასხვა სკნელთან კავშირი ქართული ხალხური
ზღაპრებითაც დასტურდება, რომელთა მიხედვით ცხენი ზღვასთან,
ცასთან და ხმელეთთან დაკავშირებული ცხოველია³⁸.

ამგვარად, ცხენი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოლხურ
მითო-რიტუალურ სისტემაში. ერთი მხრივ იგი დიდი დედა ღვთა-
ების საუფლოშია მოქცეული³⁹ და მის ატრიბუტს წარმოადგენს⁴⁰.
მაგ.: ს. ურეკში, ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ სამაროვანზე
ერთ-ერთ სამარხში სხვა ნივთებთან ერთად ნაპოვნია ბრინჯაოს
მცირე ქარდაკება, რომელიც წარმოსახავს ტახტზე მჯდომ ქალს,

³⁷ Т. Мамаладзе, Народные обычаи и поверья гурийцев, СМОМПК, Вып. 18, Тифлис, 1893, стр.47.

³⁸ ო. აქროშიძე, რაში ქართული ზღაპრისა, “მნათობი”, 1968, №2.

³⁹ თ. აქროშიძე, რაში ქართული ზღაპრისა, “მნათობი”, 1968, №2.
ცხენის ზოგადი სიმბოლიკიდან გამომდინარე, ზოგი მკვლევარი მზისა და
დიდი დედის, ნაყოფიერების ქალღვთაების ულტების უწნედობისა და
შერწყმის პროცესს ვამზიც ადასტურებს, რომელსაც ისინი ამ ღვთაებათა
სიმბოლოებში ხედავენ. არწივის, ლომის, ცხენის, მხედრის გამოსახულე
ბანი, ერთი მხრივ, უკავშირდებიან ნაყოფიერების ღვთაების, დიდი დედის
პერტის, მეორე მხრივ კი ციურ მნათობს – მზეს განასახიერებენ. ხში-
რად ცხენის სახით გამოიხატებოდა მზე, ანდა მზის სიმბოლოს – სკა-
ტიკას – ათავსებდნენ ცხენის გამოსახულებაზე. მ. ინაძე, ძველი კოლხე-
ტიკას – ათავსებდნენ ცხენის გამოსახულებაზე. მ. ინაძე, ძველი კოლხე-

ტიკა.

⁴⁰ ე. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი.

ხელში ბავშვით, რომელიც “ღმერთების დიდ დედადაა მიჩნეული”⁴¹ “ღმერთების დიდი დედის” კულტის არსებობა ამ დროის კოლხეთში ასევე დასტურდება ს. სულორში ძვ.წ. VII-VI სს-ის კოლხური ბრინჯაოს ცული, რომლის ყუაზე სკულპტურული კომპოზიციაა: ორი მხედარი, რომელთაც ზურგზე ისრიანი კაპარჭები აქვთ, ხოლო ერთ-ერთ მათგანს ხელთ კვერთხი უპყრია. აღნიშნული მხედრები მიჩნეულია “ღმერთების დიდი დედის” მხედრებად, რომელთა გამოსახულებანი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ხალხებში⁴². საინტერესოა, რომ ცხენმხედრები ვანშიც არის ნაპოვნი ძვ. წ. IV ს-ით დათარიღებულ თქროს საყურებზე, რომელიც, ასევე “დიდი დედის” მხედრებადაა მიჩნეული.⁴³ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მეშვეობით კოლხურ რეალიაში სახვადასხვა დონეზე რეკონსტრუირდება ტყუპი დვთაებების კულტი⁴⁴: მაგ.: a) ყოფაში იგი დასტურდება ძველი ქალაქის – დიოსკურიის – ტყუბუნი (შდო, ტყიბული) ადგილობრივ სახელწოდებაში, რომელშიც ასახული უნდა იყოს ლეგენდა ტყუპ ძმებზე (პ. ინგოროვა); b) დასავლურ-ქართულ მითოლოგიურ ტრადიციაში (კერძოდ, ვგულისხმობთ ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს) შემონახულ ლეგენდაში გმირი ძმების შესახებ (ან მამასა და შვილზე) ვაჟინასა დავუიგაზე, რომელთაც იხსნეს ხალხი გვალვისაგან, გველეშაპის მოკვლის გზით; c) სვანეთში არსებულ დაძმა: ოუვაისა და ბოუვაის ინცესტურ კულტში, რომლებიც წყლის მიმცემებად ითვლებოდნენ; d) წყვილი ძიქვას კულტში; რწენა-წარმოლგენებში, რომელიც ტყუპების დედის მიმართ არსებოდა, ღვთაებრივი ტყუპების ზოომორფიზმში, e) ქრისტიანული წყვი-

⁴¹ იხ. ო. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986, გვ. 82-83.

⁴² იქვე.

⁴³ იქვე.

⁴⁴ Н.Абакелия, Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991.

ლი წმინდანების კულტში და სხვ.⁴⁵ არქეოლოგიურად მათი კულტი, ზემოთ დასახელებული ცულისა და საყურების გარდა, მიკვლევა დიოსკურების სკულპტურულ გამოსახულებებში (მხედველობაში გვაქვს გონიოს ოქროს ქანდაკება და სამეგრელოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკება) და სხვ.⁴⁶

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხენმხედრებთან თავდაპირველად დაკავშირებულია დიოსკურების (ქალღვთაების შვილების, ტყუპი ღვთაების) კულტი, ხოლო ქრისტიანობის გავრცელების შეძლევა – წყვილი წმინდანის კულტი.

კოსმოსის სხვადასხვა დონის, სხვადასხვა სამყაროების შეკვედრის, გადაკვეთის ადგილს და ტრანსცენდენტურ სივრცეს საფლავი წარმოადგენდა, რომელიც პროფანული სივრცისაგან განსხვავებულია თავისი სტრუქტურით⁴⁷. ცხენი კი ამ სამყაროებსა და სხვადასხვა სტიქიაში მისტიკური გადაადგილების საშუალებაა. საფლავზე დარგული ხე და მასთან მდგომი ცხენი, ისევე როგორც ცხენი ირმის რქებით ჭვირულ ბალთაზე ნიშანია რაღაც უმაღლესი რეალობისა. მასში ფართო კოსმოლოგიური აზრი დევს, რომელიც კოსმოსის ყველა დონის გადაკვეთას აღნიშნავს, და შესაბამისად, ერთდროულად სამყაროს “ცენტრის” და “ღერმის” აღმნიშვნელია ანუ საფლავს, (როგორც კოსმიზირებულ სივრცეს თავისი ცენტრი აქვს გარდაცვლილის სახით და ღერმი ხის (ან ცხენი ირმის რქებით), რომელიც ამ უკანასნელის იზომორფული ვარიანტია).

ამრიგად ზემოთ თქმული მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

შესაწირ ცხენს კოლხური დაკრძალვის რიტუალში არ ჰყავს და ადრესატი ღვთაება, რადგან იგი იმ კონკრეტულ შემთხვევაში

⁴⁵ Н.Абакелия, Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ M. Eliade, Myths, rites, symbols, A Mircea Eliade Reader, N.Y. 1975.Vol.2.

თანმხლებ, ან ფსიქოპომპად ან ერთი სამყაროდან მეორეში გადასცვლილის მისტიკურ საშუალებად ითვლება.

მაგრამ კოლხურ ტრადიციაში ცხენის სიმბოლიზმი მარტო ამ მნიშვნელობით არ შემოიფარგლება. ხესთან/ბოძთან (რომელსაც მაღალი სემიოტიკური ხარისხი ენიჭება რიტუალის გამო და ამიტომ სიმბოლურ ენაზე იგი სამყაროს ხეს განასახიერებს) დაბმული ცხენი არა მარტო ასოცირდება “arbor mundi”-სთან, არამედ უფრო მეტიც, იგი თვითონ წარმოადგენს სამყაროს ხეს. ამის თვალსაჩინო მაგალითს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კვანი კლასიკური ხანის ბრინჯაოს ერთ-ერთი ჭვირული ბალთა წარმოადგენს, რომელზეც ირმისერქებიანი ცხენია გამოსახული. ცხენის ირმის რქებით დაგვირგვინება ორმაგი ინფორმაციის მატარებელია. ერთი მხრივ იგი “arbor mundi”-ს ანუ სამყაროს ხეს განასახიერებს, რომელთანაც, როგორც ეტყობა მსხვერპლშეწირვა უნდა განხორციელებულიყო, ხოლო მეორეს მხრივ იგი თვითონ არის სამსხვერპლო ცხოველი.

გვხვდება სხვა მთო-რიტუალური კომპლექსიც: ღმერთების დიდი დედა დვთაება და მისი ცხენწედრები. ცხენმხედრის აღნიშნული მიმართება ძველი კოლხების რელიგიური ცხოვრების ერთ-ერთი უძველესი საფეხურის ამსახველია, რომელსაც თავის მხრივ წყვილი ღვთაებების – დიოსკურების – კულტი უკავშირდება.

სხვა შემთხვევაში ცხენი დასავლურ-ქართულ კოლხურ ტრადიციაში კლინდება, როგორც სიმბოლო და წყარო ახალი ცხოვრებისა და ნაყოფიერებისა. როგორც ეს ზემოთ ხსენებულ მეგრულ ზღაპარშია: შეწირული ცხენის დანაწევრებული ნაწილებიდან იშვება აღმიანების ახალი თაობა. აღნიშნულ მსხვერპლშეწირვის აქტში შეთანხმოვი ცხოველის (მო)კვლა და მისი მრავალ ნაწილად დანაწევრება ცენტრალურ მომენტს უნდა წარმოადგენდეს. აქ დანაწევრებული



მსხვერპლი, სიმბოლურ ქნაზე, კოსმოგონიური აქტის რეაქტორზე - ზაფიას ახდენს.

ამგვარად ცხენი, როგორც რელიგიური სიმბოლო, ერთ შემთხვევაში ვლინდება, როგორც “imago mundi”, სხვა შემთხვევაში, როგორც “axis mundi” ან “arbor mundi” და შესაბამისად, როგორც სამყაროს საყრდენი. ფატობრივად, იგი სხვადასხვა რეალობას ავლენს, რომელთა დაკავშირება ერთმანეთთან სავსებით შესაძლებელია და რომელიც ერთიანდება ერთ კოლხურ მითო-რიტუალურ სისტემაში.

Nino Abakelia

Concerning the Horse Symbolism in the Colkhanian Mythico-ritual System

Horse as a symbol is one of the main personages in the Western Georgian, Colchian mythico-ritual system. Most frequently it figures in funeral and mourning rituals as a sacrificial animal. Horse sacrifices are attested both archaeologically and ethnographically.

The functions and the meaning of horse sacrifices in the mourning and funeral complexes can be revived by means of western Georgian beliefs and rituals. On the basis of the study of local legends, cults and rituals one can conclude that the ancient Colchians (like many other people in the ancient and modern world) considered death as a transition from one world into another.

Weastern Georgian and, in particular, Megrelian term «*ghuru*» («*doghuru*») denoting dying and death literally means «bloodshed» and reflects local beliefs how the Angel of Death slaughters its victim. So death in Western Georgian, Colchian tradition is associated with slaughter and bloodshed .

According to the local beliefs the journey to the Nether World is rather hard and dangerous. That is why the deceased needs for this voyage his attenant horse and food provsion. For that purpose horse sacrifices were performed and food supplies were made.

The horse of the deceased man covered with black (or blue and red) cloth, already appeared on the day of mourning ritual. It was bound on the pole of the house or on the tree in the yard. On the funeral day the deceased was placed on the earth in the yard and the mourners with loud lamentations walked round him (making thus the sacred circle wth its centre). On the very same day, it was the custom to dig out a tree with vine from the yard in the case when a man was dead and mullbery tree – in the case of a woman. Both the horse and the tree were taken round the deceased and then led to the cemetery where the horse was sacrificed (later this custom was substituted by another practice) and the tree was planted in the grave. Religious pattern: *deceased – horse – tree* is directly associated with the local beliefs on the Nether World.

The Nether world in the perception of the local population was thought to be the inversed copy of the Living World and was defined as an Outer World (called «galenishi» with its patron deity («galenishi orta») and its habitants. There was considered to be a threshold between these worlds. And by the reconstruction of the religious beliefs, there ought to be a castle on the threshold with its guard, called «mekr-re-bebazhe», which according to the local beliefs took taxes to admit the deceased to the Nether World. Besides there existed a special ritual of overcoming this threshold between the worlds. And it had the form of a sprcific horse-race run from the right to the left direction (e.i. to the Nether world direction) in which the horse of the deceased also participated. The horse-race symbolically showed the Nether World route in the Living World. Here the ritual form was leading and important. The ritual repeated the route preserved in the myth, and such attendance upon the deceased by the living guaranteed the quiet entrance and settlement in the Neherworld, in the ancestral society. Thus sacrifcal horse in the above mentioned funeral customs has not

got addressee-deity for here it serves to be a compaion, psychopomp or the mystical means of transference from this world to another.

In the mentioned Colchian tradition, the horse symbolism is much wider than this. It is also associated with «*arbor mundi*» (the Tree of World). And more than that it sometimes itself represents the tree of World. The visual illustration of which is the georgian bronze openwork buckle of the late Classical Period, in which horse with reindeer's horns is being depicted. Here the horse is identfed with tree, on which the horns of the reindeer point. «Crowning» of the horse with reindeer's horns carries in itself double information: on one hand it represents «*arbor mundi*» near which the sacrifice was to be performed and on the other hand it is itself the sacrificial animal. There also exists another mythico-ritual pattern in which it is connected with the Great Mother Goddess and represents together with the rider her attribute. This meaningg of the horse and the rider (horseman) constitutes the most ancient stages of religious life of the old Colchians, which on their turn are also bound to the beliefs of the twin deities - to the cult of Dioscuri.

In other cases horse in the Colchian culture reveals itself as a symbol and source of new life, fertility, e.g. according to one Megrelian fairy tale the dismembered parts of the sacrifcial horse give birth to men, to new generation. In this sacrifcial act the slaughter of one animal and its division into many parts in many descendants and integration into new life, etc. is considered to be a central moment. Here the devived victim reactualizes archetypal cosmogonic act, etc.

Thus horse as a religious symbol on one hand reveals itself as «*imago mundi*», on the other hand as «*axis mundi*» or «*arbor mundi*» hence the support of the universe and practically reveals diverse realities which can be fitted together or even integrated into one mythico-ritual system of the ancient Colchians..

Монеты Диоскуриады на городище Беляус (Крым)

Монеты Диоскуриады (совр. Сухуми) давно уже привлекают внимание нумизматов (Кёне, 1857, с.435; Wroth, 1889, р.5; Карапанадзе, 1995, с.40; Голенко, 1964, с.21; Цецхладзе, 1989). Мери Инадзе одна из первых отметила тот факт, что в эпоху Митридата VI Евпатора (120-63 гг. до н.э.) Диоскуриада пользовалась определенными привилегиями, отразившимися и в чеканке автономных медных монет в I в. до н.э. (Инадзе, 1968, с.238).

В настоящее время число находок диоскурийских монет не намного превышает 50 экземпляров (Цецхладзе, 1989, с.90), если не принимать во внимание мифический многопудовый клад этих монет, якобы обнаруженный где-то в окрестностях Сухуми еще в XIX в. (Пахомов, 1938, с.8). Хранящиеся в Государственном музее Грузии им. С.Н.Джанашиа диоскурийские монеты не имеют паспортных данных и определить место их находки не представляется возможным (Карапанадзе, 1959, с.147). Нет их среди многочисленных и разнообразных монет Понта и Пафлагонии, обнаруженных в культурных слоях II-I вв. до н.э. Ванского городища – древнего Суриума (Дундуа, Лордкипанидзе, 1977, с.197). Дату их чеканки принято относить к самому концу II в. до н.э. (Голенко, 1977, с.57-64). Картографирование мест находок монет Диоскуриады (рис.1) указывает на их преимущественное обращение в Северном Причерноморье. При этом в Херсонесе обнаружено 28 монет, на северном берегу Гераклейского полуострова – одна. На Боспоре зафиксировано 14 монет (рис.2), в том числе в Пантикопее и Тиритаке – по три, в Патре – две, в Мирмекии, Фанагории и Аблае – по две, в Синопе – одна.

нагории, Нимфеи, Китее, Кепах, Горгипии – по одной. Одна монета известна из Судака, пять – из Ольвии (Цецхладзе, 1989, с.93).

Две диоскурийские монеты сравнительно недавно обнаружены в Северо-Западном Крыму, на городище Беляус (Дашевская, 1991, с.20). Городище, расположенное на берегу моря (рис.3), известно как блок сельскохозяйственных усадеб хоры Херсонеса (конец IV-начало II в. до н.э.), захваченный поздними скифами и преобразованный ими в поселение, существовавшее во II в. до н.э. – I в.н.э. (Дашевская, Голенцов, 2002).

Одна из монет (рис.4) была найдена в 1988 г. на полу помещения 62, датированного по керамическому комплексу I в. до н.э. (п.о. Бел-88(87)). Монета хорошей сохранности, отчеканена из качественной красной меди. Диаметр 17 мм вес 3,8 г. На лицевой стороне монеты изображены две шапочки Диоскуров с шестилучевыми звездочками – городской герб (ταράσημον) Диоскуриады. В новое время, в XIX в., этот символ был использован в качестве родового герба абхазскими владельцами князьями Шервашидзе). На оборотной стороне монеты представлен тирс – жезл Диониса, династический символ Митридата Евпатора Дионисия (Davis N., Kraay C.M., 1973, p.200-209), разделяющий на два трехстрочных столбика греческую надпись: ΔΙ – ΟΣ / ΚΟΥ – ΡΙΑ / Δ – ΟΣ. Вторая монета того же типа, худшей сохранности, была найдена на городище Беляус в 2000 г. при зачистке раскопа (п.о.Бел-00(149)). Диаметр ее 13 мм, вес 2,38 г.

Приведенная легенда осмысливается как (монета) Диоскуриады. Судя по надписи, монета – типично городская, формально предназначенная для внутреннего обращения. Покупательная способность этих мелких разменных монет была невелика. Именно в таком аспекте и надо их рассматривать, причем в масштабе всего Понтийского царства. Они служили общим политico-экономическим целям Митридата и обращались по всей территории



царства наряду с городскими монетами Амиса, Синопы и др. Показательно, что на городище Беляус, где монетные находки вообще единичны, синхронными диоскурийскими являются только pontийские монеты: халк Амиса типа меч – голова Ареса в шлеме, вправо (п.о.Бел-01(92) и халк этого же или другого pontийского города типа меч – голова Афины в шлеме, вправо (п.о.Бел-00 (140). Монета городского чекана Синопы, тетрахалк 80-х-70-х гг. до н.э. с головой Зевса на аверсе (реверс стерпт), найденная в некрополе Беляуса, была использована в качестве подвески (п.о.БелМ-75. Мог.63(1). Монета Амиса того же типа, что и на Беляусе, встречена также на Южно-Донузлавском городище (Столба, Голенцов, 1999, с.349, 350), соседнем с Беляусом, по другую сторону устья Донузлавского лимана.

Таким образом, монеты митридатовского чекана на поселениях Северо-Западного Крыма достаточно заметны. Однако их появление в данном регионе вряд ли следует связывать с какими-либо торговыми операциями (Цецхладзе, 1989, с.95). Как подчеркивал Д.Б.Шелов, медные монеты Диоскуриады играли особую роль в денежном обращении Pontийского царства (Шелов, 1980, с.43), так как они обслуживали рынки северной части государства Митридата (Shelov, 1982, p.255, fig.1,4). По нашему мнению, беляусские находки не могут свидетельствовать о прямых торговых связях Диоскуриады в конце II - начале I в. до н.э. с заселенным скифами Северо-Западным Крымом. Колхидские амфоры попадали сюда путем посреднической торговли (Внуков, Цецхладзе, 1991, с.181). Монеты Диоскуриады в Северном Причерноморье в качестве полноценной, юридически признанной разменной монеты в единой pontийской системе денежной эмиссии также использовались для выплаты жалования солдатам митридатовской армии. От них монеты могли попадать на поселения Северо-Западного Крыма. Сюда, как известно из почетного декрета хер-



сонеситов (IOSPE, I², 352), в конце II до н.э. совершил свой знаменитый поход синопец Диофант, полководец Митридата Евпатора, с целью вернуть Херсонесу его владения на дальней хоре, где обосновались скифы, совершившие набеги на полис (Дашевская, 1964, с.149, 153, 154; 1991, с.44-45; Шеглов, 1978, с.129, 133, 134; Виноградов, 1987, с.69-86).

Библиография

- Виноградов Ю.Г., 1987. Вотивная надпись дочери царя Скилура из Пантикея и проблемы истории Скифии и Боспора во II в. до н.э. // ВДИ (Вестник древней истории), № 1. М.
- Внуков С.Ю., Цецхладзе Г.Р., 1991. Колхидские амфоры Северо-Западного Крыма // Сб. Памятники железного века в окрестностях Эвпатории. М.
- Голенко К.В., 1977. К датировке монет Диоскуриады // ВДИ, №3.
- Дашевская О.Д., 1964. ТЕΙХН декрета в честь Диофанта// ВДИ, №3.
- Дашевская О.Д., 1991. Поздние скифы в Крыму. Свод археологических источников.
- Дашевская О.Д., Голенцов А.С., 2002. Раскопки на городище Бемионналяус в Крыму // Археологические открытия 2001 г. М.
- Дундуа Г.Ф., Лордкипанидзе Г.А., 1977. Монетные находки из Вани // Вани III. Тб.
- Инадзе М.П., 1968. Причерноморские города древней Колхиды. Тб.
- Капанадзе Д.Г., 1955. Грузинская нумизматика. М.
- Капанадзе Д.Г., 1959. К вопросу об экономических связях Северного и Восточного Причерноморья в античную эпоху по нумизматическим данным // Проблемы истории Северного Причерноморья в античную эпоху. М.

- Кёне Б., 1857. Описание музея покойного князя Василия Викторовича Кочубея и исследования об истории и нумизматике греческих поселений в России. СПб.
- Пахомов Е.А., 1938. Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа. Вып.2. Быку.
- Столба В.Ф., Голенцов А.С., 1999. Монетные находки из раскопок Южно-Донузлавского городища 1964-1965 гг. // Боспорский феномен: греческая культура на периферии античного мира. Материалы международной конференции. СПб.
- Цецхладзе Г.Р., 1989. Монеты Диоскуриады из Херсонеса Таврического // ВДИ, № 4.
- Шелов Д.Б., 1980. Колхида в системе Понтийской державы Митридата VI // ВДИ, № 3.
- Щеглов А.Н., 1978. Северо-Западный Крым в античную эпоху. Л.
- Davis N., Kraay C.M., 1973. The Hellenistic Kingdoms. Portrait Coins and History. London.
- Shelov D.B., 1982. Le royaume pontique de Mithridate Eupator // Journal des savants, # 3-4. Paris.
- IOSPE – Inscriptiones antique orae septentrionalis Ponti Euxini.
- B.Latyshev, 1916. Petropoli.
- Wroth W., 1889. A Catalogue of the Greek Coins in the British Museum. London.




Рис. 1. Место находок монет Диоскуриады: 1. Сухуми. 2. Херсонес и Гераклийский полуостров. 3. Беляус; *Южный Донузлав. 4. Судак. 5. Ольвия



Рис. 2. Карта Босфора Киммерийского. Места находок монет Диоскуриады



Рис. 3. Городище Беляус. Северная усадьба.
Конец IV в. до н.э.-I в.н.э.




Рис. 4. Монеты Диокуриады из городища Беляус

O. Dashevskaya
G. Lortkipanidze

The Coins of Dioscurias from Belaus (the Grimea)

At present the total amount of Dioscurias city copper coins (1st century B. C.) has not exceeded 50. Their topography testifies to the fact, that they were mainly circulated in the North part of the Black sea coast, namely in the Grimea.

Newly discovered two Dioscurias city coins are found in the Northern-West Grimea, at the Belaus littoral ancient site in the 1st c. B. C. cultural layer. Since the late 4th c. B. C. Belaus was a part of Khersones khora. There was a scythian settlement there in the 2nd c. B. C. – 1st c. A. D. It is not excluded, that above-mentioned coins emerged in Belaus as a result of Diofant's invasion.



Рис. 2. Карта Босфора Киммерийского. Места находок монет
Диоскуриады



ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა ბიბლიის მიხედვით (ძველი აღთქმა)

მეცნიერების წინაშე ქალის ქონებრივ-უფლებრივი შეს-
ნავლის საკითხი დიდი ხანია დგას, მაგრამ მასზე ყურადღება,
განსაკუთრებით მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლებიდან გა-
მახვილდა. საუკუნეების მანძილზე უმეტესწილად სასულიე-
რო პირთა მოძღვრებებში ქალი „ეშმაკის მოციქულად“, „ეშმა-
კის ნაშიერად“ და არასრულფასოვან არსებად იყო მიჩნეული,
ამიტომ მის უფლებრივ თუ ქონებრივ მდგომარეობაზე საუ-
ბარს ზედმეტად თვლიდნენ. სხვადასხვა რელიგიის წინამძღ-
ვარნი (მოძღვარნი) ქალის უფლებებს სხვადასხვაგვარად აფა-
სებდნენ. საბოლოო ჯამში უმრავლესობა ქალის უფლებების
აღიარებას უარყოფდნენ. თავიანთი ამგვარი პოზიციის დასა-
საბუთებლად ადრეული რელიგიური და საერო ხასიათის წყა-
როებსა და კანონებს (ბიბლია, სახარება, ყურანი, თალმუდი,
ძველი აღმოსავლეთის ხალხთა სამართლის წიგნები თუ კანო-
ნები და ა. შ.) იშველიერდნენ. ამგვარი მიღებომიდან გამომდი-
ნარე იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მამაზეციერს – ღმერთს
დასაბამიდანვე თითქოს ქალი უუფლებო, შეიძლება ითქვას,
არასრულფასოვანი გაუჩენია და ამიტომ მისი ამგვარი შეფა-
სება კანონზომიერია.

ვფიქრობთ, რომ ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომა-
რეობის ამდაგვარი დასმა და გადაწყვეტა აღნიშნული წყარო-
ების ზერელე თუ შეგნებულად ცალმხრივი გააზრების შედე-
ბად უნდა მომხდარიყო.

რელიგიური და საერო ხასიათის წყაროებს თუ ყოველ-
მხრივ შევისწავლით და ჩავუღრმავდებით სურათი ცოტა
სხვაგვარად წარმოგვიდგება. ბიბლიაში გარკვევით არის მი-
თითებული, როგორ შექმნა ღმერთმა ადამიანი. „თქვა ღმერთ-



მა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად, უძრავი წერილის ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს.

შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი¹. აქ კაცი არა მხოლოდ მამაკაცის, არამედ ზოგადად ადამიანის მნიშვნელობით არის. ამას გვაფიქრებინებს იქვე დაკონკრეტებული მითითება თუ კაცში ვინ იგულისხმება „მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“. საინტერესოა ერთი კანონზომიერება: როცა ბიბლია ზოგადად ადამიანზე (კაცზე) ლაპარაკობს აქ იგი მხოლობით პირშია „თავის ხატად შექმნა იგი“. მაგრამ როცა აკონკრეტებს ადამიანში (კაცში) ვინ იგულისხმება, უკვე მრავლობით ში გადადის: „მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“. ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ ადამიანი – მამაკაციცა და დედაკაციც ღმერთმა ერთი მიზნითა და ერთნაირი უფლებებით შექმნა.

ღმერთმა თავდაპირველად ადამიანი (მამაკაცად) გამოძერნა: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტონებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად². ღმერთმა კარგად უწყოდა, რომ მარტოსული ადამი სრულფასოვანი – სრულებრივი არსება ვერ იქნებოდა თუ მას მეწყვილე – მეორე ნახევარი არ ეყოლებოდა. ბუნებრივია, მისი მეორე ნახევარი საპირისპირ სქესის უნდა ყოფილიყო და შექმნა კიდეც ის ევას სახით. ევას შესაქმნელი მასალა არა მიწის მტვერი, არამედ თვისობრივად სულ სხვაა. „უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰვევარა ადამს და დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა და ადამს მიუყვანა“³. მივაქციოთ ყურადღება, ადამი

¹ ბიბლია, თ. დაბადება, თ. 1; 26-27.

² იქვე, თ. 2; 7.

³ იქვე, თ. 2; 21-22.



გამოუწვევით თიხისგანაა შექმნილი, ამიტომ, რა თქმა უნდა მას ბეჭდის ბევრი სისუსტე გააჩნია. რაც შეეხება ევას, მას ღმერთი ქმნის არა უსულო მასალისაგან (თიხისაგან), არამედ უკვე ცოცხალი არსების (ნახევრად გონიერი) მასალისაგან. ეს კი თავის-თავად ბევრის მეტყველია მისი გონიერებისა და აზროვნების თვალსაზრისით.

სწორედ შესაქმნელი მასალის თვისობრივი და ხარის-ხობრივი განსხვავებიდან გამომდინარე, ადამისა და ევას შეც-ნობის (გონიერების) დონეც სხვადასხვაგვარი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ სამოთხის ბალში მცხოვრებ პირველი ადამიანებისაგან (ადამი და ევა) კეთილისა და ბოროტის შეცნობისათვის (გონიერი აზ-როვნების დასაწყისი) გველმა არა მამაკაცი, არმედ დედაკაცი აირჩია. გველი ხომ სიბრძნის სიმბოლოდ ითვლება და მას არ-ჩევანი არ შეეშლებოდა. გველის ეს თვისება არა მხოლოდ ბიბ-ლიაშია დაფიქსირებული, არამედ ახალი აღქმაც აღიარებს, როცა ქრისტე თავის მონაფეებს მიმართავს, „იყავით გონიერ-ნი, როგორც გველები“⁴. ყოველივე ზემოთ მოყვანილი გან-მარტებიდან გამომდინარე შეიძლება დავსვათ კითხვა გონიე-რების (აზროვნების) დამწყებ ობიექტად გველმა (ღმერთის მითითებით) რატომ აირჩია დედაკაცი და არა მამაკაცი? მას შეიძლება ერთი კონკრეტული პასუხი მოეძებნოს, კერძოდ, ცნობილია, რომ მიმთვისებლური მეურნეობიდან მნარმოებ-ლურ მეურნეობაზე (პირველად მეტად მარტივი და პრიმიტი-ული) გადასვლის ინიციატორი თავდაპირველად ქალი იყო. ეს კი როგორლაც უნდა ასახულიყო ბიბლიაში და აისახა კიდეც ევას მიერ ხე ცნობიერის ნაყოფის შექმის სახით (მნიშვნელო-ბა არ აქვს უკვე შემდგომში მას როგორი შეფასება მიეცა).

ჩვენს ხელთ არსებული რელიგიური ხასიათის ლიტერა-ტურაში ევას მიერ ჩადენილი საქციელი დანაშაულადაა აღია-

⁴ ახალი აღქმა, სახარება მათესი, თ. 10; 16.

რებული და მას ამის გამო „ეშმაკის მოციქულად“ ნათლავნი.
 მაგრამ საკითხი ამგვარად არ შეიძლება განვიხილოთ. მივ-
 ყვეთ პიბლიას: „შიშველნი იყვნენ ორივენი, ადამი და მისი დე-
 დაკაცი, და არ რცხვენოდათ“⁵. ეს იმაზე მეტყველებს, რომ
 ჯერ ისინი გონიერი არსებანი არ იყვნენ. პიბლიაში მითითე-
 ბულია, რომ „გველი ყველაზე ცბიერი იყო ველურ ცხოველთა
 შორის, რომლებიც უფალმა გააჩინა“⁶. როდესაც ევას შეე-
 კითხა იგი რომელი ხის ნაყოფის ჭამა აგიკრძალათ ღმერთმა,
 დედაკაცმა (ევამ) მიუგო: „შუაგულ ბალში რომ ხე დგას იმის
 ნაყოფს ნუ შეჭამთ, გვითხრა ღმერთმა; არ გაეკაროთ, თორემ
 მოკვდებით“. ამ პასუხზე გველმა ასეთი პასუხი გასცა, „არ
 მოკვდებით, მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ,
 თვალი აგეხილებათ და შეიქმნებით ღმერთივით კეთილისა და
 ბოროტის შემცნობელნი“⁷.

პიბლიაში ამგვარ მითითებას ნუ აღვიქვამთ გაცვეთილ
 ფრაზებად, რომლის მიხედვით მამაკაცი უფრო ძლიერი იყო
 და მისი ცდუნება შედარებით ძნელი იყო, ვიდრე „სუსტი ქა-
 ლის“, რომ „სამოთხიდან“ ადამის მოდგმის გამოდევნა „სუს-
 ტი“ დედაკაცის შეცდომის გამო მოხდა და ა. შ. ჩვენ ვფიქ-
 რობთ, რომ აქ ცდუნებასთან კი არა, არამედ ადამიანის გონი-
 ერების, სამყაროს შეცნობის, მისი გაგება-ათვისების, კეთი-
 ლისა და ბოროტის გარჩევასთან უნდა გვქონდეს საქმე. ყოვე-
 ლივე ამის ინიციატორად კი გველისაგან „ცდუნებული“ ქალი
 გვევლინება. პიბლიის მიხედვით გველიც ღმერთის შექმნილია
 და მას ადამიანთა ცდუნების იდეაც შემოქმედის მითითებითა
 და შთაგონებით დაეხადა. მის მიერ ჩადენილი საქციელი
 ღმერთისგან იყო სანქცირებული. სწორედ ღმერთის შთაგო-
 ნებით გველი ქალს შეუჩნდა და არა მამაკაცს. თუ რატომ მოხ-
 და ასე, ვფიქრობთ, პასუხი ისევ პიბლიაში უნდა ვეძიოთ.

⁵ პიბლია, დაბადება, თ. 2; 25.

⁶ იქვე, თ. 3; 1.

⁷ იქვე, თ. 3; 4-5.



აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მასალაა ის „**როცა უფალმა ადამი და ევა ტყავის სამოსელით შემოსა და თქვა:** „აპა, გახდა ადამი როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა. არ გაიწოდოს ახლა ხელი და არ მოწყვიტოს სიცოცხლის ხის ნაყოფიც, არ შეჭამოს და მარადიულად არ იცოცხლოს. გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბალიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული”⁸. თუ ბიბლიის ამ მონაცემებს არქეოლოგიური მასალების შუქზე ღოვიკურად გავაანალიზებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ბიბლიაში შესანიშნავადაა გაშუქებული ადამიანის მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა, ე. წ. „ნეოლითური რევოლუცია”. აღნიშნულიდან გამომდინარე ადამის და ევას ედემის ბალიდან გაშვება ეს იმას ნიშნავს, რომ მოხეტიალე ცხოვრებიდან ე. ი. მიმთვისებლური მეურნეობიდან ადამიანი უკვე გადადის საქონლისა და მარცვლეული კულტურების მოშენება-გამრავლებაზე ე. ი. მწარმოებლურ მეურნეობაზე. რა თქმა უნდა თავდაპირველად ეს მწარმოებლური მეურნეობა (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა) მეტად მარტივი იქნებოდა და ასეც უნდა ყოფილიყო და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პრიმიტიული მწარმოებლური მეურნეობის ინიციატორსა და დამწყებს ქალი წარმოადგენდა.

საერთოდ ქალის საქმაოდ მაღალი უფლებების დამადასტურებელი მრავალი ფაქტია მოყვანილი ბიბლიაში. მაგალითად: უძეო სარას ნებართვითა და თანხმობით აბრაამი თავისი ცოლის – სარას მხევალთან ამყარებს ურთიერთობას მეკვიდრის შეძენის მიზნით. საკმარისი იყო ფეხმძიმე მხევალს თავისი ქალბატონის დამცირება დაეწყო, რომ იგი აბრაამის სახლიდან სარას განედევნა⁹. ლოტის ორი ქალიშვილის

⁸ ბიბლია, დაბადება, თ. 3; 22-23.
⁹ იქვე, თ. 16; 1-5.

მამის შთამომავლობისა და მემკვიდრეობის გაგრძელების
მიზნით მშობელი მამისაგან დაორსულების საქციელი (მოხუ-
ცებული ლოტის, რომელსაც ე არ ჰყავდა, ორმა ქალიშვილმა
გადაწყვიტა, რათა მამის შთამომავლობა არ დაკარგულიყო,
მისგან შვილები გაეჩინათ. ამ მიზნით მოხუცი მამა ლვინით
დაათვრეს და პირველ ლამეს ერთი ქალიშვილი დარჩა მასთან,
მეორე ლამეს კი მეორე ქალიშვილი)¹⁰, სხვა შემთხვევაში
კრულვისა და ჩაქოლვის საბაბი გახდებოდა, მაგრამ ბიბლიაში
გამართლებულია.

ბიბლიის მიხედვით ქალის გარკვეული უფლებების მა-
ნიშნებელია დარჩენილი ქვრივი ქალის მოქმედება, რომელიც,
გარდაცვლილი ქმრის შთამომავლობის აღდგენის მიზნით,
უცოლო მაზლს მიყვებოდა ცოლად. „თუ კაცი არ ისურვებს
თავის რძლის ცოლად მოყვანას, წარუდგება მისი რძალი კა-
რიბჭესთან უხუცესებს და ეტყვის: არ უნდა ჩემს მაზლს, რომ
სახელი აღუდგინოს თავის ძმას ისრაელში, არ მეუღლება ჩემი
მაზლიო. დაიბარებენ კაცს ქალაქის უხუცესები და მოელაპა-
რაკებიან. თუ კაცი ადგება და იტყვის: არ მინდა მისი მოყვა-
ნაო, თავზე დაადგება მას მისი რძალი და უხუცესების თვალ-
წინ, ფეხსაცმელს გახდის, სახეში შეაფურთხებს და ეტყვის:
ასე ექცევიან კაცს, რომელიც სახლს არ უშენებს თავის
ძმას”¹¹.

აღნიშნული რიტუალი შეიძლება მრავალმხრივ და სხვა-
დასხვა ასპექტით იქნეს განხილული, მაგრამ იგი ჩვენ ამჟამად
მხოლოდ ერთი კუთხით გვაინტერესებს: რამდენად ასახავს
იგი ქალის უფლებრივ მდგომარეობას. იგი მამაკაცის ინიცია-
ტივით რომ ყოფილიყო, მაშინ აქ ქალის რაიმე უფლებაზე სა-
უბარი ზედმეტი იქნებოდა. ვინაიდან მისი შესრულების ინი-

¹⁰ ბიბლია, დაბადება, თ. 19; 31-36.

¹¹ ბიბლია, მეორე რჯული, თ. 25; 7-9.



ცისტორად ქალი გვევლინება, ამდენად იგი შეიძლება ქალის საბუთად მივიჩნიოთ.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქვრივ რძალს არა მარტო უცოლო მაზლთან, არამედ მამამთილთანაც შეუძლია დაამყაროს ურთიერთობა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იუდას რძლის თამარის საქციელიც საკმარისია. ბიბლიის მიხედვით თამარი უშვილოდ დაქვრივდა. მისმა მამამთილმა – იუდამ ქვრივი რძალი მეორე შვილს შერთო, რათა გარდაცვლილი ვაჟის შთამომავლობა აღედგინა. მაგრამ მალე ეს ვაჟიც უძროდ გარდაიცვალა. მაშინ იუდამ უთხრა რძალს: „იცხოვრე ქვრივად მამაშენის სახლში, კიდრე ჩემი ძე შელა მოიწიფებოდეს“¹². მართალია შელა გაიზარდა, მაგრამ იუდამ მას არ შერთო ქვრივი რძალი. თამარმა სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ ვზად მიმავალ მამამთილს დახვდა როგორც მეძავი, მაგრამ არ დანებდა ვიდრე წინად (თიკნის გაგზავნამდე) ბეჭედი, თასმა და არგანი არ გამოართვა. რამდენიმე თვის შემდეგ იუდას უთხრეს რძლის-თამარის გაბოზების შესახებ. მისი ბრძანებით ქალი - როგორც ბოზი უნდა დაეწვათ. მაგრამ უხუცესებს თამარმა აჩვენა ბეჭედი, თასმა, არგანი და მამამთილს შეუთვალა: „ვისიც ეს ნივთებია მისგან ვარ ორსულად“. იუდამ თავისი ნივთები იცნო და თქვა: „ვტყუივარ ამ ქალთან, რომ არ მივათხოვ იგი შელას, ჩემს ვაჟს“¹³ და გაამართლა რძლის საქციელი.

საერთოდ ბიბლიის ნითელ ზოლად გასდევს ის, რომ უშვილოდ გარდაცვლილი მამაკაცის ქვრივია ინიციატორი; რათა მას მის ნათესავთან (უცოლო ძმასთან თუ ახლობელთან) დაქორწინებით გარდაცვლილ ქმარს აღუდგინოს შთამომავლობა (სახლი). ამ ქორწინების შემდეგ დაბადებული პირველი შვილი ყოველთვის გარდაცვლილი ქმრის სახელზე იზრდებო-

¹² ბიბლია, დაბადება, თ. 38; 8.
¹³ იქვე, თ. 38; 26.

და. ზემოთ მოყვანილ ფაქტებსაც რომ არ მივაქციოთ ყურადღება, აღნიშნულის დასადასტურებლად რუთის საქციელის დასახელებაც საკმარისია. ბიბლიაში რუთი ჩანს არა როგორც მეძავი, არამედ გარდაცვლილი ქმრის მემკვიდრეობის-შთამომავლობის გაგრძელებისათვის მზრუნველი ქალი¹⁴.

ბიბლიაში ქალის საკმაოდ დიდი უფლებების მანიშნებელია ის ფაქტიც, რომ თუ იგი უფლის ნინაშე აღთქმას დასდებდა, მისი დარღვევა არავის შეეძლო გარდა მამისა (თუ გასათხოვარი იყო) და ქმრისა (თუ გათხოვილი იყო). თუ ქალი „აღთქმას მისცემს უფალს ან ფიცით დაიფიცებს, რასმე აღუკვეთს თავის თავს, არ უნდა შეშალოს თავისი სიტყვა, ყველაფერი უნდა შეასრულოს, რაც მისი ბაგეებიდან არის გამოსული. თუ ქალი ვინმე აღთქმას მისცემს უფალს და რასმე აღიკვეთს მამისეულ სახლში სიყმაწვილისას, მამამისიც გაიგებს მის აღთქმას და აღკვეთას, რაც მან თავის თავს აღუკვეთა და არაფერს ეტყვის, უნდა შესრულდეს ყველა აღთქმა და აღკვეთა, რაც თავის თავს აღუკვეთა ქალმა. თუ დაუშლის მამამისი, როცა გაიგებს არ უნდა შესრულდეს... და უფალი აპატიებს მას, რადგან მამამისმა დაუშალა”¹⁵. თუ გათხოვილი ქალი დებს აღთქმას, „გაიგებს მისი ქმარი, და როცა გაიგებს არაფერს იტყვის, უნდა შესრულდეს მისი აღთქმები... თუ ქმარი გაიგებს და დაუშლის, შეუძლია გააუქმოს მისი აღთქმა და უფალი აპატიებს მას. მასზე (ე. ი. ქმარზე – თ. ი), იქნება ქალის ცოდვა”¹⁶.

რაც შეეხება ქვრივი ან ქმარგაცილებული ქალის მიერ უფლის ნინაშე დადებული აღთქმა თუ აღკვეთა უნდა შესრულდეს. მისი გაუქმების უფლება არც მამას, არც ძმას და მით უმეტეს არც ქმარყოფილს არ ჰქონდა. „ქვრივის ან ქმარ-

¹⁴ ბიბლია, რუთი, თ. 1; 4.

¹⁵ ბიბლია, რიცხვი, თ. 30; 3-6.

¹⁶ იქვე, თ. 30; 8, 9, 16.



გაყრილის აღთქმა და ყოველი აღკვეთა, რითაც რაიმე აღკვეთის განვითარება
თილი აქვს თავისი თავისთვის, უნდა შესრულდეს¹⁷.

ქალის მემკვიდრეობითი უფლებების მანიშნებელია ბიბ-
ლიაში ცელეფხადის ქალიშვილების ქმედებაც. როდესაც იგი
გარდაიცვალა, მხოლოდ ხუთი ქალიშვილი (მახლა, ნოა, ხოგ-
და, მილქა და თირცა) დარჩა, რომლებმაც მამის ქონებაზე თა-
ვიანთი უფლებების დაცვა მოითხოვეს. „გამოვიდნენ ასულნი
ცელეფხადისა,... და წარუდგნენ მოსეს, ელიაზარ მღვდელს,
თავიაცებს და მთელს საზოგადოებას სადღესასწაულო კარ-
ვის შესასვლელთან, უთხრეს: მამაჩვენი უდაბნოში მოკვდა და
არ ყოფილა იგი უფლის წინააღმდეგ შეთქმულთა დასში, კო-
რახის დასში, არამედ თავისი ცოდვის გამო მოკვდა და ვაჟები
არ ჰყოლია. რატომ უნდა გაქრეს მამაჩვენის სახელი მის საგ-
ვარეულოდან, იმის გამო, რომ ვაჟი არ ჰყავს? მოგვეცით ჩვე-
ნი სამკვიდრო მამაჩვენის ძმებს შორის. უფლის წინაშე მიიტა-
ნა მოსემ მათი სამართალი. ასე უთხრა უფალმა მოსეს: მარ-
თალს ამბობენ ცელეფხადის ასულნი. უნდა მისცე მათ საკუ-
თარი სამკვიდრო მათი მამის ძმებს შორის, მათზე უნდა გადა-
იტანო მათი მამის სამკვიდრო. ისრაელიანებს ასე უთხარი: თუ
ვინმე მოკვდა და ძე კაცი არ დარჩა, მისი სამკვიდრო მის
ასულზე გადაიტანეთ. თუ ასული არა ჰყავს, მისი სამკვიდრო
მის ძმებს მიეცით. თუ ძმები არა ჰყავს, მისი სამკვიდრო მამა-
მისის ძმებს მიეცით. თუ მამამისს ძმები არა ჰყავს, მიეცეთ
მისი სამკვიდრო მის ახლო ნათესავს მისი საგვარეულოდან¹⁸.

ბიბლიაში ერთი მეტად საინტერესო კანონზომერება იკ-
ვეთება: ყოველი ასული, რომელიც მამის მემკვიდრეობის
წილს იმკვიდრებს, მამისეული საგვარეულოს რომელიმე წარ-
მომადგენელს უნდა მისთხოვდეს. ეკბატანაში მისულმა ტობი-
ამ ცოლად შეირთო თავისი საგვარეულოს წარმომადგენლის

¹⁷ ბიბლია, რიცხვი, თ. 30; 10.
¹⁸ იქვე, თ. 27; 1-11.

სიმაგრე
კუთხით

რაღუელის ერთადერთი ასული ჩარა, პირობისამებრ კალიში მისი ქონების ნახევარი მიიღო ქორწილის შემდეგ მამის უზალესი ნასვლისას, ხოლო დანარჩენს კი მიიღებდა „როცა რაღუელი და მისი ცოლი დახოცებოდნენ“¹⁹. ქალიშვილი მამის ქონების მემკვიდრე იყო არა მხოლოდ მამინ, როცა მის მამას ვაჟი არ ჰყავდა, არამედ იგი ძმებთან ერთად იყოფდა მამის მემკვიდრეობას. აღნიშნულის არაერთი დამადასტურებელი ფაქტია ბიბლიაში მოცემული. მაგალითად: ლევიანთა შორის უფროსს, რომელიც მემკვიდრეობით დაადგინა წმინდა კარვის მსახურად უფალმა, დაეწესა „მთელი წმინდა დალა, რომელსაც ისრაელიანები უხდიან უფალს, შენთვის, შენი ვაჟებისა და ქალიშვილებისათვის მიმეცა, სამარადისო წესით. ეს არის სამარადისო აღქმა მარილისა უფლისა წინაშე შენთვისა და შენი შთამომავლობისათვის“²⁰. იობმა, რომელსაც შვიდი ვაჟი და სამი ასული ჰყავდა, „მისცა მათ სამკვიდრო მათ ძმებს შორის“²¹.

ქალის მემკვიდრეობის უფლების ერთ-ერთი დამატეკიცებელი მაგალითია ბიბლიაში დაფიქსირებული მზითვად გარკვეული უძრავი ქონების მიცემის ფაქტებიც. მაგალითად: „მოვიდა ფარაონი, ეგვიპტის მეფე, აიღო გეზერი და გადაწვა. ამოხოცა მისი მცხოვრები ქანაანელები, ხოლო ქალაქი მზითვები მისცა თავის ასულს, სოლომონის ცოლს“²².

ბიბლიაში ქალის მაღალი უფლებრივი მდგომარეობის მანიშნებელია ივლითისა და ესთერის საქმიანობაც. ბეთელიაში მყოფი ისრაელიანებს ნაბუქოდონოსორის სარდალმა ოლივერნემ მოაბის ტომთა წინამძღვრების რჩევით წყალი ჩაუკეტა. უნყლობით შენუხებული ქალაქის მოსახლეობა უხუცესებისაგან დანებებას მოითხოვდა. მათ ხუთი დღე ითხოვეს მო-

¹⁹ ბიბლია. ტობიათი. თ. 8; 21.

²⁰ ბიბლია, რიცხვნი. თ. 18; 19.

²¹ ბიბლია, იობი. თ. 42; 15.

²² ბიბლია, მესამე მეფეთა. თ. 9; 16.

საფიქრებლად. ეს რომ ქვრივმა ივლითმა გაიგო, „გაგზავნით თავისი მოახლე, მთელი თავისი ქონების ზედამხედველი... თავისი ქალაქის უხუცესების დასაძახებლად”²³. რომ მოვიდნენ მასთან ისინი ჯერ გაკიცხა, შემდეგ კი უთხრა: „ისიმინეთ ჩემი და ისეთ საქმეს მოვიმოქმედებ, რომ გადაეცემა თაობიდან თაობას ჩვენს მოდგმაში. დადექით ამ ღამეს კარიბჭესთან, მე კი ჩემს მოახლესთან ერთად გავალ... ჩემი ხელით შეენევა უფალი ისრაელს... ნუ გამოიძიებთ ჩემს საქმეს, მაინც არაფერს გეტყვით, ვიდრე არ აღესრულება ის, რის გაკეთებასაც ვაპირებ”²⁴. ქალაქის უხუცესები უსიტყვოდ დათანხმდნენ და წარმატება უსურვეს. მოწინააღმდეგის ბანაკში წასვლამდე ჩვენთვის საინტერესოა ივლითის ლოცვა: „ჩემი ბაგეებიდან გამოსული ტყუილით დაამხე მონა მთავართან ერთად, მთავარი მის მსახურთავან ერთად, ქალის ხელით დათრგუნე მათი ამპარტავნობა”²⁵. ლოცვის შემდეგ ერთი მხევლის თანხლებით მოწინააღმდეგეთა ბანაკში შევიდა. ოლოფერნემ თავის კარავში მიიპატიუა და კარგი პურ-მარილი გაუმართა. ნადიმის შემდეგ „მარტო დარჩა ივლითი კარავში ოლოფერნესთან, რომელიც ლვინონასვამი გაშელართული იყო თავის სანოლზე”. მან სანოლს თავიდან ჩამოხსნა მახვილი, მძინარეს „სწვდა თმებში და თქვა: გამაძლიერე მე, უფალო, ღმერთო ისრაელისაო, დღევანდელ დღეს. მერე ორჯერ დაჰკრა კისერზე მთელი ძალით და თავი მოკვეთა”²⁶. მოკვეთილი თავი მისმა მხევალმა საგზლის გუდაში ჩადო და ორივენი ვითომდა სალოცავად მშვიდად გაეცალნენ მოწინააღმდეგეთა ბანაკს.

ივლითის რჩევით ისრაელიანებმა ოლოფერნეს თავი ქალაქის გალავნის ქონგურზე გამოჰკიდეს, ხოლო თავიანთი ჯარი კი მოწინააღმდეგის ბანაკს მიუსიეს. ნაბუქოდონოსო-

²³ ბიბლია, ივლითი, თ. 8; 10.

²⁴ იქვე, თ. 8; 32-34.

²⁵ იქვე, თ. 9; 10.

²⁶ იქვე, თ. 13; 2, 6-8.



რის ჯარმა რომ გაიგო სარდალი მკვდარიაო, ბრძოლიშვილებულებან
დან უწესრიგოდ გაიქცენენ. როგორც ვხედავთ ივლითმა თავი-
სი გონებაგამჭრიახობის წყალობით ჩანაფიქრი ბრწყინვალედ
განახორციელა.

იერუსალიმის მკვიდრმა მოსახლეობამ და ისრაელიანთა
უხუცესობამ „ერთხმად აკურთხეს და უთხრეს: შენ ხარ დიდე-
ბა იერუსალიმისა, შენ ხარ სიამაყე ისრაელისა, შენ ხარ სიეპ-
დული ჩვენი მოდგმისა”²⁷.

ქალის უფლებრივი მდგომარეობის წარმოსაჩენად მრავ-
ლისმთქმელია ესთერის საქმიანობაც. მაგრამ სანამ მის საქ-
მიანობას შევეხებოდეთ, საინტერესოდ გვეჩვენება ბიბლიის
მიხედვით მიდიელებსა და სპარსელებში ქალის უფლებრივი
მდგომარეობის ჩვენება. ასაშვეროსის მეფობის დროს ერთ-
ერთი ლხინისას მეფემ მოითხოვა დედოფალი ვაშთი მონადი-
მეთა წინაშე წარმდგარიყო „სამეფო გვირგვინით, რომ ეჩვე-
ნებინა ხალხისთვის და მთავრებისთვის მისი სილამაზე, რად-
გან მშვენიერი იყო სახით”²⁸. დედოფალმა იუკადრისა და მოს-
ვლაზე უარი განაცხადა. განრისხებულმა მეფემ მრჩევლებს
მიმართა: „რისი ღირსია ვაშთი დედოფალი, რჯულის მიხედ-
ვით, რომ არ შეასრულა მეფე ასაშვეროშის ბრძანება”²⁹. მათ
კი იმის გამო, რომ „ამიერიდან სპარსელ და მიდიელ მთავარ-
თა ცოლები, რომლებიც შეიტყობენ დედოფლის ამბავს, შეე-
პასუხებიან მეფის მთავრებს”, მეფეს ურჩიეს „გაიცეს მისგან
სამეფო ბრძანება, ჩაინეროს სპარსელთა და მიდიელთა
რჯულში უცვალებლად, რომ ალარ შევიდეს ვაშთი მეფე ასაშ-
ვეროში წინაშე, ხოლო მისი დედოფლობა მეფემ სხვას მის-
ცეს, მასზე უკეთესს”³⁰. ამ ეპიზოდიდან ნათლად ჩანს თუ რო-
გორ იბრძვიან სპარსელი და მიდიელი დიდებული მამაკაცები

²⁷ ბიბლია ივლითი, თ. 15; 9.

²⁸ ბიბლია, ესთერი, თ. 1; 11.

²⁹ იქვე, თ. 1; 15.

³⁰ იქვე, თ. 1; 18-19.

ქალის უფლებების შეზღუდვისათვის, რომელიც, როგორიც ჩანს ამ ხალხებშიც ადრეული ხანიდან უნდა არსებულიყო. მიუხედავად მათი მცდელობისა, ქალის უფლებების შეზღუდვა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჰამან აგაგელი ყოველგვარ რჩევას პირველ რიგში საკუთარ ცოლს, ბერებსა და მეგობრებს ეკითხებოდა, მათი მითოთებისამებრ იქცეოდა. დიდებულთა წყალობით სპარსეთის მეფემ ახალი დედოფალი შეიძინა. ეს კი ეპრაელი ქალი - ესთერი აღმოჩნდა, რომელმაც თავისი გამზრდელი ბიძის, - მარდოქიას, რჩევით თავისი ვინაობა არ გაამხილა. იგი ეპრაელი ხალხის ისტორიაში შევიდა, როგორც ისრაელიანების ერთ-ერთი საუკეთესო და თავდადებული შვილი. მისი დედოფლობის დროს მეფის ერთ-ერთი დიდებულის ჰამან აგაგელის მითოთებით სპარსეთის მეფემ გასცა ბრძანება, რომ სამეფოში „გაეწყვიტათ, დახხოცათ, მოესპოთ ყველა იუდეველი, ყმაწვილიდან მოხუცამდე, დედანულიანად ერთ დღეს“³¹. ესთერის გამჭრიახობამ და გაბედულებამ შეაცვლევინა მეფეს ასაშვეროშს მისი ნებართვით ჰამან აგაგელის მიერ ზემოთ მოყვანილი ბრძანება. ესთერისავე წყალობით მეფემ ახალი ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვით ერთი დღის მანძილზე „მეფეს ნებას აძლევს იუდაელებს, რომელ ქალაქშიც არ უნდა იყვნენ, შეიკრიბონ და დაიცვან თავი, მოსპონ, დახოცონ, განწყვიტონ, ვინც კი არის მძლავრი ხალხში და სამთავროში, ვინც ავინწროებს მათ და მათ ცოლ-შვილს და ნადავლად წაილონ მათი ქონება“³². ეს ბრძანება იუდაელებმა შესანიშნავად გამოიყენეს. ამ გამარჯვების აღსანიშნავად ესთერის ბრძანებით დაწესდა დღეობა „ფურუმი“³³.

ბიბლიის მიხედვით აშეარად ჩანს, რომ ქალს არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ ოჯახშიც განსაკუთრებული

³¹ ბიბლიის, ესთერი, თ. 3; 13.

³² იქვე, თ. 8; 11-12.

³³ იქვე, თ. 9; 27-32.



ადგილი ეკავა და პატივისცემით იყო გარემოსილი. მათ შორის ყვას ანგარიშს უწევდა არა მარტო უბრალო ხალხი, არამედ საზოგადოების ზედაფენაც თვით მეფეთა ჩათვლით. როდე-საც საჭმელ-სასმელის სათხოვნელად მისული დავითის ხალხი ნადაბმა უარით გაისტუმრა, დავითმა გადაწყვიტა იგი სანი-მუშოდ დაესაჯა. ნაბალის ცოლმა აბიგაილმა რომ გაიგო მის ქმარსა და ოჯახს რა საშიშროება ელოდა, ქმრის უკითხავად სასმელ-საჭმელით ხელდამშვენებული ესტუმრა დავითს და თავისი საქციელით ხელი ააღებინა დავითს განზრახვაზე. ქა-ლის გონიერებით მოხიბლულმა დავითმა მიმართა მას: „კურ-თხეულია უფალი, ლმერთი ისრაელისა, რომელმაც ჩემს შე-სახვედრად გამოგზავნა დღეს. კურთხეულ იყოს შენი გონიე-რება და კურთხეულ იყავი შენ, რომ არ მიმიშვი სისხლის ლვრამდე და შურისგებამდე”³⁴. აბიგაილის მოხერხებულობა იმდენად მოეწონა დავითს, რომ მისი ქმრის ნაბალის სიკვდი-ლის შემდეგ მას ცოლობა სთხოვა.

სჯულისათვის შვილების შემწირველი და ბოლოს თვი-თონაც შენირული დედა დიდებითაა შემოსილი. გამარჯვე-ბული ბერძნების მპრძანებელმა ანტიოქეისმა ბრძანება გასცა „სიკვდილით დაესაჯათ ნებისმიერი ებრაელი მოქალაქე, ვინც მამაპაპის რჯულის დამცველი აღმოჩნდებოდა. მაგრამ ვერაი-ნაირი განკარგულებით ვერ აიძულა ხალხი მშობლიური რჯუ-ლისადმი მორჩილება დაერღვიათ”³⁵. განრისხებულმა მპრძა-ნებელმა, უბრძანა მცველებს, სათითაოდ გამოეყვანათ ებრა-ელები და იძულებით ეჭმევინებინათ მათთვის ლორისა და კერპთათვის შენირულ ცხოველთა ხორცი. და თუ ვინმე არ მი-ეკარებოდა უწმინდურ საჭმელს, ბორბალზე დაეკრათ და წა-მებით მოეკლათ”. სწორედ ამ განსაცდელის უამს გამოჩნდა რჯულისათვის ქალის მხნეობა, ამტანობა და სიმტკიცე. „თუ-

³⁴ პირველი მეფეთა. თ. 25; 32-33.

³⁵ ბიბლია, მეოთხე მაკაბელთა თ. 4; 23-24.

კი ქალმა და თანაც მოხუცმა, შვიდი შვილის დედამ გაუძლო შვილების სასიკვდილო წამებას, ცხადი უნდა იყოს, რომ მისი ღვთისმოსავი გონება ვნებათა მბრძანებელია”³⁶. „თუმცა ბევრი რამ აიძულებდა დედას, თანაგრძნობით შეძრულიყო შვილების სიყვარულის გამო, მაგრამ ვერც ტანჯვა-წამებამ ვერ შეუცვალა მას გონება. შვიდი შვილის დაღუპვისა და ამდენი ტანჯვა-წამების შემსწრე კეთილშობილმა დედამ ეს ყველაფერი ღვთისადმი რწმენის ძალით გადაიტანა. „დიდება ერის დედას, რჯულის შურისმგებელს, ღვთისმოსავობის დამცველს და საკუთარი გულით ასპარეზზე ჯილდოს მომხვეჭს”³⁷. „ო, დედავ, ღვთის მეომარო რჯულისათვის! ო, ბერდედავ, შენი სიმწნევით სძლიერ მტარვალსაც კი და სიტყვით და საქმით მამაკაცზე ძლიერი აღმოჩნდი”³⁸. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ ზემონათქვამის დასადასტურებლად. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიბლიაში ერთ-ერთი თავი „მეოთხე მაკაბელთა” მთლიანად რჯულისათვის თავდადებული ქალისადმი ხოტბა-დიდებას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არაა.

ბიბლიიდან აშკარად ჩანს, რომ ქალები ქვეყნის მართვაში მამაკაცებს ტოლს არ უდებდნენ. ისრაელში სოლომონის მეფობის დროს საბაიას განაგებდა დედოფალი (სამწუხაროდ ბიბლიაში მისი სახელი არაა დაფიქსირებული). მან გაიგო რა სოლომონის სიბრძნის ამბავი, დიდხალი საჩუქრებით მოვიდა მასთან, ”რომ გამოცანებით გამოეცადა იგი”³⁹. სოლომონის გონებამახვილობით მოხიბლულმა დედოფალმა დალოცა იგი: ”კურთხეულ იყოს უფალი შენი, ღმერთო, რომელმაც მოგისურვა, რათა ისრაელის ტახტზე დაესვი. უფლის მარადიული სიყვარულის გამო ისრაელისადმი დაუდგენიხარ მეფედ სა-

³⁶ ბიბლია, მეოთხე მაკაბელთა თ. 16; 1.

³⁷ იქვე, თ. 15; 29.

³⁸ იქვე, თ. 16; 14.

³⁹ ბიბლია, მესამე მეფეთა, თ. 9; 1.

მართლისა და სიმართლის გასაჩენად"⁴⁰. ამის შემდეგ უც გადასცა საჩუქრად მოტანილი დიდძალი ოქრო და ძვირფასი თვლები. „უბოძა მეფეს ასოცი ქანქარი ოქრო, დიდძალი ნელ-საცხებელი და ძვირფასი თვლები. მეტჯერ აღარ შემოსულა ამდენი ნელსაცხებელი, რამდენიც საბას დედოფალმა უბოძა მეფე სოლომონს"⁴¹. რა თქმა უნდა, სოლომონიც დედოფალს საკმაო პატივისცემით გაისტუმრებდა.

შესაძლებელია სოლომონთან სხვა ქვეყნის მბრძანებლებიც მიდიოდნენ მის გამოსაცდელად თუ რჩევის მისაღებად, მაგრამ მათი მისვლა იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო, როგორც საბას დედოფლისა და სწორედ ამიტომ აისახა იგი ბიბლიიაში.

ბიბლიიაში გარკვეული ადგილი უჭირავთ წინასწარმეტყველ ქალებს. მაგალითად, როდესაც იოშია მეფის ბრძანებით სახლის შეკეთება მიმდინარეობდა, ხელოსნებთან ერთად მღვდელმთავარმა რჯულის წიგნი იპოვნა და შაფან მწერლის ხელით მეფეს გაუგზავნა. წაუკითხეს რა მას ეს წიგნი მან სასწრაფოდ გაგზავნა მოციქულები წინასწარმეტყველ ქალსულდასთან, რათა გაერკვია წიგნში მოცემული მუქარის გამო რა ბედი ეწეოდა ქვეყანას, ხალხს და თვით მეფეს. სულდამ მისულებს განუმარტა თუ რას ნიშნავდა წიგნში ჩანერილი სიტყვები და როგორ ახდებოდა ის⁴². აქ ყურადსაღებია ის, რომ რჯულის წიგნში ჩანერილი სიტყვების ახსნა ვერც მღვდელმსახურებმა და ვერც მამაკაცმა წინასწარმეტყველებმა ვერ შეძლეს და ამას მხოლოდ ქალი წინასწარმეტყველი ახერხებს. როდესაც მეფე საულმა მის წინააღმდეგ გამოსული ფილისტიმელთა ძლიერი პანაკი დაინახა, შეეშინდა და უფალსა და თავის წინასწარმეტყველებს დაეკითხა მომავალი ბრძო-

⁴⁰ ბიბლია, მესამე მეფეთა, თ. 9; 9.

⁴¹ იქვე, თ. 9; 10.

⁴² ბიბლია, მეოთხე მეფეთა, თ. 22; 1-20.

ლის ბედის შესახებ. მაგრამ პასუხი არცერთისაგან არ მიუღია ლია, ისინი დუმდნენ. ბოლოს მან მოითხოვა წინასწარმეტყველი ქალის მოძებნა და მოუძებნეს კიდეც ყენდორში. მასთან საული გადაცმული ტანსაცმლით მივიდა და სამუელის სული გამოახმობინა, რომელსაც თავისი გასაჭირი შესჩივლა. სამუელის სულმა კი უთხრა ყველაფერი ის, რაც საულს უნდა გადახდომოდა. ჩვენთვის აქ საინტერესო ის, რომ როგორც ეხედავთ სულეთიდან სულების გამოძახება ისევ და ისევ ქალ მესულთანე-მკითხავებს შეუძლიათ. მამაკაცისათვის ეს საქმე შეუძლებელი ჩანს.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ არაერთ წინასწარმეტყველთან სიონის ტაძარი გააზრებულია როგორც მდედრი ასული. „დარჩა სიონის ასული, როგორც ქოხი ნავენახარში, როგორც ხულა ნაბოსტნარში, როგორც ალყაშემორტყმული ქალაქი“⁴³. „იხარე და იზეიმე, სიონის ასულნო, რადგან დიდია თქვენ შუაგულში ისრაელის წმინდა!“⁴⁴. „ლამაზსა და განაზებულს მოვსპობ სიონის ასულს“⁴⁵. აოხრებული იერუსალიმის მიმართ იერემია მოთქვამს: „როგორ მარტო დარჩა ქალაქი, ოდესლაც ხალხმრავალი, ზის ქვრივი ქალივით; ხალხთა ქალბატონი და მხარეთა დედოფალი მოხარკედ შეიქმნა. გავიდა სიონის ასულისაგან მთელი დიდება“⁴⁶. „როგორ დანისლა უფალმა სიონის ასული თავისი რისხევით!... რა ვთქვა შენზე, რას შეგადარო, სიონის ასულო? რას მიგამსგავსო, რომ განუგემო, სიონის ქალწულო ასულო?“⁴⁷.

ზაქარია წინასწარმეტყველთანაც იერუსალიმის ღვთის ტაძარი ქალის სახითაა წარმოდგენილი: „იხარე და იმხიარულე სიონის ასულო, რადგან, აჰა, მივდივარ და დავივანებ შენს

⁴³ ბიბლია, ესაია წინასწარმეტყველი, თ. 1; 8.

⁴⁴ იქვე, თ. 12; 1.

⁴⁵ ბიბლია, იერემია წინასწარმეტყველი, თ. 16; 2. დაბრივები ისებანიძე და ქადაგიშვილი, თ. 16; 2.

⁴⁶ ბიბლია, გოდება იერემიასი, თ. 1; 1, 6.

⁴⁷ იქვე, თ. 2; 1, 13.

შუაგულში, ამბობს უფალი”⁴⁸. „იხარე დიდად, სიონის ასულო! დაეცი, ყიუინა, იერუსალიმის ასულო! აპა, შენი მეფე მოღის შენთან”⁴⁹.

უფალი როდესაც ეზრას ესაუბრებოდა, მის საუბარშიც
სიონის ტაძარი ქალის სახითაა წარმოდგენილი „ეს ქალი, რო-
მელიც იხილე, და აღმართული ქალაქი, რომელსაც ახლა ხე-
დავ, არის სიონი”⁵⁰. მასალის მოხმობა კიდევ შეიძლება, მაგ-
რამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის სათქმელად წინასწარ-
მეტყველთა წინასწარმეტყველებაში სიონის ღვთის ტაძარი
სიონის ასულად რომ იხსენიება. რა თქმა უნდა, ამას თავისი
საფუძვლი გააჩინა და ახსნას მოითხოვს.

ბიბლიიდან ყოველივე ზემოთ მოყვანილ მასალას თუ გავითვალისწინებთ და შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალი აქტიური მონაწილეა და ცენტრალური ფიგურაა იმ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც ისტორიულად საზოგადოების განვითარების პროცესში მიმდინარეობდა. ყოველივე ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ამ ძეგლის შედგენის პერიოდში ქალს საკმაოდ მაღალი უფლებრივი მდგომარეობა უნდა ჰქონოდა.

⁴⁸ ბიბლია, ზაქარია წინასწარმეტყველი, თ. 2; 10.

⁵⁰ ბიბლიია, მესამე ეზრა, ო. 10; 44.

Property-rightful Position of a Woman According to the Bible

The study of the woman's property-rightful position has been in the centre of the researchers' attention for a long time. The interest to this problem increased especially from the 60-70 s of the last century. The woman was humiliated and considered to be not completed creature in the doctrines and beliefs law in some ecclesiastics for a long time. That's why the considered sensible to speak about the property-rightful position of a woman. To prove it, the used early religious sources of laws (the Bible, Gospel, Kuran, Talmud etc). But we think that putting and solving the question of the woman's property-rightful position in the society in this way, should have happened because of using the above mentioned sources supendicularly or analysing it only from one side. Deep and multisided analyses of the religious sources in the article, give us the right to make such decision. We have studied and analysed the data with a mathematical method of only one source – the Bible.

Such research showed us that the woman had rather high property-rightful position in the Bible.



კუნძული ლევი

კუნძულ ლევეს არაერთგზის იხსენიებენ ბერძენ-რომაელი ავტორები. მათგან პირველი არქტინე¹ ასახელებს ამ კუნძულს (Arct., *Aethiop.*). პროკლე² მონაცემებზე დაყრდნობით, არქტინეს მიიჩნევენ ე.წ. კიკლიკური ეპოსის ერთ-ერთი პოემის „ეთობადის“ ავტორად³. არქტინეს შემდეგ ძვ.წ. V საუკუნის ავტორები პინდარე და ევრიპიდე გვაწვდიან მოკლე ცნობებს ლევეს შესახებ (Pind., *Nem.*, IV, 48-50; Eurip., *Andr.* 1260-1262). ამიერიდან კუნძული ხშირად გვხვდება ბერძნულ-რომაულ მწერლობაში (Ps.-Scyl., 68; Aristotl., *Epith.*, 5; Antig. Car., CXXII, (134); Nicandr., fr. 58; Strabo, *Geog.*, II, 5, 22; VII, 3, 16; Plin., *NH*, IV, 93; Pompon. Mela, II, 98; III, 108; Dio Perieg., 541-553; Paus., *Descript.*, III, 19, 11-13; Ptol., *Geog.*, III, 10, 17; VII, 1, 95; Att., *PPE*, 21; Philostr., *Heroic.*, XIX, 16; Cl. Rom., *Recogn.*, X, 25; Cl. Rom., *Hom.*, VI, XXII; Caes., *Dialog.*, 112; Amm., Marc., *Res gestae*, XXII, 8, 35; Avien., *Descript.*, 722-733; Anon. *PPE*, 14r17; Hesych., *Lex.*, s.v. Ἀχίλλειον πλάκα; Prisc., *Perieg.*, 557-558; Tab. Peut., IX, 2/3; Steph. Byz., s.v. Ἀχιλλέιος δρόμος). ბერძენ ავტორთა სქოლიონებში მოცემულია ლევესთან დაკავშირებული კომენტარები (sch. ad Pind. *Nem.*, IV, 79 (49); sch. ad Euripid. "Andr." 1260-1262; sch. ad Dio Perieg., 303; Eust. comm. ad Dio Per. 306 და 541; Tzetze comm. ad Lycophr. "Cassandra", 186-188; sch. ad Lycophr. "Alex.", 186); აპოლოდორეს „ბიბლიოთე

¹ მიღებულ პოეტ არქტინეს ტრადიციულად პომეროსის მოწაფედ მიიჩნევენ.

² პროკლე ა.წ. I საუკუნის ავტორია.

³ არქტინეს პოემის ფრაგმენტი შემორჩენილია პროკლეს ქრესტომატიაში (Chrest. Procl., II). ქრესტომატიაში დაწვრილებითაა გადმოცემული „ეთობადის“ შინაარსი - აქილევსის გარდაცვალება და მისი დაკრძალვა.



კის” ეპიტომეში ნახსენებია Λευκή ოწი, სადაც აქილევსი იყოს ბიბლიოთის დაკრძალული პატროკლესთან ერთად (Apollodori Bibliotheca epitoma, V, 5-6); ლევკე შეტანილია ახ.წ. VII საუკუნეში შედგენილ სტრაბონის ქრესტომათიაში (Chrest. Straboniana). აღსანიშნავია, რომ ეს კუნძული ლაპიდარული ძეგლებითაც არის ცნობილი, კერძოდ, ოლბიის მოქალაქეთა დეკრეტით (IOSPE, I², 26).

კუნძული ლევკე ბერძენ-რომაელი ავტორებისათვის სხვა სახელებითაც არის ცნობილი: აქილევსის სარბიელი (Arr., PPE, 21; Anon. PPE, 13r17, 26-27; აქილევსის კუნძული (Pompon. Mela, II, 98; Plin., NH, IV, 93; Arr., PPE, 21; Paus., III, 19, 11; Ptol., Geog., III, 10, 8; Anon. PPE, 14r17; Hesych., Lex., s.v. Ἀχιλλείον πλάκα; Tab. Peut., IX, 2/3; Steph. Byz., s.v. Ἀχιλλέος δρόμος), ნეტართა კუნძული ანუ მაკარონი (Plin., NH, IV, 94), აქილევსის მწვერვალი (Hesych., Lex., s.v. Ἀχιλλείον πλάκα).

რაც შეეხება კუნძულის სახელწოდებას - ლევკე, ე.ი. თეთრი - მას ბევრნაირ ახსნას უძებნიან მკვლევრები. ასე, ლევკეს უკავშირებებ ხან ზღვის თეთრ ქაფს, რომელიც კუნძულს ფარავდა ქარიშხლის დროს; ხან თოლიებს, რომელიც აქ ბინადრობდნენ (Мурзакевич 1844:559); ხან კუნძულზე აღმართულ კირქვის კლდეებს (Хоммель 1981:63); ხან აქილევსის ტაძრის თეთრ ფერს (Koehler 1826:16; Мурзакевич 1844:559), ხანაც კუნძულის საკრალურ მნიშვნელობას (Толстой 1918:219). გამოთქმულია აგრეთვე ვარაუდი, რომ „ლევკე“ ეტიმოლოგიური გააზრებაა კუნძულის წინარებული სახელისა, რომელსაც მსგავსი უღერადობა ჰქონდა (Хоммель 1981:63).

როგორც აღინიშნა, ლევკეს პირველი არქტინე მილეტელი იხსენიებს, თუმცა „ეთიოპიდის“ ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტიან გაუგებარია, თუ სად მდებარეობს ეს კუნძული. ითვლება, რომ ასე ადრეულ ხანაში ლევკე არც უკავშირდება რომელიმე კონკრეტულ ადგილს, ის მითოლოგიური ადგილი იყო, გმირთა სამყოფელი (Rhode 1907:371; Хирст 1908:79-85; Толстой 1918:8; Яйлен-

ко 1980:84). ჩვენი აზრით, დასაშვებია, რომ ბერძნული კოლონიზაციის დასაწყისისათვის ქვეყნებისა თუ გეოგრაფიული პუტუნების ზღაპრულ ადგილებში ლოკალიზაციის ეტაპი უკვე განვლილი იყო. კუნძულ ლევკეს მოხსენიება „ეთიოპიდა“-ში, პომეროსის შემდგომი ხანის ეპოსის ქმნილებაში, შეიძლება უკავშირდებოდა წარმოდგენას ლევკეზე, როგორც აქილევსის დაკრძალვის ადგილზე; ლევკეზე რომ იყო აქილევსის საფლავი, ამას ადასტურებენ პლინიუსი, მარციანე კაპელა, არისტოტელე და პომპონიუს მელა (Plin., NH, IV, 93; Mart. Capella, VI, 663; Aristot., *Pepl.*, Epit., 4; Pomp. Mela, II, 98). ეს კი უნდა განვიხილოთ ტროის ომის გმირების თაყვანისაცემის იმ საერთო სურათის ფონზე, ასე ნათლად რომ გამოიხატება ბერძნულ სამყაროში სწორედ მ.წ. VIII საუკუნეში⁴. შეიძლება ვივარაულოთ, რომ კუნძული ლევკე უკვე VIII-VII საუკუნეებში იგულისხმებოდა შავი ზღვის აუზში, ისევე როგორც არგონავტების მიზანი - აიეტის ქვეყანა⁵. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ალკეოსი აქილევსს სკვითური მიწის მფლობელად ასახელებს (Alcaeus, fr. 48). ბერძნები რომ იცნობდნენ შავიზღვისპირეთს ამ ხანაში, ეს აღიარებულია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს კი უფლებას გვაძლევს, რომ ლევკეს მოხსენიება არქტინესთან მივიჩნიოთ ანარეკლად ბერძნითა ნაოსნობისა შავ ზღვაზე კოლონიზაციის წინარე ხანაში. ალბათ, შემთხვევითი არ არის რომ აქილევსის შესახებ თქმულებებში ფიგურირებენ არგონავტი.

⁴ მიკენურ სამარხებში გეომეტრიული (და ზოგჯერ უფრო მოგვაიან ხანის) ვოტივების აღმოჩენის ფაქტებს მკვლევრები გმირთა კულტურა აკავშირებენ, თეორია გმირების კულტის შესახებ პირველმა ლ. რ. ფარნელმა განვითარა (Farnell 1921), ხოლო კ. ბლეგენი პირველი წარწელი ამ მოვლენას პროსიმნას მიკენური სამაროვნის გათხრისას. ამ თეორიას მტკიცე არქეოლოგიური დასაბუთება გამოუჩნდა გეომეტრიული ხანისათვის (Hadzisteliou Price 1973:129-144; Coldstream 1976:8-17). გამოსმტკიცე აზრი, რომ გმირების კულტი ე.წ. პომეროსის ხანამდეც არსებობდა. მოძიებულია ამ მოვლენის არსებობის დამადასტურებელი მასალაც, თუმცა მეტად მწირი (Hadzisteliou Price 1979:219-228).

⁵ აიეტის ქვეყნის - აიას - ლოკალიზაციის შესახებ დაწვრილებით ის ლორთქიფანიძე 1986:30-76.



յոს პერსონაჟები: ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, რომელიც ყოველი შემთხვევაში იძიკოსისა და სიმონიდეს დროს უკვე არსებობდა, აქილევსმა ცოლად შეითო მედეა (Schol. ad Apoll. Rhod. *Argonaut.* IV, 809).

წერილობითი წყაროები მიუთითებენ ლევკეზე, როგორც აქილევსის თაყვანისცემის ადგილზე. უკვე არქტინე უკავშირებს ამ კუნძულს აქილევსის სახელს. ზოგი წერილობითი წყარო მოწმობს, რომ კუნძულზე იყო მის სახელზე აგებული ტაძარი (Aristot., *Epith.*, 5; Antig. Car., CXXII (134); Strabo, *Geog.*, VI, 3, 16; Paus., *Descript.*, III, 19, 11-13; Att., *PPE*, 21; C. Jul. Sollini coll. rer. memor., XIX, 1; Philostr., *Heroic.*, XIX, 16; Caes., *Dialog.*, 112; Amm., Marc., *Res gestae*, XXII, 8, 35; Anon. *PPE*, 14r17; იხ. აგრეთვე Dio Chrysost., XXXVI, 19). კიდევ მეტი, ჩვენს ხელთაა მონაცემები, რომელთა საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ აქ სატაძრო მეურნეობის არსებობა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს არიანეს პერიპლუსში დაცული ცნობები. მისი სიტყვებით, „კუნძულზე არის აქილევსის ტაძარი და ქანდაკება, ძველი ნამუშევარი. კუნძულზე ადამიანები არ ცხოვრობენ, მხოლოდ მცირეოდენი თხა ბინადრობს აქ. ამბობენ, რომ ყველა, ვინც ამ კუნძულს მოადგება, თხებს სწირავს მსხვერპლად აქილევსს. ტაძარში სხვა მრავალი შეწირულობაც არის: ფიალები, ბეჭდები, ძვირფასი ქვები და წარწერები ლათინურსა და ბერძნულ ენებზე აქილევსის შესახებ სხვადასხვა სალექსო საზომით. არის, აგრეთვე, პატროკლეს სადიდებელი ლექსებიც, რადგანაც პატროკლესაც სცემენ თაყვანს აქილევსთან ერთად ისინი, რომელთაც სურთ აქილევსს ასიამოვნონ“. ჩვენთვის გაცილებით უფრო საინტერესოა კუნძულზე ჩამოსულთა მიერ აქილევსისადმი მსხვერპლის შეწირვის აღწერა: „კუნძულზე ჩამოსულთაგან ზოგიერთი საგანგებოდ არიან მოსული, ხომალდით მოჰყავთ მათ სამსხვერპლო საქონელი, ზოგს მსხვერპლად სწირავენ, სხვებს კი თავისუფლად უშვებენ აქილევსის სახელის მოსაგონებლად. ზოგიერთი კი ნაპირს მოადგება ქარიშხლის მიერ იძულებული. ესენი თვით ღმერთს სთხოვენ სამსხვერპლო ცხოველს. ეკითხებიან სამისნოს, კარგია თუ ცუდი ამ თუ იმ ცხოველის მსხვერ-

პლალ მოტანა. იმ ცხოველის, რომელსაც აირჩევენ საძოვანზე^{და},
ამასთანავე, თავიანთი მოსაზრებით ცხოველის ტოლ საფასურს და-
დებენ ხოლმე (ტაძარში). თუ მისნის პასუხი უარყოფითია (ტაძარ-
ში არის მისანი), ისინი უმატებენ ფასს, თუ ამის შემდეგაც უარყო-
ფითი პასუხი გამოვიდა, კიდევ უმატებენ. როდესაც მისნის თანხ-
მობას მიიღებენ, ისინი მიხვდებიან, რომ საფასური საკმარისია.
სამსხვერპლო ცხოველი ამ დროს თვითონ ჩერდება და არ გარბის.
ამრიგად, გმირს (აქილევს) მრავალი ვერცხლი აქვს სამსხვერპლო
ცხოველის საფასურის სახით[“] (Agr., PPE, I.c.). არიანეს აღწერი-
ლობიდან ჩანს, რომ კუნძულზე არის არა მარტო ტაძარი სამის-
ნოთი და, შესაბამისად, ქურუმებით, არამედ თავისებური სატაძრო
მეურნეობაა განვითარებული, აქცენტირებული სამსხვერპლო ცხო-
ველების მოშენებაზე (რომელთაც საკმაოდ მაღალ ფასად მიჰყიდი-
ან ხოლმე ჩამოსულებს).

როგორც წესი, ლევკე გაიგივებულია კუნძულ ზმეინისთან
(ძველი ფიდონისი, ილან-ადასი), რომელიც დუნაის დელტიდან აღ-
მოსავლეთით 45 კმ-ის დაცილებით მდებარეობს (Мурзакевич
1844:549; Беккер 1853:161; Латышев 1887:61; Minns 1913:4;
Толстой 1918:23; Ростовцев 1918:186; ВДИ, 1947, № 1, გვ. 296,
შენ. 1; ВДИ, 1947, № 4, გვ. 188, შენ. 1; გვ. 200, შენ. 2; ВДИ,
1948, № 1, გვ. 273, შენ. 11; Tomaschek, RE, Bd. I, 1 (1893), col.
221, s.v. Ἀχιλλέως νήσος). ლევკეს ლოკალიზაციის თაობაზე სხვა
მოსაზრებებიცაა გამოთქმული. თავდაპირველად ის იდენტიფიცი-
რებული იყო კუნძულ ბერეზანთან⁷ (Koehler 1826:632). ამ უკანას-
კნელ ხანებში გამოითქვა ვარაუდი ლევკეს იგივეობისა იმ კუნ-
ძულთან, რომელიც უნდა ყოფილიყო ძველად თანამედროვე კუნ-
ძურნის ისარას ადგილას (Агбунов 1984:11). არსებობს მოსაზ-
რება, რომ ლევკე მითიური კუნძულია (Kroll, RE, Bd. XII, 2 (1925),
col. 2262, s.v. Leuke). თანამედროვე მეცნიერებაში არცერთი ამ კუ-


⁶ თარგმანი ნ. კეჭალმაძისა (კეჭალმაძე 1961:55-57).

⁷ კუნძულ ბერეზანთან ამჟამად ბორისთენე არის გაიგივებული (Качарავა,
Квиркველია 1991, s.v. Левка).

რაუდთაგანი არ არის გაზიარებული და ლევკეს გაიგივება კუნძულ ზმეინისთან თითქმის ერთხმადაა აღიარებული (Качарава, Квириკвелия 1991, s.v. Левка). მით უფრო, რომ ამას მხარს უჭერს არ-ქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა⁸. კუნძულზე აღმოჩენილი გრაფიტოები (Толстой 1918; Яйленко 1980:84), რომელთაგან უადრესი ძვ.წ. VI საუკუნის მეორე მეოთხედით-შუახანებით თარიღდება, და ძვ.წ. IV საუკუნის ლაპიდარული ძეგლი (IOSPE, I, 326) უდავოს ხდიან აქილევსის თაყვანისცემას ამ კუნძულზე, როგორც ჩანს, ამავე დროს უნდა გაჩენილიყო აქილევსისადმი მიძღვნილი სამლოცველო. 1988-1990 წლებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ძიებამ დაადასტურა არიანესა და ფილოსტრატეს ცნობები კუნძულ ლევკესთან ხელსაყრელი ნავსაღვომის არსებობის შესახებ; ქვისა და ტყვიის ღუზის ნაწილები აღმოჩნდა ნაპირიდან 100-150 მეტრის დაცილებით. მათი ზოგადი თარიღია ძვ.წ. VI-ახ.წ. III საუკუნეები (Охотников 1995:10).

კუნძული ზმეინი არქეოლოგიურად ცუდადაა შესწავლილი (იხ. Качарава, Квириквелия 1991, s.v. Левка). მაგრამ ჩვენს ზელო არსებული მასალა ზოგიერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას მაინც იძლევა. განსაკუთრებით აღნიშნავენ მკვლევარები მონეტების უჩვეულო სიმრავლეს. ცნობილია, რომ ნ. მურზაკევიჩმა ორი-დე დღეში 120 მონეტა აღმოაჩინა. ოდესის მუზეუმს გადაეცა 2000 მონეტა ზმეინიდან, ხოლო ერთ-ერთ ხელნაწერში, ლევკეს მონეტებს რომ ეხება, ლაპარაკია 3000 მონეტაზე. მონეტების უდიდესი ნაწილი ანტიკური ხანისაა. მათგან უადრესი - ათენური ვერცხლისა და კიზიკის ელემენტოების მონეტები - ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება. ყურადღებას იქცევს სამონეტო კოლექციის შედგენილობა. მასში წარმოდგენილია შავიზღვისპირეთის ყველა

⁸ კუნძულ ლევკეს არქეოლოგიური კვლევის ისტორიის შესახებ იხ. Мурзакевич 1884:78; Качарава, Квириквелия 1991:151-152; Тункина 1992:23-62; Hind 1984:78; Hind 1993:91; Treister 1994:9-11. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება ოდესის არქეოლოგიურ მუზეუმში. სპანას გნელად, 1988-1990 წლებში, კუნძულზე მუშაობდა ოდესის არქეოლოგიური ექსპედიცია (Охотников 1995:10).



მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ცენტრის (აპოლონიიდან მოყოფილი ჰქონილი ჰარაკეტების ჩათვლით), საბერძნეთის უმნიშვნელოვანესი პოლა-სების, ელაზისტური ხანის მონარქების, რომის ოსპუბლიკური მო-ნეტები, თითქმის ყველა იმპერატორის მონეტა ავგუსტუსიდან ფი-ლიპე არაბელის ჩათვლით (Зограф 1941:152–160; Булатович 1971:212–225). ლევკეზე აღმოჩენილი უადრესი ბერძნული ნაწარ-მი წარმოადგენილია აღმოსავლურ-ბერძნული და ატიკური კერა-მიკით, რომლებიც ძვ.წ. VI საუკუნეს მიეკუთვნება (Okhotnikov, Ostroverkhov 1996:272–275). საყურადღებოა გრაფიტოები. ყველა გრაფიტო, რომლის წაკითხვა მოხერხდა, აქილევსისადმი მიძღვნას წარმოადგენს. როგორც აღინიშნა, მათგან უადრესი ძვ.წ. VI სა-უკუნის პეორე მეოთხედს-შუახანებს მიეკუთვნება (Яйленко 1982:84). ჰველაზე ვრცელი გრაფიტო – ვანმე გლავუსისა - მიძღვნაა აქილევსისადმი, ლევკეს მფლობელისადმი (Толстой 1918:12; Яйленко 1982:84). გრაფიტოებთან ერთად ლაპიდარული ეპიგრაფიკაც აღასტურებს აქილევსის თაყვანისცემას ლევკეზე: IOSPE, I², 336, აღმოჩენილი ზმეინიზე და ძვ.წ. IV საუკუნით დათარილებული, მიძღვნაა აქილევსისადმი, ლევკეს მფლობელისად-მი. მთელი მონაპოვარი მოწმობს ლევკეს საკრალურ ხასიათს, რაც ეხმაინება წერილობითი წყაროების ცნობებს. მკვლევრები ერთხმად აღიარებენ ამას. მონეტების შედგენილობა უეჭველს ხდის კულტის საერთო ბერძნულ ხასიათს (შავიზღვისპირეთისათვის მაინც).

ძველ ავტორთა ცნობით, კუნძული ლევკე დაუსახლებელია. არიანეს სიტყვებით: „კუნძულზე არ არიან აღმიანები, არის მხო-ლოდ ჭამარი და სამისნო“ (Ап., PPE, 21). ფსევდო-სკილაქსის მა-ხედვით, ლევკე უკაცრიელი კუნძულია (Ps.-Scyl., 68). ფილოსტრა-ტე მოგვითხრობს, რომ ადამიანებს, რომლებიც ცურავენ ზღვის ფართო სივრცეში, არ ეკრძალებათ ამ კუნძულზე გადმოსვლა, მაგ-რამ კუნძულზე საცხოვრებლების აშენება აკრძალული აქვთ ყველ-ზღვაოსანს და პონტოს სანაპიროს მცხოვრებლებს, ელინებსა და ბარბაროსებს. აქ მოსულებმა მსხვერპლშეწირვის შემდეგ უნდა დასტოვონ აქაურობა მზის ჩასვლამდე და დაბრუნდნენ ხომალდე-



ზე ისე, რომ აქ დამე არ გაათენონ, და თუ ზურგის ქარია, გააგრძელოს რძელონ გზა, თუ არა და დაბან ხომალდი და მასზე გაათენონ (Philostr., *Heoric.*, XIX, 16). როგორც ამიანე მარცელინე გვამცნობს, თეთრ კუნძულზე არავინ არ ცხოვრობს; თუკი რომელიმე მეზღვაურებს მოუხდებათ ამ კუნძულზე გაღმოსვლა, სიძველეთა, ტაძრის შეწირულობების ნახვის შემდეგ, რომლებიც აქილევს მიეძღვნა, ისინი საღამოს ბრუნდებიან ხომალდზე (Amm. Marc., *Res gestae*, XXII, 8, 35). ანონიმი იმეორებს არიანეს ცნობას, რომ ადამიანები კუნძულზე არ ცხოვრობენ (Anon. *PPE*, 14r17). მაგრამ ეპიგრაფიკული ცნობები საწინააღმდეგო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევიან, რასაც ყურადღება ჯერ კიდევ ი. ტოლსტოიმ მიაქცია (Толстой 1918). ამ თვალსაზრისით ორი წარწერაა საინტერესო. ერთი მათგანი - IOSPE, I², 325 - წარმოადგენს საპატიო დეკრეტს, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნით (ან III საუკუნის დასაწყისით) თარიღდება; ოლბიოპოლიტების დადგენილებით, უნდა აღემართათ ქანდაკება პიროვნებისა,⁹ რომელმაც გააძევა კუნძულიდან მეკობრები. „კუნძული“ რომ ლევკეა, ეს უეჭველია, რადგანაც წარწერა კუნძულ ზმეინიზეა აღმოჩენილი. ჩვენთვის ამჯერად საინტერესო კიდევ ერთი ეპიგრაფიკული ძეგლია - IOSPE, I², 26, რომელიც ასევე საპატიო დეკრეტების რიცხვს განეკუთვნება. ძვ.წ. III საუკუნით დათარიღებული ეს წარწერა ეძღვნება პიროვნებას (არც მისი სახელია ცნობილი), რომელიც დიდ დახმარებას უწევს ხოლმე წმინდა კუნძულ ლევკეზე ჩასულ ოლბიოპოლიტებს. ორივე წარწერა მოწმობს, რომ ლევკეზე იყვნენ ადამიანები. ი. ტოლსტოის თვალსაზრისით, ესენი უნდა ყოფილიყვნენ კულტის მსახურები, ადამიანები, რომლებიც აქილევსის კულტით გათვალისწინებული რელიგიური წესების დაცვას, სალოცავისა და საგანძურის მოვლა-ჟატრონობას ემსახურებოდნენ. ის, რომ ლევკე სალოცავი იყო, მართლაც ვერ იქნებოდა სატაძრო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტია. ეპიგრაფიკული ძეგლები კიდევაც ადასტურებენ კუნძულის გაძარცვის ფაქტებს. IOSPE, I², 325-ის გარდა კიდევ ერთი

⁹ ამ პიროვნების სახელი არ იკითხება.

წარწერაა ამ მხრივ აღსანიშნავი. ესაა ვინმე პოსიდევსის მიმდევად დევსის ძის მიძღვნა აქილევსისადმი, კუნძულის მფლობელისადმი, რომელმაც დაამარცხა სატარხები კუნძულის გაძარცვის მცდელობისას¹⁰. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ წარწერათაგან პირველი თანადროულია წერილობითი წყაროსი, რომელშიც პირველადაა ლევკე მოხსენიებული უკაცრიელად (Ps.-Scyl., 68).

ჩვენს ხელთ არსებული მასალა საფუძველს გვაძლევს გავიზიაროთ მოსაზრება, რომ ლევკეზე იყო მოსახლეობა, წარმოდგენილი, როგორც ჩანს, კულტის მსახურებით. კუნძულზე ცხოვრების პირობები უნდა ყოფილიყო. ძველ ავტორთა ცნობით, ლევკეზე ხშირი ტყეებია, მრავლადაა შინაური თუ გარეული ცხოველი (Philostr., I, 1; Paus., *Descript.*, III, 19, 11), ფრინველები (Arr., *PPE*, l.c.; Tzetze, Schol. ad Lycophr. *Cass.* 188; Eustath. comm. ad Dion. Perieg. 303); სასმელი წყალიც მოიპოვება (Amm. Marc., *Res gestae*, XXII, 8, 35).

ლევკეს შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების 11 როგორც წერილობითი ძეგლების, ასევე არქეოლოგიური მასალის - ნაწილი, მართალია, ბერძნული კოლონიზაციის შემდგომი ხანისაა, მაგრამ ამ მასალით ოპერირება მეთოდოლოგიურად გამართლებული უნდა იყოს. შავიზღვისპირეთის ბერძნული საკოლონიზაციო მოძრაობის რეკონსტრუირებისას გამოყენებული წყაროების უდიდესი ნაწილი ხომ კოლონიზაციის შემდგომი ხანისაა. ერთი რამ უჟველია, ლევკე საკულტო ადგილია და მასზე თაყვანს სცემდნენ აქილევსს.

ამრიგად, წყაროების - ნარატიული, ეპიგრაფიკული თუ არქეოლოგიური - კომპლექსი ადასტურებს ლევკეს საკრალურ ხასიათს. აქ არის ტაძარი, სატაძრო მეურნეობა, შესაბამისად, ქურუმები, ტაძრის მსახურნი. აქედან გამომდინარეობს ვარაუდი, ხომ არ იყო ლევკე მეტად თავისებური პროდუქტი შავიზღვისპირეთის სა-

¹⁰ პოსიდევსის წარწერის საფუძველზე მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ლევკეს შავიზღვისპირელი ბარბაროსები ძარცვავდნენ (Толстой 1918:4).



კოლონიზაციი მოძრაობისა - ახალშენი, დაარსებული კულტი მათ მსახურების მიერ აქილევსის, ნაოსნობისა და მოგზაურთა მფარველის თაყვანსაცემად.

აქილევსის სახელზე საკულტო დასახლების დაფუძნება ლევკეზე მოულოდნელი არ უნდა მოგვეჩვენოს. ალკეოსი ხომ სკვითის მფლობელად აცხადებს გმირს (*Alcaeus*, fr. 48), ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ არქეოლოგიურად აქილევსის კულტი შავიზღვისპირეთში ერთადერთ რეგიონში დასტურდება - ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ე.რ. ლევკეს სიახლოეს. ოლბიასა და მის სასოფლო ტერიტორიაზე (ბეიკუშის დასახლება) აღმოჩენილია თიხის დისკოები (Русеева 1968:146–150), რომლებიც ძვ.წ. VI–V საუკუნეებს მიეკუთვნება; დისკოები გრაფიტითიანია - მოცემულია აქილევსის სახელი სრულად ან აბრევიატურით; გვხვდება სხვადასხვა გამოსახულებები, რომელთა შორისაა გველი და ხომალდი. ორივეგან დისკოები ოჯახურ კონტექსტშია აღმოჩენილი, მაგრამ მათი ვოტივური ხასიათი უეჭველია. ამგვარი დისკოები, გამოჭრილი გეომეტრიული და პროტო-ატიკური კერამიკისაგან, დაფიქსირებულია ათენის აგორაზე გმირის სამლოცველოში, ათენშივე არეოპაგის ვოტივურ ფენაში. დისკოები სათამაშო კამათლებადაა მიჩნეული (Hedreen 1991:315–316). აქილევსი რომ თამაშის მოყვარული იყო, ეს ჩანს ბერძნულ ვაზებზე არსებული გამოსახულებით (მაგ. ოქსფორდის ოლპე, ექსეკიასის ამფორა). დისკოებზე მოცემულ გველებსა და ხომალდს ასევე აქილევსს უკავშირებენ. პირველი საერთოდ გმირებთან არის ასოცირებული, ხოლო მეორე აქილევსის წარმომავლობას შეესატყვისება: ის ხომ თეტიდას ვაჟიშვილია (დაწვრ. იხ. Hedreen 1991:316–317). ბეიკუშის დასახლებაზე აქილევსის კულტის პრევალირება აღიარებულია (Буйских 1996:55–57). აქილევსის სარბიელი, რომელიც ტენდრასთანაა გაიგივებული (Качаравა, Квиркვелиა 1991, ს. ა. Ахиллов დრომ), ჯერ კიდევ პეროდოტესტვის იყო ცნობილი (Hdt., IV, 53); ევრიპიდე მას ლევკესთან ერთად იხსენიებს (Eurip., *Iphig.*, 435–438). ტენდრაზე აღმოჩენილია ძვ.წ. V-ას.წ. V საუკუ-

ნის მონეტები (Зограф 1941:152–160), 5 ეპიგრაფიკული ჭუბლი, რომელთაგან სამზე აქილევსია ნახსენები, დანარჩენი ორი კი მიძღვნაა მისდამი (IOSPE, I², 328–332). მილეტის დელფინიონში აღმოჩენილ წარწერაზე ნახსენებია ოლბიის აგონები. ითვლება, რომ ეს აგონები – აქილეები – ისეთივე ხასიათისაა, როგორც ოლიმპიური, პითიური, და ნემეური. კინბურნის ისარაზე აღმოჩენილია მიძღვნა აქილევსისადმი, რომელიც ძვ.წ. IV–III საუკუნეებს მიეკუთვნება (IOSPE, I², 327). ძვ.წ. I საუკუნის პირველ ნახევარში ოლბიაში ცხენთა შეჯიბრებები იმართებოდა აქილევსის პატივსაცემად, როგორც ამას ერთ-ერთი დეკრეტი ადასტურებს (IOSPE, I², 3). ახ.წ. I საუკუნეში ოლბიაში აქილევსის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს დიონ ქრისოსტომი (Dio Chrysost., XXXVI, 9). ახ.წ. II–III საუკუნეებში მთელს ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში ვრცელდება აქილევს-პონტარქოსის კულტი. მისდამი მიძღვნილი წარწერები აღმოჩენილია ოლბიაში (IOSPE, IV, 18 და 25), ოჩაკოვოში (IOSPE, I, 79), ბერეზანზე (IOSPE, I², 135–136, 154; HO, 87, 89), ტუზლაში - ტუზლას ლიმანზე (IOSPE, I², 134), ბეიკუშში - ოლბიის ქორაზე (IOSPE, I², 132–133, 143, 145, 156), კობლევკაში - ტილიგულის ლიმანზე (IOSPE, I², 138, 142, 144), ოდესაში (IOSPE, I², 139–140, 155), სოფიევკაში - ზღვისპირეთიდან მოშორებით (HO, № 88). ტობონიმი აქილეიონი დასტურდება გვიანდელ ავტორებთან (Strabo, VIII,4,5; XI,2,6; Ptol., V,8,5; Anon. PPE, 10r22, 10r24, 16v16; Anon. Anametr., 4), თუმც უფრო მოშორებით - კერძოდ, ბოსფორის აზიურ ნაწილში (იხ. კაചარავა, კვირკველია 1991:s.v. ახилი). როგორც ირკვევა, აქილევსის კულტი მთელი ანტიკური ხანის მანძილზეა გავრცელებული პონტოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იქ, სადაც მილეტური კოლონიზაციის სფეროს. საკუთრივ მილეტში კი აქილევსის კულტი არ დასტურდება (Ehrhardt 1983:179–180). არაა დადასტურებული გმირის თაყვანის-ცემა არც მის კოლონიებში არა მარტო შავიზღვისპირეთში, არა მედ მის გარეთაც; თუმც აქილევსს თაყვანს სცემდნენ ანტიკური

სამყაროს სხვადასხვა ცენტრებში (დაწვრ. იხ. Hedreen 1991:316ff.). პომეროსის მიხედვით, აქილევსი ტროის მახლობლად დაიკრძალა (Homer., *Odyss.*, XXIV, 76-84). არისტოტელები აღასტურებს ტროაში აქილევსის საფლავის არსებობას (Aristot., *Pepl. Epit.*, 4). ფილოსტრატოსის ცნობით, მოკვდავი აქილევსი ტროაშია, ხოლო უკვდავი - პონტოშია (Philostr., *Heroic.*, 53,10).

დგება საკითხი, თუ რატომ მაინცდამაინც ლევეზე და საერთოდ ჩრდილო-დასავლეთ პონტოში მკვიდრდება აქილევსის კულტი. ასენა იმით, რომ რაღაც ადგილობრივი კულტი გააიგივეს მოსულმა ბერძნებმა აქილევსთან, საფუძველს მოკლებული გვეჩვენება: კოლონიზაციის დასაწყის ეტაპზე ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში არა ჩანს ადგილობრივი ბინადარი მოსახლეობა, რომლისგანაც შეიძლებოდა რაიმეს შეთვისება; საერთოდაც სკვითიაში რაიმე მსგავსი კულტი არ დასტურდება. ლ.რ. ფარნელი თვლიდა, რომ კულტი კოლონისტებმა ჩამოიტანეს - თითქოსდა არსებობდა რაღაც ლეგენდა მიღეტის აქილევსის მიერ დაპყრობის შესახებ. მაგრამ აქილევსის კულტი, როგორც აღინიშნა, არ დასტურდება მიღეტში. უფრო მისაღები გვეჩვენება გ. ჰედრინის მოსაზრება, რომელმაც აქილევსის კულტის პონტოში დამკვიდრება აქილევსისა და მემნონის პოლარული დაპირისპირებით ასენა: ტროელთა მხარეზე მებრძოლი მემნონი დედამისმა, რომელმაც ზეს გამოსთხოვა შვილის უკვდავება, ეთიოპიაში - უკიდურეს სამხრეთში გადაიყვანა, ხოლო აქილევსი - საპირისპირო მხარეს, უკიდურეს ჩრდილოეთში დამკვიდრდა (დაწვრ. იხ. Hedreen 1991: 316-330). უფრო მნიშვნელოვანი კი ერთი მომენტი გვეჩვენება. ბერძნული საკოლონიზაციო პრაქტიკისთვის დამახასიათებელია საკოლონიზაციო რეგიონის ბერძნების კუთვნილად მიჩნევა, კოლონიზების აქტისთვის ლეგიტიმურობის მინიჭება ლეგენდის საფუძველზე (Malkin 1987:90-91). სწორედ ამ გარემოებასთან შეიძლება გვქონდეს საქმე ამ შემთხვევაშიც.

ლიტერატურა

კეჭადმაძე 1961 - კეჭადმაძე ნ., არიანე ფლავიუს, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბილისი, 1961.

ლორთქიფანიძე 1986 - ლორთქიფანიძე ო., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. - თბილისი, 1986.

აგбუნოვ 1984 - Агбунов М. В., Античная география северо-западного Причерноморья. Автореферат диссертации на соискание степени кандидата исторических наук. - Москва, 1984.

Беккер 1853 - Беккер П., Берег Понта Эвксинского от Истра до Борисфена в отношении к древним его колониям. - ЗООИД, 3. - Одесса, 1853.

Буйских 1996 - Буйских С. Б., Святилище Ахилла на ольвийской хоре архаического времени. - Международные отношения в бассейне Черного моря в древности и средние века. - Ростов-на-Дону, 1996.

Булатович 1971 - Булатович С. А., 1971, Монетные находки на острове Левке, - МАСП, 7, 1971.

Зограф 1941 - Зограф А. Н., Находки монет в местах предполагаемых античных святилищ на Черноморье. - СА, VII, 1941.

Качарава, Квирквелия 1991 - Качарава Д.Д., Квирквелия Г.Т., Города и поселения Причерноморья античной эпохи, Тбилиси, 1991.

Латышев 1887 - Латышев В. В., Исследования об истории и государственном строе города Ольвии. - СПб., 1887.

Мурзакевич 1844 - Мурзакевич Н. Н., Древности, открытые в селе Парутино на развалинах Ольвии. - ЗООИД, I. - Одесса, 1844.

Охотников 1995 - Охотников С. Б., Пространственное развитие и контакты полисов Нижнего Поднестровья (VI-III вв.

- до н.э.). - Античные полисы и местное население. - Севастополь, 1995.
- Ростовцев 1918** - Ростовцев М. И., Эллинство и иранство на юге России, II. - Петроград, 1918.
- Русеева 1968** - Русеева А. С., Раскопки Бейкучского поселения близ Ольвии. - Археологические исследования на Украине в 1967 г., вып. II. - Киев, 1968.
- Толстой 1918** - Толстой И., Остров Белый и Таврика на Евксинском Понте, Петроград, 1918.
- Тункина 1992** - Тункина М. В., К истории изучения острова Фидониси (Змеиный) в конце XVIII-середине XIX вв. - Петербургский археологический вестник, № 2. - СПб., 1992.
- Хирст 1908** - Хирст Дж., Ольвийские культуры. - ИАК, вып. 27. - 1908.
- Хоммель 1981** - Хоммель Х., Ахилл - бог. - ВДИ, № 1, 1981.
- Яйленко 1980** - Яйленко В. П., Граффити Левки, Березани и Ольвии. - ВДИ, 2-3. - Москва, 1980.
- Яйленко 1982** - Яйленко В. П., Греческая колонизация VII-III вв. до н. э. (по данным эпиграфических памятников). - Москва, 1982.
- Coldstream 1976** - Coldstream N., Hero-cults in the age of Homer. - JHS, XCVI. - 1976.
- Ehrhardt 1983** - Ehrhardt N., Milet und seine Kolonien. - Frankfurt am Main, 1983.
- Farnell 1921** - Farnell L. R., Greek hero-cults and ideas of immortality. - Oxford, 1921.
- Hadzisteliou Price 1973** - Hadzisteliou Price T., Hero-cult and Homer. - Historia, 22. - 1973.
- Hadzisteliou Price 1979** - Hadzisteliou Price T., Hero cult in the "Age of Homer" and earlier. - Arktouros. Hellenic Studies Presented to Bernard M. W. Knox. - Berlin-New York, 1979.



- Hedreen 1991** - Hedreen G., The cult of Achilles in the Euxine. - Hesperia, 60. - 1991.
- Hind 1984** - Hind J.G.F., Greek and Barbarian peoples on the shores of the Black Sea. - Archaeological Reports for 1983-1984. - London, 1984. - P. 71-97.
- Hind 1993** - Hind J.G.F., Archaeology of the Greeks and barbarians around the Black Sea (1982-1992). - Archaeological Reports for 1992-1993. - London, 1993.
- Koehler 1826** - Koehler H., Mémoire sur les îles et la course sacrée à Achille dans le Pont-Euxin. - Mémoires de l'Académie imperiale des sciences de St.-Petersbough. - StP., 1826.
- Malkin 1987** - Malkin I., Religion and colonization in ancient Greece. - Leiden-New York-Kobenhavn-Koln, 1987.
- Minns 1913** - Minns E.H., Scythians and Greeks. - Cambridge, 1913.
- Okhotnikov, Ostroverkhov 1996** - Okhotnikov S. B., Ostroverkhov A. S., Les sources historique et archéologiques de l'île Leuké. - Sur le trace des argonautes. - Paris, 1996.
- Rhode 1907** - Rhode E., Psyche, Bd. II. - Tübingen, 1907.
- Treister 1994** - Treister M. Yu., Archaeological news from the Northern Pontic region. - Ancient Civilisations from Scythia to Siberia. An International Journal of Comparative Studies in History and Archaeology, vol. 1, N 1. - Leiden, 1994.
- შემოკლებათა განმარტება**
- ВДИ** - Вестник древней истории
- ЗООИД** - Записки Одесского археологического общества истории и древностей, Одесса
- ИАК** - Известия Императорской археологической комиссии

МАСП - Материалы по археологии Северного Причерноморья,
Одесса.

НО - Надписи Ольвии, Москва, 1968

СА - Советская археология.

РЕ - Pauly-Wissowa, Kroll, Realenzyklopädie des Altertumswissen-
schaft, Stuttgart, 1893-1978.

Darejan Kacharava

The Island of Leuke

The island of Leuke is repeatedly mentioned by the Greek and Roman authors. It is unanimously connected with the cult of Achilles. Some literary sources attest to the existence of a temple dedicated to the hero (Aristotl., *Epith.*, 5; Antig. Car., CXXII (134); Strabo, *Geog.*, VI,3,16; Paus., *Descript.*, III,19,11-13; Arr., *PPE*, 21; C. Jul. Sollini coll. rer. memor., XIX, 1; Philostr., *Heroic.*, XIX,16; Caes., *Dialog.*, 112; Amm., Marc., *Res gestae*, XXII,8,35; Anon. *PPE*, 14r17; see also Dio Chrysost., XXXVI, 19). Of great interest is the description of the island given by Arrian in his Periplus, according to which one can suppose the development of a templar farm directed at breeding of sacrificial animals.

Leuke is identified with the island of Zmeinyi, situated in 45 km from the Danube delta. This identification is confirmed by archaeological finds.

The data (narrative, epigraphical, archaeological) confirm the sacral character of Leuke. Hence the supposition that Leuke represents a special product of the Greek colonisation – a foundation of priests to worship Achilles.

ლეგიონერთა სამარხები პიტიუნტის სამაროვანზე

მერი ინაძის მიერ ჩატარებული კვლევისა და წაროვნობითი ანალიზის საფუძვლზე დადგენილია იმპერატორ ანტონიუს პირების ეპოქიდან (138-161 წწ.) განსაკუთრებული ყურადღება კომობოდა კოლხეთის ზღვისარა ციხე-ქალაქების, მათ შორის პიტიუნტ-ბიჭვინტის კასტელის გამაგრება-გაძლიერებას [Инадзе, 1968, с. 246-247]. ამასთანავე დოკუმენტაციურად არის დაფიქსირებული კაპადოკიური XV აპოლონის სახელობის, აპოლონისეული ლეგიონის ცალკეული ვექსილაციების ყოფნა პიტიუნტში II ს. ბოლოსა და III ს. დასაწყისში. გარდა კერამიკულ ფილებზე აღმოჩენილი ტვიფრებისა (შტამპები) ბიჭვინტის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია კრამიტის ფრაგმენტი ნიშით “ХС” – მეათე ცენტურია (Инадзе, 1968, с. 248), რაც უდავოდ მეტყველებს აქ დისლოცირებული კოპორტის სტრუქტურაზე. რომაული კოპორტი ათი ცენტურისაგან შედგებოდა და საგანგებო შემთხვევაში, სასაზღვრო ზონებში ძლიერდებოდა ცხენოსანთა 120 კაციანი რაზმებით, რომლებიც საპატრულო და სადაზვერვო საქმიანობისათვის გამოიყენებოდა (Connolly 1981, pp. 217-221).

ასეთ შემთხვევაში გაძლიერებული კოპორტა 800 ლეგიონერს ითვლიდა, რაც სავსებით შეესაბამება პიტიუნტის კასტელის მასშტაბებს ახ. წ. II-IV სს. და შესასრულებელ სტრატეგიულ ამოცანას-იმპერიის შორეული მოვალეობის უსაფრთხოების დაცვას. აღნიშნული გარემო სადგომების უსაფრთხოების დაცვას. აღნიშნული გარემო ებჯ დასტურდება ბიჭვინტა-პიტიუნტის კასტელის სამართვაზე ჩვენს მიერ გათხოვილი ცხენიანი მხედრების საფლავით (ტაბ. I, სურ. 1) და სამარხეულ კომპლექსებში (სამარხებით (ტაბ. I, სურ. 1)) და სამარხეულ კომპლექსებში (სამარხებით (ტაბ. I, სურ. 1))

გარები №435; ტაბ. I,3), მიცვალებულის ქვედა კიდურებთან დაფიქსირებული დეზიანი ჩექმის ნაშთებით (Carelia Roma-na), რომლის ანალოგიურიც ცნობილია დუნაისპირეთის ახ.წ. II-IV სს. სამარხებიდან (Pichlerova, 1981, Tab. XLVIII, p. 276; Kraskovska, 1974, p. 221, tab. XXXVI, 13) უშუალოდ ლე-გორენერებს უნდა დავუკავშიროთ ბიჭვინტის სამაროვნის ის სამარხები, რომლებშიაც რომაული ჩექმის (caligae) ლანჩის რენისა და ბრინჯაოს მოქლონების, მოკლე ქუდიანი ლურსმნები აღმოჩნდა. ისინი დაფიქსირებულია ლეგიონერთა II – IV სს. სამაროვნებზე დაწყებული ინგლისიდან (Clark, 1979, pp. 3-372), გერმანიდან და (Bishop, Coulston, 1989, p. 37) დამთავრებული დუნაისპირეთის კასტელების სამარვნების (Tejral, 1986, pp. 407. t. IV), მათ შორის ვერულა-ბას რომაული სამარხებიდან.

ნიშაბდობლივია, რომ ბიჭვინტა-პიტიუნტის II-IV სს. 450-მდე სამარხიდან 130-ში, ანუ 34% დაფიქსირებულ იქნა რომაული ფეხსაცმელების, ჩექმების, რკინის ლურსმნებით მოჭედილი ლანჩების ნაშთები, რაც გვაძლევს საშუალებას დაგასტარო, რომ პიტიუნტის სამაროვანი, დაშორებული ქასტელის დასავლეთი გალავანიდან 150 მეტრის მანძილზე შეუვნოდა ლეგიონერებს და მათი ოჯახის წევრებს. მისი ფართობი 3 პექტარს არ აღემატება და მეციხოვნეთა ოვალ-საწიერის, საკონტროლო ზონას მოიცავდა. ბუნებრივია პი-ტუნტის ტიპის შორეული სასაზღვრო ციხე-ქალაქების შეს-წავლაში პრიორიტეტი არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ენიჭება (Yan le Bohec, 1989; ქა ლე ბოეკ, 2001, c. 346) მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად (აფაქიძე, 1977, გვ. 13-68) მოპოვებული მასალა გვაძლევს საშუალებას შევეხოთ ლეგიონერთა, გადამდგარ ვეტერანთა ყოფის პრობლემების. რომაული სამართლის შესაბამისად ლეგიონერები

მეცნიერად იცავდნენ „მიცვალებულის კულტთან“ და გაშირება
ბულ სადგომო წესებს (Pietas), რომელიც ავალდებულებდა
კოცხლებს ეზრუნაო ბრძოლაში და დღუპულების, გარდაც-
ვლილებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულების საფლავე-
ბის მოსაწყობად. ადაპის გარდა, რის კვალიც ბიჭვინტის
სამაროვანზე არის არაერთხელ დაფიქსირებული აუცილე-
ბელი იყო საფლავზე სტელის ან საკურთხეველის დადგმა,
ვინაობის მაჩვენებელი წარწერით. ის გარემოება, რომ პი-
ტიუნტ-ბიჭვინტგაშიც იცავდნენ ამ წესს დასტურდება სამა-
როვანზე აღმოჩენილი ახ. წ. III ს. დათარიღებული ადგი-
ლობრივი, მომწვანო მარმარილოსმაგარი კირქვის სტელის
თავის მოზრდილი ფრაგმენტის აღმოჩენის ფაქტით. სტელა
შემცული ყოფილა დასაკრძალავი ჩირალდნის რელიეფური
გამოსახულებით (ლორთქიფანიძე 1991, გვ. 212). ეჭვს გარე-
შეა რომ სტელა პიტიუნტის სახელოსნოშია დამზადებული,
ისევე როგორც რკინით დაჭედილი ფიცრული ყუთები –
კუბოები, რომლებშიაც ასვენებდნენ ლეგიონერებსა თუ მა-
თი ოჯახის წევრებს. მათ საფლავებში აღმოჩენილი მონე-
ტები, რომლებიც ქარონის ობოლის დანიშნულებას ასრუ-
ლებდნენ, ადასტურებენ შიდა საქალაქო ფულადი მიმოქცე-
ვის ფაქტს. სასაზღვრო სამხედრო ზონაში, ლეგიონერებს
ხელფასის გარდა სხვა შემოსავალიც ჰქონდათ, რაც სპეცი-
ალისტების აზრით ხელს უწყობდა მთელი რეგიონის ეკო-
ნომიკურ აღმავლობას და დემოგრაფიულ დინამიზმს. პიტი-
უნტის სამაროვანზე ლეგიონერებთან ერთად იკრძალებოდ-
ნენ მათი ოჯახის წევრები. რომაული მოქმედი კანონით
ოფიციალური ოჯახის შექმნის უფლება ჰქონდათ მხოლოდ
გეტერანებს, გადამდგარ ჯარისკაცებს, რომელთა სამხედრო
სამსახური 25 წელიწადს გრძელდებოდა, თუმცა, როგორც
აღნიშნავენ სპეციალისტები რეალურად, ქორწინებაში მყოფ
ლეგიონერთა რიცხვი ბევრად მეტი ყოფილა. დადგენილია,

რომ გარდაცვლილ ლეგიონერთა საშუალო ასაკი 47 წელს
 არ აღმატებოდა და მათზე ზრუნავდნენ კანონიერი ოუ არ-
 აკანონიერი მეუღლები (ნიკ, 2001, c. 349), რომელთაც მოქა-
 ლაქის სტატუსი შეიძლება არც კი ჰქონდათ.




საყურადღებო ის ფაქტი, რომ პიტიპუნგის სამაროვა-
 ნზე რომაული სამხედრო ჩექმის მოჭედილობის ფიქსაციის
 130 შემთხვევიდან 46 უინვენტარო თრმოსამარხს ეპუთვნის.
 უელა შემთხვევაში მიცვალებულები დაუკრძალავთ ზურ-
 გზე გაშოტილ მდგომარეობაში, თავით უპირატესად და-
 სავლეთისაკენ, მოკრძალებული დასაკრძალავი ინვენტარით,
 რომელთა შორის გვხვდება ლეგიონერებისათვის დამახასი-
 ათებული ბეჭედი—საბეჭდავები, ფიბულები, სამკაულები, მი-
 ნისა და თიხის ჭურჭლები (ტაბ. I–IV), რომლებიც მრავალ-
 რიცხოვნი ანლოგიებით ახ. წ. II–IV სს. თარიღდებიან. გან-
 საკუთრებით აღსანიშნავია უგზო-უკვლოდ დაკარგული რო-
 მაული ლეგიონერის უცხედარო სამარხი—კენოტავი (ტაბ. II,
 სამარხი 55), რომლიც ჩრდილოეთ-სამხრეთ დერმზე იყო
 ორიენტირებული. წრიულად შემოწყობილ სანელსაცხებლე-
 ბის ქვემოთ, რომლებიც ხის ყუთში იდო, დაფიქსირდა
 რკინის მოქლონებით მოჭედილი რომაული ჩექმების ლანჩქ-
 ბის ნაშთები. არ არის გამორიცხული, რომ ლეგიონერთა
 III–IV სს. სამარხებში დასაკრძალავი ინვენტარის გაქრობა
 ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდებოდეს, რაც სპეცი-
 ალურ კვლევას მოითხოვს.




ბიბლიოგრაფია


- აფაქიძე ა. 1977. დიდი პიტიუნტი, I არქეოლოგიური გათხოვები ბიჭვინტაში. შესავალი და საერთო მიმოხილვა. თბილისი.
- ლორთქიფანიძე გ. 1991. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბილისი.
- Боэк Ян Ле, 2001. Римская армия эпохи ранней империи. Перевод с франц. Москва.
- Инадзе М. 1968. Причерноморские города древней Колхиды. Тбилиси.
- Kraskovska L. 1974. Gerulata, Rimske pohrebesko, I. Bratislava.
- Pichlezova M. 1981. Gerulata, Rimske pohrebesko, II. Bratislava.
- Connolly Peter, 1981. Greece and Rome at war. London.
- Clarke G, 1979. Pre Roman and Roman Winchester, II Roman Cemetery at Lankhills. Oxford.

Tejral J. 1986. Neue erkenntnisse rum Romischen stutrpunkt am Burgrastall Bei Musov in Sudmahren. Archeologicke rozhledy, 4. Praha.

I











414

in the 1st century A.D. Minadze's survey shows that from the period of the Roman occupation of the North-West Caucasus there was no dislocation of the ancient town (Caucasian) at the Pitsunda site tested by the archaeologists. In the same period the capital of the Colchis Kingdom, the city of Acheropoli (dated to the 1st century A.D.) was founded to the west of Abkhazia in the distance of



415





Legionary burials at the Pitium Sepulchre

The analysis of Prof. M. Inadze's source study shows that from the epoch of the emperor Antonius Pius (136-161) Pitium was an outpost of Rome in historical North-West Colchis. The dislocation of separate units of the XVth Apolonian legion (2nd-3rd c.c.) at the Pitium Castelum has been attested by the archaeological data.

There was a necropolis (dated to the 2nd-4th c.c.) of legionary retired soldiers and their families to the west of Castelum in the distance of 150 m.

Mortar burials, i.e. Roman tombs covered with concrete have suggested remains of wooden coffin including specific grave equipment (rings, fibula, pottery, glassware, coins). 130 burials have testified to existence of settings of legionary boot sole-flat-topped short nails. Legionaries were buried in stretched position, on their backs with their heads to the West.

კოლხეთის ნარმართული პანთეონის იკონოგრაფიისათვის

თუ გვის ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ხაკულტო ხასიათის ჟადების შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი დამოუკიდა უკამოსახეულებებითაა წარმოდგენილი. მათი უმეტესობა ბერძნული ნიმუშების მიხედვითაა დამზადებული. ამიტომ წყელებრივ ბერძნული პანთეონის დამოუკიდა გამოსახულებად მიიჩნევიან. ამ რიგისაა კერძოდ დიონისება და მისი წრის დამოუკიდა, პერაკლესა და ქალღვთაების გამოსახულებით შემცელი მცირე პლასტიკის ნიმუშები (ნაწილი ადნიშნული ძეგლებისა გამოქვეყნებულია იხ. რამიშვილი, 1976, 191-196; მათიაშვილი, 1973).

ქალღვთაებათა გამოსახულებებიდან ერთი ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე გამოვლენილ ანტეფიქსზეა დადასტურებული. ანტეფიქსი გაძრის ხანგრევში ლომის გამოსახულებიან ანტეფიქსებთან ერთადაა აღმოჩენილი (სურ. 1). იგი შედარებით მცირე ზომისაა, დამზადებულია მარცვლოვანი და მინარევებიანი ადგილობრივი თიხით. მოსწორებული და მოლესილი ზედაპირი, უთანაბრო გამოწვის გამო, აჭრელებული და დაბზარებული აქვს. ფრაგმენტებულადაა მოღწეული. მიხან შემოჩენილია ერთმანეთთან დაუკავშირებებული ორი ხატეხი, რომელთაგან ერთზე ცენტრალური ფიგურის თავი და მის მარჯვენა მხარზე დაძერწოდი პალმები, მეორეზე კი მხოლოდ ანილოგიური პალმებია გამოსახული.

ცენტრალურ ფიგურას კეფა და მარცხენა მხარი ჩამოტკიცილი, ხოლო ყალიბიდან ამოდებისას ცხვირი და ზედა ტუჩი დეკორმირებული აქვს. მიუხედავად ამისა გამო

სახულება გამოირჩევა ელინისტური ხანის ნიმუშებისთვის დამახასიათებელი დახვეწილობით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი მაღალმხატვრული ნიმუშიდან აღებული ყალიბითაა მიღებული.

ცენტრალურ ფიგურას უსასრულობისკენ მიმართული, ფართო ნუშისებური თვალებითა და ოდნავ შესამჩნევი დიმილით აღბეჭდილი ნატიფი ოვალი შემოჩარჩხებული აქვს მრგვალად ჩახვეული ვარცხნილობითა და დარიო გადმოცემული დიადემით. მხარზე დაძერწილ პალმეტში კი სქემატურად მოდელირებული გოგონას ბიუსტია გამოსახული. გოგონას გაშლილი თმები მხრებზე აქვს ჩამოშლილი, მარჯვენა ხელი მკერდთანაა აქვს მიგანილი, მარცხენაში კი მცენარის ტოტი უჭირავს. მეორე პალმეტშიც, რომელიც, როგორც ჩანს, ქალღვთაებას მარცხენა ჩამოტეხილ მხარზე ჰქონდა დაძერწილი, ანალოგიური ბიუსტია მოთავსებული.

ამდენად, როგორც ჩანს, ანტეფიქსზე გამოსახული იყო ქალღვთაება, ორ თანამგზავრ ფიგურასთან ერთად.

უშუალო ანალოგი აღნიშნულ გამოსახულებას არ ექვებება, მაგრამ კომპოზიციურად გარკვეულ სიახლოვეს ავლენს დმეროვების დიდი დედის, კიბელას იმ გამოსახულებებთან, რომლებზედაც ღვთაება მასთან დაკავშირებულ ფიგურებთან ერთადაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე მხრებზე დანაძერწი ეროტებით შემკული აფროდიტეს გამოსახულებებიც (Bronner, 1940, fig.3; Higgins, 1954, N 1228, 1229).

კიბელა, როგორც სულიერთა მფარველი ქალღვთაება, ჩვეულებრივ ცხოველებთან, უმეტესად ლომებთან, აგრეთვე ატისთან ერთადაა წარმოდგენილი. ცნობილია აგრეთვე ქთონიურ პერმესთან და პერსეფონასთან ერთად გამოსახული კიბელას გამოსახულებებით შემკული რელიე-

ჭებიც დამ შემთხვევაში კიბელა გარდაცვლილობა მშვიდია
ველი და აღმდგენელი ღვთაების ფუნქციების მატარებლად
გაიაზრება (Кобилица, 1978, 12 და იქ მითით. ლიტ.).

კიბელასთან და დიდ დედასთან ერთად გამოსახული
ფიგურები წვეულებრივ ქალდვთაების პალმეტებით შემკუ-
ლი მაღალზურგიანი სავარძლის ორივე მხარეს არის მო-
თავსებული (Vermaseren, 1961, 6, XIII, 24; Eberhard, 1959, 26,
IX). ანტეფიქსზე მცირე ფიგურების პალმეტებში მოთავსე-
ბა, შესაძლოა, ამ იკონგრაფიული მოდელითაა ნაკარნა-
ხევი.

კოველივე ზემოთქმული და ის გარემოება, რომ გან-
ხილულ ანტეფიქსთან ერთად კიბელას საკრალური ცხო-
ველის – ლომის თავებით შემკული ანტეფიქსებიკაა აღ-
მოჩენილი, გარკვეულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ
ანტეფიქსზე არსებული გამოსახულება დიდი დედა-კიბე-
ლას საყოველთაოდ გავრცელებული იკონოგრაფიული მო-
დელის ერთ-ერთ რეპლიკად ყოფილიყო განსაზღვრული.
მაგრამ იმის გათვალისწინება, რომ ანტეფიქსზე გამოსახუ-
ლი ცენტრალური ქალდვთაება კიბელასაგან განსხვავებით
გამოირჩევა აფროდიტესათვის დამახასიათებელი ახალგაზ-
რდული სიმშვენიერით, ხოლო პალმეტებში მოთავსებული
არიან გოგონები (და არა ატისი), რომლებიც კორასა და
აფროდიტეს თანამგზავრი ორების¹ მსგავსად გამოსახული
არიან მცენარის რტოებით, დათაებას კვიპროსის აფროდი-
ტებთან კავშირზეც მიგვანიშნებს და იმის საფუძველს იძ-
ლევა, რომ მის ფუნქციაში, აფროდიტეს მსგავსად, რომელ-
საც აღმოსავლური ასტარტეს გავლენით, ბაღების მფა-

¹ ორები წელიწადის დროების გამგებლები და ბუნებაში წესრი-
გის დამცველები იყვნენ. პომეროსის მიხედვით, ისინი ხურაწ-
ლებენ და აღებდნენ ცის კარებს.



რველ დფთაებად მიიჩნევდნენ (Broneer, 1935, 128), ვეგმეტაციური ური სამყაროს მფარველობაც იქნეს ნავარაუდები.

ამდენად, აშკარაა, რომ ანტეფიქსზე გამოსახული ცენტრალური დფთაება უახლოვდება როგორც სულიერთა მფარველ დიდ დედა-კიბელას, ისე ვეგმეტაციური სამყაროს მფარველ აფროდიტეს. ეს გარემოება კი იმის საფუძველს იძლევა, რომ ანტეფიქსზე გამოსახული ცენტრალური დფთაება დიდი დედა-კიბელა-აფროდიტეს (ძველადმოსავალური იშთარის) ფუნქციების მატარებელ ბუნების დიდ დედად, ზოგადად ნაყოფიერების მფარველ ქალღვთაებად იქნეს განსაზღვრული.

ნაყოფიერების მფარველი ბუნების დიდი დედის კულტი ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, კოლხეთშიც უძველესი დროიდანაა დადასტურებული. კოლხეთში მის აღმოცენებას საზოგადოების განვითარების გვაროვნულ სტადიაზე ვარაუდობენ (ხიდაშელი, 1982, 91-95 და იქ მითით. ლიტ.).

ძვ.წ. VIII-VII სს-ში, როგორც აღნიშნული ხანის სამაროვნებზე აღმოჩენილი მცირე ზომის ქანდაკებების მიხედვით ირკვევა, ბუნების დიდი დედის კულტს სრულიად ჩამოყალიბებული სახე უნდა ჰქონოდა შეძენილი (ლორთქიფარიძე, 2002, 188, სურ. 165; პაპუაშვილი, 1998, თაბ. XXXVI). მომდევნო საუკუნეებში კი მან, როგორც ჩანს, საერთო კოლხური ხასიათი შეიძინა. ამგვარ შესაძლებლობაზე საირხესა და ვანში აღმოცენებულ დიდ სატაძრო ცენტრებში ქალღვთაების კულტის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჩაითვალოს, რაც თავის მხრივ ვანში ქურუმი ქალების სამარხების, საირხეში კი ნაყოფიერების მფარველი დიდი დედის ტაძრისა და მის კულტმსახურებასთან დაკავშირებული საგნების აღმოჩენით დასტურდება (ინაძე, 1989, 42 ნადირაძე, 1975, 80; მისივე, 1990, 44).

კოლხეთში დიდი დედის კულტის არსებობას ფაზნის დიდი ქალღვთაების შესახებ Arrian-ეს ცნობის მიხედვითაც ვარაუდობენ. ამასთანავე მას აიგივებენ ლისიმაქეს ტიპის კოლხურ სტატურებზე და არისტარქეს მონეტებზე არსებულ ქალღვთაების გამოსახულებებთანაც (ლორდკიპანიძე, 1970, 116-118 და იქ მითით. ლიტ.).

კიბელას (უძველესი იშთარის) ანალოგიური კულტის არსებობა, რომელიც გულისხმობს ქალ-ღვთაებისა და რჩეული მოკვდავის, უმეტესად მონადირის ტრაგიულ სიყვარულს, საქართველოში ქართული მითოსითა და ეთნოგრაფიული მონაცემებითაცაა დადასტურებული. საყურადღებოა, რომ ამ კულტის გადმონაშთები დღემდეა შემორჩენილი სვანეთში (იხ. ჯავახიშვილი, 1951, 91; ვირსალაძე, 1964, 22, 75).

კიბელას კავშირი ქართველურ სამყაროსთან ამ ღვთაებასთან დაკავშირებულ მითებშიც მულავნდება. წერილობით წყაროებში შემორჩენილი მითების მიხედვით, კიბელას მიჯნურის, ატისის დედა ქალწული ნანაა, ატისის საცოლეს კი, რომელიც თვითმკვლელობის შემდეგ იადაღმოცენდა, ია ჰემი (James, 1957, 161).

ზემოთქმულიდან გამომდინრე, სავარაუდოა, რომ ანტეფიქსზე დიდი დედის, კიბელას, აფროდიტეს ფუნქციების მქონე ნაყოფიერების მფარველი ადგილობრივი ქალღვთაება იყო გამოსახული.

ადგილობრივ ღვთაებათა ბერძნული ფორმით გამოსახვა მიღებული ყოფილა ელინიზირებულ სამყაროში. მაგალითად, პატრაში აღმოჩენილია ოელიეფი, რომელზედაც ათენას ატრიბუტებით ადგილობრივი ქალღვთაება აღათავ გამოსახული (Colledge, 1967, 158). ანალოგიური ხასიათისაა აგრეთვე ტამანიდან მომდინარე ტერაკოტა, რომელიც სოკოლსკის მიერ კიბელას, დიდი დედისა და აფროდი-

ტეს ფუნქციების მატარებელ ადგილობრივ ქალღვთაება-
დაა განსაზღვრული (Сокольский, 1976, 53).

აღნიშნული მოვლენა განპირობებული ჩანს ნაყოფიე-
რების მფარველი ქალღვთაებების ფუნქციონალური სიახ-
ლოვით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, როგორც
მ. ფერმაზერენი აღნიშნავს, ძველ რელიგიებში, ქალღვთა-
ება იყო დასაწყისი და დასასრული ყველაფრისა დედამი-
წაზე და გადამზუვები მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეძახდნენ
მას აფროდიტეს, ორტემიდეს, პერსეფონეს, თუ დემეტრას,
რადგან იგი ყოველთვის იყო ის, ვინც აკონტროლებდა ყო-
ველივეს რაც იყო, რაც არის და რაც შეიძლება მოხდეს
მომავალში დედამიწაზე (Vermaseren, 1977, 10).

ელინისტური ხანის საზოგადოებაში ქალღვთაებათა
ამგვარ მიშართებაში წარმოდგენა Apuliai-ის ნაშრომში გა-
მოთქმულია ისიდას სიტყვებით. იგი თავის შესახებ აღნიშ-
ნავს: ”ურიგიერები მეძახიან ღმერთების დიდ დედას – პე-
სინუნგის დედას, ზღვასთან მცხოვრები კვიპროსელები –
პაფოსის კენერას, ისრისმტყორცნელი კრეტელები – დია-
ნა-დიქტინას, სამენოვანი სიცილიელები – პროზერპინას,
ელუვსინის ცერერას ...”(Apuliai, Met., 5).²

აღნიშნულიდან გამომდინარე, უძველესი ადგილობრი-
ვი ბუნების დიდი დედის ელინიზირებული ფორმით გამო-
სახვა სრულიად ბუნებრივ მოვლენად შეიძლება იქნეს აღ-
ქმული.

როგორც ჩანს, ამ დროიდან ადგილობრივი ქალღვთა-
ების კულტმა მცირეაზიური დიდი დედისა და უძველესი
იშთარის ფუნქციებს გარდა ელინისტურ სამყაროში გავ-
რცელებული რიტუალებიც აითვისა.

² ციტატა მოყვანილია მ. ფერმაზენის დასახელებული ნაშრომი-
დან.

ამგვარი ვარაუდის საფუძველს იმავე სატაძრო კომი-
პლექსში, საიდანაც მომდინარეობს განხილული ანტეფიქ-
სი, საფეხურებიანი სამსხვერპლოს აღმოჩენის ფაქტი იძ-
ლევა. ეს უკანასკნელი, როგორც საფეხურებზე და საფე-
ხურების გაყოლებაზე ამოკვეთილი დარების მიხედვით ირ-
კვევა, ტავრობოლიის რიტუალისთვის უნდა ყოფილიყო
განკუთხნილი, რომელიც წერილობითი წყაროების მიხედ-
ვით, კიდელის კულტმსახურებასთან იყო დაკავშირებული
და მორწმუნეთა სისხლით განწენდას და გაახალგაზრდა-
ვებას ისახავდა მიზნად (Vermassen, 1977, 23).

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე ამავე კომ-
პლექსში აღმოჩენილი ქვის ფილებით შედგენილი ყუთი-სა-
კურთხეველი, რომელიც ელინისტურ სამყაროში დიდი დე-
დის - კიბელა - აფროდიტეს, ანუ ზოგადად, ნაყოფიერების
მფარველ ქალღვთაებათა ტაძრებთანაა დადასტურებული
(Сокольский, 1976, 109; Виноградов, Русская, 1980, 24).

აღნიშნული ძეგლების აღმოჩენა, მართალია, ერთი
შეხედვით, კოლხეთში ბერძნული პანთეონის დვოთაებათა
კულტის გავრცელების ვარაუდის შესაძლებლობაზე მეტ-
ყველებს, მაგრამ ის გარემოება, რომ მათზე გამოსახული
დვოთაებები ან ფუნქციონალური თავისებურებით ავლენენ
სიახლოეს კოლხეთში უძველესი დროიდან გავრცელებულ
კულტებთან, ან როგორც მაგალითად, ჰერაკლე, მითოლო-
გიურად არიან დაკავშირებული კოლხურ გარემოსთან, მა-
ის საფუძველსაც იძლევა, რომ აღნიშნული მოვლენა ელი-
ნისტური ხანისათვის დამახასიათებელ სინკრეტიზმისა, თუ
ასიმილაციის პროცესს დაუკავშირდეს და წარმოდგენილი
ცელილებები ელინიზმის გავრცელების შედეგად სახეშეც
ვლილი ადგილობრივი რელიგიური წარმოდგენების გამოჭ-
ლინებად იქნეს განსაზღვრული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ბარდაველიძე, 1941 – ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (დვორება ბარბარაბარი), თბილისი, 1941.
- ვირსალაძე, 1964 – ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოხი, თბილისი, 1964.
- ინაძე, 1986 – მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, "მაცხე", ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1986, 4, 25.
- ლორთქიფანიძე, 2002 – ოთ. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002.
- მათიაშვილი, 1973 – ნ. მათიაშვილი, პერაკლეს გამოსახულებიანი მედალიონი ვანის ნაქალაქარიდან, ძეგლის მეგობარი, 1973.
- ნადირაძე, 1990 – ნადირაძე, საქართველოს უძველესი ქალაქი, თბილისი, 1990.
- პაპუაშვილი, 1998, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის სამარხი ორმოების ფარდობითი ქრონოლოგიისათვის, "მიებანი", 1998, 63-67.
- რამიშვილი, 1976 – ქ. რამიშვილი, ტერაკოტები ვანიდან, ვანი II, თბილისი, 1976, 191-204.
- ხიდაშელი, 1982 – მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რეინის ხანაში, თბილისი, 1982.
- ჯავახიშვილი, 1951 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I, თბილისი, 1951.
- Виноградов, Русева, 1980 – Ю. Г. Виноградов, А. С. Русева,
 Культ Аполона и календарь в Ольвии, Исследования по античной археологии северного Причерноморья, Киев, 1980.

- Кобылина, 1978 – М. М. Кобылина, Изображения восточных божеств в Северном Причерноморье в первые в.в. н.э., Москва, 1978.
- Сокольский, 1976 – Н. И. Сокольский, Таманский толос и резиденция Хрисалискаб Москва, 1976.
- Broneer, 1940 - O. Broneer, Excavations on the North slope of Acropolis, in: AJA, 3, 1940.
- Colledge, 1967 - M.A.B.College, The Parthians, New York-Washington, 1967
- Eberhard, 1959-P.Eberhard, Antic Welt in Ton, Leipzig, 1959.
- GranT, 1953- Frederick C. GranT, Hellenistic Religions, N.J.1935.
- Higgins, 1963 - R. A. Higgins, Greek Teracotta Figures, London, 1963.
- Vermasseren. 1966 - M. J. Vermasseren, The Legend of Attis in Greek and Roman Art, Leiden, 1966.
- Vermasseren. 1977 – M. J. Vermasseren, Cybele and Attis, The Mith and The Cult, London, 1977.





On the Iconography of the ancient Colxian Pantheon

The article deals with an antefix, at the temple-complex of the Vani siti site, dated back to the 2nd-1st centuries B.C., decorated with the representation of the goddess, accompanied by two small submit figures.

The given representation, displaying some similarity to the images of Great Mother-Cybeles-Aphrodites, but functionali close to the lokal goddess presumably may be defined as a hellenized representation of ancient colxian goddess of fertility, the protectress of all living beings and vegetation.



М. М. Абабкина, И.
Фокеева в Северном Причерноморье в первые
дни весны 1976 г.

ადამიანის მსხვერპლშენირვის შესახებ ანტიკური ხანის ელადაში

ანტიკური ისტორიის სპეციალისტთა, და არა მარტო მა-
თი დაინტერესება ადამიანის მსხვერპლშენირვის რიტუალის
საკითხით გასაგები და კანონზომიერი მოვლენაა, რადგან იგი
უნდა წარმოადგენდეს ცივილიზაციის გზაზე დამდგარ ადამი-
ანთა საზოგადოების განვითარების დონის ერთ-ერთ მნიშვნე-
ლოვან მაჩვენებელს. რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ელადასა
და მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს ქვეყნებში და რო-
გორ აისახა იგი ანტიკურ მნერლობაში, კერძოდ, ჰეროდოტეს
„ისტორიაში, ან სხვა ბერძენ ავტორთა შემოქმედებაში? ადას-
ტურებენ, თუ არა, ადამიანის მსხვერპლშენირვის ლიტერა-
ტურაში აღნერილ ფაქტებს არქეოლოგიური გათხრების მასა-
ლები? თავიდანვე გვინდა გავმიჯნოთ ორი სხვადასხვა ხასია-
თის მოვლენა, რაც ადამიანის მსხვერპლშენირვის რიტუალში
რადიკალურად განსხვავებული ფსიქო-სოციალური კლიმა-
ტის მქონე საზოგადოებისთვის არის ნიშანდობლივი. ერთი
არის ადამიანის მსხვერპლშენირვა ნებაყოფლობით, გარკვე-
ულ ხალხში არსებული ტრადიციული წეს-ჩვეულების ძალით
რომ ხდებოდა; მეორე – ეს არის ძალდატანებითი მსხვერპლ-
შენირვა, რაც ტყვეობასა თუ მონობაში ჩავარდნილი მტრის,
ან საკუთარი, ოღონდ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში შე-
ნიშნული პირისათვის იყო განკუთვნილი, თუმცა, ამ შემთხვე-
ვაშიც არსებული რელიგიური რიტუალის ძალით სრულდებო-
და ყოველივე.

„ისტორიის“ VII, 197-ში ჰეროდოტე გვაუწყებს თესალი-
ის ქალაქ ალოსში, აქეაში, არსებული თქმულების შესახებ,
რაც სრულიად განსაკუთრებულ წესს ეხებოდა. აქეელებმა,
გადმოცემის მიხედვით, ათამასა და მის შთამომავლობას

(ინოსტან ერთად მის მიერ ფრიქსოსის მკვლელობის მომზადებისათვის) მსხვერპლად შეწირვა მიუსაჯეს ზევს ლაფისტისტოსის ტაძარში გარკვეული რიტუალის შესრულებისას. გარდა ამისა, დადგენილ იქნა, რომ კერძოდ, შთამომავალთაგან ეს სასჯელი მიესადაგებოდა პრიტანიონში (ლევტონში) შესულ ამ საგვარეულოს უხუცეს კაცს; ამ უკანასკნელიდან იგი მხოლოდ მსხვერპლშეწირვისათვის უნდა გამოეყვანათ. კიტისოროსმა, ათამასის შვილიშვილმა, ჩავიდა რა კოლხეთიდან, სიკვდილს გადაარჩინა პაპამისი. აქეელებმა ამ გაორმავებული დანაშაულისათვის მთელ მათ შთამომავლობას კატეგორიულად მიუსაჯეს ზევს ლაფიტიონისისადმი ადამიანის მსხვერპლშეწირვა. ამის გამო ბევრი განწირული კაცი საზღვარგარეთ გარბოდა გადასარჩენად (ჩანს, არც თუ ისე მკაცრად დარაჯობდნენ). თუ ჩავუკვირდებით ჰეროდოტეს მიერ გადმოცემული მსხვერპლშეწირვის რიტუალით განსაზღვრული პროცესების არსა, მას ერთგვარი საზეიმო-ამაღლებული ხასიათის ნიშნებს შევატყობთ. მაგალითად, შესანირავად განკუთვნილ პირს გვირგვინს ადგამდნენ (შესაძლოა და სავსებით მოსალოდნელი სხვა ატრიბუციაც); ვფიქრობთ, ზევს ლაფიტიონისადმი მსხვერპლშეწირვა გარკვეული პიმნებითა და მუსიკალური თანხლებით უნდა ჩატარებულიყო. თქმულებაში ხაზგასმულია, რომ ზევს ლაფიტიონისისადმი ადამიანის მსხვერპლშეწირვას ქვეყანა რაღაც საშინელი უბედურებისაგან უნდა განეწმინდა; ასეთ როლს აკუთვნებს ამ რიტუალს ზოგიერთი მკვლევარი¹. მაგრამ ყველაზე საინტერესო და ყურადსაღები ჰეროდოტეს ცნობაში ის არის, რომ მის ეპოქაში ზევსი ლაფიტიონისის ტაძარი და ჭალა (შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ დროს ეს რიტუალი აღარ სრულდებოდა, მაგრამ არც ის ვიცით, როდის შეიძლება შეწყვეტილიყო იგი), კვლავ წმინდანთა ადგილად რჩებოდა იმდენად, რომ დამპყრობელი სპარსელებიც კი რიდით ექცეოდნენ მას. არც წმინდა ჭალაში შეუშვა ქსერქსესმა თავისი ლაშქარი და ათამასის შთამომავალთა სა-

ხელსაც პატივი მიაგო. ჰეროდოტეს გადმოცემაში ზოგი რამ
გაურკვეველია; მაგალითად, არ არის ახსნილი, რატომ არ
იცავდნენ ათამანთეს საგვარეულოს უხუცესნი ალოსში მიღე-
ბულ ტრადიციულ აკრძალვას პრიტანეაში შესვლისას. ამას
წესის თანახმად ხომ მათი მსხვერპლშენირვა უნდა მოჰყოლო-
და, რასაც ისინი ზოგჯერ რაღაც ხრიკებით გაურბოდნენ
უცხოეთში. მაგრამ კიდევ უფრო გაუგებარია, რაღატომ ჩადი-
ოდნენ კვლავ ალოსში და აქაველთა ბრალდების წაყენების შე-
დეგად ზევს ლაფიტიოსის მსხვერპლი ხდებოდნენ. როგორ
ასალმებდნენ წუთისოფელს, რა იარაღით, ტექსტში არც ეს
არის აღნიშნული; თუმცა უფრო მოსალოდნელია სისხლის დი-
დი რაოდენობით დასაქცევად, რომ ადამიანს ყელს გამოჭ-
რიდნენ (ლიტერატურაში და არქეოლოგიური მასალის გააზ-
რებაში ამაზე გვაქვს მითითება). თვით ალოსის ზევსის ეპითე-
ტი — ლაფისტიოსი — უძლები, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ლვთა-
ება გამუდმებით მოითხოვდა მსხვერპლის, ადამიანის სის-
ხლის დაქცევას, რასაც ალოსელები ტრადიციული რწმენის
გამო ბეჯითად უნდა დაყოლოდნენ. მათ მკაცრად უნდა ედა-
რაჯათ არსებული წესის დამრღვევთათვის, რათა საბედისწე-
რო ნაბიჯის გადამდგმელ პირთა მეტი რაოდენობა შეენირათ
უძლები ბუნების ლვთაების დასაკმაყოფილებლად. თუ გავით-
ვალისწინებთ თქმულებაში აღნიშნულ დამნაშავეთა გაქცე-
ვას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზევით დასახელებული ადამია-
ნის მსხვერპლშენირვისათვის სხვა წყაროც უნდა ყოფილიყო;
კერძოდ, ვფიქრობთ, იქ ხდებოდა სამხედრო ტყვეების
მსხვერპლშენირვაც, რაც ანტიკურ სამყაროში იშვიათობა არ
იყო წერილობითი წყაროების მიხედვით. ცნობილია ჰეროდო-
ტეს მიხედვითვე, რომ სკვითები ომიანობისას ტყვედჩავარდ-
ნილ ადამიანებს ომის ლვთაებას სწირავდნენ მსხვერპლად.
მსხვერპლშენირვის რიტუალი ასე სრულდებოდა: ყოველ მეა-
სე ტყვეს თავს აჭრიდნენ, სისხლს არესის ხმალს (მისი კერპი)
ასხამდნენ, ხოლო ჭრიდნენ რა მარჯვენას, ზევით გადაის-

როდნენ; შემდეგ იმ ადგილიდან მიდიოდნენ, ტოვებდნენ გვამებს იქვე (IV, 62). ჰეროდოტეს ცნობით სპარსელები ასევე ტყვედჩავარდნილ ელინებს მსხვერპლად სწირავდნენ საომარი ნარმატებისათვის. სპარსელებმა ერთ-ერთი საზღვაო ბრძოლის შედეგად ხელთ ჩაიგდეს ელინთა ხომალდი და მისი ეკიპაჟი, საიდანაც ამოარჩიეს ულამაზესი მეზღვაური და სიკვდილით დასაჯეს, რაც მათი რწმენით სიკეთის მომტანი წინასწარული მინიშნება უნდა ყოფილიყო (VII, 180). თრაკიის ტერიტორიაზე აფსინთებმა ხელში რომ ჩაიგდეს სპარსელი ობიაზესი, რომელიც გაიქცა ალყაშემორტყმული ქალაქიდან, სიკვდილით დასაჯეს და შენირეს ადგილობრივ ღვთაება პლეისოროსს (IX, 119). ჰეროდოტესთან ჩვენ დაცული გვაქვს კიდევ ერთი ცნობა ადამიანთა მსხვერპლშენირვაზე. იგი ეხება მენელაოსისა და ელენეს ისტორიას. როდესაც მენელაოსმა ეგვიპტელთა წყალობით დაიბრუნა ელენე და სამშობლოში აპირებდა გემით დაბრუნებას, ნავსადგურიდან ვერ გადიოდა სასურველი მიმართულებით უქარობის გამო. ეგვიპტელთაგან დავალებულმა მენელაოსმა სამაგიეროდ ორი ადგილობრივი ბავშვი დაიჭირა და ზღვის ქარების ღვთაებას შესწირა. როგორც ჩანს, არა მარტო მენელაოსის, არამედ მისი ღროის ელინებსაც ადამიანის მსხვერპლშენირვის გზით ღვთის გულის მოგებისა სწამდათ და პრაქტიკაშიც მიმართავდნენ ასეთ რამეს. რაც შეეხება ჰეროდოტეს, მენელაოსის ეს აქტი მან ბოროტმოქმედებად მონათლა, რადგან მადლიერების მაგიერ ეგვიპტელი ყმანვილები გამოასალმა წუთისოფელს (II, 119). რაც შეეხება ადამიანთა მსხვერპლშენირვის სხვა მაგალითებს, ჰეროდოტე არ გადმოგვცემს მათ შეფასებას; მაგალითად, დედოფალ ამესტრისის ბრძანებით მიწაში ცოცხლად ჭაბუკთა ჩამარხვის შემთხვევაში. ქსერსქესის მეუღლემ მინისქვეშეთის ღვთაებათა წყალობის მოსაპოვებლად მოხუცებულობაში 14 წარჩინებული სპარსელი ჭაბუკი მიწაში ცოცხლად ჩაფლევინა (VII, 114). ჰეროდოტე აქვე გვიხსნის, რომ მიწაში

ცოცხლად ადამიანის ჩაფვლა სპარსელთა ჩვეულება ყოფილია და ეს აზრი არის დასკვნითი წინადადება, რომელიც მისდევს სპარსელების მიერ 9 ქალ-ვაჟის მიწაში ცოცხლად ჩაფვლის ცნობას ედონების მიწაზე „ცხრაგზის“ სახელით ცნობილ ადგილას. ამ უკანასკნელ ამბავს ერთვის შემდეგ ამესტრისის მიერ ჩატარებული მსხვერპლშენირვის ამბავი, რაც ზევით მოვიყვანეთ. სწორედ ამ ორი შემთხვევის თხრობათა შორის არის მოთავსებული ემოციებისაგან სრულიად დაცლილი განმარტება: „Περσικὸν δὲ τὰς ζώοντας κατορθύσσειν“ (VII, 114). ჩვენ კარგად მოგვეხსენება, რომ უცხო ხალხთა წეს-ჩვეულებებისადმი, რაგინდ მიუღებელიც უნდა ყოფილიყო მისთვის, იგი თითქმის არასოდეს ამჟღავნებს თავის პირად განწყობილებას. ასეთი მიდგომა მისთვის დამახასიათებელია და ამ მხრივ იგი წინამორბედია თანამედროვე მოაზროვნეთაგან ზოგიერთისა, რომელთაც მიაჩინიათ, რომ ჩვეულება, ადათი, თანდაყოლილი რამ არის ხალხისა. ჰეროდოტეს აღნერილი აქვს აგრეთვე ტავრების მიერ ქალწულ ღვთაებისადმი ადამიანის მსხვერპლშენირვის რიტუალი (IV, 103). ტავრებს თუ ხელთ ჩაუვარდებოდათ ელინური გემის ეკიპაჟის წევრები, მათ ჯერ განწმენდის რიტუალს უტარებდნენ, შემდეგ კლავდნენ თავში კომბლის ჩარტყმით, ან კლდიდან აგდებდნენ, ან კიდევ სარზე ჩამოაგებდნენ. ზოგის გადმოცემით მხოლოდ თავს აგდებდნენ, ტანს კი მიწაში ჩაფლავდნენ ხოლმე². ომში ტყვედჩაგდებულ მტერს თავს აჭრიდნენ ისინი და სახლის სახურავზე გრძელ სარზე ჩამოაცმევდნენ, რადგან სწამდათ, რომ ისინი სახლის მცველები იქნებოდნენ (IV, 103). ცნობილია, რომ ათენში თარგელიების დღესასწაულზე (ნაყოფის დამწიფების ზეიმი) არტემიდესა და აპოლონის სახელზე სწირავდნენ ორი ადამიანის სიცოცხლეს; ესენი დამნაშავენი უნდა ყოფილიყვნენ და მათ განსაზმენდელი მსხვერპლის დანიშნულება ჰქონდათ. თავდაპირველად მამაკაცს კლავდნენ, შემდგომ – ქალვაჟს. მათ „φαρμακοί“ – ენოდებოდათ, რაც ხალხის ცოდვისა-

გან განწმენდის მსახურთა შინაარსს შეიცავს. მომდევნო ხანა და განვითარებული მიზანი იყო მხოლოდ სიმბოლურად ხდებოდა. ამ დღესასწაულის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის, რომ მას პირველი არქონტი (ეპონიმი) ხელმძღვანელობდა³.

საინტერესო ფაქტზე მიუთითებს პლუტარქე თემისტოკლეს ბიოგრაფიაში: სალამინის ბრძოლის წინ თემისტიკულებმ სამი გასაოცარი სილამაზის კაცი შენირა გამარჯვების საწინდრად დიონისე ომესტესა.

ეს რაც შეეხება ძალდატანებით შენირვას ადამიანისას. მაგრამ ძველ სამყაროში თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ნებაყოფლობით ადამიანის თვითშენირვას ექსტრემალურ პირობებში და გარდა ამისა ზოგიერთი ხალხის ტრაditionული რწმენით დადგენილი შემთხვევებიც გვაქვს. ჰერო-დოტეს IV, 94-ში აღნერილი აქვს გეტების ტომის რწმენა სულის უკვდავების შესახებ, რომლის მიხედვით სრულდებოდა ტრადიციული რიტუალი; რიტუალი დაკავშირებული იყო სალმოქსისის ღვთაებრივ კულტთან. სამსხვერპლო ადამიანის სულს გეტები ღვთაება სალმოქსისთან აბარებდნენ იმ დროისათვის მათვის ყველაზე საჭირო რაიმეს. მსხვერპლშენირვის პროცესი კი ასე ტარდებოდა: ყოველ მეხუთე წელს წილისყრით ირჩევდნენ მოციქულს, მას, ვისაც არჩევანი ერგებოდა ზევით ააგდებდნენ, რათა დაცემულიყო ზეალმართულ შუბებზე; ვინც ამ გზით მოკვდებოდა, ითვლებოდა, რომ კეთილბუნებოვანია და ღვთაება კეთილგანნყობილი იქნებოდა მისი შენირვით; თუ არ მოკვდებოდა, იგი ცოდვილ, მანკიერკაცად ჩაითვლებოდა და მას თავს ანებებდნენ; შემდეგ ისევ იმავე გზით ირჩევდნენ სხვას და ასეთივე გზით უწყობდნენ გამოცდას. მართალია, ეს იყო წილისყრით არჩეული პირის სიცოცხლის შენირვა, მაგრამ არსებულ წესს გეტების წარმომადგენელი მამაკაცები სრულიად ნებაყოფლობით ასრულებდნენ. ჰეროდოტეს აღნერილი აქვს ნებაყოფლობითი თავის შენირვა თრაკიელთა ერთ-ერთ ტომში, ოღონდ აქ ცოლები

სწირავდნენ თავს გარდაცვლილი ქმრის სახელზე (V, 5). ამ ტომში მრავალცოლიანობა ყოფილა; ცოლებს კი მოცილეობა ჰქონიათ, ვინ უფრო უყვარდა გარდაცვლილ ქმარს, რაღაც მხოლოდ ყველაზე საყვარელ ცოლს ჰქონდა უფლება და პატივი მოკლული ყოფილიყო და ქმართან ერთად დამარხულიყო, რაც შეეხება სხვა ცოლებს, ისინი დიდ უძედურებას განიცდიდნენ უზომო სირცხვილის გამო, რომ არჩევანი მათ არ შეეხოთ. გადაწყვეტილებას ამ საქმეში ქმრის მეგობრები იღებდნენ, ხოლო არჩეულ ქალს ხოტბას ასხამდნენ და დიდ პატივს მიაგებდნენ. გამორჩეულ უსაყვარლეს ცოლს ქმრის უახლოესი პირი ასალმებდა სიცოცხლეს (უფრო დაწვრილებით ამ რიტუალზე ცნობები არა გვაქვს), კერძოდ, როგორ, რა იარაღით, არ ვიცით. მიცვალებულის სხვა ატრიბუტიკაც არ არის ფიქსირებული.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ცოტა ხნის წინ ადამიანის მსხვერპლშენირვის საკითხს ელადაში მიეძღვნა მადლენ უოსტის სტატია: „იყო თუ არა ადამიანის მსხვერპლშენირვა საბერძნეთში”⁵. ავტორი დაწვრილებით ეხება არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებულ მასალას საბერძნეთის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად. მასალა, რომელიც მას მოჰყავს და რომელიც ჩვენი აზრით, დადებითად უნდა ჰასუხობდეს სტატიის სათაურში დასმულ კითხვას, ავტორის დასკვნით თუ ვიმსჯელებთ, საკმარისი არ უნდა იყოს ადამიანის მსხვერპლშენირვის დასადასტურებლად ელადაში. ამავე დროს მ. უოსტის ნაშრომში მთელი რიგი ანტიკური წერილობითი წყაროების მონაცემებია მოყვანილი ადამიანის მსხვერპლშენირვის შესახებ. განიხილავს რა ევრიპიდეს, თეოფრასტეს, პლატონის, პლუტარქეს, პავსანიას ცნობებს, მ. უოსტი აკრიტიკებს მათ, მაგრამ მისი არგუმენტაცია დამაკმაყოფილებლად არ გამოიყურება. მისი აზრით არქეოლოგიური მასალა ვერ ადასტურებს ლიტერატურაში ცნობილ ფაქტებს: ამავე დროს იგი აღიარებს, რომ

რადგან ელინთა საზოგადოებაში და აზროვნების სპეციფიკა-
ში მითები ძალზე ფესვგადგმულია, ხოლო მითოლოგიაში უკავია, ექსტრემალურ პირობებში, შესაძლოა, სრულდებოდა
ასეთი რიტუალი (იფიგენია, მაგალითად, ითვალისწინებს რა
ელადის საზოგადოების ყოფნა-არყოფნის ტრაგედიას, აცხა-
დებს: „მომეცით საშუალება გადავარჩინო ელადა“)⁶. ჯერ ერ-
თი, უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. უოსტი რატომდაც არ იხილავს
ჩვენს მიერ ზევით მოყვანილ ჰეროდოტესეულ ცნობას ადამი-
ანის მსხვერპლშენირვის ჩვეულებაზე ზევს ლაფისტიოსის
ტაძარში თესალიის ქალაქ ალოსში, არც მენელაოსის მიერ
ორი ყმაწვილის მსხვერპლშენირვაზე არაფერს წერს, მაშინ,
როდესაც ორივე ეს ცნობა სრულიად სანდო წყაროს წარმო-
ადგენს. მეორე მხრივ, არქეოლოგიურ მასალას ზედმეტი ეჭ-
ვიანობით უყურებს და არ მიაჩნია მსხვერპლშენირვის ნიშ-
ნად. რათა ამ ჰიპერკრიტიკული მიდგომის უსაფუძვლობა
ცხადვყოთ, განვიხილოთ მ. უოსტის მიერვე მოყვანილი არქე-
ოლოგიური მასალა იუკას მთაზე, კრეტაზე, ჩატარებული
გათხრების შედეგად რომ გახდა ცნობილი. 1997 წ. გათხრების
ანგარიშების მიხედვით გაირკვა, რომ იქ არსებული დასახლე-
ბა ძვ. წ. 1700 წ. შეიძლება დათარიღდეს. არქეოლოგები ამ-
ტკიცებენ, რომ მინისძვრის კატაკლიზმების გამო იქ შეჩერდა
ადამიანის მსხვერპლშენირვის რიტუალი. ხელფეხშეკრული
ახალგაზრდა კაცის და მასთან ორი პირის (ქურუმი და მისი
აკოლიტი) ნაშთები, იქვე დანის პირის აღმოჩენა, მიუთითებენ
მსხვერპლშენირვაზე. მ. უოსტი მაინც და მაინც ეჭვს გამოთ-
ქვამს; დანა მოსაკლავად იყო განკუთვნილი თუ ქამარში
ჰქონდა ჩამაგრებული რომელიმეს, ძნელია თქმაო. იგი აგრე-
ოვე ეჭვის ქვეშ აყენებს სპეციალისტთა დასკვნას ძვლების
შეფერილობის შესახებ, რომლის მიხედვით ადამიანის გვამის
სისხლისგან დაცლის თანმიმდევრობას უშუალო კავშირი აქვს
ამ შეფერილობასთან. მას მიაჩნია, რომ შეფერილობა ცეც-



ხლის ინტენსივობის გავლენით არის განსხვავებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი არქეოლოგები მიწისძვრის კატაკლიზმების აშკარა კვალს ნახულობენ ადგილზე (მ. უოსტიც მათ ეთანხმება), მათ კი ამის გამო მსხვერპლშენირვის რიტუალი შეწყვეტილად მიაჩნიათ, გამოდის, რომ სისხლისაგან გვამის დაცლის ინტენსივობის მიხედვით არგუმენტაცია საერთოდ კარგავს თავის აქტუალობას, რადგან მსხვერპლს დანა ჯერ არ უნდა ჰქონოდა გაყრილი, როცა კატასტროფა მოხდა. ამ-გვარად, მ. უოსტის მსჯელობაში წინააღმდეგობა შეიმჩნევა. მით უმეტეს, რომ არქეოლოგები საკელაკისები, რომელთაც დასახლება გათხარეს კრეტის მთაზე, მიიჩნევენ მიწისძვრის გამო რიტუალის შეწყვეტას, რის გამოც ყველა ერთიანად და-ილუპა. ელევთერის უახლესმა გათხრებმა ადამიანის მსხვერპლშენირვის საკითხი უფრო ინტენსიურად წარმოაჩინა. ეს არ-ის ძვ. წ. VIII ს-ის დამკრძალავი კოცონის ნარჩენებთან აღმოჩენილი დაჩიქილი უთავო კაცის ჩონჩხი, რომლის შორიახლო ნახეს ცული და სალესი ქვა. მ. უოსტი იუწყება, რომ მეცნიერები მსხვერპლშენირვის აქტს სიმბოლურად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ეს არის ერთი სოციალური სტატუსიდან მეორეში გადასვლის რიტუალი. მაგრამ ამავე დროს იგი ინიციაციის ცერემონიალისათვის ერთეული პირების ცალკე მომზადების პრაქტიკას არარეალურად თვლის. მ. უოსტი აგრეთვე უარყოფს კრეტა-მიკენის ე. წ. „სამეფო საფლავების“ მიხედვით, სადაც ცენტრალური ფიგურის სამარესთან სხვა პირთა ნაშთები აღმოჩნდა, მსხვერპლშენირვის რიტუალის არსებობას. მისი აზრით, ესენი შემდგომ დასაფლავებულნი უნდა იყვნენ. იგი აღიარებს ერთდროულად დასაფლავებას მხოლოდ სალამინის ერთ აკლდამაში; სადაც ორი ცხენი და რამდენიმე ადამიანია დაკრძალული. უნდა ითქვას, რომ ის არგუმენტი ადამიანის მსხვერპლშენირვის უარსაყოფად, რომ სხვა პირები „სამეფო საფლავების“ უშუალო ფართობში კი არა, არამედ კულუარებში არიან დაკრძალულნი, არ არის დამაჯერებელი.



ცნობილია, მაგალითად, რომ სკვითების მეფეს არა მარტინ ლიპსიუს
დასაფლავებისას აკლავდნენ ზედ ადამიანებს, არამედ გარ-
კვეული დროის გასვლის შემდეგაც მრავალ მის მსახურსაც
ასალმებდნენ სიცოცხლეს, რომელთა გვამები ცენტრალური
სამარის გარეთ რჩებოდა. ჰეროდოტეს მსხვერპლშენირვის
ცერემონიალი სკვითების წეს-ჩვეულების საგანგებო ნიშნად
აქვს გამოყოფილი (ისტორია, IV, 72). მეფესთან ერთად,
ოლონდ სამარის სხვა ფართო ნაწილებში 6 ადამიანის, მოკ-
ლული მსახურებისა და ხარჭის გვამები თავსდებოდა. თუ მე-
ფის გარდაცვალებისას მხოლოდ 6 ადამიანის შენირვა ხდებო-
და, ერთი ნლის თავზე კიდევ 50 მსახურის სიცოცხლე უნდა
შეენირათ მეფისთვის. სრულდებოდა დაწესებული რიტუალი
და ეს მსახურები აგრეთვე 50 მოკლულ ცხენზე ამხედრებულ-
ნი მეფის სამარხის ირგვლივ თავსდებოდნენ. მართალია, ჰე-
როდოტეს მიერ აღნერილი წეს-ჩვეულება სკვითების მეფის
გარდაცვალებისას სრულდებოდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია,
ძველი მსოფლიოს საზოგადოებათა მიცვალებულის კულტი
ითვალისწინებდა ცენტრალური სამარხის ირგვლივ მსხვერ-
პლშენირულ ადამიანთა გვამების მოთავსებას. ჰეროდოტეს
ზევით მოყვანილი უტყუარი ცნობა ამის პრეცენდენტად და
უეჭველ დასტურად მიგვაჩნია. კრეტა-მიკენური და სკვითუ-
რი სინამდვილე, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ
მეფეთა, თუ ტომთა ბელადების, დაკრძალვის რიტუალში
გარკვეული პარალელები არ უნდა იყოს ამ შემთხვევაში გამო-
რიცხული.

ამგვარად, მ. უოსტის აზრი, რომ არქეოლოგიას არ გააჩ-
ნია ტექსტებში აღნიშნული ადამიანის მსხვერპლშენირვის და-
მამტკიცებელი მასალა, არ მიგვაჩნია მართებულად, თუმცა
იგიც აღიარებს, როგორც უკვე ვთქვით, რომ ზოგიერთი ექს-
ტრემალური სიტუაციისას არ იყო გამორიცხული ადამიანის
მსხვერპლშენირვა. განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ
იმ ფაქტს, რომ თეოფრასტეს ცნობა (პორფირეს „De labsti-

neoce"-ში II, 27, 2 მოყვანილს), რომელიც ამბობს, რომ ლიტერატურა
თან ადამიანის მსხვერპლშენირვას მუდამ ჰქონდა პრაქტიკა;
ხოლო 1902 წ. კ. კურუნიოტისის გათხრების შედეგად ასეთი
ფაქტის არსებობის შესახებ დადებითი დასკვნის გამოთქმა
მთელ რიგ წინააღმდეგობებს აწყდება; ყოველივე ამას მაინც
შესაძლოა რეალური მნიშვნელობა მიეცეს⁷. ერთი კია, მ. უოს-
ტი აღიარებს: „ამაო იქნება ბერძნული ცივილიზაციის ზოგი
იდეის სახელით ვამტკიცოთ, რომ ელინები არასოდეს მიმარ-
თავდნენ ადამიანის მსხვერპლშენირვას”⁸, რაც ვერაფრით
ვერ შეთავსდება მის უნდობლობასთან არქეოლოგიური მასა-
ლის ინტერპრეტაციისას ადამიანის მსხვერპლშენირვის დამა-
დასტურებელი მოტივაციის უარყოფას.

ზედმეტი არ იქნება, რომ აქ ჰეროდოტეს ერთ ცნობასაც
მივაქციოთ ყურადღება, რომელიც VII, 191-შია მოყვანილი.
ზღვაზე დიდი ქარიშხალი მძვინვარებდა, ხოლო მოგვებმა სის-
ხლიანი მსხვერპლშენირვა ჩაატარეს არასასურველი ამინდის
შესაცვლელად. მსხვერპლშენირვა ეძღვნა აგრეთვე თეტისსა
და ნერეიდებსაც. როგორც ირკვევა, სპარსელები ელინთაგან,
კერძოდ იონელთაგან, გაგონილი თქმულების თანახმად იქცე-
ოდნენ, რადგან ელინთა ლვთაებების და სიწმინდეების პატი-
ვისცემა სპარსელებისათვის იშვიათი არ იყო. ფტიოტიდის მე-
ფეს, ჰელენეს, სეპეიდიდან გაუტაცია თეტისი, ხოლო სეპეი-
დის სანაპირო კი თეტისისა და ნერეიდების კუთვნილებად ით-
ვლებოდა. სწორედ ამ სეპეიდის სანაპიროსთან მძვინვარე ქა-
რიშხლის დასაოცებლად ჩაატარეს მოგვებმა სისხლიანი
მსხვერპლშენირვა. მართალია, წყაროში არ არის აღნიშნული
ცხოველის, თუ ადამიანის სისხლი დააქციეს იქ, მაგრამ თუ
გავითვალისწინებთ, რომ ჰეროდოტეს ცნობაში მენელაოსის
მიერ ყმანვილთა მსხვერპლშენირვას სწორედ ზღვის ქარების
ლვთაების მფარველობის მოპოვების მიზანი ჰქონდა, შესაძ-
ლოა VII, 192-ში აღნერილი სპარსელების რიტუალიც აგრეთვე
ადამიანის მსხვერპლშენირვასაც შეიცავდა.

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული იმის აღნიშვნა, რომ პლუტარქეს გადმოცემით რომში გაზაფხულის პირზე ხის ხიდიდან ტიბრში ჩალის, ან წნელის თოჯინების, ბერძენი კოლონისტების მიერ შეტანილი, რიტუალი სრულდებოდა, რაც ადრეულ ხანაში არსებული ცოცხალი ადამიანის წყალში ჩაგდების სიმბოლურ აქტს წარმოადგენდა⁹. თვით საბერძნეთში, ვერძოდ, ორქომენში, აგრიონიების დღესასწაულზე დიონისეს ქურუმი მახვილით დაედევნებოდა ხოლმე ბაქვიურ საზეიმო პოცესია-ორგის მონაწილე ქალებს და ვისაც კი მინვდებოდა, შეეძლო განეგმირა. პლუტარქეს გადმოცემით (ყოველ შემთხვევაში, მისი წყაროდან მომდინარე ცნობით, რომელიც | ათასწლეულის || ნახევარზე ადრეულად არ ივარაუდება) მის თანამედროვე ეპოქაში ქურუმმა ზოილმა ასეთი რამ ჩაიდინა, თუმცა ცნობილია, რომ ამ ცოდვისათვის იგი დაისაჯა¹⁰. ასევე გასაოცარი ფაქტი აქვს დაფიქსირებული პლუტარქეს ადამიანთა ცოცხლად მიწაში ჩაფვლისა რომში, რაც ფიქრობენ, სიბილას ნიგნების ჩანაწერების მიხედვით მოხდა, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში რომში ძვ. 6. || ს-ში მომხდარი ასეთი რიტუალი სინამდვილედ არის აღიარებული. ვფიქრობთ, პლუტარქეს წყაროდანაც თუ მომდინარეობს ეს ცნობა, განსხვავება, შესაძლოა, ყოფილყო მხოლოდ ორასი წელი და არა მეტი¹¹. წყაროები რომში ადამიანთა ცოცხლად მიწაში ჩაფვლას გალებთან მოსალოდნელი ომის შიშით გამოწვეულ ქმედებად მიიჩნევენ, რაც გასაოცად მოგვაგონებს სპარსელთ მიერ განხორციელებულ რიტუალს ბერძენ-სპარსელთა ომის დროს ჰეროდოტესთან რომ ვხვდებით (VII, 114). ნიშანდობლივია, რომ აქაც ქალ-ვაჟი შეიწირა, თუმცა 9 წყვილი (რომში 2 წყვილი შეიწირეს), რადგან იმ ადგილს, სადაც ეს მოხდა მდ. სტრიმონის მიდამოებში, თრაკიაში, „ცხრაგზა“ ეწოდებოდა.

რომის სახელმწიფოს ძალაუფლებასა და კანონმდებლობას დამორჩილებული ბლეტინის მცხოვრებთა ტრადიციული

წეს-ჩვეულებით მიღებული ადამიანის მსხვერპლშენირვის
რიტუალი, როგორც ცნობილია, მხოლოდ ძვ. წ. II ს-ში აკრისტ-
ლა, ხოლო მათი მმართველები, რომელნიც უნდა დაესაჯათ,
გაუშვეს უვნებლად გაიგეს რა, რომ მამაპაპური ჩვეულების
ძალით სრულდებოდა ეს რიტუალი¹².

ამგვარად, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ანტიკურ
ნერილობით წყაროებში ადამიანთა მსხვერპლშენირვის შესა-
ხებ საკმაოდ მრავალი ცალკეული შემთხვევაა დაფიქსირებუ-
ლი. გარდა ამისა, იგივე წყაროებიდან ცხადი ხდება ადამიანის
მსხვერპლშენირვის რიტუალის არსებობა ტრადიციულად და
სისტემატურად. ვფიქრობთ, რომ ელადის ტერიტორიაზე მო-
პოვებული არქეოლოგიური მასალა საკმარისად ცხადად მიუ-
თითებს ადამიანის სიცოცხლის ღვთისადმი შენირვის რიტუ-
ალზე. მართალია, ყველაზე გვიანი ასეთი მასალა, რამდენა-
დაც ჩვენ მოვცეხსენება, ძვ. წ. VIII ს-ზე ქვევით არ ჩამოდის,
მაგრამ ისეთი საკმაოდ სანდო მნერალი, როგორიც პლუტარ-
ქეა, პირდაპირ იუნიკება | ათასნლეულის შუახანებში (უფრო
გვიანაც, ვფიქრობთ) ცალკეული შემთხვევების შესახებ ადა-
მიანის მსხვერპლშენირვისა რომში, ხოლო ელადაში ბაკეური
ორგიების დროს რიტუალურ მკვლელობაზე. ზნე-ჩვეულებისა
და რელიგიური ტრადიციის მიხედვით არსებული სიცოცხლის
შენირვის რიტუალმა რომელ საუკუნემდე გაუძლო დროის
განვითარების ძალას, ძნელია დავადგინოთ, მაგრამ თუ ძვ. წ.
V ს-ში მათ შესახებ ცოცხალი გადმოცემა შემოგვენახა, უნდა
ვივარაუდოთ, რომ ყოველ შემთხვევაში, ახალი წელთაღრიცხ-
ვის მიჯნამდე ასეთი რიტუალები ჯერ კიდევ უნდა შესრულე-
ბულიყო. კარგადაა ცნობილი, რომ ბლეტინის მცხოვრებთა
შორის არსებული ასეთი ტრადიციის შეწყვეტას რომის სა-
ხელმწიფოს ძალაუფლების ზეგავლენით ძვ. წ. II ს-ის დამლე-
ვის თარიღი მიესადაგება სრული დარწმუნებით. სამწუხა-
როდ, სხვა ხალხებში არსებული ანალოგიური ტრადიციის

შეწყვეტის დროზე თითქმის არავითარი მინიშნება არ მოგვეუძლიათ პოვება დღესდღეობით¹³. ჩვენი მიზანი არა არის მიმღებელი მისამართის და მას დამატებითი მიზანი არა არის მიმღებელი მისამართის და მას დამატებითი მიზანი.

1. Ф. Г. Мищенко, Геродот, История, Москва, 1885, II тт., 225 гვ.;
 თ. მიშენკოს მიაჩნია, რომ ათენში თარგელიების დღე-
 სასწაულზე ორ დამნაშავე პირს სიკვდილით სჯიდნენ,
 რაც განწენდის სანინდარი უნდა ყოფილიყო აგრეთვე.

2. ქალნული ღვთაება, რომელსაც ადამიანის სიცოცხლეს
 სწირავდნენ, იფიგენია, აგამემნონის ქალიშვილი, უნდა
 ყოფილიყო (IV, 103, პეროდოტეს „ისტორია“).

3. Ф. Г. Мищенко, Геродот, Указатель с примечаниями II тт.,
 225 гვ. იხ. აგრეთვე; A. Mommsen, Feste der stadt Athen; ა. გელო-
 ვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1983, 331 გვ.,
 სიტყვა მსხვერპლის განმარტება.

4. პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, თემისტოკლე,
 13, 2-5 მ. უოსტის პლუტარქეს ფანიასის, ლესბოსელი ის-
 ტორიკოსის, მიხედვით მოყვანილი ცნობა სანდოდ არ მი-
 აჩნია, ვინაიდან დიონისე ომესტესი ლესბოსის ღვთაება
 იყო, ხოლო სალამინის ბრძოლის წინ რატომ უნდა მიეძ-
 ღვნათ მისთვის მსხვერპლი (იხ. მ. უოსტის სტატია უურ-
 ნალ „Histoire“-ში 1995, №191, გვ. 13). უნდა ითქვას, რომ
 ბერძნულ მითოლოგიაში დიონისეს სახელი სწორედ ადა-
 მიანის მჭამელის სახელთან არის დაკავშირებული. თვით
 იგი ტიტანების მსხვერპლი გახდა. მათ იგი მოკლეს, ცეც-
 ხლზე შეწყვეს სამსხვერპლო ცხოველივით. ხელმეორედ

მოვლენილი დიონისე და მისი კულტი, ჩანს, პირველადი
ყოფიერების რემინიცენციებს შეიცავდნენ.

5. L' Histoire, Paris, 1995, №191, 12-14 გვ.
6. ევრიპიდე ალაპარაკებს რა ასე იფიგენიას, ცხადია, აშკა-
რად ასახავს საზოგადოებაში გავრცელებულ რწმენას იმ-
ის შესახებ, რომ ადამიანის სიცოცხლის შენირვით ღმერ-
თების წყალობას დაიმსახურებდნენ, რაც ბრძოლაში გა-
სამარჯვებლად შემწეობას მისცემდა ელადას (იხ. მისი
„იფიგენია ავლიდში”, 1565-1570, 1420).
7. M. Jost, Les sacrifices humains ont'ils existé? L' Histoire, Paris,
1995, №191, 14 გვ.
8. იქვე.
9. Плутарх, Застольные беседы, Ленинград, 1990, Римские воп-
росы, 32, 192 გვ.; 485 გვ., Сქოლით 1, 32-ე კითხვისა.
10. Плутарх, Иоганн, Греческие вопросы, 38, 234 გვ.; 512 გვ.,
38-ე კითხვის IV სქოლით. ცნობილია, რომ თვით პლუტარ-
ქე ძალზე უარყოფითად ახასიათებდა ადამიანის მსხვერ-
პლშენირვის რიტუალს: „სჯობს სრული ურნმუნოება, ვი-
დრე გვწამდეს ღვთაებების, რომელთაც ადამიანის
მსხვერპლშენირვა სწადიათ” (პლუტარქეს დასახ. ნაშრ.,
ი. მ. ბოროვსკის „Плутарх и его Застольные беседы”, 394 გვ.).
11. Плутарх, დასახ. ნაშრ., Римские вопросы, 83, 211 გვ.,
497 გვ., 83-ე კითხვის I სქოლით; Rose, H., The Roman Ques-
tions of Plutarch, Oxford, 1929, 204 გვ., 1993, 243 გვ.; Encyc-
lopedia Universalis (The sauros), Paris, 1993, 443 გვ.; ამ ენცი-
კლოპედიაში დეცემვირებისა და სიბილას წიგნებისადმი
მიძღვნილ სტატიაში რომში ხარების ფორუმზე ორი ბერ-
ძენისა და ორი გალის ცოცხლად მინაში ჩაფლვა ძვ. წ. II ს-
ში რეალურ ფაქტადაა აღიარებული.
12. Плутарх, დასახ. ნაშრ., 83, 211 გვ.



13. ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიაში“ (ტფილისის 1892 წ., იგ, იე) არის აღნიშნული ქართველთა მიერ ნარ-
მართული ღმერთებისადმი თავის ძეთა და ასულთა (ცოც-
ხლად მყოფთა) მსხვერპლშენირვის შესახებ; ხოლო ესე
ბოროტება ავტორის თქმით მეფემან რევ შეწყვიტა, შეაც-
ვლევინა რა პირუტყვის შენირვით.

Rusudan Rzxiladse

Zur Frage der Menschenopferung in Hellas

In der wissenschaftlichen Fachliteratur gibt es bis jetzt noch keine umfassende Forschung über Menschenopferung in der Antike, insbesondere in Hellas. In der antiken griechischen Literatur werden mehrmals die Fälle der Menschenopferung erwähnt, dennoch bezeichnen einige Wissenschaftler archäologisches Material über diesen Ritus als zweifelhaften Beweis der literarischen Quellen. Indessen ist diese Frage nicht von geringer Bedeutung, da ihre Lösung auf das Niveau der kulturellen Entwicklung der Gesellschaft hinweisen kann. Nach unseren Beobachtungen soll man erstens zwei Arten der Menschenopferung unterscheiden: gewaltsame und freiwillige, sowie systematische und in Ausnahmesituationen. Zweitens soll man das archäologische Material über der betrifftenden Ritus aufmerksam durchsehen. In einem vor kurzem veröffentlichten Artikel in der Zeitschrift "L'Histoire" (1995, №191) behauptet M. Jost die Funde von Gegenständen rituellen Charakters können die Tatsachen der Menschenopferung nicht endgültig beweisen. Dennoch bestreitet auch sie nicht die Fälle der Menschenopferung in Ausnahmesituationen. Man soll bemerken, daß das archäologische Material (das auch von ihr ve-

röffentlicht wurde) völlig auseichend ist um die Richtigkeit der antiken Autoren zu beweisen (Herodot, Euripides, Theophrast, Plutarch u. a.) die Fälle der Menschenopferung und damit verbundene sakrale Bräuche beschreiben. Herodot erwähnt einen Ritus der Menschenopferung im Zeus-Tempel in der Stadt Alos, an den man in den Zeiten der Kriege zwischen Griechenland und Persien gut erinnern konnte (VII, 197). Von der Opferung der Beschuldigten oder Gefangenen ist ziemlich viel bekannt, aber die Fälle der freiwilligen Opferung werden sehr selten beschrieben in der antiken Literatur; Darüber schreibt Euripides (*Iphigenie*).

Auch unter anderen Völkern der antiken Welt werden die Fälle der Menschenopferung erwähnt, darunter die Fälle der freiwilligen Opferung (Herodot IV 62, 94, 109; V, 5; VII, 114). Das Material aus den archäologischen Ausgrabungen in Griechenland bezeugt deutlich die Fälle der Menschenopferung nicht nur im II Jahrtausend v. Ch. sondern auch in der I Hälfte des I Jahrtausends v. Ch. (archäologische Ausgrabungen auf Kreta, Zypern u. s. w.) Natürlich ist das genauere Datum der Abschaffung des blutigen Brauchs schwer festzustellen, dennoch soll dabei Plutarchs Bericht über Darbringung der Menschenopfer in Ausnahmesituationen nicht nur in Griechenland sondern auch in Rom in der II Hälfte des I Jahrtausends v. Ch. berücksichtigt werden.

სასპერების პოლიტიკური გაერთიანების ნარმოქმნის საკითხისათვის

ძველადმოსავლურ, ძველბერძნულ და ქართულ საბატონიო წაყროებში დაცული ცნობების გაანალიზების შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია დადგინდა, რომ ჭოროხის აუზსა და მის მიმდებარე რევიონში, რომელიც უძველესი დროიდან (ძვ.წ. II-I ათასწლეულები) ქართველური ტომებით ყოფილა დასახლებული, საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ტომთა კონსოლიდაციის პროცესები, იქმნებოდა მსხვილი ბოლიტიკური წარმონაქმნები, აღრეკლასობრივი სახელმწიფოები, სადაც მცხოვრებ ტომებს ჰქონდათ თავითონი ენობრივი და ეთნიკური ინდივიდუალურობა (I, გვ. 73).

ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი დეონტი მროველთან დაცული ცნობის თანახმად, სადაც გვითხულობთ - „ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანისგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“, წერდა: „სპერის ზღვა იგივე პონტოს ზღვაა იმ ვანსხვაგვებით, რომ უკანასკნელი ბერძნული სახელი იყო, ხოლო პირველი ამ ზღვის ძველი ქართული სახელია“ (2, გვ. 17-18).

სახელწოდება „სპერის“ უძველეს და, ამასთან, ქართულ წარმოშობაზე მოწმობს აგრეთვე ანტიკური (ძველი ბერძნული) წაყროები, სადაც გმხვდება სახელწოდება „სასპერები“. ამ თვალსაზრისით, ჰეროდოტეს „ისტორიაში“ დაცული ცნობები ძალზე საყრდენი და გასათვალისწინებელია. ჰეროდოტეს ცნობით, „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე რომელსაც უწოდებენ მეწამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელების ზემოთ სასპერები, სასპერების ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე“ (3, გვ. 262, IV, 37).

ჰეროდოტეს „ისტორიაში“ დაცული ამ ცნობის გათვალისწინებით სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, რომ ძვ.წ. VI საუკუნის პირველ ნახევარში სასპერების ბოლიტიკური გაერთიანება,

რომელიც ნახსენებია ახლო აღმოსავლეთის დიდ ქვეყნებს შორის, მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას კოლხეთსა და მიდიას უმორის, კერძოდ, მის საზღვრებში ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვრცელი ნაწილი იყო მოქცეული, რომელიც მოიცავდა არა მარტო ქართველური (აღმოსავლეთ- და დასავლეთქართველური) ტომებით დასახლებულ რაიონს, არამედ აგრეთვე ნაირიურარტუში შემაგალი ყოფილი ტერიტორიას ჩრდილოეთ ნაწილ-საც. ამ ეპოქაში სასპერების გაერთიანების პოლიტიკური ბატონობა შესაძლებელია ვრცელდებოდა აგრეთვე შავი ზღვის („სპერის ზღვის“) სანაპირომდეც (I, გვ. 97).

სასპერების, ისევე როგორც სხვა ტომობრივი თუ პოლიტიკური გაერთიანების აღმოცენების დროის, მიზეზების საკოთხები უადრესად რთული და საინტერესოა საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების ან სახელმწიფოს წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესი ყოველთვის განაირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, იქნება ეს პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური სასიათისა.

სწორედ გარკვეულმა პოლიტიკურმა პროცესებმა შეუწყონელი ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სასპერების პოლიტიკური გაერთიანების წარმოქმნას, რომლის ცენტრიც სპერის (თანამ. ისპირი) ოლქი იყო, სადაც ეთნიკურად მონათესავე და მათთან ერთად სხვა არამონათესავე ტომებში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა გარკვეულწილად განაპირობა აღმოსავლეთქართული სახელმწიფოებრიობისა და აღმოსავლეთქართველური ეთნოსის ჩამოყალიბება.

ძველაღმოსავლურსა და ძველბერძნულ წყაროებში დაცული ცნობებიდან გამომდინარე, ძგ. 1 ათასწლეულის პირველ ნახევარში წინა აზაბში, აგრეთვე სამხრეთ კავკასიაში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები. ამ დროს აღინიშნებოდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებს (ასურეთის, ურარტეს, მანას, მიდა-ას) შორის პოლიტიკური დაძაბულობა. ამის ეძატება ძგ. 2 VIII საუკუნის პოლოს კიმერიელების შემოსვეაც, რამაც გარკვეული როლი შეასრულა ამ ქვეყნებისა და თავისთავად ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში მცხოვრები ტომების პოლიტიკურ ცხოვრებაში. სასპერების ტომობრივი გაერთიანების



წარმოშობა განპირობებული იყო შეზობელ რეგიონებში მიმდინარე ცეკვითი არსებული ფაქტორებით. სასპერების გაერთიანების აღმოცენებისათვის ხელსაყრელი პირობები, ვფიქრობთ, უნდა შექმნილიყო ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლოს, შემდგომში ეს პროცესი გრძელდებოდა მთელი VIII საუკუნის განმავლობაში და დასრულდა ძვ.წ. VI საუკუნის პირველ ნახევარში საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე მრავალი სატოშო ერთეულის თაგმოწრით.

ურარტულ და ასურულ წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, რომ ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარში განადგურებული დიაუხის ნაცვლად თავი იჩინა კოლხას გაერთიანებამ, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლებს აწარმოებდა ურარტუს მეფე სარდური II (760-730 წწ.), მაგრამ მომდევნო წლებში, რეგა I-ის (730-714 წწ.) მეფობის დროს ურარტუს მალა აღარ შესწევდა ამ რეგიონში ბრძოლების საწარმოებლად, რადგანაც მისი პოლიტიკის სიმძიმის ცენტრი სამხრეთით, ურმიისპირა და ვანიისპირა რაიონებში ინაცვლებს. სწორედ ეს რეგიონი იყო ამ დროს ასურეთისა და ურარტუს ინტერესთა დაპირისპირების ასპარეზი (4, გვ. 97). წყაროების თანახმად, ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლოს ასურეთი იყორობს ურარტუს ტერიტორიებს, ამის პარალელურად, ურარტუს საფრთხე უჩნდება ჩრდილოეთიდანაც კიმერიელების სახით, რომელთა მალაც მიმართული იყო იმ დროს არსებული ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების წინააღმდევ (4, გვ. 100-105).

ადნიშნული პოლიტიკური დაპირისპირების შედევად ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლოდან ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონი გარეშეულწილად ამ მტრული სახელმწიფოების ყურადღების მიღმა რჩება. ასეთი პოლიტიკური ფონი კი ხელს უწყობდა ამ რეგიონში მოსახლე ტომების გააქტიურებას. ამას ემატება ისიც, რომ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, ამ პერიოდიდან კოლხთა სატომთ ბირთვი ინაცვლებს მდინარე რიონის აუზში და მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე. ხოლო ამას მოჰყევა მისი შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურება და სხვა დასავლეურქართულ ტომებთან (კერებთან, ფასიანებ-

თან) ერთად აქტიური ჩაბმა კოლხეთის სახელმწიფოს შექმნას
პროცესში (ჩ. გვ. 44).

აქედან გამომდინარე, გარეგეული პოლიტიკური პროცესების
ფონზე ამ პერიოდიდან (ძვ.წ. VIII საუკუნის დასაწყისი) აღმოსავლეთქართველურ და დასავლეთქარ-
თველურ ტომებს შორის, ეტყობა, ორღვევა პოლიტიკური ერთობა,
რომელიც არსებობდა აქ კოლხას გავლენის დროს. ყოფილი კოლ-
ხას ტერიტორიაზე აქტიურდებიან აღმოსავლეთქართველური ტო-
მები - სასპერები. ამავე დროს, მთგაჩნია, რომ ასეთი პროცესის
განვითარებისათვის ხელისშემშლელი არ უნდა ყოფილიყო ის ძალა
ანუ ის ტომები (დასავლელურქართველური), რომლებიც ყოფილი
კოლხას გავლენის შესუსტების შემდეგ უნდა დარჩენილიყვნენ ამ
მხარეში. ამავე დროს, ძველი კოლხეთის სახელმწიფოს შექმნისათ-
ვის, რომელიც, როგორც აღინიშნა, ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს და-
სრულდა (ჩ. გვ. 156), საჭირო იყო ბოლიტიკური სტაბილურობა
ყოფილი კოლხას სამხრეთ ნაწილში. ხოლო ამ სტაბილურობის
გარანტი პირველ რიგში უნდა ყოფილიყო მონათესავე ტომები-
საგან შექმნილი გარკვეული პოლიტიკური ძალა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გიგარაუდოთ, რომ ძვ.წ. VII
საუკუნის დასაწყისში არსებობდა სასპერების ტომთა გაერთიანება.
ამ ვარაუდის განსამტკიცებლად შეგვიძლია პერიდოტეს შემდეგი
ცნობა გამოვიყენოთ: „ხოლო მეოტიდის ტბიდან მდინარე ფაზი-
სამდე და კოლხებამდე არის 30 დღის საგალი მსუბუქად შეიარა-
ღებული [კაცისათვის], ხოლო კოლხიდიდან მიღიაში დიდი არაა
გადასავალი, არამედ მხოლოდ ერთი ტომია ამ [ქვეყნებს] შორის.
ეს არის სასპერების [ტომი], ამათ რომ ჩაუგლი, უპევ ხარ მიღიაში.
მაგრამ სკვითები ამ გზით არ გადმოსულან, არამედ გადაუხვიერე
ზემოთა გზაზე...“ (ზ. გვ. 75-76). ამ ცნობის თანახმად, სკვითების
გამოჩენა ივარაუდება ძვ.წ. VII საუკუნის დასაწყისისათვის (7.
გვ. 220-222). ამიტომაც შეიძლება გიგარაუდოთ ამ დროს სასპერე-
ბის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენა. თუმცა პერიდოტეს ამ
ცნობიდან ჩანს, რომ ამ ხანაში სასპერებს ჯერ კიდევ არ უნდა
სჭეროდათ ვრცელი ტერიტორია, არამედ მათი მიწების განგრცობა
უნდა დავუკავშიროთ ურარტუს დაცემის შემდგომ პერიოდს ანუ

ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისს. ამ დროიდან (ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისი) სასპერების ტომობრივი გაერთიანების განმტკიცებას შესაძლებელია ხელს უწყობდა ის გარემოქბა, რომ მიღია ამ დროს აღარ წარმოადგენდა მტკიცე პოლიტიკურ გაერთიანებას, რაც ასახებოდა კიდეც მის საგარეო პოლიტიკაში (ზ. გვ. 336). ოუზცა გვივე შეიძლება ითქვას სასპერების გაერთიანების შესახებ, რომელიც აგრეთვე არ ყოფილა მტკიცე და ხანგრძლივი. ამიტომ იყი ახალი ძალის, აქემენიდების, გამოჩენისთანავე დაიშალა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში სასპერების მოხსენიება კოლხეთის, მიდისა და სპარსეთის გვერდით იმაზე მოწმობს, რომ ეს პოლიტიკური გაერთიანება გარკვეულ ძალას წარმოადგენდა იმ მნიშვნელოვანი პროცესის წარმართვისათვის, რომელიც გულისხმობდა აღმოსავლეთქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის ბოლომდე გაფრინდა.

ლიტერატურა:

1. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955.
2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1948.
3. პეროდოტე, ისტორია, თ. ყაუხჩიშვილი, თბილისი, 1975.
4. გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბილისი, 1951.
5. მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბილისი, 1994.
6. Вопросы древней истории, Мецниереба, 1978.
7. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.
8. И. Дьяконов, История Мидии, М – Л, 1956.

On the issue of formation of the political union of Saspers

The rise of a large tribal union of Saspers in the south-west part of historic Georgia was conditioned by certain political processes that had been taking place in Middle East since the end of the 8th century B.C.

თუ უკუ თვითცნობიერება კოლხეთის სამეფოში

ძვ. წ.-ის II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა გეომორფოლოგიური სისტემების ერთიან ეკონომიკურ და ეთნო-კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესი. ყალიბდება რეგულარული ურთიერთობა მაღნის მფლობელი და მომპოვებელი მთის მოსახლეობასა და ბარის სასოფლო-სამეურნეო ოლქებს შორის (1. 205-207). დიდ მნიშვნელობას იძენს მსხვილფეხა საქონლის მომთაბარული მეურნეობა, მთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების პროცესი (2. 16). ვითარდება რკინის მეტალურგია, ხელოსნობა, შეინიშნება საერთო კოლხური ეკონომიკური კავშირების ზრდა, ძლიერდება მოსახლეობის ეკონომიკური კონსოლიდაცია, რაც გამოიხატება საერთო კოლხური ნაწარმის შექმნაში. ეს პროცესები დღეს გააზრებულია, როგორც არსებითი ნიშანი კოლხეთში ეკონომიკური ერთობის შექმნისა, რაც საფუძვლად დაედო აქ მოსახლე ტომების პოლიტიკურ კონსოლიდაციას (3. 17) და ბოლოს, ძვ. წ. VI საუკუნეში კოლხეთში იქმნება სახელმწიფო, როგორც ამ ერთობის პოლიტიკური სტაბილურობის გარკვეული გარანტი.

კოლხეთში ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემა კულტურის სრული ერთიანობით გამოირჩევა და, როგორც ჩანს, ეთნიკურ ერთობასაც შეადგენს, რადგან კარგად არის ცნობილი, რომ ე. წ. კოლხური კულტურა დასავლურ-ქართული მოსახლეობის კუთვნილება იყო (2. 16).

თითქმის ყველა ანტიკური მწერალი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას კოლხების სახელით მოიხსენიებს. აღ-

ნიშნავენ იმასაც, რომ კოლხეთი ბევრი სხვადასხვა ტომით
იყო დასახლებული. შესაძლებელია, რომ განვითარების უარ-
კვეულ საფეხურზე კოლხები ერთგვარი ვრებითი სახელი იყო
და საკუთრივ კოლხების გარდა, სხვა მონათესავე სატომო ერ-
თეულებსაც გულისხმობდა.

კოლხეთში უკვე || ათასწლეულის ბოლოდან იქმნება სა-
კუთარი სატომო ორგანიზაციის მქონე, აღმოსავლეთ საქარ-
თველოში დადასტურებული ხევებისა და ხეობების (2. 16.17)
ანალოგიური მცირე ეთნო-ტერიტორიული ერთეულები, რო-
მელთა გაერთიანების შედეგად ყალიბდება ნინა სახელმწი-
ფოებრივი წარმონაქმნები.

სწორედ მათმა ერთობლიობამ, კოლხთა მეთაურობით,
შესაძლებელია შექმნა ტომთა ის დიდი კავშირი, რომლის არ-
სებობასაც ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა (4. 35). ტომთა ამ
კავშირის დაშლის შედეგად შეიქმნა კოლხეთის სამეფო; ვინა-
იდან, პირველი სახელმწიფოები, ჩვეულებრივ წარმოიშვებიან
ტომთა დიდი გაერთიანებების დაშლის შედეგად, როგორც
უარყოფა ტომთა დიდი კავშირისა, და ტერიტორიულადაც
ისინი უფრო ნაკლები მოცულობისანი არიან (2. 17).

კოლხთა ტომების ძირითადი ბირთვი სახლობდა ნაყო-
ფიერ, ბუნებრივი რესურსებით მდიდარ მხარეში – მდინარე
რიონის გაყოლებით, ქალაქ ქუთაისის სანახებიდან შავ
ზღვამდე. სწორედ აქ შეიქმნა ძვ. ნ. VI ს. კოლხეთის სამეფო და
აქედან დაიწყო ქვეყნის გარშემო მდებარე ეთნო-ტერიტორიუ-
ლიდა სამეურნეო ერთეულების შემომტკიცება და მათი კოლ-
ხეთის სამეფო საგამგებლო ოლქებად, სკეპტურიებად დანაწი-
ლების პროცესი (5. 196).

მ. ინაძის აზრით, კოლხეთის სამეფოს გარკვეულ ტერი-
ტორიულ საგამგებლო ერთეულებად დანაწილება სამეფო ხე-
ლისუფლების დონისძიება იყო და მიზნად ისახავდა ქვეყნის
მართვა-გამგების მოწესრიგებას (6. 785). სკეპტურიები, აღ-

მოსავლეთ საქართველოში არსებული „ხევისა“ და „ქვეყნების“ მსგავს მცირე ეთნოტერიტორიული გაერთიანებების საფუძველზე იყო შექმნილი, როგორც სამეფოში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულები (5. 73). ამდენად, კოლხეთის, (ისევე, როგორც ქართლის) საგამომცემლო ერთეულებად დაყოფა ემყარებოდა არა სახელმწიფო მეთაურთა მიერ სამეფოს ნებისმიერ ტერიტორიულ დანაწილებას, არამედ წინარე ანტიკურ ხანაში არსებული ეთნოტერიტორიული წარმონაქმნებისაგან განვითარებული „ქვეყნების“, ერთი ყველაზე დაწინაურებული ქვეყნის გარშემო შემოკრებას და მათი ადმინისტრაციულ ერთეულებად ჩამოყალიბების პრინციპს (7. 97)*.

მ. ინაძის აზრით, კოლხეთის სამეფოში გაერთიანებული იყო კუთაისა, ვანის, საირხის „ქვეყნები“. გარდა ამისა, ცალკე სკეპტიურიაში შედიოდა დღევანდელი აჭარის, შავშეთისა და კლარჯეთის ტერიტორია, რომელიც სტრაბონისეული მოსხიკეს ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა. ცალკე საგამგებლო ერთეულს წარმოადგენდნენ სვანეთის ხევები, მათ დასავლეთით მდებარე „კილიკესა“ და „კორაქსეს“ მხარეებიც. სანაპირო ადმინისტრაციულ ერთეულს ქმნიდა სამეფოს აღმოსავლეთ რეგიონში მდებარე სკეპტიურია, რომელიც დღევანდელი ზესტაფონის რაიონის ტერიტორიას მოიცავდა (7. 102-104).

* ს. ჯანაშია ეყრდნობა სტრაბონის ცნობას იმის შესახებ, რომ „... აიეტის მემკვიდრე მეფეები სკეპტიურებად დაყოფილ ქვეყანაში ფლობდნენ ზომიერ ძალაუფლებას“ და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კოლხეთი მრავალტომიანი ქვეყანა იყო, ხოლო სკეპტიურია სატომო ორგანიზაციის ნარმოადგენდა (8. 16). მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული მკაცრი ეკონომიკური და კულტურული ერთიანობა გულისხმობდა პოლიტიკური კონსოლიდაციის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც, ტომობრივი ორგანიზაციის საფუძვლები უკვე დაძლეულია და წაშლილი (9. 16). ამიტომ, კოლხეთის სამეფოში შექმნილი სკეპტიურიები, წარმოადგენენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, რომელთა სათავეში სკეპტიურები იდგნენ (10. 57).

როგორც ცნობილია, იბერიისაგან განსხვავებით, კოლუმბიანი ხეთს საკმაოდ დიდხანს შემორჩა მრავალტომიანობა და ამ ტომების განვითარების არაერთგვაროვნება. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ სამეფოს წარმოქმნის ადრეულ ხანაში მაინც, სკეპტუხიები უფრო ტომობრივ-ტერიტორიული ერთეულები იყო, რის გამოც, აქ, ადგილობრივი არის ტოკრატიული გვარები განიცდიდნენ დანინაურებას (11. 61). ამიტომაც არის მიჩნეული, რომ კოლხთა სკეპტუხები, საგვარეულო არის ტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც სამეფო ხელისუფლების მიერ ჩაბარებული ჰქონდათ ადმინისტრაციული ფუნქციები (6. 788).

ვანსა და საირხეში სკეპტუხის მმართველი ზედა ფენა თეოკრატიულ ხასიათს ატარებდა და დიდ სიმდიდრეს ფლობდა. მათ საკუთრებაში სამხედრო ძალაც გააჩნდათ, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ზედა ფენის პრივილეგირებულ მდგომარეობას.

ყურადღებას იმსახურებს ვანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი მცირე ზომის ოქროს ზოდები, რომელიც სიახლოვეს ავლენენ კოლხური თეთრის წონით სისტემასთან. 6. მათიაშვილი მათ მონეტის ინდიკაციად მიიჩნევს. მონეტის ინდიკაციის სამარხში აღმოჩენის ფაქტი, მისი აზრით, იმის საფუძველს იძლევა, რომ სამარხში ჩასვენებულები განსაკუთრებული იურიდიული სტატუსის მქონე პირებად მივიჩნიოთ. ეს კი სამარხის მფლობელთა დამოუკიდებელი შიდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარების უფლებამოსილებით შეიძლება აიხსნას (12. 71).

ვანისა და საირხის მაგალითზე დაყრდნობით, შეიძლება საუბარი იმაზე, რომ კოლხეთის სამეფოს საზღვრებში მოქცეული სკეპტუხიები წარმოადგენდნენ დიდ ადმინისტრაციულ ერთეულებს, მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ცენტრებს, განვითარებული ხელოსნობით, სავაჭ-

რო ურთიერთობით, დიფერენცირებული საზოგადოებითა და საკუთარი კულტმსახურებით.

როგორც ჩანს, კოლხეთის სკეპტურიების სწრაფვა და-მოუკიდებლობისაკენ, მათ გარევეულ დაპირისპირებას იწვევ-და, რაც კოლხეთის სამეფოს დასუსტების ერთ-ერთი მიზეზი ხდება (შდრ. 8.61)

კოლხეთის სამეფოს დასუსტებას სხვა პროცესებიც გა-ნაპირობებდა. მიუხედავად იმისა, რომ სკეპტურიები ჩარ-თულნი იყვნენ კოლხეთის სამეფოს ერთიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში, მათი გაძლიერება ასუსტებდა სამე-ფო სახლის მნიშვნელობას ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომი-კურ ცხოვრებაში. ზღუდავდა მის სულიერ ზეგავლენას, ხელს უშლიდა საერთო სახელმწიფო იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, სკეპტურიების გაერთიანებას ერთიანი პოლიტიკის, ერთიანი იდეოლოგიის ბატონობის ქვეშ.

როგორც ჩანს, კოლხეთის სამეფო სახლმა ვერ შეძლო ისეთი იდეოლოგიის გამომუშავება, რომელიც ერთიანი სა-ხელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი გახდებოდა. კოლხე-თში ვერ შეიქმნა ისეთი პროგრამა, რომელიც სკეპტურიების სულიერი გაერთიანების, ხალხის თვითცნობიერების გაზ-რდისკენ იქნებოდა მიმართული. ადრე ანტიკურ ხანაში კოლ-ხეთში არ არსებობდა სახელმწიფო რანგში აყვანილი ყველა ოლქისათვის საერთო კოლხურ ღვთაებათა პანთეონი, ვერ მოხერხდა მათი სულიერი გაერთიანება.

სახელმწიფოს იდეოლოგიური პროგრამის გატარებაში უდიდესი როლი ტაძრებსა და ქურუმებს ენიჭებოდათ. ისინი დიდ სიმდიდრესა და ძალაუფლებას ფლობდნენ. სწორედ ქუ-რუმებს უნდა ეცადათ გამოემუშავებინათ ხალხის ერთგვარო-ვანი დამოუკიდებულება გარეშეთა მიმართ, დაესაბუთებინათ სულიერი ერთობის აუცილებლობა, მოეწოდებინათ ყველა-სათვის საერთო ღვთაებათა თაყვანისცემა, საერთო წინაპრე-

ბის პატივისცემა და ყველასათვის საერთო აუცილებელი ტრადიციების დაცვა.

ადრე ანტიკურ კოლხეთში ალბათ უკუპროცესი მიმდინარეობდა. სკეპტუზიების შიგნით, ქურუმები თავიანთ საგამგებლო მიწების ერთიანობასა და სიძლიერეზე ზრუნავდნენ, სატომო ღვთაებების, საკუთარი ნინაპრებისა და ტრადიციების დაცვას მოითხოვდნენ და საკუთარ თეოკრატიულ საგვარეულოს ადიდებდნენ.

სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ კოლხეთის სამეფო მალე დაიშალა და ვერ გამოიყენა ის პოტენციური შესაძლებლობები, რომლებიც მას გააჩნდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოლხური ტომების რიგით წევრებში, საკუთარი ქვეყნის, სამშობლოს ფენომენი, საკმაოდ ძლიერად მოქმედებდა. ამ მხრივ, საყურადღებო ცნობებია დაცული ქსენოფონტეს „ანაბაზისში“. კოლხების ქვეყანაში, ბარბაროსები, როგორც მათ ავტორი უწოდებს, მრავალ სიძნელეს უქმნიდნენ ელინებს. ხალიბები უმამაცესნი იყვნენ და ელინებთან ხელჩართულ ბრძოლას იწყებდნენ (13. 81-82). კარდუხები მამაცურად იბრძოდნენ და მტრის ნინააღმდეგ კლდეებსაც იყენებდნენ (13. 72). ტაოხთა ქვეყნებში ელინები საზარელი სანახაობის მოწმენი გახდნენ. ქალები უფსკრულში ისროდნენ ბავშვებს და თვითონაც თან მიჰყებოდნენ. როდესაც ქსენოფონტემ იკითხა, თუ რატომ იბრძოდნენ ისინი ელინების ნინააღმდეგ ასეთი სისასტიკით, ტაოხებმა მას ლაკონური პასუხი გასცეს: „იმის გამო, რომ თქვენ ჩვენს ქვეყანაზე ლაშქრობთ“ (13. 87).

განსხვავებული გზით ნარიმართა კოლხების თვითცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში.

როგორც ცნობილია, კოლხეთში ბერძნული კოლონიზაცია თავისებური ფორმით ნარიმართა. კოლხეთი ეკონომიკურ

რად მძღვანი ქვეყანა იყო, სადაც მდიდარი ქალაქები არის უძველესი ბობდნენ. აქ ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა ვაჭრობისათვის. ამიტომ, ბერძნები კოლხეთში აარსებდნენ არა ბერძნული პოლისების მსგავს ქალაქ-სახელმწიფოებს, ბერძნული თვითმმართველობითა და მეტროპოლიიდან მოტანილი რელიგიური კულტით, არამედ ქმნიდნენ სავაჭრო ფაქტორიებს (14. 98), ემპირიონებს (15. 32). ამ ქალაქებში ძირითადად კოლხური ნაწარმი იქმნებოდა, მის მნარმოებლად და მომხმარებლად ადგილობრივი მოსახლეობაა ნავარაუდევი (14. 97).

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული კოლონიზაცია თავიდან საკმაოდ სისხლიანი უნდა ყოფილიყო, თანდათან მან მშვიდობიანი ხასიათი მიიღო. ემპირიონებში ბერძნული და ადგილობრივი მოსახლეობა ერთმანეთის გვერდით მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ ისინი მაინც არ იყვნენ ერთმანეთში არეულნი და მათი თანაცხოვრება განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა. კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში დადასტურებულია ერთმანეთს დაშორებული უბნები, სადაც ბერძნული და ადგილობრივი მოსახლეობა განცალკევებით ცხოვრობდა. ასევე გამოცალკევებული იყო ერთმანეთისგან მათი ნეკროპოლებიც.

ელინისტური სამყაროს კულტურის ცენტრებთან კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა, ბერძნულ ეთნოსთან თანაცხოვრება, ბუნებრივია, ცვლიდა ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მისი გამდიდრებული ზედა ფენების ცნობიერებას. უბიძგებდა დაეძლიათ ბერძენთა მიერ მათი „ბარბაროსებად“ განცდის ალბათ არსებული რეალობა და თვითდამკვიდრებაზე ეზრუნათ.

კოლხ მოქალაქეებს უნდა ეცადათ ზიარებოდნენ იმ „უმაღლეს კეთილდღეობას“, რომლის დამკვიდრება, ბერძნული პოლისის უმთავრეს მიზანს შეადგენდა (16. 6-7). ეს „უმაღ-



ლესი კეთილდღეობა” კი გამოიხატებოდა ადამიანის შინზე პოტენციური შესაძლებლობების სრულ გამოვლენაში, რომელიც ბერძნების მიერ გაიაზრებოდა, როგორც მხოლოდ ელინთა ის უმთავრესი ნიშანი, რომელიც მათ ბარბაროსებისაგან განასხვავებდა.

კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში მცხოვრები გამდიდრებული კოლხი მოქალაქეები და ვაჭრები აღბათ ამ პირობითობის გადალახვას ცდილობდნენ. მათი მცდელობა საკუთარი თავის, როგორც კოლხის, დამკვიდრება უნდა ყოფილიყო. მათ უნდა შეექმნათ საკუთარი პროგრამა, რომელიც ისევე როგორც ბერძნული პოლისური იდეოლოგია, კოლხთა სულიერი სამყაროს, მათი უფლებების დაცვისკენ იქნებოდა მიმართული.

ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით ელინისტურ ხანაში დაიწყო. ზღვისპირა ქალაქებში შესამჩნევად გაიზარდა ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელობა. არისტოტელეს „პოლიტიკის“ განხილვის შემდეგ მ. ინაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქ. ფაზისში დადგენილებების მიღება ბერძნული და ადგილობრივი მოსახლეობის კანონების შერევის და ურთიერთზემოქმედების საფუძველზე ხდებოდა. ეს კანონები ორივე მხარის ინტერესებს ითვალისწინებდა, აქ გამოჩნდა ამ ქალაქის მთავარი თავისებურება – ადგილობრივი და ბერძნული ელემენტების შერევა, რამაც მიიზიდა არისტოტელეს ყურადღება და განაპირობა ქალაქ ფაზისის თვითმმართველობის საგანგებო აღწერა (5. 196-197).

* არისტოტელე თავის „პოლიტიკაში“ აღნიშნავს, რომ ბერძნები კეთილშობილები არიან ყველა ქვეყანაში, მაშინ, როდესაც ბარბაროსები კეთილშობილებად მხოლოდ საკუთარ მიწაზე ითვლებიან. პირველ შემთხვევაში კეთილშობილება და თავისუფლება უდავოდა უეჭველი, ხოლო მეორე შემთხვევაში – სათუო და პირობითი (17. 385).

ნიშანდობლივია, რომ შიდა კოლხეთსა და ზღვისპირა ქალაქებში საერთო ფულადი სისტემა, კოლხური თეთრი მოქმედებდა. გ. მელიქიშვილი ამ ფაქტზე დაყრდნობით, გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კოლხეთის ზღვისპირა ქალაქები ადგილობრივი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეული (18. 400, 422). 6. მათიაშვილის თვალსაზრისით ორივეგან მოქმედი ფულადი ემისია ბერძნული ქალაქებისა და ადგილობრივი გაერთიანებების საერთო ლონისძიება იყო, მათი საერთო ინტერესებით იყო განპირობებული, რაც თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე მეტყველებს (12. 72).

ამგვარად, ელინისტურ ხანაში, ზღვისპირა ქალაქებში შესამჩნევად იზრდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელობა. ისინი უკვე სრულუფლებიან მოქალაქეებად განიცდებოდნენ და ბერძნებთან ერთად თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ.

როგორც ცნობილია, ელინისტურ ეპოქაში კოლხეთი ახალ, განსხვავებულ საერთაშორისო ორბიტაში მოქმედა. შეიცვალა მისი შიდა პოლიტიკური ვითარებაც. ინტენსიური სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ელინისტურ სამყაროსთან შესამჩნევ კვალს ტოვებს კოლხეთის სამეფოს კულტურაზე. კოლხეთი ითვისებს და თავისებურად გადაამუშავებს ეპოქის უმთავრეს კულტურულ მონაპოვარს და თვითონაც აქტიურად მოქმედებს იმ პერიოდის კულტურულ სამყაროში.

მიუხედავად კოლხეთის გარესამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობისა, ძვ. ნ. VI-IV სს. მატერიალური კულტურა აქ ძირითადად ადგილობრივ იერსახეს ინარჩუნებს. მაგრამ უკვე ძვ. ნ. V ს. ბოლოდან ფართოდ ვრცელდება ბერძნული წარმოშობის ნანარმი, რაც ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობით არის ახსნილი (12. 74).

ელინისტურ ხანაში კოლხეთში ვრცელდება ბერძნული

ენა „კოინეა“ სწორედ ის უძლიერესი საშუალებაა, რომელმაც ხელი შეუწყო სხვადასხვა ხალხების, ცალკეული ცენტრების ურთიერთობასა და ერთმანეთთან დაახლოებას. გავრცელდა კოლხეთში აღმოსავლეთისათვის დამახასიათებული ძლიერი კულტურული ნაკადებიც.

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთი არ გაიაზრება, როგორც კლასიკური ელინისტური სახელმწიფო, იგი მაინც ძლიერად იყო მოქცეული ელინისტური კულტურის გავლენების ორბიტაში. ამიტომაც მის სულიერ ცხოვრებაში იასახა ის სიახლეები, ის ახალი ღირებულებები, რომლებიც ამ ეპოქის მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს.

ელინისტურ ხანაში კოლხეთის სულიერ კულტურაში ერთი თავისებურება იკვეთება, საკუთარი ქვეყნის მნიშვნელობის, ხალხის თავისთავადობის გააზრების ტენდენცია. მოჩანს სურვილი შეახსენოს ყველას, „თუ როგორი სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა (კოლხეთი), რასაც ადასტურებენ ის მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონისა და ფრიქსეს ლაშქრობებზე“ (Strabo, XI, 2. 18). ალბათ ამიტომაც, ელინისტური ხანის კოლხეთის მეფეები თავის თავს ლეგენდარული აიეტის ჩამომავლებად მიიჩნევენ (შდრ. 5. 193).

ისევე როგორც ზღვისპირა ქალაქები, თვითდამკვიდრების ტენდენცია უკვე ადრეელინისტური ხანის შიდა კოლხეთშიც შეინიშნება. იცვლება სკეპტურის შიგნით ჩამოყალიბებული გამდიდრებული და გაძლიერებული თეოკრატიული მმართველი ზედა ფენის თვითცნობიერება. იგი თვითდამკვიდრებას ცდილობს და ხაზს უსვამს თავის ადგილობრივ ნარმოშობას.

ყურადღებას იმსახურებს ვანში აღმოჩენილი, ძვ. ნ. IV ს. მესამე მეოთხედით დათარიღებული ოქროს საპეტდაცი – ბეჭედი, რომლის ფარაკზე პერძნული ასოებით ამოკვეთილია

მისი მფლობელის სახელი – დედატოსი.

მფლობელის სახელის გარდა, საბეჭდავზე გამოსახულის თრონისზე მჯდომი, კვართითა და ჰიმატიონით შემოსილი ქალი. მ. ინაძის აზრით, საბეჭდავზე გამოხატულია ადგილობრივი ნაყოფიერების ქალღვთაება რეალურად არსებული ქურუმი ქალის სახით, რაც უნდა აიხსნას დედატოსის ხელისუფლების მტიდრო კავშირით ნაყოფიერების კულტმსახურებასთან და უზენაეს ქურუმთან (5, 120-122). აქ ხაზგასმით არის აღსანიშნავი შემდეგი გარემოება. დედატოსი, როგორც კოლხეთის უმაღლესი თეოკრატიული წრის წარმომადგენელი, საბეჭდავზე თავისი სახელის გვერდით, საკუთარი კულტის წარმოჩინებით ხაზს უსვამს თავის კოლხობას, თავის ადგილობრივ წარმომავლობას და ამით, თვითდამკვიდრებას ცდილობს.

როგორც შენიშნულია, ელინიზმის ეპოქაში, ოლიმპოს ღმერთები კარგავენ თავის სიდიადეს, ნაკლებ ზეგავლენას ახდენენ ხალხზე, რის გამოც ამ პერიოდიდან განსაკუთრებით იწყებს გაძლიერებას აღმოსავლური კულტების როლი და მნიშვნელობა (19. 309). უნდა ვივარაუდოთ, რომ ელინისტურ ხანაში, როგორც დიდი სახელმწიფოები, ისე პატარა ქვეყნები, სწორედ თვითდამკვიდრებისა და თვითგამორკვევის გამო უპირისპირდებიან გარედან შემოსულ ბერძნულ რელიგიას და საკუთარი კულტების, საკუთარი რელიგიური პანთეონის დამკვიდრებასა და განდიდებას ცდილობენ. ამგვარი პროცესი, როგორც ჩანს, მიმდინარეობს კოლხეთშიც. აქ, სწორედ ელინისტურ ხანაში იკვეთება ადგილობრივი ღვთაებების ჯგუფი, რომელიც თანდათან კოლხური პანთეონის სათავეში ექცევა და სახელმწიფო რანგში ადის. იქმნება მამაკაცი ღვთაების იკონოგრაფია. მხედველობაში მაქვს, ვანში აღმოჩენილი, ოქროს სამკაულებით მორთული „რკინის კაცი“. იგი, როგორც ჩანს, ზეცისგამგებელი იყო და კოლხური პანთეონის უზენაეს ღვთაებას წარმოადგენდა.

მისი მფლობელის სახელი – დედატოსი.

მფლობელის სახელის გარდა, საბეჭდავზე გამოსახულია თრონოსზე მჯდომი, კვართითა და ჰიმატიონით შემოსილი ქალი. მ. ინაძის აზრით, საბეჭდავზე გამოხატულია ადგილობრივი ნაყოფიერების ქალღვთაება რეალურად არსებული ქურუმი ქალის სახით, რაც უნდა აიხსნას დედატოსის ხელისუფლების მჭიდრო კავშირით ნაყოფიერების კულტმსახურებასთან და უზენაეს ქურუმთან (5, 120-122). აქ ხაზგასმით არის აღსანიშნავი შემდეგი გარემოება. დედატოსი, როგორც კოლხეთის უმაღლესი თეოკრატიული წრის წარმომადგენელი, საბეჭდავზე თავისი სახელის გვერდით, საკუთარი კულტის წარმოჩინებით ხაზს უსვამს თავის კოლხობას, თავის ადგილობრივ წარმომავლობას და ამით, თვითდამკვიდრებას ცდილობს.

როგორც შენიშნულია, ელინიზმის ეპოქაში, ოლიმპოს ღმერთები კარგავენ თავის სიდიადეს, ნაკლებ ზეგავლენას ახდენენ ხალხზე, რის გამოც ამ პერიოდიდან განსაკუთრებით იწყებს გაძლიერებას აღმოსავლური კულტების როლი და მნიშვნელობა (19, 309). უნდა ვივარაუდოთ, რომ ელინისტურ ხანაში, როგორც დიდი სახელმწიფოები, ისე პატარა ქვეყნები, სწორედ თვითდამკვიდრებისა და თვითგამორკვევის გამო უპირისპირდებიან გარედან შემოსულ ბერძნულ რელიგიას და საკუთარი კულტების, საკუთარი რელიგიური პანთეონის დამკვიდრებასა და განდიდებას ცდილობენ. ამგვარი პროცესი, როგორც ჩანს, მიმდინარეობს კოლხეთშიც. აქ, სწორედ ელინისტურ ხანაში იკვეთება ადგილობრივი ღვთაებების ჯგუფი, რომელიც თანდათან კოლხური პანთეონის სათავეში ექცევა და სახელმწიფო რანგში ადის. იქმნება მამაკაცი ღვთაების იკონოგრაფია. მხედველობაში მაქვს, ვანში აღმოჩენილი, ოქროს სამკაულებით მორთული „რკინის კაცი“. იგი, როგორც ჩანს, ზეცისგამგებელი იყო და კოლხური პანთეონის უზენაეს ღვთაებას წარმოადგენდა.



მისი ღვთაებრივი წყვილი, კოლხების დიდი დედა, სწორი რედ ის ღვთაებაა, რომლის კულტი აქ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე იყო გავრცელებული. მას თაყვანს სცემდა არა მხოლოდ კოლხეთის არისტოკრატია, არამედ ხალხის ფართო მასებიც. ამ ღვთაების გამოსახულებანი, ან მისი ცალკეული ატრიბუტები, მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ძეგლებზეა დადასტურებული ვრცელი ისტორიული პერიოდის მანძილზე. ადრევე იკვეთება მისი იკონოგრაფია, იგი წარმოდგენილია მჯდომარედ, მეძუძური ბავშვით ხელში.

ამ ღვთაების გამოსახულება, ცალკეული სიმბოლო ან ატრიბუტი დადასტურებულია ვანში აღმოჩენილ არა ერთ საბეჭდავზე, ოქროს სამკაულზე (20. 84). აქვე დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ოქროს ფირფიტები, რომლებზეც ამ ღვთაების პირისახეა აღხეჭდილი.

ჯერ კიდევ ბ. კუფტინი გამოთქვამდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კოლხურ თეთრებზე (ტრიობილი) წარმოდგენილი ქალღვთაება კოლხური დიდი დედის გამოსახულება იყო (21. 253-254). იმასაც ვარაუდობენ, რომ სწორედ იგია ფაზისის დედა ღვთაება, წაყოფილების, მიწათმოქმედების, მდინარეთა და ქალაქთა მფარველი ქალღმერთი (22. 65). ეს, ალბათ სწორედ ის ქალღმერთია, რომლის ქანდაკების არსებობას ბერძენი ავტორებიც გვიდასტურებენ. ნიშანდობლივია, რომ ყოველი მათგანი მას ფაზისელთა ღმერთ-ქალს უწოდებს.

დიდი მნიშვნელობის ფაქტია ის, რომ ამ ღვთაების გამოსახულება დადასტურებულია ლისიმახეს სტატერების მიბაძვით დამზადებულ ადგილობრივი სტატერების ზოგიერთ სერიაზე. ამ ფაქტზე დაყრდნობით გ. ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა იმის შესახებ, რომ კოლხური პანთეონის ერთ-ერთი უმთავრესი წევრი – ქალღვთაება, სწორედ ელინისტურ ხანაში სახელმწიფოს ოფიციალური კულტის რანგში იქნა აყვანილი (23. 117).



რ. გორდეზიანი წერს, რომ ბერძნებისათვის, კოლხები
და კოლხები, უკვე ადრეული კლასივის ეპოქიდან მოყოლებუ-
ლი, ქართველური ტომების, როგორც გარკვეული ერთობის
აღმნიშვნელი ტერმინები იყო. ბერძნული წყაროების თანახ-
მად, საკმაოდ დიფერენცირებულ კოლხურ სამყაროს აერთია-
ნებდა რწმენა იმისა, რომ კოლხური ტომები ლეგენდარული
მეფის, აიეტის მემკვიდრეები იყვნენ. ანტიკურ ეპოქაში მოხდა
კოლხთა გენეტიკური გაერთიანების, საკუთარი ეთნიკური და
კულტურული სუვერენიტეტის ჩამოყალიბება. ამის საფუძ-
ველს ქმნიდა ხალხის ისტორიული მახსოვრობა, რწმენა სის-
ხლით ერთიანობის შესახებ. კოლხეთი თავის ისტორიულ მახ-
სოვრობაში ინახავდა აიეტ მეფისა და კოლხების იდენტურო-
ბის იდეას და თავის ისტორიაში ეს პერიოდი ყველაზე საამა-
ყოდ მიაჩნდა (24. 29-32).

არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სწორედ ელინისტურ
ხანაში იქმნება კოლხთა გენეალოგიური მითი. როგორც ვარა-
უდობენ, იგი კოლხეთშია შექმნილი და იქიდან არის გავრცე-
ლებული ბერძნულ სამყაროში (23, 113). ეს მნიშვნელოვანი და
მრავლისმეტყველი ფაქტი იმის დასტურია, რომ კოლხეთში
ელინიზმი არა მხოლოდ მატერიალურ კულტურას შეეხო, არა-
მედ ხალხის ცნობიერებაც მოიცვა, ახალი იდეები შემოიტანა
და კოლხების წინაშე ახალი პრობლემები დააყენა, რასაც, რო-
გორც ქვევით დავინახავთ, ქართლის ცხოვრების მონაცემე-
ბიც ადასტურებენ.

ამ მითის თანახმად, კოლხების ლვთაება ფაზისი ჰელიო-
სისა და ოკეანოს მშვენიერი ასულის, ოკუროის ვაჟიშვილია.
იგი კლავს საკუთარ დედას, და, გონებაშემლილი მდინარეში
გადაეშვება. ამის შემდეგ, მდინარეს ფაზისი შეერქვა, ხოლო
ფაზისის შვილი, სახელად კოლხი, კოლხების მამამთავრად,
მათ ეთნარხად გაიაზრება.

ამგვარად, კოლხების ეთნარხის დაბადება მითოსურ სა-



ბურველშია გახვეული. იგი ზეციური სამყაროს გამგებელი მიზანი მაკაცი ღვთაების და დედამიწის განმასახიერებელი ღვთაების შთამომავალია. იგია კოლხთა ზენინაპარი, ის ცივილიზატორი, რომელიც თავის ხალხს კულტურის მიღწევებს აცნობს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ პრინციპზეა აგებული საკუთრივ კოლხური რელიგიური პანთეონიც. 6. აბაკელიას აზრით, სწორედ დედამიწისა და ზეცის საკრალური კავშირის შედეგად იბადება კოლხთა ახალი ღვთაება, პირმშვენიერი ჭაბუკი. დღეს ის გაიაზრება, როგორც ვეგეტატიური ღვთაება, რომლის ანალოგიური სახეები ფართოდ იყო გავრცელებული ძველ სამყაროში (25. 12-14).

საინტერესოა აიეტთან დაკავშირებული და კოლხთა გენეალოგიური მითის ერთმანეთთან შედარება. აიეტი ჰელიოსისა და პერსეის შვილია. ჰელიოსმა თავის ორ ვაჟს, ალოვსსა და აიეტს თავისი სამფლობელოები გაუნანილა და აიეტს კოლხეთი არგუნა. კოლხების ეთნარხი კი შედარებით მოწყვეტილია ბერძნულ გარემოს და ადგილობრივი ღვთაების ფაზის უშუალო შთამომავლად არის გააზრებული.

ამ მითის შექმნა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კოლხების ცნობიერებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ისინი ბერძნული სამყაროს გავლენისაგან განთავისუფლებას ცდილობენ; ნინ წამოწეულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ კოლხები გენეტიკურად ერთიანი არიან, ვინაიდან მათ საერთო ღვთაებები და საერთო, საკუთრივ კოლხი ზენინაპარი ჰყავთ.

* მსგავსი ტენდენცია ელინისტურ სამყაროში სხვაგანაც შეინიშნება. კოლხურ ლეგენდასთან ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს შავიზღვისპირეთის სკვითების გენერალოგიური მითი, რომელიც ჰეროდოტესთან არის დაფიქსირებული. ამ მითის თანახმად, სკვითების მამამთავარი ტარგიტა ზეცის გამგებელი მამა ღვთაებისა და მდინარე ბორისფენას ასულის შვილია. დღეს იგი გაანიხილება, როგორც სამყაროს ბუნებრივი და სოციალური კოსმოსის შემქმნელი ღვთაება (26. 46-47).



ელინისტურ ხანაში კოლხეთის მატერიალურ კულტურა და მისი განვითარების მიზანი ელემენტები ჩანს, რასაც ქართლის სამეფოს გავლენის გაზრდისა და კოლხეთის აღმოსავლეთი და შიდა ნაწილების ქართიზაციის პროცესს უკავშირებენ (7. 27). და ბოლოს, ელინისტურ ხანაში, დასუსტებული და ზომაში შემცირებული ეს სამეფო იძერის შემადგენლობაში შედის (5. 193).

თუკი ფარნავაზის მიერ ქართლისა და კოლხეთის გაერთიანებას განვიხილავთ არა როგორც კოლხეთის მიმართ ქართლის ექსპანსიის შედეგს, არამედ როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის პირველ ცდას, ეს ფაქტი უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენად უნდა შეფასდეს. ფარნავაზი ის მეფეა, რომელიც ერთი სახელმწიფოს საზღვრებში აერთიანებს იძერიასა და კოლხეთს. „მეფე იქნა ყოველსა ქართლსა და ეგვიპტსა ზედა”, ნათქვამია ქართლის ცხოვრებაში. იგი თავისი ქვეყნის გაძლიერებისაკენ მიმართულ კარგად გააზრებულ პოლიტიკას ატარებს. ზრუნავს ქვეყნის ტერიტორიულ გაზრდაზე, ცდილობს მოაწესრიგოს ქვეყნის საშინაო ცხოვრებაც. იგი აშენებს ციხეებს და ზრუნავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე. ფარნავაზის მიერ გატარებული პოლიტიკა ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიის ერთიან ორგანულ სისტემად ჩამოყალიბებას ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივის ჩამოყალიბების გზაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ერთიანი სახელმწიფოსათვის ბრძოლაში ფარნავაზის მთავარ დასაყრდენ ძალას კოლხეთი წარმოადგენს. ფარნავაზი დახმარებას კოლხეთის ხელისუფალს, ქუჯის სთხოვს, „ან ინებო, რათა მით ხუასტაგითა მოვიდე შენ თანა, და ვიყვნეთ ჩვენ ძმა და ვიხმაროთ ჩვენ ხვასტაგი იგი ორთავე”... ცხადია, რომ ფარნავაზს ქუჯის განსაკუთრებული იმედი ჰქონდა და ამის განმსაზღვრელი ის იყო, რომ ეგრისი, მეგრელთა ეთნარქ-ეპონიმი, ძმა იყო აღმოსავლეთ ქართველთა მამამთავრის ქართლოსის და პოლიტიკური

თვალსაზრისით ორივე ქართლის სამეფოს თანასწორ ერთეულებს განასახიერებდა (27. 77).

ქვეყნის გაძლიერებისაკენ მიმართულ ღონისძიებებში, ამჟამად ჩვენს ყურადღებას ფარნავაზის რელიგიური რეფორმა იმსახურებს. ფარნავაზმა ქართლის სამეფოს ოფიციალური რელიგიური პანთეონის უზენაეს ღვთაებად არმაზი აღიარა, მისი კერპი აღმართა და აზოს მიერ არიან ქართლიდან წამოყვანილი კერპები გაცი და გა არმაზს დაუქვემდებარა. როგორც ჩანს, ეს იმითაც იყო გაპირობებული, რომ არმაზი ახალი ღვთაება იყო და ამდენად, ერთნაირად მისაღები უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანებული მთელი მოსახლეობისათვის. მნიშვნელოვანია, ქართულ საისტორიო წყაროებში არმაზი ქართულ ეროვნულ ღვთაებად გაიაზრებოდა. მისი თაყვანისცემა ნიშნავდა იმას, რომ „მიჰყოლოდი „სჯულსა მამათა ჩუენთასა“, რომ „მსახურობდე ღმერთა მჷყრობელთა ქართლისათა. ხოლო „ცეცხლის მსახურება“ – სპარსთა მიღება იყო და ქართული სჯულის შეცვლა“ (ქ.ც. I, 29).

სახელმწიფოში ქართული ენისა და ზოგადქართული, ყველასათვის საერთო ღვთაების დაფუძნებით, ფარნავაზმა საკუთარი თავიც განადიდა პიროვნულად: „შექმნა კერპი დიდი სახელისა ზედა თვასსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა...“ (ქ.ც. I, 25). მაგრამ, პირველ რიგში ეს იყო მთელი ერის დამკვიდრების ცდა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი მიმართული მის მიერ შექმნილი სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობის უფლების დაცვისაკენ. მაშინ ახალ უღერადობას მიიღებს ქართლის ცხოვრებაში მოყვანილი კარგად ცნობილი სიტყვები: „ამან (ფარნავაზმა) განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“... უნდა ვიფიქროთ, რომ ფარნავაზმა ფართოდ გაუხსნა



კარი ქართულ ენას, მთელ ქვეყანაში აამაღლა მისი მნიშვნელობა
ლობა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფარნავაზის მი-
ერ შექმნილ სახელმწიფოში საერთო ეროვნული, ქართული
ცნობიერების ჩამოყალიბებისა და ქვეყნის სულიერი ერთობი-
სათვის.

-დ. 1002 „ბა იუსტიციური მინისტრი მინისტრი იუსტიციური მინისტრი

„ბა იუსტიციური მინისტრი მინისტრი იუსტიციური მინისტრი

„ბა იუსტიციური მინისტრი მინისტრი იუსტიციური მინისტრი

1. О. Д. Лордкипанидзе, Наследие древней Грузии, Тб., 1989.
2. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო ტერი-
ტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთ-
ნო-კულტურული საფუძვლები, ანალები, საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის
უნივერსიტეტი, 2001, №1, „მემატიანე”.
3. მ. ინაძე, აღმ. შავიზლვისპირეთის ბერძნული კოლონი-
ზაცია, თბ., 1982.
4. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები,
VIII, თბ., 1975.
5. მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
6. მ. ინაძე, კოლხეთის სამეფოს სკეპტიურიათა საკითხისათ-
ვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XXVI, №6, 1961.
7. მ. ინაძე, კიდევ ერთხელ ეთნო-ტერიტორიული ერთეუ-
ლების შესახებ, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ.,
2002, „მემატიანე”.
8. ს. ჯანაშვია, ეგრისის სახელმწიფოს წარმოშობა, შრომე-
ბი, II, თბ., 1952.
9. ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი III, თბ., 1981.
10. О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тб., 1979.



11. გ. გამყრელიძე, ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ექსპერიმენტი, ებანი, თბ., „მეცნიერება”, 1993.
12. ნ. მათიაშვილი, კოლხეთის სამეფოს ისტორიისათვის, ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, თბ., 2001, დამატებანი IV.
13. თ. მიქელაძე, ქსენოფონტის ანაბაზისი, თბ., 1967.
14. თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხ. აღმ. შავიზლვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
15. ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.
16. Г. А. Кошеленко, Греческий полис на эллинистическом Востоке, М., 1979.
17. Аристотель, Политика, сочинения, т. IV, М., 1984.
18. გ. მელიქიშვილი, კოლხეთის სამეფო ძვ. ნ. VI-IV ს. სინ, I, თბ., 1970.
19. В. Тарн. Эллинистическая цивилизация, М., 1949.
20. ა. ჭუმნია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი, VI, თბ., 1981.
21. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, Тб., 1949.
22. თ. მიქელაძე, კოლხეთის ადრე რკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.
23. Г. А. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды, Тб., 1991.
24. რ. გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993.
25. Н. Абакелия, Миф и ритуал в зап. Грузии, Тб., 1991.
26. Д. С. Раевский, Очерки идеологии скифо-сакских племен, М., 1977.

27. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1975.

Manana Khidasheli

Self-Consciousness in the Kingdom of Colchis

The Kingdom of Colchis was formed in the 6th century BC. It was divided into skeptuchies, ethno-territorial units. Skeptuchies represented major political, economic and religious centres. This weakened the royal power which failed in the spiritual unification.

The relationship of Colchian littoral towns with various cultural centres, coexistence with the Greek ethnos altered the mentality of local citizens waxed rich. They tried to gain access to "the supreme welfare", associated by the Greeks only with the Hellenes. In the Hellenistic period they had great success, they were full-fledged citizens enjoying equal rights with Greeks.

Colchis of the period was in the sphere of influence of Hellenistic culture. Hellenism affected not only material culture in Colchis but also the consciousness of the Colchians, introducing new ideas and posing new problems and requirements.

It is not accidental that a common Colchian pantheon was formed in the Hellenistic period, and some deities were raised to the state rank. The Colchian genealogical myth was also created in the local environment, which suggests that fundamental changes were taking place in the consciousness of Colchians. Thus the view that the inhabitants of this region are of a single stock is confirmed, as they are descended from a common progenitor and have common deities.



The unification of Ibtria and Cochis into one state in the Hellenistic period should be regarded as the first attempt to form a single Georgian state. The spread of a common cult and the Georgian language over the entire territory of this state favoured considerably the development of a national, common Georgian consciousness.

YISLAM KUBASSEVI

Self-Consciousness in the Kingdom of Colchis. Tbilisi, 1987.

Self-Consciousness in the Kingdom of Colchis. Tbilisi, 1987.

The Kingdom of Colchis was founded in the 6th century BC if we divide into epochs, the pre-national, ethnic, religious, economic, cultural, political, economic and religious. This was the result of the royal power which reigned in the Southern Caucasus. The leadership of Colchis towards with Asian culture, coexisting with the Greek culture since the beginning of the 10th century, caused the mixing of the two cultures to take place. The association by the Greeks only with the Hellenes in the Hellenistic period, being the first great success, very well until the end of its existence.

The leadership of Colchis towards with Asian culture, coexisting with the Greek culture since the beginning of the 10th century, caused the mixing of the two cultures to take place. The association by the Greeks only with the Hellenes in the Hellenistic period, being the first great success, very well until the end of its existence.

Colchis of the period was in the sphere of influence of the Hellenes. The Hellenic settlement not only material outline in Colchis but also the consciousness of the Colchians, introducing new ideas and new peoples and civilizations.

It is not surprising that a common Colchian kingdom was not formed in the Hellenistic period, and some difficulties were faced to the same. The Colchian Geocentric model was also created in this period. The concept of a single state of the Colchians, that is, the union of the various parts of the country, was the most important factor in the formation of the Colchian state.

Thus, the consciousness of Colchians, that is, the union of the different parts of this region into a single state is confirmed, as well as the second point - a common language and basic common beliefs.

რეცენზიები

Рецензии

Reviews

Reviews



ირინე ტატიშვილის ნაშრომი „ხეთური რელიგია” საყურადღებო მოვლენაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, „მიუხედავად ურიცხვი ნაშრომისა, სადაც ხეთური რელიგიის ცალკეული საკითხია განხილული, ხეთური რელიგიის მონოგრაფიული გამოკვლევა თითებზე ჩამოსათვლელია” (გვ. 9). ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ინტერესს ნარმოდგენილი ნაშრომისადმი. წინასწარვე შეიძლება თქმულიყო, რომ თვით საკითხის სირთულე, მისი სპეციფიკურობა მოითხოვს ავტორისაგან სათანადო შესაძლებლობასა და კვალიფიკაციას, რათა ნაშრომს დაეკავებინა ლირსეული ადგილი თავისი პროფილის შესაბამისად, რომელსაც არა ერთი და ორი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის გვარი ამშვენებს. ჩემი აზრით, მან შეძლო ამ სერიოზული მიზნის მიღწევა. გამომდინარე ჩემი სამეცნიერო ინტერესებიდან, მე თავს ავარიდებ ნაშრომის შეფასებას ხეთოლოგიის საერთო პოზიციებიდან და შევეცდები მოსაზრებები ჩამოვაყალიბო ძირითადად მის მნიშვნელობაზე ქართველთა რელიგიის, მითოსისა და საერთოდ კულტურის ისტორიის კვლევისათვის, მით უფრო რომ ამ მიმართულებით მსჯელობისათვის ნაშრომში ფართო ასპარეზია გადაშლილი.

ი. ტატიშვილი თავადვე აღნიშნავს ქართული მეცნიერების განსაკუთრებულ ინტერესს ხეთური სამყაროს მიმართ; ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართულმა კულტურამ, როგორც შესაძლო ნათესავმა და მემკვიდრემ ხეთებისა, იმთავითვე მიიქცია მსოფლიო მეცნიერების ყურადღება. დღეს, როცა მეცნიერებამ გაცილებით მეტი იცის ანატოლიის უძველესი ისტორიის შესახებ, პრობლემის პალიტრა უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება. სიამოვნებით მინდა გავიხსენო ავტორის ლაკონური ფრაზა კულტურულ ურთი-

ერთობათა შესაძლო ფორმების თაობაზე, როცა იგი აღნიშვნა
ნავს, რომ ნათესავები თუ არა, მეზობლები ხომ მაინც ვიყავი-
თო. ჭეშმარიტად, დღეს, როცა ხეთური სამყარო წარსდგა
მსოფლიოს წინაშე თავისი ინდივიდუალობით, გასაგები ხდე-
ბა, რომ იგი ძველ აღმოსავლეთში შეადგენდა სპეციფიკურ
სივრცეს ცხოვრების წესით, სოციალური სტრუქტურით,
მმართველობის ფორმებით და სარწმუნოებით, რაც გარკვეუ-
ლად აისახა კავკასიის ხალხთა, კერძოდ ქართველთა კულტუ-
რაზე. სარეცენზიონ ნაშრომის მინიშვნელობა ამ თვალსაზრი-
სით განსაკუთრებულია, რადგან გვაძლევს რა ხეთური რელი-
გიის ვრცელ ისტორიულ პანორამას, შესაძლებლობას ქმნის
ამ ფონზე ქართული კულტურის კვლევისათვის. უპირველეს
ყოვლისა ყურადღებას იყყრობს ი. ტატიშვილის მსჯელობის
ლაკონური, მყაფიო ფორმა, ყოველგვარი სიტყვიერი სამკაუ-
ლის გარეშე. იგი ახერხებს მაქსიმალურად გასაგებად გად-
მოსცეს რთული სპეციფიკური ვითარება, როგორიც გახლავთ
ხეთური რელიგიური სამყარო, რაც ხელს უწყობს და ეხმარე-
ბა მკითხველს.

როგორც კი გადავდივართ ნაშრომის ძირითად ნაწილ-
ზე, მაშინვე თვალსაჩინო ხდება ავტორის ამოცანის განსა-
კუთრებული სირთულე. მაგალითად, ხეთური რიტუალები,
თავისი მრავალრიცხოვნებითა და ნაირსახეობით, ცხადია,
ასევე მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან ღვთაებათა სამ-
ყაროსთან ურთიერთობის ანარეკლია, მაგრამ მოქმედებს რა-
იმე განსაკუთრებული, სოციალური თუ სხვა სახის მარკერ-
ბის გარეშე. ამიტომ ავტორს უხდება მათი კლასიფიცირება
ერთგვარად მექანიკური პრინციპით, როცა გამოყოფს რიტუ-
ალთაგან 1. ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებთან დაკავში-
რებულ, 2. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესასრულებელ და
3. რეგულარულად შესასრულებელ ჯგუფებს. კაცმა რომ
თქვას, ჩამოყალიბებული რელიგიური სისტემისათვის ძირი-
თადი უნდა იყოს მესამე, რეგულარული, კალენდარულად შე-

სასრულებელი რიტუალები. ისინი მეტ-ნაკლებად უნდა აკმადგენი ყოფილებებს პირველი ორი პუნქტის აუცილებლობასაც, მაგრამ ასე არ ხდება: ესაა ხეთების რელიგიის სპეციფიკა. იგი არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი სისტემის სახით და ამიტომ მასში ანგარიშგასანევ ადგილს იკავებს კერძო გამოვლინებები, რომლებიც, ინტერესთა სივიწროვის შესაბამისად, სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა მცირე მაგის დონეზე შესრულებულიყო, მაგრამ ცალკეულ რიტუალთა განსაკუთრებული, სპეციფიკური მნიშვნელობის გამო ასე არ ხდება. ყველა ეს რიტუალი საინტერესო მასალას გვაძლევს მათი ამოქმედების მექანიზმის ამოსაცნობად. რეგულარული დღესასწაული მთლიანად იმავ მექანიზმს ემყარება, რასაც დანარჩენი, ოღონდაც რაკილა იგი პერიოდულად მეორდება, მას სტაბილური, მარად მოქმედი გამომწვევი მიზეზები აღძრავენ, ისეთი, როგორიცაა ბუნების და კოსმოსის ობიექტები და მოვლენები. ოღონდ რიტუალი მათ მასშტაბური სოციალური მიზეზობრივობით ტვირთავს. ამიტომ იგი თავისი ოპტიმალური ფორმით მეფისა და დედოფლის მიერ აღესრულება და ემსახურება საერთო კოლექტივის აღორძინების იდეას, რაც საკულტო პრაქტიკაში მეფისა და დედოფლის რეგენერაციული შესაძლებლობებით არის წარმოდგენილი. ჩემი აზრით, მეფის ასეთი პოზიცია, როცა ხეთების სახელმწიფოში იგი თავისი გაღვთაებრივების ხარისხით ვერ უტოლდება შუამდინარეთისა და მით უფრო ეგვიპტის შესაბამისობებს, საინტერესოდ ასახავს მეფის ხელისუფლების ფორმირების სოციო-კულტურული მნიშვნელობის გარკვეულ ეტაპს. იგივე ვითარება შეიძლება მოვიძიოთ ქართულ კულტურაშიც, ასევე ჩრდილო-გერმანულ მითოსში, სადაც ისინი უფრო „რჩეულებს“ განასახიერებდნენ, ვიდრე ბაბილონურ ან ეგვიპტურ მონარქებს. ამგვარ მეთაურთა პირველადი ნიშან-თვისებები საკმაოდ კარგად არის გადმოცემული ქართული ტერმინით „ხელმწიფე“. ტერმინი ხვავიან, ნაყოფიან ხელს აღნიშნავს და ხელისუფლის

საკრალურ ფუნქციაზე მიგვითითებს, სადაც აქცენტი უმთავრესად ნაყოფიერებაზეა დასმული. რა თქმა უნდა, ამ ფონზე განსაკუთრებით საყურადღებოა „პურის გატეხვის“ ცერემონიალი, როცა მეფე „სქელ პურს“ ტეხს. აქ მისი ფუნქცია როგორც ნაყოფიერების და ბედის მატარებელი ძალისა, ასევე ღვთაებასთან შუამავლისა, გამოხატულია მატერიალური კეთილდღეობის შედეგობრივი, ჯამური პროდუქციის, „სქელი პურის“ ამოქმედებით რიტუალში, რაც პრაქტიკული კეთილდღეობის სიმბოლოა და ერთგვარ ფუნქციურ ანგარიშებას წარმოადგენს ღვთაებრივი ძალის წინაშე, რომელსაც უნდა მისცე წილი იმისაგან, რაც მან თავად მოგცა. აღსანიშნავია, რომ „პურის გატეხვა“, როგორც რიტუალური ელემენტი, იმდენად უნივერსალური ბუნების გამოდგა, რომ მან თავი შეინახა სხვადასხვა კულტურებსა და რელიგიებში, თუნდაც განსხვავებული ინტერპრეტაციით. ქართველებისათვის უძველესი საკრალური აქცია „პურის გატეხვისა“ დღესაც „საკრას“ სფეროშია მოქცეული და აღნიშნავს ქართველთა ამ აქციასთან უძველესი სარწმუნოებრივი ზიარების ფაქტს. ცხადია, ეს იმ ისტორიული სამყაროდან მომდინარეობს, სადაც შეიძლებოდა აღმოცენებულიყო „პურის გატეხვის“, როგორც ღვთაების წყალობის მატერიალური გამოსახვის ცერემონიალი. ხათურ და ხეთურ რიტუალებში მოხდა ამ აქტის საწესო და სოციალური რაფინირება, ხოლო მისი საწყისი ფორმები სამიწათმოქმედო კულტურების გენეზისშია საძიებელი.

ი. ტატიშვილი ანალოგიური პრობლემის წინაშე დგება მითოსის შესწავლის დროსაც. მითოსის ადგილობრივი ვერსიები, შემორჩენილი ლუვიურ, ხათურ, ფალაურ, ხეთურ ენებზე, კვლევისათვის ძნელად დასამორჩილებელ მასალას იძლევა, თუნდაც იმიტომ, რომ ნაკლებ ეტყობა უნიფიკაციის კვალი. დისერტაციის გამოყოფს მითოსური სიუჟეტის ორ ჯგუფს: 1. გამქრალი ღვთაების შესახებ და 2. გველეშაპთან ამინდის ღვთაების ბრძოლის შესახებ, თუმცა გზადაგზა არც სხვა გად-

მოცემებს ივიწყებს, როგორიცაა, მაგალითად, თქმულება ცი-
დან მთვარის ჩამოვარდნის შესახებ.

პირველი ჯგუფის მასალა მთელს მსოფლიოშია ცნობი-
ლი თელეფინუს მითოსის სახელით და მასზე მნიშვნელოვანი
სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. განსაკუთრებით საყუ-
რადღებოა ეს სიუჟეტი ქართული წინაქრისტიანული წარმოდ-
გენების თვალსაზრისითაც, რამდენადაც ლვთაების გაქრობა-
დაკარგვის მითოსი ქართველთა წინაპრების რელიგიის ძირი-
თად, ფუძემდებლურ იდეას წარმოადგენს და ამდენად კულ-
ტურული მარკერის მნიშვნელობასაც იძენს. საკმარისია გა-
ვიხსენოთ მიმართვები ლვთაებისადმი: „ქაჯავეთს რას იარე-
ბი”, ან „ადრეკილაა წაგვივიდა და მოგვივიდა” და სხვა მრავა-
ლი, რომელთაც პრაქტიკულად ხორცს ასხამს სიტყვა „მოსა-
ვალი”. აქ „მოდის” ვიღაცა და მოაქვს რაღაც, „მომსვლელია”
ლვთაება, რომლის გამოცხადების საუკეთესო გამოვლინებად
წლის მოსავალია მიჩნეული. ლვთაების „წასვლა” ძველაღმო-
სავლურ და ელინისტური ხანის მითოსურ წარმოდგენებში წა-
რიფერი ინტერპრეტაციით არის ცნობილი, რისი დახასიათე-
ბაც შეიძლება პლუტარქეს სიტყვებით: „...ფრიგიელები
თვლიან, რომ ზამთრობით ღმერთს სძინავს, ხოლო ზაფხუ-
ლობით ილვიძებს და ბახუსური მსახურებით ხან აძინებენ და
ხან აღვიძებენ მას; პაფლაგონიელები კი ამტკიცებენ, რომ
ზამთრობით ღმერთი გაკოჭილი და დაწყევლილია, ზაფხულო-
ბით კი ტანს შეიძერტყავს და თავისუფლდება (ისისი და ოსი-
რისი, 69). ამ საკითხთან დაკავშირებით მე სიამოვნებით მოვი-
გონებ ან განსვენებული აკად. გ. მელიქიშვილის ერთ-ერთ გა-
მოსვლას, როცა მან განაცხადა, რომ ხეთების სახელმწიფოს
ისტორიის ასპარეზიდან გაქრობის შემდეგ ამ რეგიონში ათა-
სი წლის შემდეგაც ცხოვრობდა და ინახავდა უძველეს ტრადი-
ციებს იგივე ხალხით, ვფიქრობ, რომ ხეთური თელეფინუს მი-
თოსური სიუჟეტის ვარიანტები და მათი შესაბამისი რიტუა-
ლური ქმედებანი მცირე აზისა და მის მიმდებარე კავკასიის

ხალხთა კულტურაში განპირობებული უნდა იყოს შორეული ნარსულში აქტიური კულტურული ოიკემენის არსებობით, სადაც სხვებთან ერთად ჩვენი წინაპრებიც იგულისხმებიან. განსახილველი ნაშრომი ამ მოსაზრებას, რომელიც ერთ-ერთი ძირითადია თანამედროვე მეცნიერებისათვის, განსაკუთრებულ დამაჯერებლობას მატებს.

ასევე დიდ ინტერესს იწვევს ირინე ტატიშვილის მიერ დამოუკიდებელ წრედ გამოყოფილი ვერსიები ამინდის ლვთა-ებისა და მსოფლიო გველის ბრძოლისა. ამინდის ლვთაება, რომელიც მზის ქალღვთაების მამრობითი მეწყვილეა და სხვა-დასხვა იპოსტასური ფორმებით მრავალრიცხოვან ადგილობ-რივ პანთეონთა სათავეში დგას, მომდევნო საუკუნეებშიც ინარჩუნებს თავის მითოსურ აქტუალობას. ხეთურ მითოსში აღნერილია მსოფლიო გველთან ბრძოლისას ლვთაების სას-ტიკი დამარცხება, როცა იგი კარგავს თვალებსა და გულს, ე. ი. ვარდება ბნელში და ხდება უგრძნობი, ანუ ვერ ასრულებს თავის ფუნქციას – ვერ მართავს ამინდს. ამ სიუჟეტს გააჩნია პარალელური ვერსია, სადაც ნერიქის ამინდის ლვთაება ორ-მოში ვარდება, ე. ი. სინათლესთან კონტაქტს კარგავს. ეს მო-მენტი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მოცემული გვა-ქვს ორი ეკვივალენტური პოზიცია, რომელთა მიზანია ერთი მოვლენის, ლვთაების დროებითი პასიურობის სიმბოლიზაცია. ესაა ტიპიური მომენტი მითოსისათვის, როცა მისთვის მთავა-რია მოვლენის აღნერა და არა აქვს მნიშვნელობა მეთოდს. ამ შემთხვევაში ამინდის ლვთაება ბრმავდება, მაგრამ არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თვალებს გველი წაართმევს, თუ ორმოში ჩავარდება. გველი, ანუ ვეშაპი, თანაც ფერად შა-ვი, მას შემდეგ, რაც ამირანი შავსა და წითელს გაანადგუ-რებს, ამირანსაც ამარცხებს, ჩაყლაპავს, მაგრამ ქართული ეპოსის გმირი უფრო მარტივად გამოდის ვეშაპის, ანუ სიკ-ვდილის საუფლოს წიაღიდან: იგი ხმლით ვეშაპის გვერდს გაჭრის და სამზეოზე გამოდის. გამოსულს ყველა ნიშანი აქვს



მკვდრისა: მას თმა-წვერი აქვს დაცვენილი, რადგან ქართული მითოსი სულეთის ბინადარს, მსგავსად შუმერულისა, შემ-ვლად და უთმოდ თვლის: მითოსი ისევე პირობითად აღწერს გმირის გათავისუფლებას, როგორც ხეთური. მსგავსი, განმე-ორადობით აღბეჭდილი ვითარება იქმნება ამირანის თავის აშვების მცდელობისას: ერთ შემთხვევაში ყურშას მიერ ლოკ-ვით გათხელებულ ჯაჭვს ალადგენს ვნების კვირის ხუთშა-ბათს და მჭედლების მიერ გრდემლზე დაკრული კვერი, მეორე შემთხვევაში პალოზე, რომელზეც იგია მიბმული, ჯდება ბო-ლოქანქალა, რომელსაც ამირანი კვერს ურტყამს, ჩიტი მიფ-რინავს, ხოლო ნაადრევად ამოძრობილი პალო თავის ადგი-ლას ბრუნდება. სურათი პრაქტიკულად აბსურდულია, მაგრამ მიზანს აღწევს: გმირი ხელმეორედ ებმება და კიდევ ერთ რგოლს მატებს განმეორადობის უწყვეტ ჯაჭვს. ნერიქის ღვთაების ორმოში ჩასვლის გამო ლაბარნა და თავანანა (მე-ფე-დედოფალი) კარგავენ გამრავლებას, სიცოცხლესა და დღეგრძელობას, რაც იგივე დაბრმავების, ტყვედქმნის, სოცი-ალური ველიდან გასვლის ეკვივალენტური მითოსური ღირე-ბულებებია. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მითოსური სი-უჟეტი აშკარად ამუღავნებს ზღაპრად ქცევის ტენდენციებს, დაკარგული აქვს განმეორადობა (ციკლურობა) და ერთჯერა-დი თხრობითი არაკის შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი მაინც აშ-კარად კანონიკურ ტექსტად უნდა ჩაითვალოს, რადგან მოქ-მედებაში შემოდის როგორც ქურუმის ნაამბობი, დასამახსოვ-რებელ-დასასწავლი ტექსტი, რასაც ქართულში „ანდრეზი“ შეესაბამება.

გველის ამიერ ამინდის ღვთაებისათვის ორი თვალის მოტაცება ეტიოლოგიურად ადვილი განსამარტავია და ცხა-დია, მზისა და მთვარის პერიოდულ დაბნელებას გულის-ხმობს, რაც ყოფაშიაც არის დადასტურებული და ლიტერა-ტურაშიაც (რუსთაველი). თუ ამ ეპიზოდს და მასთან ერთად სხვებსაც, კერძოდ გველის დათრობას, მის დამარცხებას და

თვალებისა და გულის დაბრუნების ეპიზოდებს კ. ლევი-ს-
ტროსის მითემების შესაბამისობებად ანუ დამოუკიდებელ მი-
თოსურ კვანძებად განვიხილავთ, მაშინ ადვილად შესამჩნე-
ვია, რომ ისინი ხშირად გადაადგილდებიან და მეორდებიან,
თუმცა ეპიზოდის სტრუქტურული მთლიანობა არ ირღვევა.
განსაკუთრებით შესამჩნევია ეს მომენტი პოლიფემოსის სიუ-
შეტში, სადაც თავს იყრიან ორმო (დახურული გამოქვაბული),
თორობა, დაბრმავება კანიბალობასთან ერთად, როგორც არა-
კულტურის, ანუ ციკლის მკვდარი სექტორის მარკერები. სა-
ინტერესოა, რომ ქართველთა წარმოდგენით, გლოვა იგივე
ბნელში ჯდომაა, იგი გზაა, რომელიც ტანჯულმა ღვთაებამ
გაიარა. ტარიელის სიტყვები, „მე წელინდამდის ბნელსა ვჯე,
საწუთო გაცუდებული”. „ტყება” ფარსმან ქველის გამო, ან
ვახუშტის მიერ აღნერილი, ქართველებში გავრცელებული
გლოვის ფორმები, სადაც ბნელში ჯდომა ერთ-ერთი უმთავ-
რესი კომპონენტია, ასევე ტირილის ენთუზიასტური ფორმე-
ბი, ჭრილობების მიყენება საკუთარი თავისათვის, სიშიშვლე
და ა. შ. იმეორებს ფაბუკი ღვთაების დატირების ძველაღმო-
სავლურ მოტივებს, რომელთა მიხედვით ხდებოდა დატირების
ფორმების შემუშავება ყოფაში. ხალხური ქორნილი და დატი-
რება წარმართული იდეოლოგიის, მათ შორის ქართველთა წი-
ნაქრისტიანული სარწმუნოების აღფასა და ომეგას შეადგენ-
და და მისი ელემენტები ცხადად არის გამოვლენილი სარე-
ცენზიონ ნაშრომში.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამინდის
ხეთური ღვთაების ბუნებას და მას შუამდინარულ ანალოგი-
ებს, ქარიშხლის შუმერულ ღვთაებას, იშქურსა და სემიტურ
ადადს ადარებს, რომელთა ბუნება ძირითადად დამანგრევე-
ლი ძალითაა გამოხატული. მათგან განსხვავებით ხეთური
ღვთაება ამინდისა ძირითადად მიწის ნაყოფთა გამომზრდელი
ღვთაებაა, რაც სავსებით ბუნებრივია რეგიონისათვის, სადაც
მიწის დარწყულება უპირატესად ნალექებზეა დამყარებული,

განსხვავებით შუამდინარეთისა და ეგვიპტისაგან, სადაც ეს
ფუნქცია საირიგაციო სისტემასა და მდინარის რეგულარულ
ადიდებას აკისრია. ამიტომ სავსებით მართებულად მეჩვენება
ი. ტატიშვილის მოსაზრება ხეთების ამინდის ღვთაების ტიპო-
ლოგიური განსაკუთრებულობის შესახებ. შეიძლება ითქვას,
რომ ქართველთა პანთეონის მეთაური წყვილი, არმაზი და ზა-
დენი, რომლებიც წყაროებში დახასიათებულნი არიან რო-
გორც „ღმერთი დიდნი, სოფლისა მპყრობელნი, მზისა მომ-
ფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქუეყანისა ნაშობთა გამომ-
ზრდელნი”, ამ ნიშნით ისინი სწორედ ამინდის ხეთური ღვთაე-
ბის ტიპს უფრო ეხმაურებიან. საერთოდ, ალბათ, ამ ტიპის
ღვთაებათა აღმოცენება ანატოლიასა და კავკასიას უნდა და-
უკავშირდეს, რადგან მათი შესაძლებლობები სწორედ ამ რე-
გიონთა კლიმატური პოტენციის შესაბამისად არის გამართუ-
ლი. ქართველთა ღვთაება ამინდისა, ავდრისას პირქუში, მო-
ლუმული, თვალებბრიალა, რომელსაც თავისი ჯუფთი ქალღვ-
თაებაც გააჩნია, თვით ქრისტიანობის ხანაში უკანასკნელ
დრომდე შემორჩა ყოფას. ქართველებს სალოცავები, ისევე,
როგორც ხეთებს, მთის წევრებზე ეგულებათ და ისინი კოსმო-
სის რომელიმე სარტყელს კი არ განაგებენ, არამედ მოგზაუ-
რობენ სხვადასხვა სკნელებში. ეს მათი პრეროგატივაა. ამ სა-
კითხს არმაზული ტრიადის სახით (გაცი, გაიმი, არმაზი), ყუ-
რადლება მიაქცია ბატონმა გრ. გიორგაძემ და სწორედ ხეთურ
ანალოგიურ ძეგლებს დაუკავშირა ისინი.

ამინდის ღვთაებისა და გველეშაპის ბრძოლის მითოსში
ჩართულია დამოუკიდებელი სიუჟეტი მოკვდავი ხუფასიასა
და ქალღვთაება ინარას ურთიერთობის შესახებ. ხუფასია
ქალღმერთის რჩეულია, იგი ეხმარება გველეშაპის შებოჭვაში
ინარას, რომელმაც გველეშაპი წინასწარ დაათრო. ამინდის
ღვთაება შებოჭილ გველს კლავს. ხუფასია ჯილდოდ ინარას
სიყვარულს იღებს, ტოვებს თავის ოჯახს, სახლ-კარს და მის-
თვის ინარას მიერ აშენებულ სახლში ცხოვრობს, მაგრამ უფ-

ლება არა აქვს ფანჯრიდან გაიხედოს, რათა არ დაინახოს თა-
ვისი, უკვე მონატრებული ცოლ-შვილი. ხუფასია არღვევულაკუ-
რძალვას, ითხოვს სახლში დაბრუნებას, რის გამოც ქალღვთა-
ება მას კლავს. ტექსტის დაზიანებული ნაწილის აღდგენისას
ასეთი სურათი იხატება: ქალღვთაებამ ხუფასია ჩხუბში მოკ-
ლა, ხოლო ამინდის ღვთაებამ მის საფლავზე, თუ მკვლელო-
ბის ადგილას, სარეველა დათესა. ამ კაცმა ცუდი აღსასრული
ჰპოვაო, დასძენს ტექსტი. სიუჟეტი ქალღვთაების რჩეულის
(მონადირის – ი. ს.) დაღუპვის შესახებ ფართოდ არის გავრ-
ცელებული. აღსანიშნავია ამ სიუჟეტის ქართული ვერსიებიც,
რომელიც, როგორც ჩანს, დამლილია და სხვადასხვა ბალადე-
ბად არის დანანევრებული, რომელთაგან ერთი ვეფხისა (პან-
ტერისა) და მოყმის ბრძოლის სახით არის შემორჩენილი. ცნო-
ბილია, რომ უძველეს, ადრესამინათმოქმედო კულტურებში
ლეოპარდი ნაყოფიერების დედის ცხოველი და მისი იპოსტასი
იყო ხუფასიას მოკვლა ჩხუბში ინარას მიერ ამ ვერსიის შესაძ-
ლო ანალოგიას ნარმოადგენს, რასაც სხვა ხალხთა მითოსი
უმაგრებს მხარს. შეიძლება გავიხსენოთ საკუთარი ძაღლების
მიერ დაგლეჯილი, შიშველი ქალღვთაების უნებლიერ მხილ-
ველი აქტეონი, ვეფხვისტყავიანი მენადების მიერ დაგლეჯი-
ლი ორფეოსი და ა. შ. შესაძლოა ვეფხვის სახის ქალღვთაება,
ან მისი იპოსტასი ვეფხვი, მოგვიანებით შუმერული კულტე-
ბის გამარჯვების შემდეგ, ამ უკანასკნელის ასულებად (შეა-
დარე კავკასიური ნადირთა პატრონის ასულები – ი. ს.), ან
მხლებელ ქალებად იქცნენ, რომელთაც ძველი ბუნების მომა-
ვონებელ ნიშნად ორგიასტული გააფორება და ვეფხის ტყავი
შემორჩათ (მენადა – ი. ს.). ყოველ მსგავს შემთხვევაში ორგი-
ასტული მკვლელობის მითოსური ეპიზოდები შესაძლოა და-
ვაგშირებული იყოს ნაყოფიერების ძველი ღვთაებისა და მისი
რჩეულის მოკვდინების არქაულ სიუჟეტთან. ასევე საინტერე-
სოა ინარასთან „ჩხუბის“ დროს მოკლული ხუფასიას ბედი
სიკვდილის შემდგომ: მან ცუდად დაამთავრა, როგორც ტექს-



ტი ამბობს, რადგან იგი ქალღვთაებასთან ჩხუბისას მოკლული იქნა და მისი მოკლის (თუ საფლავის) ადგილას ამინდის ღვთაებამ სარეველა დათესა, ე. ი. მისი საფლავი შეგნებულად დაკარგეს, რაც ნიშნავს, რომ საფლავთან რიტუალი ვეღარ შესრულდება და ხუფასიას სულეთში უპატრონო და მიუსაფარი მკვდრის მწარე ხვედრი მიეგო. სიბრალული უსაფლავო მკვდრისადმი უღერს რუსთაველის სიტყვებშიაც ავთანდილი მიერ მოკლული ფატმანის საყვარლის გაქრობის ეპიზოდში: „...ზღვისაკენ სარკმლით გასტყორცა, ზღვისა ქვიშისა გორია, მისთვის არცაღა სამარე, არცა სათხრელად ბარია”. როგორც ჩანს, ასეთი წარმოდგენები შორეულ წარსულშია წარმოქმნილი და გარდასახული ფორმით დღემდე იგრძნობა მათი ინერცია.

მეორე ტრადიციული მომენტი, რაც ყურადღებას იქცევს, არის მთავარი თხრობითი ხაზის სხვადასხვა სიუჟეტებით შევსების წესი, რისი თვალსაჩინო მაგალითია გილგამეშის ეპოსში წარლვის სიუჟეტის შეტანაც. ამ მეთოდს შუა საუკუნეებში იყენებდნენ ისეთი ლიტერატურული კონსტრუქციების ასაგებად, როგორიცაა „თუთი ნამე”, „ათას ერთი ღამე” და სხვა. მათი გამოძახილი დასავლეთ ევროპის ლიტერატურაშიც არის ცნობილი.

ქართულ ყოფაში დაცული რწმენა-წარმოდგენების თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს მთა ცალიანუს კულტი, რომელიც საკმაოდ აქტიური ჩანს და ამინდის რეგულირების უნარით არის აღშეჭდილი. ამ ნიშნით, როგორც თითქმის ზუსტად ანალოგიური მოვლენა, ალბათ ღირს გავიხსენოთ თ. სახოკიას მიერ სამურზაყანოში აღწერილი მთის გაღვთაებრივების ფაქტები: მთა განაგებს ამინდს, ითხოვს მკაცრად და თანმიმდევრულად სამსახურს მწყემსებისაგან, ითვლება მიქამგარიოს (მთავარანგელოზის) განსახიერებად, ან ამ ღვთაების სადგომად. მთის ასეთი გაღვთაებრივება საქართველოსა და კავკასიაში ფართოდ არის გავრცელებული. ი. ტატიშვილი საგანგებო ყურადღებას აქცევს ხეთების

რელიგიისათვის უკვე დამახასიათებელ ცოდვის ცნებას, რის განაც მომდინარეობს ვედრება და, რაც მთავარია, მონანიერა. აქ უკვე საწესო დონეზეა აყვანილი პიროვნებისათვის აუცილებელ ეთიკურ ნორმათა ერთობლიობა, რაც ინდივიდის, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის ფორმით მუღავნდება. პროცესის საკრალიზაცია ქმნის ზნეობრივ ნორმათა ღვთაებრივი ყურადღების ქვეშ მოქცევისა და ამ ნორმათა განუხრელი შესრულების გარანტიას. წმინდა კულტურული ანალოგის თვალსაზრისით ასევე ძალიან საინტერესოა ღვთაებათა გამოხმობის წესი, მათთვის საჭიროებისას მიმართვა დახმარებისათვის. ქართველი მთიელებისათვის დამახასიათებელია ვედრებაც და მოხმობა, რასაც ისინი „შეძახებას“ უწოდებენ, შედარებით ნაკლებ არის გამოკვეთილი მონანიება. დისერტანტმა ლოცვათა ფორმების ანალიზისას, გამოყოფით შიდა დინამიკის ორი ტიპი: ადრე უფრო აქტიურია გამოხმობის, დახმარების თხოვნის ლოცვები (მურსილი II-მდე), შემდეგ კი უფრო სინანულისა და თავის მართლების მოტივი მატულობს, რაც, ჩემი აზრით, ხელისუფლებასა და საზოგადოებაში მომხდარი ღრმა ცვლილებების ანარეკლიც კი შეიძლება იყოს.

ყოველივე ამას მკითხველი ეცნობა ირინე ტატიშვილის მიერ ნაშრომში უხვად შეტანილი ტექსტების მეოხებით, რაც ზრდის წიგნის სამეცნიერო ლირებულებას და უფრო ხელმისაწვდომსა და გასაგებსხდის ხეთების რელიგიურ პრაქტიკას. მათი გაცნობისას მე დამებადა კითხვა, კერძოდ მეფე-დედოფალთან დაკავშირებული ტექსტების თაობაზე. ხომ არ არის ზოგიერთი ტექსტი გამიზნული საქორწილო რიტუალისათვის, ან თუნდაც ნამდვილი მეფისა და დედოფლის ქორწინებისათვის. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს კერის დადგმის რიტუალში ნარმოთქმული ლოცვები. ზოგიერთი ვერბალური ფორმულა მეფის სიტყვისა და საქმის მტკიცების თაობაზე, დღემდე მთლიანად არის დაცული საქართველოში და ხშირად იყენებენ

არა დალოცვის, არამედ პირიქით, დაწყევლის მიზნით. როცენა ვინმეს ხატზე „გადაცემა//გიოჩემა” უნდოდათ, მიწაში ჰალოს, ხეში ლურსმანს არჭობდნენ და „გადასაცემ” პირს უძე-დურებას უსურვებდნენ, ვიდრე იგი ამ ლურსმანს კბილით არ ამოიღებდა. ამ ტექსტებისა და ქართული საკულტო ტექსტების შედარებითი შესწავლა უსათუოდ გამოავლენს მთელ რიგ შესაბამისობებს და საშულებას მოგვცემს უკეთ შევაფასოთ როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მეჩვენება ღვთაებათა მიმართ ჩამოთვლით მიმართვა ხეთურ ლოცვებში და ასევე ქართული სადიდებლების ჩამონათვალი, სადაც ასევე მაქსიმალურად ცდილობენ ყველა არ-სებული სალოცავის მოხსენიებას. ასევე საყურადღებოა ქვესკნელის ძველი ღვთაებების ყოფითი ქმედითობის ამსახველი სცენა, როდესაც ისინი (ისთუსთაია და ფაფაია) მუხლმოყრილები სხედან, ხელში უჭირავთ ძაფით სავსე თითისტარები და მეფის წლებს რთავენ. ძაფი, როგორც ბედის სიმბოლო, ჩვენ-შიაც არის ცნობილი და ერთ-ერთ სპეციალურ ქალურ შესაწირავად ითვლებოდა. ამგვარი მომენტების სიმრავლე, რომელთა ჩამოთვლა კიდევ უფრო გააგრძელებდა ჩვენს სათქმელს, უფრო დამაჯერებელს ხდის მოსაზრებას საერთო კულტურული წრის შესახებ, სადაც სხვა ძველ ხალხებთან ერთად მონა-ნილეობდნენ ჩვენი წინაპრები.

წმინდა ისტორიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ხეთების სახელმწიფო რელიგიის გენეზისის პრობლემა, რომელიც დასაწყისშივე აერთიანებს ამ პოლიეთ-ნიური გარემოს მთელ სარწმუნოებრივ პალიტრას. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ძლიერი ხათური პლასტი, რომელსაც ხეთების პანთეონის მთავარი ღვთაებებიც განეკუთნებიან. ანითას რელიგიური რეფორმა, რომელიც ხეთების სახელმწიფოს შექმნის საწყის ეტაპს უკავშირდება, შედეგია სწორედ ამ პოლიეთნიკური გარემოსა და მისი შესაბამისი ღვთაებებისა თუ პანთეონების ერთ სახელმწიფო სისტემაში

მოქცევის აუცილებლობისა, სადაც იმთავითვე, ფაქტიური ვიზუალური განვითარების გათვალისწინებით, შეიქმნა ხეთების ღია რელიგიური სისტემა, რომელშიც თავისი ადგილი შეინარჩუნა ყველა რელიგიამ, ყველა ლვთაებამ, რაც, ჩემი აზრით უნდა ნიშნავდეს ყველა ეთნოსის მიერ თვითიდენტიფიცირების შენარჩუნების ასახვას ხეთების სახელმწიფოს შიგნით, ოღონდ გარკვეული იერარქიული რიგით. იერარქია ლვთაებათა შორის ნათესაური ურთიერთობების, უპირველეს ყოვლისა მშობელთა და შვილთა კავშირების ფორმით გამოიხატა. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ გარკვეული გერონტოკრატიული ინერცია, როცა მამა უფლებრივად მაღლა იდგა შვილზე. სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში ამ მეთოდით ბუნებრივად არიდებულ იქნა რელიგიური წინააღმდეგობა, ხოლო გამაერთიანებლის ფუნქციას იღებს სამეფო ხელისუფლება, რომელიც იმავე დროს რელიგიური თანამორწმუნეა ყველა ეთნოსისა, ვინც მის სახელმწიფოში შედის. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ათინას ტექსტში ასახულია „ინდოევროპელ ნესიტა უზენაესი ლვთაების, წშაშ-ის და ხათურ უზენაეს ლვთაებათა წყვილის, ამინდის ღმერთ თარუსა და მზის ქალღმერთ ეშთანის შეხვედრა-დაპირისპირება, რაც ამ უკანასკნელთა პანთეონის სათავეში მოქცევით დასრულდა... ანითას რეფორმის შედეგად ნესიტებმა გადაიღეს ხათური ლვთაებები, რელიგიური თუ სამეფო ხელისუფლების კონცეფციები და ჩამოყალიბდა ის რელიგია, რომელსაც ხეთურს ვუწოდებთ“. წარმოდგენილი მასალისა და მისი ანალიზის საფუძველზე ავტორის მოსაზრება სავსებით დამაჯერებელია, მაგრამ ალბათ უფრო გაშლას მოითხოვს მიზეზობრივი ფონი (გარდა ლიტერატურიდან მოყვანილი მოსაზრებებისა), კერძოდ, როგორ განხორციელდა ეს იშვიათი ისტორიული პროცესი და რა ბუნების საზოგადოებრივ მოვლენებს ემყარებოდა იგი. როგორც ჩანს, ეს პროცესი განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე მიმდინარეობდა, რამდენადაც სრულიად უმნიშვნელო ჩანს

სინკრეტიზმის შედეგები, რაც გაცილებით საგრძნობი იქნებოდა, თუკი ოფიციალურ სარწმუნოებას ძალით მოახვევდნენ თავს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს. მთელი ისტორიული სურათი ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ღვთაებათა და პანთეონთა მშვიდობიანი თანაარსებობის შედეგად და სავსებით ვეთანხმებით ი. ტატიშვილს, რომელიც ასევე ვერ ამჩნევს სინკრეტული პროცესების განსაკუთრებულ აქტივობას.

იგივე ვითარება მოწმდება იმპერიის ხანაშიც, როცა ხეთების რელიგიაში იჭრებიან არა ანატოლიური, არამედ უფრო შორეული კულტები. ახალი პანთეონის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა დაპყრობილი ქვეყნებიდან ღვთაებათა კულტების შემოტანამ (გამოსახულებათა ჩამოტანამ), რაც ტერიტორიული ექსპანსიის სარწმუნოებრივი შედეგის ფორმას ღებულობს. უნდა დავასკვნათ, რომ ღვთაება, უფრო სწორად მისი კერპი, შეიცავდა რიტუალურ ძალას, ანდა მიაჩნდათ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე, კეთილი ძალის წყაროდ, რაზედაც დამოკიდებული იყო ამა თუ იმ ხალხის ეკონომიკა, მოსავალი, სამსედრო ძლიერება და ა. შ. ღვთაებათა წართმევით ხეთები მონინაალმდეგეს ართმევდნენ მათ მფარველ ძალას და ამ ძალის აკუმულირებას ახდენდნენ საკუთარ ქვეყანაში. ასე რომ, ღვთაებათა შემოტანა რელიგიურ მრნამსზე დაფუძნებული პოლიტიკური აქციაა, რაც მონინაალმდეგის მაქსიმალურად დასუსტება-დამორჩილებას ისახავს მიზნად. ამიტომ ძლიერდება პერიოდულად ხურიტული, თუ სხვა ხალხთა ღვთაებების კულტები. ამ საკითხში საბოლოოდ სინათლის შეტანის მიზნით ი. ტატიშვილი გვთავაზობს „საკუთარი“ და „უცხო“ ღვთაებების ცალ-ცალკე დაჯგუფებასა და შესწავლას, როდესაც „საკუთართა“ შორის ნაგულისხმევი იქნებოდა ხათურ-ნესიტური პლასტი, ხოლო „უცხოდ“ – ყველა დანარჩენი. ავტორი ასეთი შეპირისპირებით ავლენს ორივე ჯგუფის დამოუკიდებელ, ერთმანეთზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის გარეშე თანაარსებობას და მი-

დის დასკვნამდე, რომ აქ თვალში საცემია მხოლოდ სისტემა-
ტიზაციის მომენტი და არა სინკრეტული პროცესები; მიუხედ
დავად ამისა დისერტანტი მაინც ამჩნევს ხეთების მეფეების,
მაგალითად, მუვათალის რელიგიურ პოლიტიკაში გარკვეულ
მისწრაფებას რელიგიური გარდაქმნებისაკენ, მით უფრო,
რომ ეს მეფე ეხნატონს მხოლოდ ორი თაობით ჩამორჩებოდა.
ამიტომ, მსგავსად ეხნატონის რელიგიური რეფორმისა და მის
მიერ ეგვიპტის დედაქალაქის ტელ ამარნაში გადატანისა, მუ-
ვათალის მიერ დედაქალაქის სამხრეთში გადატანა, სხვა ღო-
ნისძიებებთან ერთად, შესაძლოა მისი პირადი მფარველი
ღვთაების განსაკუთრებით დაწინაურებასაც გულისხმობდა.

ასეა თუ ისე, ხეთური რელიგია გარკვეული ცენტრისკე-
ნული ძალების ზემოქმედების გარეშე ვერ იარსებებდა. ერ-
თხანს შემაკავშირებლის როლს, როგორც ჩანს, თამაშობდა
ნათესაური კავშირები, რჩეულობა ან მეფის იპოსტასური გა-
აზრება, თითქოს იგი ღვთაების ნათესავი და გამოვლინებაა.
ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოდ მიმაჩნია გამოთქმა „ჩემი
მზე“, ან კიდევ მზის ღვთაებისა და „მეფე-მზისადმი“ ერთგვა-
რი ნიშნების მიყენების ჩვეულება, რაც ხაზს უსვამდა რო-
გორც განსხვავებას მეფესა და ღმერთს შორის, ასევე მათ სი-
ახლოვეს. ამავე მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ამა
თუ იმ ღვთაების საყვარელი (რჩეული) მეფისა და ღვთაების
მეგობრულ-ნათესაურ სიახლოვეში გამოსახვის ტრადიცია.
უნდა ვივარაუდოთ, რომ ღვთაებათა შორის ურთიერთობები
პრაქტიკულად ხორციელდებოდა ქურუმთა მიერ და ნათესავ
ღვთაებათა ურთიერთობის რეალიზაციას ასევე ქურუმები
ახდენდნენ. ამ მოვლენის პრაქტიკული დამოწმება შესძლო
ვ. ბარდაველიძემ, როცა დაადასტურა ფშავის ხევების მფარ-
ველ ღვთაებათა „ძმობის“ შესაბამისი ძმადგაფიცულობა, ამ
ღვთაებათა ხევისბერებს შორის. ფშავის ადმინისტრაციული
მთლიანობა, რელიგიურ სისტემაში განხილული როგორც ხე-
ვების (თერთმეტი ხევის) მფარველთა ძმადგაფიცულობა ერ-

თმანეთს შორის და ყველასი ერთად სრულიად საფარის მფარველთან, ლაშარის ჯვართან, რაც პრაქტიკაში განხორციელებული იყო ხევისბერების ძმადგაფიცულობით ერთმანეთსა და ლაშარის ხევისბერს შორის. საერთოდ ნათესაობის იდეა, რომელიც სანათესაო გვარიდან იღებს სათავეს, პოლიტიკური თვალსაზრისით უაღრესად პროდუქტიულია სუსტი ეკონომიკური კავშირების პირობებში, თუმცა იგი განვითარებულ საზოგადოებაშიც ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას. ეს ცხადად ჩანს ლეონტი მროველის სანათესაო თეორიიდან. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია გავიხსენოთ რუსების მიერ შემოღებული „მოძმე ხალხები“ ან „უფროსი ძმის“ თეორია, რომლის გადავარდნას ძლივს მოვესწარით. რა გასაკვირია, თუ მსგავსი „თეორიები“ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერდნენ ისეთი ეთნიკური და იდეოლოგიური კონგლომერატის პრაქტიკაში, როგორიც ხეთების სახელმწიფო იყო.

წიგნის სიმდიდრე, როგორც მასალის, ისე ინფორმაციის თვალსაზრისით, ასევე მისი მნიშვნელობა რელიგიის პრობლემების შესწავლისათვის საერთოდ კავკასიაში, მასზე მსჯელობისას თავი თუ არ შევიკავეთ, უამრავ საინტერესო საკითხს წამოჭრის და შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს. ამის დასტურია უამრავი ამონაწერი და კომენტარი, რომელიც წიგნზე მუშაობისას დამიგროვდა და რომელთა ამჯერად განხილვას თავს ავარიდებ. მთავარი ისაა, რომ ნაშრომი შესრულებულია კონკრეტულად ჩამოყალიბებული გეგმით, ასახავს მხოლოდ ავტორის მიერ დასმულ პრობლემას ამჯერად, მისი მუშაობის ამ ფაზაში და სურვილები და პერსპექტივები, რომელიც წიგნთან კონტაქტისას წარმოიშობა, მე მხოლოდ ნაშრომის ღირსებად მიმაჩინა. რა თქმა უნდა, მე კრიტიკულად განმანყო ერთ-ერთმა ფრაზამ წიგნის დასასრულში, სადაც ნათქვამია, რომ უმთავრესი მიზეზი წარმოქმნილი სურათისა არის არა იმდენად გეოპოლიტიკური სიტუაცია, რამდენადაც ხეთების რელიგიისათვის დამახასიათებელი ღია სტრუქტუ-



რა, რომლის წყალობით შესაძლო გახდა, არტურის მრგვაცლის მაგიდისა არ იყოს, მზისა და ამინდის ღვთაებების მეთაურობით შემოკრებილ თანასწორუფლებიანთა სიმრავლე. ჩემი აზრით, ხეთების სახელმწიფოს უშუალოდ დაასვა დაღი აზიის გეოგრაფიულმა გარემომ. სახელმწიფო ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში აღმოცენდა და ყოველთვის განიცდიდა მის პირდაპირ გავლენას ისევე, როგორც ეგეოსის ზღვის არქიპელაგი და ბალკანეთის ნახევარკუნძული ახდენდნენ გავლენას ბერძენთა საზოგადოებაზე, როგორც სამდინარო არტერიები და მორწყვის სისტემები – შუამდინარეთის სახელმწიფოებსა და ეგვიპტეზე. შემთხვევითი არ არის ანატოლიის ისტორიული ბედი, სადაც ერთენოვანი და ერთსარჩმუნოებიანი მტკიცე სახელმწიფო ისტორიის უკანასკნელ საფეხურებზე წარმოიქმნა. იქნებ ამ მოვლენის საიდუმლო იმაღლებოდეს მის რთულ, დანანევრებულ რელიეფში, მდინარეების სუსტ ქსელში, რამაც ხელი შეუშალა ხეთებს შეექმნათ ისეთივე მტკიცე ორგანიზმი, როგორიც იყო თუნდაც ძველი ეგვიპტე და XX საუკუნეში აღმოსაჩენი არ გამხდარიყო ამოდენა იმპერია.

მაგრამ წიგნი იმდენად კარგია, რამდენადაც მეტ განზოგადებულ დავას იწვევს. ამ მხრივ ჩვენს ავტორს ყველაფერი წესრიგში აქვს. ჩემთვის, როგორც არახეთოლოგისათვის ერთი მხრივ ძნელი იყო ამ უზარმაზარი მასალით ოპერირება, მეორე მხრივ, როგორც საქართველოს კულტურის მუშაკმა, უდიდესი კმაყოფილება მივიღე ამ ერთი შეხედვით პატარა წიგნის წაკითხვით. ამ წიგნით ორინე ტატიშვილმა დიდად შეუწყო ხელი საქართველოში იგივე პრობლემის შესწავლას, რაც საგანგებო აღნიშვნის ღირსია. ვიმედოვნებ, სარეცენზიონ ნაშრომი დიდად დაგვეხმარება ქართველთა წინაქრისტიანულ მითო-რელიგიურ სისტემათა გამოვლენასა და შესწავლაში. იგი მყარ საფუძველს ქმნის ძველი იბერიის სარწმუნოებრივი ისტორიის სათანადო შეფასებისათვის.

† ირაკლი სურგულაძე

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსა-
პოვებლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გა-
მოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოგენი-
ლი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეც-
ნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტო-
რიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თა-
ნამშრომლის მერი ინაძის ნაშრომი „ძველი კოლხეთის საზო-
გადოება“, თბილისი, 1994, 280 გვ. საქართველოს ძველი ის-
ტორიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილ მნიშვნე-
ლოვან მეცნიერულ მონოგრაფიულ გამოკვლევას წარიად-
გენს. და ეს სავსებით კანონზომიერია. მერი ინაძეს ქართული
საზოგადოებრიობა იცნობს, როგორც სერიოზულ მეცნიერს,
არაერთი ახალი ჰიპოთეზის, მოსაზრების, დასკვნის შემცვე-
ლი მონოგრაფიების, სტატიების, მეცნიერ-ისტორიუსთა
სხვადასხვა ფორუმებზე წაკითხული ათეულობით ორინა-
ლური მოხსენების ავტორს, გულმოდგინე მეცნიერ ხელმძღ-
ვანებს, მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული წიგნე-
ბის რედაქტორს, რეცენზენტს, საკვალიფიკაციო ხასათის
ნაშრომების ექსპერტს, ოპონენტს.

ახალი ძიების ნიშნითაა აღბეჭდილი მერი ინაძის სარე-
ცენზიონ მონოგრაფიული გამოკვლევაც: ნაშრომი სოლიდურ
წყაროთმცოდნეობით ბაზას ეფუძნება. მასში მაქსიმალურა-
და მოხმობილი, ღრმად და ახლებურად ინტერპრეტირებული
საკვლევი პრობლემის ირგვლივ სადღეისოდ გამოვლენილი
ძველბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები და ძელი
ქართული საისტორიო მწერლობის მონაცემები, საქართვე-

* რეცენზია აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსაპოვებ-
ლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადე-
ბულ კონკურსში წარმოდგენილ მერი ინაძის წიგნზე.

ლოს და წინა აზიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა ძიების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის მასალები. ეთნოგრაფიული მასალები.

ავტორი კარგად იცნობს ძველი კოლხეთის და ანტიკური სამყაროს სხვადასხვა, მისთვის საინტერესო ასპექტის ამსახველ ახალ ქართულ და უცხოურ სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურას.

მერი ინაძის კვლევის სფერო საკმაოდ ფართო ქრონლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული. იგი მოიცავს პერიოდს ძვ. წ. VII-VI საუკუნეებიდან ვიდრე ძვ. წ. I საუკუნემდე.

ავტორის მიზანია ყოველმხრივ დაგვანახოს ძველი კოლხეთის საზოგადოება, მისი რთული სოციალური სტრუქტურა, მმართველი ზედა ფენისა და მნარმოებელი საზოგადოების ხასიათი და ნიშან-თვისებები. მონოგრაფიაში ახლებურადაა გააზრებული კოლხეთის მოსახლეობის პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ბევრი არსებითი, მაგრამ დღემდე ნაკლებად დამუშავებული საკითხი. კერძოდ, საყურადღებოა ნაშრომში გამოთქმული ახალი თვალსაზრისები კოლხეთის სამეფოში პოლიტიკური და რელიგიური ცენტრების გენეზისის, კოლხური საზოგადოების სპეციალური განვითარების პროცესში ტაძრების როლის, ქურუმთა სოციალური ფენის, სატაძრო თემისა და მისი შემადგენლობის შესახებ.

ჩვენი აზრით, საყურადღებო და ახალია სარეცენზიონი ნაშრომის IV თავის პრობლემატიკა, სადაც ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთაში“ დაცული წერილობითი ტრადიციისა და სტრაბონის ცნობების სკრუპულოზური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების გზით დამაჯერებლადაა ნაჩვენები და სათანადოდ შეფასებული „ფარნავაზის ცხოვრების“ როგორც საისტორიო ნიაროს მნიშვნელობა, მისი მეცნიერული ღირებულება. ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის ასეთივე ფასეულია კოლხეთისა და იბერიის ურთიერთობათა ისტორიის უმთავრესი მომენტების ავტორისეული ხედვაც.



დიდ ინტერესს იწვევს ფრიქსოპოლის-იდეესას შესახებული სტრაბონთან შემონახული ცნობის ინტერპრეტაცია-იდენტი-ფიკაციასთან დაკავშირებით მერი ინაძის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებიც, დღევანდელი საირხეს შემოგა-რენში ფრიქსეპოლის-იდეესას ლოკალიზაციის ავტორისეული ცდა, რომელიც ბერძნულ-მცირეაზიულ სამყაროსთან კოლხე-თის კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტების ისტორიის კონტექსტშია გადაწყვეტილი და წარმოჩენილი.

საქართველოს ძველი ისტორიის ცალკეული ასპექტების მეცნიერული რეკონსტრუქციისათვის არანაკლებ მნიშვნე-ლოვანი და გასათვალისწინებელია ავტორის თვალსაზრისი კოლხურ საზოგადოებაზე ბერძნული ცივილიზაციის გავლე-ნის ხასიათის შესახებ.

დიდი ინტერესით იკითხება კოლხეთის მოსახლეობაში არსებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და კულტმ-სახურების ისტორიისადმი მიძღვნილი წიგნის ძალზე საყუ-რადლებო პასაჟებიც.

ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად მერი ინაძემ ძვე-ლი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ცოცხალი და შთამბეჭდავი სურათი შე-მოგვთავაზა.

მერი ინაძის სარეცენზიონ ნაშრომის ამ მოკლე დახასია-თებიდანაც ნათელია, რომ მისი ახალი მონოგრაფია „ძველი კოლხეთის საზოგადოება“ ქართული საისტორიო მეცნიერე-ბის დიდი შენაძენია. აქვე დავძენთ, რომ ამ შესანიშნავი გა-მოკვლევის გამოქვეყნებისთანავე, მას დიდი ინტერესით გა-ეცნენ არა მხოლოდ სპეციალისტები, არამედ საქართველოს ძველი ისტორით დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრეებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს და-ვასკვნათ, რომ მერი ინაძის მონოგრაფიული გამოკვლევა „ძველი კოლხეთის საზოგადოება“ უყოყმანოდ იმსახურებს

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის პრემიის მინიჭებას, მითუმეტეს რომ ძველი კოლხეთის ისტორიისა და კულტურის პრობლემა-ტიკა, რომელსაც მერი ინაძე ათწლეულების მანძილზე წარმა-ტებით იკვლევს, ორგანულად უკავშირდება ჩვენი დიდი წი-ნაპრის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მეცნიერული ინტერესე-ბის სფეროს.

ნანა ხაზარაძე

ნანა ხაზარაძე



ენგარხი

Содержание

Contents

224

| | |
|--|----|
| გრიგოლ გიორგაძე, ჩვენი სექტორის „პირველი ქალბატონი“ (მერი ინაძე – 75)..... | 5 |
| Г. Г. Гиоргадзе, «Первая дама» нашего сектора (Мэри Инадзе – 75). | 13 |
| მერი ინაძის ნაბეჭდი სამეცნიერო შრომები..... | 20 |
| ძველი ახლო აღმოსავლეთი | |
| Древний Ближний Восток | |
| Ancient Near East | |
| ლევან გორგეზიანი, პილოსი ალასასრულის მოლოდინში..... | 29 |
| Levan Gordeziani, Pylos Awaiting for the End..... | 39 |
| ირინე ტატიშვილი, ზოგიერთი მოსაზრება მეფე მუვათალი II-ის საბეჭდავების შესახებ..... | 40 |
| Irène Tatichvili, Considérations sur les sceaux du roi Muwatalli II..... | 49 |
| გიორგი ქავთარაძე, კავკასიისა და ანატოლიის ადრეუ- ლი ბრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთ- მიმართების ზოგიერთი საკითხი..... | 50 |
| Giorgi L. Kavtaradze, Some Problems of the Interrelation of Caucasian and Anatolian Early Bronze Age Cultures..... | 95 |
| ჯემალ შარაშენიძე, მუშახელის შრომის ანაზღაურების ერთი თავისებურების შესახებ ურის III დინასტიის დროინდელი შუმერის სახელმწიფო მეურნეობაში..... | 97 |

| | |
|---|-----|
| Djemal Sharashenidze, About One Peculiarities of Labour Compensation in the State Economy of Sumer at the Time of the Third Dynasty of Ur..... | 106 |
| ნანა ხაზარაძე, წარღვნის შესახებ მითოსის ერთი ქართული ვერსია ძველადმოსავლური მითოლოგიის მონაცემთა კონტექსტში..... | 107 |
| Nana Khazaradze, Concerning one Georgian Version of Flood Myth in the Context of Ancient Near Eastern Mythology..... | 123 |
| მანანა ხვედელიძე, ფარაონი ხეოფსი და ახალი აღთქმა?..... | 124 |
| Manana Khvedelidze, Pharaon Cheops and Gospel?..... | 150 |
| საქართველო და კავკასია Грузия и Кавказ Georgia and Caucasus | |
| ნინო აბაკელია, ცხენის სიმბოლიკისათვის კოლხურ მითო-რიტუალურ სისტემაში..... | 153 |
| Nino Abakelia, Concerning the Horse Symbolism in the Colkhian Mythico-ritual System..... | 170 |
| О.Д. Дашевская, Г.А. Лордкипанидзе, Монеты Диоскуриады на городище Беляус (Крым)..... | 173 |
| O. Dashevskaya, G. Lortkipanidze, The Coins of Dioscurias from Belaus (the rimea)..... | 180 |
| თინა იველაშვილი, ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა, ბიბლიის მიხედვით (ძველი აღთქმა)..... | 181 |
| Tina Ivelashvili, Property-rightful Position of a Woman According to the Bible..... | 199 |
| დარეჯან კაჭარავა, კუნძული ლევკე..... | 200 |
| Darejan Kacharava, The Island of Leuke..... | 215 |

| | |
|--|-----|
| ნინო კილურაძე, ლეგიონერთა სამარხები პიტიუნტის სამაროვანზე..... | 216 |
| Nino Kiguradze, Legionary burials at the Pitiunt Sepulchre..... | 224 |
| ნანა მათიაშვილი, კოლხეთის წარმართული პანთეონის იკონოგრაფიისათვის..... | 226 |
| Nana Matiashvili, On the Iconography of the ancient Colxian Pantheon..... | 235 |
| რუსუდან რცხილაძე, ადამიანის მსხვერპლშეწირვის შესახებ ანტიკური ხანის ელადაში..... | 236 |
| Rusudan Rzxiladse, Zur Frage der Menschenopferung in Hellas..... | 251 |
| თამარ ჯანაშია, სასპერების პოლიტიკური გაერთიანების წარმოქმნის საკითხისათვის..... | 253 |
| Tamar Janashia, On the issue of formation of the political union of Saspers..... | 258 |
| მანანა ხიდაშელი, თვითცნობიერება კოლხეთის სამეფოში..... | 259 |
| Manana Khidasheli, Self-Consciousness in the Kingdom of Colchis..... | 277 |
| | |
| რეცენზიები | |
| Рецензии | |
| Reviews | |
| თირაკლი სურგულაძე: ირინე ტატიშვილი. ხეთური რელიგია. თბ., 2001, 204 გვ. (გამომცემლობა: პროგრამა „ლოგოსი“)..... | 281 |
| ნანა ხაზარაძე: მერი ინაძე. ძველი კოლხეთის საზოგა- დოება. თბ., 1994, 280 გვ. (გამომცემლობა „მეცნიერება“)..... | 299 |

დაიბეჭდა გამომცემლობა “ენა და ყუჩ—უყრის”-ს სტამბაში
ი.ჭავჭავაძის გამზირი 45

yp 163/4

2 -

